

БИБЛИОТЕКА

შაბათი, 6 ოკტომბერი, 1907 წ. ფასი 10 კაპეიკი

№ 1 ყოველკვირეული ჟურნალი 1907 წ.

„ეკალი"-ს მეორე ნომრიდან დაიწყება ბეჭდვა მდაბალოთ დაწერილი წერილების: „სახალხო პოლიტიკური ეკონომია"-ბ. ნ-ლაძრასი.

აგენტების საყურადღებოთ

„ეკალის" რედაქცია თხოვს ყველა აგენტებს, ანგარიშები ყოველ ნომრის შემდეგ გაასწორონ და დარჩენილი ნომრები უკანვე დაუბრუნონ რედაქციას. აგენტებს ჟურნალი დაეთმობაო 7 კაპეიკათ. ფული უნდა იგზავნებოდეს შემდეგი ადრესით: *Тифлисъ*, типографія „Надежда" Платону Гедевановичу Ганчиладзе.

ამ სურათის ახსნა იხილე მეორე გვერდზე „ეკალი"-ს ადსარებაში.

„ᲔᲙᲐᲚᲘ“-Ს ᲐᲦᲡᲐᲠᲔᲑᲐ

—

— იიმე, ბატონო, გამოსულა, მარა რა გამოსულა!.. გამოსულა რაცხა ჩახატულ-ჩაკირკანტებული ახალი გაზეთი!.. სხვას კი არ გავს, ბატონო, რაცხა უცნაურია სწორეთ!.. სულ ეკლებით არის შეხლართულ-შემოხლართული ისე, რომ უცბათ ხელი რო მოაველო, სულ დაგვჩხლეტს, შენ ნუ მოუკვეტები ჩემ თავს!.. ამბობს იმერელი პირველ ჩემ შეხვედრაზე.

— რავა აბდალასავით ჩივ, ძამიავ!.. მიახლის გურული,— მაგი საჩხვლეტელა კი არა, ჟურნალია ჩინებული. მართალია ეჩხვლიტება, მარა ჩვენისთანებს კი არ ჩხვლეტს. მეც ქე ვფიქრობდი, რომ რაცხა კიდევ უნდა გამოვიდეს ახალი ჟურნალი-მეთქი და აგია, ქე გამოსულა. აი ჩვენი ღუნიას „ნიშადური“ ძალიან გალა გამოდგა და „ეშმაკის მათრახი“ ხომ ყველას ვერ მიწვდება მარტოტკალაი. ახლა ერთი მათრახებს უცხუნებს ჩვენს ᲛᲢᲠᲔᲑᲡ, მეორე მწვავეთ უჩხვლეტს და გაამწარებს იმ საზიზღრებსა და გადათრეულებს.

— ჭი, ქვე შენი ჭირიმე, როგორ ბზესავით გამოუშვეს ეს რაღაცა გაზეთებია!.. ამბობს რაჭველი.—კარგია ჭი მაინც ჩვენი ბიჭუნებისთვის: გადასაზიდი ჭი ბლომათ მიემატებათ. მოგახსენებენ ჭი, პოლიციაში ეზიდებიან ამ ქალაოდების საპანეებსაო; ქვე რაღა უნდათ მეტი ჩვენ ბიჭუნებს ჭი.

ასე სჯიან და ბაასობენ ჩვენზე სხვები და მით უხერხულ მდგომარეობაშიაც გვაყენებენ. იტყვი რამეს,—ვაი თქმას, არ იტყვი და ვაი უთქმელობას!.. რა გაეწყობა, უნდა ვთქვათ და რაც იქნება, მადლი უფალს!

ფუ, ჩემ ვარსკლავს და დაბადების დღეს!.. უსიცოცხლოთ ბეუტვას, ბარემ სიკვდილი ჯობია... მარა არა, სიკვდილი ხომ არარაობაა, სიცოცხლე კი რამეს მაინც ნიშნავს. მართალია, შოთას უთქვამს: „სჯობს სიცოცხლესა ნაძრახსა სიკვდილი სახელოვანიო“, მარა ყველა სიკვდილი ხომ სახელოვანი აᲫაა. ჯერ-ჯერობით ჩვენც ვიცოცხლოთ, ვთქვათ აქეთური, იქითური, გადაკრული, გადმოკრული და ამით დროებით თავი შევიქციოთ.

დღეს რეაქცია ქვეყანას აქცევს, რეპრესია სულს ახდენს, მარა ისიც კი გვინახავს, რომ ამისთანა რეაქცია დაიმხო და დაიქცა და რეპრესიაც თან გადაყვა. დიახ, გვინახავს და კიდევ ვნახავთ ამისთანა რამეებს!.. და ამის მოლოდინში ჩვენ თვალი გადავავლოთ თანამედროვე საზოგადოებას და მის წესწყობილებას.

ყველას რომ ერთი თავი ებას ჩვენში, როგორც ეს სურთ ჩვენს „მოღვაწეებს“, რა იქნება მაშინ? რა და მიეპარება ერთი ვინმე ქვეყნის მტერი, რომელსაც შეშურს ჩვენი „ბურჯების“ საქმიანობა, ღა ერთი შემოკვრით წააძრობს ზედ თავის ნახაპურს. ეს ხომ დიდი უბედურობა იქნება მთელი კაცობრიობის წარმატებისათვის... ამისთვისაც არის, რომ ბუნებას თვითოეული პირისათვის თავისი საკუთარი თავი გამოუბამს და შიგ საკუთარი აზრიც ჩაუდვია. ასე რომ არ ყოფილიყო, მაშინ ხომ ამდენხანს ჩვენი ნატამალიც არ იქნებოდა ქვეყანაზე. ვინ იანგარიშებს, ამ ჩვენს დროში თუ რამდენ თავს აშორებენ კისერს მუდამ დღე, ყოველ საათში, მარა ხალხი მაინც ჭიანჭველასავით ირევა.

ასე, ხალხი ქვეყანაზე ულეველია და მისი ძალაც საბოლოოთ უძლეველია.

ჰო, ხალხი ბევრია, მარა ჭრელია. ზოგს სიმდიდრე და სიამოვნება ამძიმებს, ზოგისთვის კი ლუკმა პურის შოვნაც ძნელია. ერთი მუშაობს, ოფლსა ღვრის, სიმდიდრეს ქმნის, მეორე კი არხეინათ ზის და სხვის ნაოფლარს ჯიბეში იჩხრიალებს. მუშა მუდამ მშიერ-ტიტველია, ხოლო უმუშევარი კი უზომოთ მაძღარი და კოხტათ გამოწყობილია. ასეთია სინამდვილე, ეს არის ცხოვრების უკუღმართობა, მარა იმავე დროს ამ უკუღმართობაში სამერმისო წაღმართობაც არის ჩასახული.

მდიდარი გაბატონდა, დაიმონა მუშა და მას აქეთ ქვეყანაზე ერთობა, თანასწორობა მოისპო და ჩაიფუშა.

ბატონს ბატონი მიემხრო, მუშას მუშა მიეკედლა და გაჩაღდა მათ შორის სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლა. დაირაზმა ერთი მხრით მჩაგვრელთა ჯარი, ხოლო მეორეთი ჩაგრულთა და დატანჯულთა. მემამულე, ფეოდალი, ბიუროკრატი, პლუტოკრატი, ბურჟუა, მღვდელი და ბერი— წამოიჭიმენ ცხოვრებაში და შეესიენ პირველ ხანათ ერთმანეთს.

იყო დრო, როცა მამული შეადგენდა სიმდიდრის საზომსა და საფუძველს და მაშინ მემამულე-ფეოდალი იყო ქვეყნის პატრონიცა და ბატონიც. დადგა დრო, მიწამ დაკარგა თავისი მნიშვნელობა, მისი ადგილი ფულმა, კაპიტალმა დაიჭირა და ქვეყნის მართვა-გამგეობის სადავეც ფულიანი კაცის—ბურჟუა-კაპიტალისტის ხელში გადავიდა. ბურჟუა შეე-

ბრძოლა ფეოდალს და ხალხის, მასის შემწეობით დაამხო მისი ტახტი, რომელზედაც შემდეგ თვითონ წამოსკუპდა და უტიფრათ დაიწყო ბატონობა. მერე რა გამოვიდა აქედან? ხალხს ერთი ბატონის მაგიერ მეორე მოეევლინა და მაინც ბატონობა გაბატონდა!..

გავიდა დრო, მუშა გონს მოვიდა, განვითარდა და შეიგნო თავისი მდგომარეობა. მან დაისახა თავის საბოლოო მიზნათ ბატონობის ერთიანათ ამოგდება, მისი ხსენების მოსპობა და საზოგადო ბედნიერების, ერთობისა და თანასწორობის დამყარება ქვეყანაზე. გაჩაღდა მედგარი ბრძოლა ამ მიზნის მოსაახლოებლათ. ეს არის ბრძოლა სოციალიზმისათვის; მას აწარმოებს დევ-გმირი პროლეტარიატი, რომელსაც მხარში უდგია მის შეხედულობაზე გადმოსული გაყვლეფილი, შეგნებული გლეხ-კაცობაც.

აი, ასეთი ბრძოლა წარმოებს ჩვენში დღეს ძველსა და ახალ რეჟიმს შორის. ხულიგანი უნდა იყოს ადამიანი, რომ გამარჯვება არ უსურვოს ამ დიდებულ მოძრაობას. მარა გამარჯვება მაშინ არის ადვილი, როცა ხალხი, მასა გაცნობიერებული და შეგნებულია. ჩვენში კი, სამწუხაროთ, ეს ასე არ არის და განმათავისუფლებელი მოძრაობაც მიტომ ბორძიკობს.

მასის გრძნობა-გონების გაბაშუქებელი უძლიერესი საშვალებათაგანი არის ჟურნალ-გაზეთები. მარა ჩვენ ვხედავთ, რომ რეაქციამ დღეს ხელი ააღებია ხალხს სერიოზულ ბროშურებისა და ჟურნალ-გაზეთების კითხვაზე. მასა დღეს ან სულ არაფერს კითხულობს, ან და კითხულობს სუბუქ მასალას, სამასხრო-სახუმაროს, რაც გრძნობებს აღელვებს, ატოკებს, ხოლო გონებას კი არაფერს მატებს.

ჩვენ განვიძრახეთ ეს ნაკლი შევამსოთ, რამდენათაც შესაძლებელი იქნება ჩვენი ძალ-ღონისა და არსებული გარემოების მიხედვით.

ცხოვრებაში სატირალი და საცინარი, სუბუქი და სერიოზული ერთმანეთში არეულ-დარეული და გადახლართულ-გადმოხლართულია. ჩვენც კვალდა-კვალ უნდა მივყვეთ ცხოვრებას, ამოვალაგოთ იქიდან სატირალ-საცინარი, იუმორისტულ-სერიოზული ამბები, შევაზავ-შევაკავშიროთ გასაგებათ და ისე მივაწოდოთ ჩვენს მკითხველებს.

ჩვენ ვეცთებით, რომ ფანტაზიორობას, ოცნებობას და უტოპიას ფრთები შევაკვეცოთ, რადგან ამათი მოტრფიალენი უჩვენოთაც ბლომათ მოიპოვებიან ჩვენში.

ჩვენ ავგაროზათ ვატარებთ ძგოსნის სიტყვებს, რომელიც ასე ამბობს:

„ჯეს გული, სარკედ ქცეული,
ბუნების ნათავსედია;
მხოლოდ მის სახეს გიჩვენებს,
რასაც შიგ ჩაუხედია“.

ჩვენ ვეცთებით მოჭორილსა და პირადულ ამბებს, რამდენათაც ეს ჩვენზე იქნება დამოკიდებული, გვერდი ავუქციოთ და საქვეყნოთ გამოვიტანოთ ის, რასაც ასე თუ ისე საზოგადო მნიშვნელობა და ხასიათი აქვს. ასე რომ, მგოსანის თქმისა არ იყოს, აქაც

„ენაც მის ამბობს, რაც სმენას
სხვისაგან გაუგონია,
ან თვალს უნახავს და ჭკუას
გაუზომ-აუწონია“.

წინდაწინვე ვიცით, რომ ჩვენი ნათქვამი

„ზოგს ეტკბილება, ზოგს არა,
მარა რა ჩვენი ბრალია:
ბულბული ყარდს და ეკალზე
თანსწორათ მომდერალია“...

---

* * *

რაცხას გეტყვი იმისთანას,
მე რომ ვიცი, შენ კი არა,
ოჰ, ნეტავი მარტოთ-მარტო
სადმე მე ის გადამყარა!..
მე რომ ვიცნობ, იმისთანასა
შენ არ იცნობ ერთსაც არა,
ერთი რამე გავამჟღავნო?
სასაცილოთ ისიც კმარა...
უფროსია, „ნახალნიკი“,
ყინტ გურია გამწარა,
შარტაჟისტთა ამხანაგი,
მათი ტიკი და ტომარა.
ეს ის არის, შენ თუ იცნობ,
ნოხები რომ მოიბარა,
თვითონ გაძგრა ოსტატურათ,
მელა-კუდა, მეტიჩარა!..
ამხანაგებს ულალატა,
არ დაინდო ერთიც არა,
ნაქურდალიც წაგლიჯა
და ციხეშიც კი ჩაყარა!..

ᲛᲘᲡᲘ ᲙᲣᲓᲘᲡ ᲠᲘᲙᲘ ᲐᲠᲘᲡ
ᲜᲘᲙᲝᲖᲘᲐ, ᲔᲡ ᲛᲐᲡᲬᲠᲐ,
ᲡᲒᲝᲜᲔᲑ, ᲐᲠᲪ ᲒᲐᲑᲣᲜᲫᲣᲚᲓᲔᲑᲐ
ᲙᲣᲠᲘᲔᲓᲐᲜ ᲘᲠᲘᲒ ᲩᲥᲐᲠᲐ...

ᲝᲚᲠᲐᲡᲘᲜᲘ.

ᲐᲮᲐᲚᲘ ᲐᲛᲑᲐᲕᲘ

როგორც გადმოგვცეს, თფილისელ ჯიბგირებს შეუდგენიათ პროფესიონალური კავშირი და წესდებას ამ დღეებში წარადგენენ დასამტკიცებლათ,—სადაც ჯერ არს.

—

ყორლანისეულ კონკის ცხენებს თფილისის ქალაქის სამმართველოში წარუდგენიათ პეტიცია, სადაც უჩივიან ტრამვაის საზოგადოებას. ითხოვენ ამ საზოგადოების დაჯარიმებას, რადგანაც შიმშილით ფეხებს ძლივს ალასლასებენ და დილიდან შეალამემდე წალმა უკულმა დარბიან.

—

ᲮᲝᲤ. ᲬᲘᲠᲥᲕᲐᲚᲘᲓᲐᲜ (შორაპნის მაზრა) გვატყობინებენ, რომ იქაურ სულიერ მამას გლეხები ძალიან მოუმადლიერებია, რადგანაც მეფეს ჯვარის წერის დროს (თუ იგი გარეთ გამოვიდა, თუნდა აუცილებელ საჭიროებისათვის), სამ-სამ მანეთით აჯარიმებს, გარდა იმისა, რასაც ჯვარის წერის დროს ბუტბუტში აიღებს.

—

„ᲒᲝᲚᲝᲡ ᲙᲐᲕᲙᲐᲖᲐᲡ“ რედაქტორს მუშის სიტყვერეთ შეურაცხყოფისათვის და სილის გარტყმისათვის ხუთი წლით ვიატკის გუბერნიაში ასახლებენ. ხოლო სპ. ლოსაბერიძეს სამი წლით ჯრუჭის მონასტერში გზავნიან სალოცავათ.

—

ᲓᲦᲔᲡ, 6 ᲝᲥᲢᲝᲛᲑᲔᲠᲡ, საღამოს 8 საათზე, მადათოვის კუნძულზე მიშას ტრახტირში დანიშნულია „საქეიფო საღამო“. მოწვეულია მრავალი არღნები. შემდეგ ჯიბგირების გუნდი იმღერებს ევროპიულ სიმღერებს. იმედია, საზოგადოება ბლოშათ დაესწრება, რადგან „საქეიფო საღამო“ ჯიბგირების სასარგებლოთ არის დანიშნული. დამსწრენი უბილეთოთ შედიან, თუ კი ჯიბეებში ექნებათ ფულები.

—

ᲗᲔᲚᲐᲕᲘᲓᲐᲜ გვატყობინებენ, რომ იქ საკოქალიქო სასწავლებელში უარყვეს ქართული ენა, სასულიეროში იგი ფრანგულზე შეცვალეს, ხოლო „ზავედენიაში“ გაფარტოვეს, რისთვისაც რუს მასწავლებელს იწვევენ ქართულ ენის რუსულ ენაზე სასწავლებლათ.

—

იქიდანვე გვწერენ, რომ ამ ცოტა ხანში პედაგოგთა და გძელ-კაბიანთა ერთ-ერთ წრეში ხანქო-ნარდის დოღი გაიმართება; ვინც გამარჯვებული გამოვა,—ნადიკვარზე მაჭრით აქეიფებენ.

—

ეს არის, ეხლა დამთავრდა ცნობილ თელაველთა—ვანო, კოტე და ტერტერას ზღაპარი კასების შესახებ, რომელიც ამ ცოტა ხანში დაიბეჭდება „ეკალის“ მახლობელ ნომერში.

—

როგორც გავიგეთ, თელავის პოლიციას გამოუცხადებია მცხოვრებლებისათვის რომ კაკარტიანებს ქუდები მოუხადონ, ვინაიდან მაოი პრესტიჟი თელავში საგრძნობელათ დაცემულა.

—

ᲫᲘᲠᲣᲚᲘᲓᲐᲜ გვატყობინებენ, რომ იქ დაარსებულა ახალი პარტია. პარტიის მიზანია ძირულაში არ შემოუშვან ცილინდრიანი კაცები, რადგან ძალიან საშიში არიანო. ამ მიზნის განხორციელებას ადგილობრივი სტრაკნიკები შეუდგენ, მაგრამ ზედამხედველია საჭირო, ამის გამო 15 ოქტომბრისთვის დანიშნულია ამ პარტიის კრება ლიდერის ამოსარჩევათ. როგორც ხმა დადის, ლიდერათ ამოირჩევენ სოციალისტების მოყვარე ნიორაძეს, როგორც მეტის-მეტათ გამოცთილს და დახელოვნებულს კაცებზე ნადირობაში.

—

ᲖᲔᲡᲢᲐᲤᲝᲜᲘᲓᲐᲜ გვატყობინებენ, რომ იქაური ვაჭრები აჯანყებულან სავაჭრო ამხანაგობა „იმერეთის“ წინააღმდეგ. მოითხოვენ ამხანაგობის განადგურებას. აჯანყებულებსა და ჯარს შორის შეტაკება მოხდა. დაჭრილთა და დახოცილთა რიცხვი ბევრია. მოელიან მაშველ ჯარს.

—

ᲡᲝᲤ. ᲮᲐᲚᲘᲤᲝᲣᲠᲨᲘ (შორაპნის მაზრა.) გუბერნიის მარშალს თ-დ. სვიმონ წერეთელს „ოსადნოე პოლოჟენიე“ გამოუცხადებია თავის სამალაო ადგილებში. ვისაც მოასწრებენ, გინდ ქათამი იყოს, გინდ გოჩი, მაშინვე ახრჩობენ.

კვირიდან-კვირამდე

—

მოგონება. ი. ჭავჭავაძის პირისუფლები. თავდგირიძის ფილოსოფია. არჩევნები: თბილისში, ქუთაისში, ფოთში და ოზურგეთში.

მოდი ერთი, გავიხსენოთ ძველი ხელობა, მარა ჯერ მიკიკინონ: ძველისა და დახავსებულის მოტრფიალე ყოფილაო. მერე კიკინის ვის ეშინია ახლა? კიკინს კი არა, ვინტოვკების ტყაცა-ტკაცს, პულემიოტების თქაფა-თქუფს, ზარბაზნების გრგვინვას და ყუმბარების გრიალს ისე შევაჩვიე ყურები, შენ ხარ ჩუმი ბატონი, რომ ხელთოფელას ხმათ მიმაჩნია—მეტათ არაჟერათ. ის კი არა, თვითონ მე რომ დამადგან კაი გვარიანი მოზდილი ზარბაზანი კაკალ გულზე და გამომიბგიალონ, მგონია, თვალსაც ვერ დამაკანკურებიებენ. ამას ისე ვამბობ ნამეტანი გულადობით, თვარა, ჩვენს შორის დარჩეს და, ზარბაზანს მართლა კაი დელიყანდი უნდა, რომ გაუძლოს!.. სხვა თუ ვერაფერი მაწყინა, კაცობაში კი მომშლის მაინც და ესეც კმარა.

ჰო, იმას მოგახსენებდითო, ძველ ხელობას გავიხსენებ-მეთქი. თვალწინ მიდგას სულგაბრწყინებული „კვალი“. პირველათ იქ დავიწყეთ ამისთანა „კვირიდან-კვირამდე“ს ბეჭდვა. მაშინ ქე მოსწონდათ მკითხველებს და ახლა, ვინ იცის, ეკაშნიკებათ თუ არა. მართალია, ახლა სულ სხვა დროა, სხვა საზოგადოებაა, სხვა კითხვებია გადასაჭრელი, მარა მეც ხომ ის ალარ ვარ, რაც მაშინ ვიყავი. ზოგიერთი უბედური მწერალი ცხოვრებას უკან რჩება და დროს განმავლობაში მაჩანჩალათ ხდება. მე ჩამოვრჩი კი არა, წინაც კი წავუსწარი ცხოვრებას... და ამისთანა მოწინავე კაცის ნაწერებს ვინ დაიწუნებს, ღმერთო კი მომკალი!.. და თუ დაიწუნებენ,—ანასინი მათ საქმეს!..

მარტო ამ კვირის ამბები ახლა კი არ მეყოფა; წინა კვირეებშიაც ბევრი რამ მოხთა საყურადღებო და ანგარიშის გასაწევი, რაზედაც ჩვენ არა გვითქვამს რა. ახლა კი ზოგიერთი ამბავი იქიდანაც უნდა ამოვიღოთ.

ილია ჭავჭავაძის ვერაგულმა მკვლელობამ ყველა შეაშფოთა და აღელვა. ეს ასეც უნდა მოხდეთ. უბრალო მამაკვდავის მოკვლაც სამწუხარო და სავალალოა და რაი მერე, რომ ილიას ტრაგიკულ სიკვდილს დიდი მწუხარება და აღშფოთება გამოეწვია ჩვენს საზოგადოებაში.

ილია იყო სახელოვანი მგოსანი და ჩინებული ბელეტრისტი. როგორც საზოგადო მოღვაწეს და პუბლიცისტს, მართალია, მას ფართე ასპარეზი არ ქონებია, ვიწრო ფარგალში ტრიალებდა, მარა მის დროს და მის მდგომარეობაში ეს ასეც უნდა ყოფილიყო თითქმის. ახალ ცხოვრებაზე, ახალ განმათავისუფლებელ მთძრაობაზე განსვენებული, მართალია, ჩამორჩენილი იყო, მარა სამაგიეროთ მას ვერავინ წაართმევს იმ ისტორიულ როლს, რასაც ის ეწოდა წასული საუკუნის მე-60 წლებიდან ვიდრე მე-90 წლამდის.

აქედან ცხადია, რომ ილიას სიკვდილით საქართველო არ მომკვდარა, როგორც ამას გაჰკიოდენ „ისარის“ და „ნიშადურის“ ფურცლებზე და თვით გმნსვენებულის ცხედარსაც დაჯღაოდენ ზოგიერთი ორატორები.

ვაი მათი ბრალი, ვისაც საქართველო და ქართველობა ისე წარმოუდგენია, რომ ერთი კაცის, ვინც უნდა იყოს ის, სიკვდილს უნდა გადაყვეს!.. საბრალოა ასეთი ხალხი, ვისაც მეტი გაგება არ აქვს ცხოვრებისა და ისტორიის მსვლელობის. რაღა ეშველებოდა საბრალო საქართველოს, რომ მართლა ასეთი უბადრუკი ხალხის საჭირისუფლო იყოს ის!..

ახლა იმას არ ეკითხავთ, თუ ვის დააბრალეს ამ ვაებატონებმა ილიას მოკვლა? ვისა და მათი ფეთების ანგელოზებს—სოციალ-დემოკრატებს. ამას ამტკიცებს „ისარი“, თუმცა ხან-და-ხან უკანაც ქე მიაქვს თავისი სიტყვა. ამასვე იმეორებს „ნიშადური“. ეს უკანასკნელი მე-7 ნომერში ვიღაცა ქალბატონისა თუ ვაებატონი თავდგირიძის პირით ქვეყანას ამცნობს, რომ ოთხმოცდაათიან წლებში ჩვენს ქვეყანას მოსდებიან „დასელნი“, რომელთაც ხალხს უკარნახეს სულ სხვა ჰირი და სხვა ხენი“-ო. მერე, ნუ, იტყვით, ეს სენი, „ხოლერაზე უარესი“, აგიტაციას ეწოდა თურმე ხალხში, რომ მოზარდ თაობისთვის შეეხიზღებია „ქართვლის ძენი უკეთესი“. მერე, როცა „ხალხს ილია შეაძულეს“, რის საწინააღმდეგოთ თურმე კრინტის დაძვრაც კი ვერავინ გაბედა, „ისა ვქენით, რომ ქართველნი ყველა ერებს ვეჯავრებით“-ო.

აი, ფილოსოფია თუ გინდა, ეს არის! ცარიელი თავიდან თუ ასეთი ღრმა აზრი გამოვიდოდა,—მე არ მჯეროდა, მარა ახლა, სხვა გზა არაა, უნდა დავიჯერო.

ქ-ნ თავდგირიძეს და მასთან ერთათ „ნიშადურის“ რედაქტორსაც ის ფაქტი აქვთ სახეში,

რომ განსვენებულ ილიას ეხებოდენ და წუნს დებდენ, როგორც მემამულეს, რიგორც მებატონეს. მერე და ჯერ რა არის დასაძრახი?!... თუ მართლა ილია ცუდი მებატონე იყო, განა არ უნდა შეხებოდენ მას მისდგის, რომ ის ილია იყო, რომ მწერალი იყო?!.. ეს ხომ სულელური აზრია!.. ავიღოთ მაგალითი: ბ-ნი გუნია არტისტია, სცენაზე თამაშობს, მარა ხან-და-ხან ვერ ასრულებს კარგათ თავის როლს. მაშ ალბრც იმის თამაშობას უნდა შეეხოს კრიტიკოსი ცუდი მხრით, თვარა მას ხალხი შეიძულებს, ამას შეიძლება უბედური შემთხვევაც მოყვეს და სხვა-და-სხვა, ასეთი მსჯელობა ხომ აბსურდია, სხვა არაფერი.

ვინც ილია მოკლა, ის მხეცია, ის საზიზღარია, იმას პარტიასთან და მოძრაობასთან რა საქმე უნდა ქონდეს, ის ჩვეულებრივი ავაზაკია, მარა ის ვაებატონებიც არ არიან კარგი ვინმეები, რომლებიც ფარისევლურათ მდუქვამენ და ბღავიან ილიას სიკვდილს და მით დადგურ სამსახურს უწევენ მის ხსოვნას. მარა ამაზე ლაპარაკი კმარა და ახლა თვალი გადავევლოთ არჩევნებსაც.

დედა, რა ყოფილა აი თფილის ქალაქი!.. მე რომ ღენერალ-ღუბერნატორი ვიყო, მთელ თფილისს არხანგელში გადავასახლებდი ისე, რომ უკანაც არ მოუახედებდი ახლა, რავა დევიჯერო, ბატონო, რომ მთელ თფილის ქალაქში ყველა სოციალ-დემოკრატი იყოს!.. აბა რაა აგი, რომ ამ ოჯახქირებმა „ვიბორშჩიკებათ“ სოციალდემოკრატები გეიყვანეს ყველა!.. აქანაი უფუოთ არ ყოფილა, არავინ არც ბურჟუა და არც ფედერალისტი, თვარა ამისთანა საჯაყი სჯქმე რავა მოუვიდოდათ!..

საჯაყი არა და, უარესიც მოსვლიათ, ბიძიაშვილობამ, ქუთათურებს!.. იქინეც სულ ყველაი წამხთარა, ბატონო, ამ ჩვენი გამაკეთებელი მთავრობის ხელში!.. იქანაც სულ სოციალდემოკრატები ეურჩევიათ. რავა, რაცხა სამი ივნისის კანონიაო და იგი ამეიყვანს წროულს ზარშანდელი სირცხვილიდან და თავსლაფის დასხმიდან თავად-აზნაურობის და ბურჟუაზიასო,—ტრაბახობდენ ზოგიერთი ნასწავლები, მარა, ვხედავ, აგიც ცოცხალი ტყვილი გამოდგა ჯერ-ჯერობით და აწი რა ვიცი, რა იქნება.

მარა არც ისე-გლახათაა მართლა საქმე, ზოგიერთებს რომ უნდათ. ფოთში ძალიან გათამამებულან აი ჩვენი ნაქები სოციალდემოკრატები, ან კი რა გასაკვირალია აგი!.. რავა, ფოთში ნიკოლაძე არაა ქალაქის თავათ? აგი, ბიძია, იმისთანა ჭკვიანი და მოჭახრაკებული კაცი ყოფილა თურმე, რომ პეტრებურგშიაც რომ იყოს ქალაქის თავათ, იქინეც ბუქნას აქნევინებს ყველას, თვარა ამ წუმპეიან ბაყაყეთში ვინ დოუმაგრდებოდა მას!.. ის ხომ, რასაკვირველია, ერთხმათ აურჩევიათ და აურჩევიათ, მარა მასთან ერთათ ვინცხა იონაი მეუნაგრეაც აურჩევიათ. მე არ ვიცნობ, რა კაცია, მარა ყური მოვკარი ლაპარაკს, რომ ის ნიკოლაძის „დოვესკა“ არისო.

ამისთანა კაი კაცების არჩევას თურმე დიდი სიხარულით მიეგება მთელი ფოთი. დღეს ვინცხა ყაზილარები იმასაც კი მასხრობდენ, რომ ფოთის ბაყაყებიც შეინძრენ ტლაპოში და ახალ არჩეულების პატივსაცემათ დადგეს აკაკის დაწერილი ოპერა:

„ყეიეიეი, დიდო ნიკო,
ბაუბაუა, იდანო!“

ოზურგეთშიაც დიდი მარცხი მოსვლიათ სოციალ-დემოკრატებს, მარა ეს ესეც უნდა მომხთარიყო, თუ სადმე სამართალია. აი ჩვენი ნიკოკიეი, აი დიდი ახმახი აზნოურშვილი, ტყუილათ კი არაა იქინეი „მიროვოი პოსრედნიკათ“. მართალია ამ ხელობის მას არაფერი გაეგება, იმდენი მეც ქეეიცი, ვეეო, მარა მიეთ-მოეთობაში, ჩვენებურათ რომ ვთქვათ, და, თუ გინდა, ჯაშუშობაში, ახლა რომ ლაპარაკობენ, ერთი კაცი ხელს ვერ დოუკრავს სწორეთ. მარჯვე კაცია საშინელი და საცთელს ხომ არ მიაკლებდა, შენც კი იცი. დაფაცურდა, დატრიალდა აი უშველებელი ყაძახი, აგი ჩაასმინა მთავრობას, იგი ჩაასმინა, აგი დაკარქა, იგი გადაასახლა და, როგორც იყო, გაწმინდა მთელი ოზურგეთი. ახლა მარტოც ხომ არაა, მიმხმარეც ბევრი ყავს; დავით მღვდელი გინდა, დიმიტრაი, კოწიეი, ვანო იაგორიჩი თუ სხვები კიდევ,—სულ ყველაი გადაკაპიწებულია ამ საქმეზე.

ნიკოკიეი, მე კი რა მენაღვლება, მარა კაი მოლაპარაკე კია.. იმის რეჩებიზა ვისაც უყურებია, დარწმუნებული ვარ ისე გაეყეყეჩდებოდა, რომ პირჯვარსაც კი დაიწერდა. რუსული, მგონია, უნდა ეშლებოდეს, რაცხა ისე წაუჩიქორთულებს ხშირათ, მარა ქართულში კი ამ ჩვენს პატარა უეზდაში ვერავინ გამოენიძლავება. ტრაბახობა კი იცის ნამეტარი, მარა, რა ვუყოთ, ყველაფრამდი სრული ღმერთიც არაარ,—გამიგონია. ასეა თუ ისეა, თავის საქმე ქე წეიყვანს კარგათ ამ უსწავლელმა კაცმა და სხვაი რა უნდა. რაც გინდა იგი დაუძახე, გინ-

და ხულიგანი და გინდა ᲨᲐᲘᲝᲜᲘ, მარა ამ გაჭივრებულ კაცებსაც რომ კი ემხრება!.. ორას-სამას შანათს თუ დაუკარჭლავ,—ციმბირიდანაც კი მოაბრუნებს გაგზავნილ კაცს, იმდენი გამავლობა აქვს მთავრობასთან...

და რაი მერე, ამისთანა კაცის კანდიდატი რომ აირჩიეს „ᲕᲘᲑᲝᲠᲨᲘᲙᲐᲗ“! ვასილაიც არაა ისე ძაბუნი ყაძახი, რომ დასაწუნი იყოს...

რაღა ბევრი გავაგრძელო სიტყვა, ნიკოკიეი ახლა ყველას მოსწონს; ქალებს რაცხა ლექსიც კი გამოუთქვამენ იმიზა და საყურებლათ მაღლია, გიტარაზე რომ დაამღერებენ:

„ᲐᲮᲐ ᲜᲘᲙᲝ, ᲩᲥᲔᲜᲝ ᲜᲘᲙᲝ,
ᲨᲥᲘᲡ ᲨᲔᲓᲣᲢᲝ ᲓᲐ ᲠᲐᲮᲜᲘᲜᲘᲙᲝ,
ᲙᲐᲠᲓᲐᲤᲘᲡᲐᲫᲔᲛ ᲠᲝᲛ ᲙᲐᲒᲚᲐᲮᲐ,
ᲛᲝᲙᲒᲕᲘᲣᲔᲑᲝ, ᲠᲝᲒᲝᲠ ᲘᲧᲝ!...

ᲑᲔᲚᲐᲡᲘᲜᲘ.

ᲞᲠᲝᲕᲘᲜᲪᲘᲐ

სოფ. ᲑᲔᲚᲐᲒᲝᲠᲘ. არ იქნა და ვერ დაახწია ხალხმა თავი იმ უსინდისო საქციელს, რომელსაც იჩენენ აქაური ნაძირალები – იაკ. ტ—ტ—ძე, ალ. მ—Ხ—ძე, სან. ტ—ტ—ძე, დავ. ხ—ბ—ძე, მელ. ტ—ტ—ძე, და აკ. დ—კ—ძე. სწორეთ ესენი მოევლინენ ᲑᲔᲚᲐᲒᲝᲠᲘᲡ საზოგადოებას ნამდვილ ამწიოკებლათ. თუ ვინმე ამ საზოგადოებაში და ან მის მახლობელ სოფლებში მიახელებენ იმისთანა პირებს, რომელთაც რაიმე მონაწილეობა აქვთ განმათავისუფლებელ მოძრაობაში, მაშინვე მიეჭრებიან ადგილობრივ ბოქაულთან და ურაპორტებენ: „ამა და ამ პირს იარაღი აქვს და არიქა გაბაწრეთო“. რასაკვირველია ამას მოყვება ჩხრეკა, ცემა-ტყეპა და, თუნდაც არაფერი უპოვონ, (და არც არასოდეს უპოვნიათ) გაბაწვრა და მახარაძესთან წათრევა. შემდეგში რა მოელის ამ პირებს, ეს ყველასათვის ცხადია და ჩემი განმარტება საჭირო აღარ არის.

არა ნაკლებ საკვირველ-მოქმედებას იჩენს ცნობილი „ნაბლიუდატელი“ მამა დეკანოზი რომან. დ—კ—ძე, რომელიც იმისთანა მასწავლებელს ეძებს თავის სკოლისთვის, რომელსაც „კრამოლნიკობისა“ არაფერი გაეგებოდეს, არ ებას მარჯვენა ხელი, რომ „ნაბლიუდატელის“ „საქმენი საგმირონი“ არ აწეროს, არ ებას ფეხები, რომ სადგურზე არ წავიდეს და იქ „კრამოლობას“ არ დაეჩვიოს და სხვა. ამ ჟამათ მასწავლებლის აკგილი დაცლილია, რადგანაც შესაფერი ვერ იშოვა.

თედორიას შვილი.

ᲛᲣᲨᲐᲗᲐ ᲨᲝᲠᲘᲡ

ერთ ერთ სტამბის მუშები ქ. თფილისში ძალიან გაცხარებული არიან:

1) რათ თხოულობენ ქალები ᲯᲐᲜᲐᲡᲬᲝᲠ უფლებას, როგორც კაცები?

2) როცა ქალებს დასცინიან, უკანასკნელნი რათ იღებენ ხმას და რათ აძლევენ მაგიერ პასუხს?

3) უცხო ვაჟებს რათ ელაპარაკებიან?

4) რატომ ბევრი „ᲨᲚᲘᲐᲞᲔᲑᲘ“ არ დააქვთ თან, რომ ჩქარ-ჩქარა ამოუსვარონ სტამბის კრასკაში და მით ზარალი მიაყენონ.

იმავე სტამბის პატრონი და მისი მუშები აცხადებენ, რომ ის სამი ქალი, რომლებიც მასთან მუშაობენ არ კმარა მათ გასართობათ და დასაცინათ და, თუ არიან კიდევ უფრო ამათზე ლამაზი ქალები, მოვიდენ სამუშაოთ.. განსაკუთრებით თვითონ ხაზეინს ისეთი ქალები უნდა, რომლებიც არავითარ მუშაობას და სწავლას არ მოითხოვენ, მხოლოთ მის წინ ისხდენ კანტორაში, რომ მან უყუროს, ემასხაროს და დასტკბეს.

ამ „პრეტენზიას“ ხელს აწერენ ვანო, გიორგი, ბესო, სერგო და ხაზეინი.

აბა „იდეალური“ სტამბაც სწორეთ ეს ყოფილა და მე მგონია, რომ ამას განმარტება აღარ სჭირია.

ᲞᲔᲢᲠᲔ.

„ნაჩალნიკის“ ეპიტაფია.

—

ბევრს ვცემე, ბევრიც დავხოცე,
ბევრს ცხრა მოა გადავტარე,
თავისუფლება ჯვარს ვაცვი,
დავმარხე, დავსამარე;
გურია კავკაზარტახე,
ავიკელ, გავანადგურე,

მაგრამ წამიხდა სურვილი,
დიდხანს ვერ დავისადგურე.
ვცარცვე და ვგლეჯე ქვეყანა,
ურიცხვი ქრთამი ავიღე,
ამდენი საქმის მომქმედმა
„გბეჟის“ სახელი წავიღე.

ტოროლა.



შენს სურათს ვუტქერ მუხლმოდრეკილი,
დიდო მგოსანო, ჩვენო ილია!..
შენი ამბებით ვამსვამ „ნიშადურს“,
შენი ხსენება ერთობ ტკბილია...
შენ რომ გეტოცხლა,—ამ ჩემ „ნიშადურს“
მასალაც სულაც არ ექნებოდა,
მე, ჩემ ამხანაგს და თანამშრომლების,
სწორეთ შავი დღე დაგვადგებოდა!..

მადლი შენს კამბენს, დიდო მგოსანო!
კვალად შენ გვედრი მუხლმოდრეკილი:
ნუ გამოულევ ეურნალს მასალას,
თორემ ჩვენც მოგვსპობს შენებრ სიკვდილი!..
თუმც ჩემს ამხანაგს ფერი ეკარგვის:
„ნოტკი“ მოუთხრობს საგრძნობ ზარალსა,
მაგრამ ნუ იწყენ იმის სირეკვნეს,
საბრალოვთ მოსდის, რომ შენ გდებს ბრალსა...

ᲫᲐᲪᲮᲐᲛᲐᲜᲐ ᲓᲐ ᲡᲝᲤᲐᲬ ᲙᲐᲠᲐᲞᲔᲢᲐ. *)

(ნამდვილი ამბავი).

I.

ეს ის დრო იყო, როდესაც შემოდგომის გრილმა ნიავმა დაბერა და ქვეყანას მოფინა ტკბილი ნაყოფი თავისუფლებისა. ეს ის დრო იყო, როდესაც ყველა—დიდი და პატარა სადღესასწაულო მეჯლისში ჩაბმულიყო და საერთო ფერხულში ფეხებს და ხელებს აყოლებდა. დიახ, ამ დიდებულმა დრომ ყველა ნაძირალები და ქვეყნის შეტხორცნი შეაფიქრიანა და მათაც მაიმუნისამებრ დაუწყეს მიბაძვა თავ-განწირულ მუშაკთ, რომელთაც პირველათ დანერგეს თავისუფლების ფესვები და მათმა ნაშრომმა ნაყოფი გამოიღო. ტკბილმა ნაყოფმა აუშალა მადა ყველა მუქთა ხორებს და მათაც მოისურვეს ამოდგომოდენ მუშაკთ მხარში, რომ იგება ბოლოს ცხოვრებაში გარეყული არ დარჩენილიყვენ და სრულიად არ აღგვილიყვენ დედა-მიწაპირიდან.

მე მახსოვს, როდესაც სხვა-და-სხვა ჯურ მუქთა ყლაპიებთან ერთათ, რომელნიც თავისუფლების სხივებს თითქოს შეეხროდენ, ამოძრავდ ქურდ-ბაცაცებიც და თვით ჯიბის ოსტატებმაც, ან ჯიბგირებმაც ხმა ამოიღეს და მოითხოვეს „შალიტ ჯური თავისუფლება.“ ადგენდენ მიტინგებს და რ ზოლიუციათ რეზოლიუციაზე გამოქონდათ: „ვიღეგ

*) „სოფაწ“ სომხური სიტყვაა და ნიშნავს მშიერს.

რა მხედველობაში, რომ ჩვენ სხვისი ოფლით ვცხოვრობთ და მხოლოთ ქურდობით ვირჩენთ თავს, ვგმობთ ამ ჩვენს ხელობას და ვადგენთ: თვეთეულმა ჩვენთაგანმა საქმეს მოკიდოს ხელი და თავის შრომით იცხოვროს. მაშ, გაუმარჯოს ერთობას, გაუმარჯოს პატიოსან შრომას! ძირს ჯიბგირობა! ძირს ქურდობა! და სხვა. აი მათი ლოზუნგები.

სწორეთ ამ სადღესასწაულო, საზოგადო აღტა-

ცებისა და ამაღლების დღეებში შეხვდა ერთმანეთს ორი უსაქმოთ მოხეტიალე და სხვისი შრომით გალაღებული მეგობარი ქაცხამანა და კარაპეტა და ძმა ბიჭური სალამის შემდეგ გაიბეს გძელი საუბარი.

— ქაცხამან, კაცო, ე რა დრო დადგა და!.. ღღეს ერთი კაპეიკი არ მიშოვნია, ყველა ქუჩები დრუჟინიკებით სავსეა და, თუ ხელი გავანძრიე, შენი მტერია, ნახალოვკაში მიკვრენ თავს და მშვიდობით, ჩემო ქაცხამან... მგონი საქიროც კი დამავიწყონ!

— ეჰ, ნეტა შენ, კაცო! რა დროს საქიროზე ფიქრია? შე ოხერო, ორი დღეა პური არ მიჭამია, ლამის არის შიმშილით გლახაობა დავიწყო.

— შე ოხერო, მერე ვინ გაგიკითხავს? გეტყვიან: „წადი, თვალი მოითხარე, იმუშავე და პური შენი ოფლითა ჭამეო!“ ის კი არ იციან, რომ სხვის ჯიბეში ხელის ჩაყოფის დროს სულ ჭირის ოფლში ვიწურებით, რომ არ გაიგონ და ჩვენი ბეჭები რუსის ბარაბანივით არ აგვიჭრელონ.

— ასეა თუ ისე, ჩემო მეგობარო ქაცხამან, მოდი, წავიდეთ ნახალოვკაში და რამე ადგილი ვითხოვოთ, რომ შიმშილით სული არ ამოგვძრეს.

— წავიდეთ, ძმაო, რაც მოგვიკა, მოგვივა!.. თუ, კი ჩვენ ხელობაზე ხელი აგვაღებინეს, სამაგიეროთ სხვა ხელობა გვასწავლონ და ლუკმა პური გვიშოვონ, თორემ სუფ-სარქისის მადლმა ისევ ჯიბგირობას დავიწყობ და მერე რაც უნდა, ის მ ყონ!

— კარგი ერთი, მამა გიცხონდა და! აი წავიდეთ და რამეს გვეტყიან. როგორც დაგვარიგონ, ჩვენც ისე მოვიქცეთ!.

— მაშ წავიდეთ!

— წავიდეთ, ჩემო მშიერ-კარაპეტ!

II

ის იყო, შზე იწურებოდა, რომ ჩვენი ნაცნობი ქაცხამანა და მშიერ-კარაპეტა ნახალოვკას მიადგენ და აირიენ ხალხში, რომლის შუაც მაღლობზე შემდგარი ორატორი საერთო სიწყნარეს არღვევდა და მისი მძლავრი ხმა მეხივით გაისმოდა მის გარშემო. მშიერ-კარაპეტამ წაკრა მუჯლუგუნი ქაცხამანას და წყნარათ წაუჩურჩულა:

— ქაცხამან, წადი რაღა და უთხარი აი იმ კაცს, მაღლობზე რომ დგას და ლაპარაკობს, რისთვისაც მოვედით, უთხარი—ასეა და ასე ჩვენი საქმე და უნდა სამუშაო გვიშოვო-თქო, თორემ-სუფ-კარაპეტის მადლმა ისევ ჯიბგირობას ვიზამ თქო.

— თავში ქვა შენც გიხლია და შენს ჯიბგირობასაც! წადი და შენ უთხარი, შე ვირისთავო! ვერა ხედავ, როგორ გაცხარებული ლაპარაკობს? სუფ-გეურქის მადლმა ჯერ არც ერთი პრისტავი არ მინახავს ეგრე ცხარეთ მოლაპარაკე!.. კაცო, გეგონება პირიდან ცეცხლსა ჰყრისო! არა, ძმავ, მე ვერ გავბედავ და შენ, როგორც გინდა, ისე მოიქეცი.

— მაშ კარგი, ქაცხამანჯან, ჯერ დაჩუმდეს და მერე მოველაპარაკოთ.

შემდეგ კიდევ გაიწიეს წინ და რამდენიმე წამის შემდეგ სწორეთ ორატორის წინ გამოიჭიმენ.

— ქაცხამან, აბა უყურე რა საათები ჰკიდიათ ზოგიერთეს!.. რასაკვირველია, ჯიბეებიც სავსე ექნებათ; მოდი, ღღესაც გამოვიყენოთ ჩვენი ხელობა და მერე მუშაობას შევუდგეთ.

— არა, კარაპეტჯან! მე კი ვეღარ გავბედავ და შენი კი არ ვიცი. იცი, რა ხალხი ყოფილა ეს სოციალისტები? აი, მახათის გორაზე აგვყრიან და იქ ერთი „ზალპის“ მოცემით ვაგვათავებენ! ჩვენი არისტოკრატებივით კი შუაზე არ გაგვიყოფენ!.

სოციალისტების ხსენებაზე, ცოტა არ იყოს, კარაპეტა შეიშმუხნა და შიშის ზაფრამ გადაკრა, მაგრამ ბრეყვიალა საათებისა და ძეწკვების დანახვაზე თვალებიდან სისხლის ცრემლები სდიოდა.

— ეხ, ქაცხამანჯან, თუმცა პირში წყალი მომდის, მაკრამ რა გაწყობა, უნდა მოვითმინო, მეტი გზა არ არის!.. ახ! სადა ხარ, შე ოხერო ძველო დროვ, რომ ამ პირ-დაღებულ ხალხს, ჯიბე დაღებულს და დაცარიელებულს არ გავუშვებთ!..

— აბა რის როტავ, შე ტიალ-მუდრეკო?! ნუ თუ ის ეღარ გახსოვს, რომ გუშინ წინ საწყალ „ჯიბგირ ქლესას“ პირზე კუპური წაუსვეს და მთელი ქალაქი შემოატარეს? ჰა! შენც ხომ არ მოგინდა ვირზე პირ-უკუღმა შეჯდომა, კუდის ხელში დაჭერა, გამურული სახით, და ქუჩა-ქუჩა ორთაჭალის ვირივით ღრიალი; „ჯიბგირი ვარ, ჯიბგირი ვარო!..

— ეჰ, რა გაეწყობა ქაცხამანჯან! მაშ მოვითმინოთ, მაგრამ ეს ოხერი მუცელი, რომ სულ ემესა შვრება? კაცო, ღმერთი არ არის, ვა! ორი ღღეა ნაწილი არ ჩასულა შიგ!

— ხო გაგიგონია, შე ვირო: „მოთმინებითა შენითაო, თაფლს გალოკავ ენითაო?“ ისე იცოცხლა მშიერ-კარაპეტამ, რომ ხვალ ორთაჭალის ბაღ-

ში ჭანარს ვიპერდე და ია‌რმუკაში გირვანქას ორ აბაზათა ვყიდდე!

— ახმახ, ქაცხამან, ახმახ! მერე და შე ოხერო, თევზის დასაჭერათ ბადე არ გინდა? ბადეს ვიღა მოგაქვავებს?! ვთქვათ, ბადეც იშოვე, მერე და თევზის ჭერა ალა-ალა ხომ არა გგონია, რომ სულ ფუთობით გამაიყვანო? ერთიც ვნახოთ, გაწყრა ღმერთი, გისხლტა ფეხი და ჩემმა ქაცხამანამ მტკვარში ზღარტალი გაადინა და ერთი სამი დღის უკან ბაქოს ზღვაში ამოყო თავი, მერე? მერე ხომ ვეღარც სოციალისტები და ვეღარც თელეთი და შავნაბადაც ვეღარ გიშველიან, ახმახ, ქაცხამან, ახმახ!

ქაცხამანას მშიერ-კარაპეტას სიტყვები, ცოტა არ იყოს, ჭკუაში დაუჯდა და ისევ სულ განაბული ყურს უგდებდა მაღლობზე მდგომ ორატორს.

აი მიწყდა მისი ხმა და ხალხიც დაიშალა. ორატორიც ჩამოვიდა მაღლობიდან და ხალხს შეერია. ქაცხამანა და მშიერ-კარაპეტა ფეხ და-ფეხ მისდევდენ, რომ თვალიდან არ დაკარგოდათ და თავისი ჭირ-ვარამი გაეზიარებიათ მისთვის.

ბოლოს, როგორც იყო, მიუახლოვდენ და გაუბედავათ დაუძახეს:

— ამხანაგო-ჯან!..

ორატორმა მოიხედა და, რა დაინახა განიერ შარვლებიანი და ქუდ გვერდზე მოქცეული ქაცხამანა და მშიერ-კარაპეტა, გაეღიმა და კითხა:

— რა გინდათ?

— შენი სიკოცხლე, ამხანაგო ჯან, დაიწყო ქაცხამანამ, სხვა რა უნდა გვინდოდეს, გენაცვალეთ სულის კლიტეში!.. აი მე და ჩემი ამხანაგი მშიერ-კარაპეტა გეხვეწებით, რომ სადმე ერთი ადგილი გვიშოვნო და ალალი ლუკმა ვჭამოთ, ჩვენც მოგვბეზრდა ჩვენი ხელობა და ამის მოდნაც გადავარდა.

— რა ხელობისა ხართ? კითხა ორატორმა.

— მე სოვდაგარი გახლავარ, მიუგო ქაცხამანამ და ეს კი გემების პატრონია! განა არ გვატყობ, რა ხელობისა უნდა ვიყოთ? ჯიბგირები ვართ... თითქმის ჩურჩულით და შიშით მიუგო ქაცხამანამ.

— ჰოო! და მერე რა გინდათ?

— ადგილი გვინდა, შენი ჭირიმე, მუშაობა, ალალი ლუკმის ჭამა და პატიოსნათ ცხოვრება.

— მერე და ვინ გაშლით? შეეკითხა ორატორი.

ვინა და ჩვენი ჯიბე, ამხანაგო-ჯან! ერთი გახვრეტილი გროშიც კი არ გვაქვავია.

— მაშ კარგი, აი ეხლა მე ერთ ხუთ მანეთს მოგცემთ და წადით, რამე იყიდეთ ამ ფულით, მწვანილი, ხილი, რა ვიცი კიდევ რა და, დაიწყეთ ვაჭრობა, რაც მოიგოთ ძმურათ შეაზე გაიყავით და ეცადეთ, რომ არც ერთი თქვენგანი არ დარჩეს არც უშრომოთ და არც უფასოთ.

ამოიღო ორატორმა ოქროს ხუთ მანეთიანი და გადასცა ქაცხამანას. ქაცხამანამ მაშინვე ჯიბეში იკრა ოქროს და მშიერ-კარაპეტას თვალი უყო; ორივემ დაბლათ თავი დაუკრეს ორატორს და გასწიეს თავის ბინისაკენ.

III

ის იყო, ცაზე ტრედის ფრათ ინათლა, რომ ქაცხამანა და მშიერი კარაპეტა მიადგენ ერთ დუქანს, სადაც იმათი მეკობარი ქიქია სცხოვრობდა და აკეტილ კარებს მაგრათ დაუწყეს ბრახუნი. ქიქიას ბრახუნზე გამოღვიძა და თვალების ფშვნეტით გამოხედა დუქნიდან.

— კაცო, ამ დილა ადრიან და გაუთენებლივ რამ მოგახეტათ, თქვე ოჯახქორებო?!

— უნდა შენი ვირი და ტაჩკა მოგვაქირაო, ქიქიაჯან! ერთი ხუთი მანეთი მოგვცეს წუხელის სოციალისტებმა, ამითი დღეს მწვანილეულობას ვიყიდით ბაყალხანაში და, ქრისტეს მადლმა, რასაც მოვიგებთ სამ ნაწილათ გავყოფთ: ორი ნაწილი ჩვენ და ერთი ნაწილიც შენს ვირსა, იმიტომ რომ დღეს იგეც ჯაფაში იქნება, და ყველას თავის შესაფერი ქირა უნდა მიეცეს.

ქიქიამ ადარ აყოვნა, შეუბა ვირი ტაჩკაში და გამოაყოლა ქაცხამანას და მშიერ-კარაპეტას, ორივე ძმა ბიჭი ჩასხდენ ტაჩკაში და გამოსწიეს ბაყალხანისაკენ. აქ დაათვალიერეს მწვანილეულობა და ხილეულობა და, რაც კი მოუვიდათ ხუთ მანეთათ, ყველაფერი იყიდეს. ნახევარი საათის შემდეგ, როცა მზემ აბოლოშუქა და თავისი სხივები აქეთ-იქით მოფენტა, ჩვენი ნაცნობები ჭუჩა-ჭუჩა დადიოდენ ტაჩკით და, რაც ძალი და ღონე ქონდათ, გაჰკიოდენ.

— ქინძი, პიტნა, კამა, ტალხუნა, მარკოვი, მწვანე ლობიო, ჭარხალი, კომბოსტო! იფ! იფ! იფ! იაფათ და პირიანათ.

საღამოს თითქმის ყველაფერი გაყიდული ქონდათ და ერთ მიყრუებულ ქუჩის კუთხეში თავის დახლის ანგარიშს შეუდგენ. აღმოჩნდა, რომ ხუთ

ᲨᲐᲜᲔᲗᲘᲡ ᲡᲐᲛᲘ ᲛᲐᲜᲔᲗᲘ ᲡᲮᲕᲐ ᲛᲝᲔᲒᲝ, ᲠᲐᲪ ᲒᲐᲘᲜᲐᲬᲘᲚᲔᲡ ᲙᲘᲓᲔᲪ: ᲛᲐᲜᲔᲗᲘ ᲥᲐᲪᲮᲐᲛᲐᲜᲐᲡ ᲔᲠᲒᲝ, ᲛᲐᲜᲔᲗᲘ ᲛᲨᲘᲔᲠ-ᲙᲐᲠᲐᲞᲔᲢᲐᲡ ᲓᲐ ᲛᲐᲜᲔᲗᲘᲪ ᲕᲘᲠᲘᲡ. ᲛᲐᲒᲠᲐᲛ ᲥᲐᲪᲮᲐᲛᲐᲜᲐᲡ ᲒᲣᲚᲛᲐ ᲐᲚᲐᲠ ᲛᲝᲣᲗᲛᲘᲜᲐ, ᲠᲝᲛ ᲕᲘᲠᲘᲪ ᲛᲐᲗᲗᲐᲜ ᲗᲐᲜᲐᲡᲬᲝᲠᲐᲗ ᲘᲚᲔᲑᲓᲐ ᲓᲐ ᲙᲐᲠᲐᲞᲔᲢᲐᲡ ᲛᲣᲯᲚᲣᲒᲣᲜᲘ ᲬᲐᲙᲠᲐ.

— ᲙᲐᲠᲐᲞᲔᲢ, ᲛᲝᲓᲘ ᲙᲐᲠᲢᲘ ᲕᲘᲗᲐᲛᲐᲨᲝᲗ ᲓᲐᲕᲘᲜᲪ ᲐᲚᲐᲚᲐᲗ ᲛᲝᲘᲒᲝᲡ, ᲤᲣᲚᲘᲪ ᲘᲛᲐᲡ ᲓᲐᲠᲩᲔᲡ. ᲕᲘᲜᲪ ᲩᲕᲔᲜᲨᲘ ᲘᲧᲐᲚᲑᲝᲡ, ᲡᲣᲤᲡᲐᲠᲩᲘᲡᲘ ᲒᲐᲣᲬᲧᲠᲔᲡ!

— ᲨᲔ ᲛᲣᲓᲠᲔᲒᲝ, ᲔᲘᲠᲛᲐ ᲙᲐᲠᲢᲘᲡ ᲗᲐᲛᲐᲨᲘ ᲠᲐ ᲘᲪᲘᲡ, ᲠᲝᲛ ᲒᲔᲗᲐᲛᲐᲨᲝᲡ?!

— ᲒᲐᲜᲐ ᲕᲔᲠ ᲕᲐᲡᲬᲐᲕᲚᲘᲗ? ᲕᲘᲠᲘᲡ ᲥᲐᲚᲐᲚᲓᲘ ᲮᲐᲜ ᲨᲔᲜ ᲒᲐᲨᲐᲚᲔ ᲓᲐ ᲮᲐᲜ ᲛᲔ ᲒᲐᲕᲨᲚᲘ.

— ᲛᲐᲨ ᲙᲐᲠᲒᲘ ᲓᲐ ᲯᲔᲠ ᲤᲣᲚᲘ ᲒᲐᲕᲘᲜᲐᲬᲘᲚᲝᲗ. ᲛᲝᲓᲘ, ᲕᲘᲠᲘ ᲢᲐᲩᲙᲘᲓᲐᲜ ᲒᲐᲛᲝᲕᲣᲨᲕᲐᲗ, ᲬᲘᲜ ᲛᲐᲜᲔᲗᲘᲐᲜᲘ ᲓᲐᲣᲓᲝᲗ ᲓᲐ ᲘᲡᲔ ᲕᲔᲗᲐᲛᲐᲨᲝᲗ.

ᲒᲐᲛᲝᲣᲨᲕᲔᲡ ᲕᲘᲠᲘ ᲢᲐᲩᲙᲘᲓᲐᲜ. ᲥᲐᲪᲮᲐᲛᲐᲜᲐᲛ ᲐᲛᲝᲘᲦᲝ ᲯᲘᲑᲘᲓᲐᲜ ᲑᲐᲜᲥᲝᲡ ᲥᲐᲚᲐᲚᲓᲔᲑᲘ ᲐᲠᲘᲕ-ᲓᲐᲠᲘᲐ ᲓᲐ ᲒᲐᲩᲐᲚᲓᲐ „ᲪᲮᲠᲘᲡ“ ᲗᲐᲛᲐᲨᲘ.

ᲡᲐᲥᲛᲔ ᲘᲥᲐᲛᲓᲐᲡ ᲛᲘᲕᲘᲓᲐ, ᲠᲝᲛ ᲕᲘᲠᲘ ᲗᲘᲗᲥᲛᲘᲡ ᲣᲒᲔᲑᲓᲐ ᲓᲐ ᲥᲐᲪᲮᲐᲛᲐᲜᲐ ᲓᲐ ᲙᲐᲠᲐᲞᲔᲢᲐ ᲡᲘᲑᲠᲐᲖᲘᲡᲐᲒᲐᲜ ᲥᲐᲚᲐᲚᲓᲔᲑᲡᲐ ᲬᲛᲣᲙᲜᲘᲓᲔᲜ. ᲑᲝᲚᲝᲡ, ᲛᲝᲗᲛᲘᲜᲔᲑᲘᲓᲐᲜ ᲒᲐᲛᲝᲡᲣᲚᲛᲐ ᲥᲐᲪᲮᲐᲛᲐᲜᲐᲛ ᲙᲐᲠᲐᲞᲔᲢᲐᲡ ᲗᲕᲐᲚᲘ ᲣᲧᲝ ᲓᲐ ᲐᲜᲘᲨᲜᲐ ᲥᲐᲚᲐᲚᲓᲘ ᲝᲡᲢᲐᲢᲣᲠᲐᲗ ᲓᲐᲔᲬᲧᲝ, ᲠᲝᲛ ᲕᲘᲠᲡ ᲡᲣᲚ ᲑᲘᲗᲣᲠᲔᲑᲘ ᲒᲐᲛᲝᲡᲕᲚᲝᲓᲐ.

ᲙᲐᲠᲐᲞᲔᲢᲐ ᲗᲣᲛᲪᲐ, ᲪᲝᲢᲐ ᲐᲠ ᲘᲧᲝᲡ ᲨᲔᲘᲭᲕᲮᲣᲜᲐ, ᲛᲐᲒᲠᲐᲛ ᲤᲣᲚᲘᲡ ᲡᲘᲮᲐᲠᲑᲔᲛ ᲬᲐᲡᲫᲚᲘᲐ ᲓᲐ ᲥᲐᲚᲐᲚᲓᲘ ᲔᲨᲛᲐᲣᲠᲐᲗ ᲓᲐᲐᲬᲧᲝ. ᲪᲝᲢᲐ ᲮᲜᲘᲡ ᲨᲔᲛᲔᲓᲔᲒ ᲕᲘᲠᲡ ᲗᲐᲕᲘᲡ ᲛᲐᲜᲔᲗᲘᲪ ᲛᲝᲣᲒᲔᲡ ᲓᲐ ᲬᲐᲒᲔᲑᲣᲚᲘ ᲤᲣᲚᲘᲪ ᲣᲙᲐᲜ ᲓᲐᲘᲑᲠᲣᲜᲔᲡ.

IV

ᲑᲘᲜᲓ ᲑᲣᲜᲓᲘ ᲘᲧᲝ, ᲠᲝᲛ ᲥᲐᲪᲮᲐᲛᲐᲜᲐ ᲓᲐ ᲛᲨᲘᲔᲠ ᲙᲐᲠᲐᲞᲔᲢᲐ ᲘᲡᲔᲕ ᲥᲘᲥᲘᲐᲡ ᲓᲣᲥᲐᲜᲡ ᲛᲘᲰᲓᲒᲔᲜ. ᲥᲘᲥᲘᲐᲛ ᲐᲚᲐᲠ ᲐᲧᲠᲜᲐ, ᲒᲐᲛᲝᲣᲨᲕᲐ ᲕᲘᲠᲘ ᲢᲐᲩᲙᲘᲓᲐᲜ ᲓᲐ ᲕᲘᲠᲘᲡ ᲬᲘᲚᲘ ᲛᲝᲒᲔᲑᲐ ᲛᲝᲘᲗᲮᲝᲕᲐ.

— ᲡᲣᲤ-ᲡᲐᲠᲩᲘᲡᲘᲡ ᲛᲐᲓᲚᲛᲐ, ᲥᲘᲥᲘᲐᲯᲐᲜ, ᲨᲔᲜᲛᲐ ᲕᲘᲠᲛᲐ ᲗᲐᲕᲘᲡ ᲛᲐᲜᲔᲗᲘ „ᲪᲮᲠᲐᲨᲘ“ ᲬᲐᲐᲒᲝ, ᲔᲤᲘᲪᲔᲑᲝᲓᲐ ᲥᲐᲪᲮᲐᲛᲐᲜᲐ.

— ᲕᲐ! ᲠᲝᲒᲝᲠ ᲗᲣ ᲪᲮᲠᲐᲨᲘ? ᲒᲐᲜᲐ ᲕᲘᲠᲡ ᲙᲐᲠᲢᲘᲡ ᲗᲐᲛᲐᲨᲝᲑᲐ ᲨᲔᲣᲫᲚᲘᲐ? ᲗᲥᲕᲔᲜ ᲭᲙᲣᲐᲖᲔ ᲗᲥᲚᲐᲗ ᲮᲝᲛ ᲐᲠᲐ ᲮᲐᲠᲗ!!

— ᲨᲔᲜᲘ ᲕᲘᲠᲘᲡ ᲛᲐᲒᲘᲕᲠᲐᲗ ᲛᲨᲘᲔᲠ ᲙᲐᲠᲐᲞᲔᲢᲐ ᲮᲡᲜᲘᲓᲐ ᲥᲐᲚᲐᲚᲓᲡ ᲓᲐ, ᲨᲔᲜᲛᲐ ᲛᲖᲔᲛᲐᲪ ᲓᲐ ᲩᲔᲛᲛᲐ ᲛᲖᲔᲛᲐᲪ, ᲗᲐᲕᲘᲡᲘ ᲛᲐᲜᲔᲗᲘ ᲕᲘᲠᲛᲐ ᲩᲕᲔᲜᲗᲐᲜ ᲬᲐᲐᲒᲝ: ᲗᲝᲗᲝᲗᲮᲛᲔᲢᲘ ᲨᲐᲣᲠᲘ ᲛᲔ ᲛᲝᲕᲣᲒᲔ ᲓᲐ ᲔᲥᲕᲡᲘ ᲨᲐᲣᲠᲘ ᲙᲐᲠᲐᲞᲔᲢᲐᲛ.

— ᲙᲐᲪᲠ, ᲠᲝᲒᲝᲠ ᲗᲣ ᲛᲝᲣᲒᲔᲗ, ᲗᲥᲕᲔᲜ ᲛᲐᲠᲗᲚᲐ ᲕᲘᲠᲔᲑᲝ! ᲕᲘᲠᲘᲡ ᲙᲐᲠᲢᲘᲡ ᲗᲐᲛᲐᲨᲘ ᲔᲘᲡ ᲒᲐᲣᲒᲝᲜᲘᲐ? ᲔᲔᲔ! ᲝᲮᲠᲔᲑᲝ!..

— ᲗᲣ ᲙᲘ ᲘᲡ ᲒᲐᲣᲒᲝᲜᲘᲐ, ᲛᲘᲣᲒᲝ ᲛᲨᲘᲔᲠ-ᲙᲐᲠᲐᲞᲔᲢᲐᲛ, ᲠᲝᲛ ᲐᲓᲐᲛᲘᲐᲜᲗᲐᲜ ᲔᲠᲗᲐᲗ ᲕᲘᲠᲛᲐᲪ ᲡᲐᲛᲣᲨᲐᲝᲡ ᲤᲐᲡᲘ ᲐᲘᲦᲝᲡ, ᲓᲐ ᲨᲔᲛᲓᲔᲒ ᲙᲐᲠᲢᲘᲡ ᲩᲕᲔᲜ ᲛᲝᲒᲕᲘᲒᲝᲡ, ᲒᲐᲜᲐ ᲘᲡ ᲙᲘ ᲐᲠ ᲒᲐᲒᲝᲜᲘᲚᲐ, ᲠᲝᲛ ᲗᲐᲕᲘᲡᲘ ᲬᲘᲚᲘ ᲬᲐᲒᲝᲡ? ᲔᲡᲔᲐ, ᲫᲛᲐᲝ, ᲓᲐ ᲠᲐᲪ ᲒᲘᲜᲓᲐ, ᲘᲡᲐ ᲥᲔᲜᲘ. ᲒᲘᲜᲓ ᲞᲝᲚᲘᲪᲘᲐᲨᲘ ᲒᲕᲘᲩᲘᲕᲚᲔ. ᲩᲕᲔᲜ ᲒᲕᲘᲗᲮᲠᲔᲡ: . ᲨᲠᲝᲛᲐᲪ ᲒᲐᲘᲜᲐᲬᲘᲚᲔᲗ, ᲤᲐᲡᲘᲪ ᲒᲐᲘᲜᲐᲬᲘᲚᲔᲗ ᲓᲐ ᲫᲛᲣᲠᲐᲗ ᲘᲪᲮᲝᲕᲠᲔᲗᲗ. ᲘᲡ ᲮᲝᲛ ᲐᲠ ᲣᲗᲥᲕᲐᲛᲗ, ᲠᲝᲛ ᲙᲐᲠᲢᲡ ᲜᲣ ᲘᲗᲐᲛᲐᲨᲔᲑᲗ ᲓᲐ ᲜᲣ ᲬᲐᲐᲒᲔᲑᲗᲗ. ᲛᲝᲒᲔᲑᲐ ᲓᲐ ᲬᲐᲒᲔᲑᲐ ᲫᲛᲔᲑᲘ ᲠᲝᲛ ᲐᲠᲘᲐᲜ,—ᲒᲐᲜᲐ ᲨᲔᲜ ᲐᲠ ᲘᲪᲘ?

ᲥᲘᲥᲘᲐ ᲗᲣᲛᲪᲐ ᲑᲔᲕᲠᲡ ᲡᲪᲗᲘᲚᲝᲑᲓᲐ ᲠᲝᲒᲝᲠᲛᲔ ᲗᲐᲕᲘᲡᲘ ᲕᲘᲠᲘᲡ ᲥᲘᲠᲐ ᲒᲐᲛᲝᲔᲠᲗᲛᲘᲐ ᲛᲐᲗᲗᲘᲗᲕᲘᲡ, ᲛᲐᲒᲠᲐᲛ ᲧᲝᲕᲔᲚ ᲒᲕᲐᲠᲛᲐ ᲪᲗᲐᲛ ᲣᲜᲐᲧᲝᲤᲝᲗ ᲩᲐᲣᲐᲠᲐ.

ᲘᲛ ᲡᲐᲚᲐᲛᲝᲡ ᲩᲕᲔᲜᲘ ᲥᲐᲪᲮᲐᲛᲐᲜᲐ ᲓᲐ ᲛᲨᲘᲔᲠ-ᲙᲐᲠᲐᲞᲔᲢᲐ ᲔᲠᲗ ᲔᲠᲗ ᲒᲐᲜᲐᲞᲘᲠᲐ ᲢᲠᲐᲮᲢᲘᲠᲨᲘ ᲐᲠᲦᲜᲘᲗᲐ ᲥᲔᲘᲤᲝᲑᲓᲔᲜ ᲓᲐ ᲕᲘᲠᲘᲡᲐᲒᲐᲜ ᲛᲝᲒᲔᲑᲣᲚ ᲛᲐᲜᲔᲗᲘᲗ ᲪᲮᲔᲚᲪᲮᲔᲚ ᲑᲐᲓᲠᲘᲯᲜᲘᲗ ᲬᲕᲐᲓᲔᲑᲡ ᲛᲘᲘᲠᲗᲛᲔᲕᲔᲓᲔᲜ.

ᲤᲠᲐᲜᲪᲐ.

ᲠᲣᲡᲔᲗᲘ

— ᲒᲐᲖᲗᲘ „ᲠᲣᲡᲙᲘᲔ ᲕᲜᲐᲛᲘᲐ“ ᲐᲪᲮᲐᲓᲔᲑᲡ, ᲠᲝᲛ ᲛᲝᲡᲙᲝᲕᲘᲡ, ᲙᲘᲔᲕᲘᲡ, ᲕᲝᲠᲝᲜᲔᲟᲘᲡ ᲓᲐ ᲡᲮᲕᲐ ᲒᲣᲑᲔᲠᲜᲘᲔᲑᲘᲡ „ᲤᲔᲨᲛᲐᲠᲘᲢ-ᲮᲣᲚᲘᲒᲐᲜᲔᲑᲡ“ „ᲕᲘᲑᲝᲠᲩᲘᲙᲔᲑᲘᲡ“ ᲐᲠᲩᲔᲕᲜᲔᲑᲨᲘ ᲛᲝᲜᲐ�წᲘᲚᲔᲝᲑᲐ ᲐᲠ ᲛᲘᲣᲦᲘᲐᲗ ᲓᲐ ᲑᲝᲘᲙᲝᲢᲘᲗ ᲛᲔᲒᲒᲔᲑᲔᲑᲘᲐᲜ ᲘᲛ ᲛᲝᲡᲐᲖᲠᲔᲑᲘᲗ, ᲠᲝᲛ ᲡᲐᲛᲘ ᲘᲕᲜᲘᲡᲘᲡ ᲙᲐᲜᲝᲜᲘᲗ ᲛᲔᲛᲐᲠᲯᲕᲔᲜᲔᲔᲑᲘᲡ ᲒᲐᲛᲐᲠᲯᲕᲔᲑᲐ ᲨᲔᲣᲫᲚᲔᲑᲔᲚᲘᲐ ᲓᲐ ᲛᲐᲗᲘ ᲛᲮᲠᲘᲗ ᲣᲐᲖᲠᲝᲑᲐ ᲘᲥᲜᲔᲑᲝᲓᲐ ᲛᲝᲜᲐ�წᲘᲚᲔᲝᲑᲘᲡ ᲛᲘᲦᲔᲑᲐ, ᲛᲘᲗ ᲣᲛᲔᲢᲔᲡ, ᲠᲝᲛ ᲛᲣᲨᲔᲑᲘᲡ ᲐᲛᲝᲛᲠᲩᲔᲕᲔᲚᲗᲐ ᲠᲘᲪᲮᲕᲛᲐ ᲡᲐᲒᲠᲫᲜᲝᲑᲚᲐᲗ ᲘᲛᲐᲪᲐ 3 ᲘᲕᲜᲘᲡᲘᲡ ᲙᲐᲜᲝᲜᲘᲡ ᲫᲚᲘᲗ ᲓᲐ ᲛᲐᲗᲘ ᲙᲘ ᲨᲔᲐᲛᲝᲙᲚᲐ.

„ᲛᲝᲡᲙᲝᲕᲡᲙᲘ ᲕᲔᲓᲝᲛᲝᲡᲢᲘᲡ“ ᲠᲔᲓᲐᲥᲪᲘᲐᲡ ᲓᲔᲞᲔᲨᲘᲗ ᲣᲪᲜᲝᲑᲔᲑᲘᲐ ᲞᲝᲑᲔᲓᲝᲜᲝᲡᲪᲔᲕᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲒᲠᲘᲜᲒᲛᲣᲢᲘᲡ ᲡᲘᲙᲕᲓᲘᲚᲘ ᲓᲐ ᲗᲮᲝᲕᲡ, ᲠᲝᲛ ᲗᲐᲕᲘᲡᲘ ᲐᲛᲐᲚᲘᲗ ᲯᲝᲯᲮᲔᲗᲘᲡ ᲡᲐᲓᲒᲣᲠᲖᲔ ᲒᲐᲛᲝᲔᲒᲔᲑᲝᲡ.

„ᲕᲔᲩᲔᲡ“ ᲡᲘᲢᲧᲕᲘᲗ ᲐᲛ ᲓᲦᲔᲔᲑᲨᲘ ᲞᲣᲠᲘᲨᲙᲔᲕᲘᲩᲘ ᲓᲐ ᲙᲠᲣᲨᲔᲕᲐᲜᲘ ᲒᲐᲛᲝᲐᲪᲮᲐᲓᲔᲑᲔᲜ ᲐᲛᲜᲘᲡᲢᲠᲘᲡᲐᲡ ᲘᲛ ᲞᲘᲠᲗᲐ ᲨᲔᲡᲐᲮᲔᲑ, ᲠᲝᲛᲔᲚᲗᲐᲪ ᲛᲝᲜᲐᲬᲘᲚᲔᲝᲑᲐ ᲛᲘᲘᲦᲔᲡ ᲝᲓᲔᲡᲘᲡ ᲓᲐ ᲡᲮᲕᲐ ᲥᲐᲚᲐᲥᲔᲑᲘᲡ ᲞᲝᲒᲠᲝᲛᲔᲑᲨᲘ ᲓᲐ ᲠᲐᲛᲓᲔᲜᲘᲛᲔ ᲬᲚᲘᲡ ᲒᲐᲜᲛᲐᲒᲚᲐᲛᲘᲗ ᲬᲣᲗᲘᲡ ᲡᲝᲤᲔᲚᲡ ᲒᲐᲛᲝᲐᲡᲐᲚᲛᲔᲡ.

სიმღერა.

—

მე ვერ წავალ ოზურგეთს,
იქ იციან დაწერა...
მჯობრახს ბირტყმენ ცხვირ-ბარში,
ოჰ, არ ძალ-მიძს აწერა!..

* * *

ფულს მოგთხოვენ გასაშვებს,
თუ არ გინდა დაკარგვა...
განა ამას არა ჯობს
თავის ნებით აბარგვა?..

ფანდი.

ბენია და ბეშტია.

—

ბენია. ძლივს, ძლივს მეღირსა შენი ნახვა, ჩემო ბეშტია! აგერ სამ თვეზე მეტი იქნება ერთმანეთს აღარ შევხვედრივარო და აღარ გვიბაასნია ქვეყნის წალმა-უკულმა ტრიალზე. სად იყავი, მეგობარო, ავათ ხომ არ ყოფილხარ?

ბეშტია. ეეჰ, ჩემო ძვირფასო, ავათ არ ვყოფილვარ, მარა არც კაი საქმე მჭივრებია!.. სულ გაანადგურეს აი ჩვენი იმერეთი იმ ოჯახდაქცეულებმა!.. გურია ხომ, საწყალი გურია, სულ ნაცარტუტათ აქციეს... ამის მნახველს და მაყურებელს გულზე ბოღმა შემომაწვა და ქე ვიჯექი სულ სახლში. ახლა, ცოტა გულზე მომეშვა, და შენკენ გამოვეშურე, ჩემო ბენია, თქვენკენ მომხთარი არჩევნების ამბების გასაგებათ.

ბენია. შენ უთუოდ ხულიგნების არჩევნების საქმე უფრო გაინტერესებს, სხვა თვითონაც გეცოდინება, და ამას გაგაცნობ.

ბეშტია. მეც სწორეთ მაგის კითხვა მინდოდა.

ბენია. ხულიგნების (თავისთავს ისინი რუსას ნაციონალისტებათ უწოდებენ) ისტორია თავიდან შენც გეცოდინება. იმათი თხოვნით მთავრობამ ზაკონ-კანონი გამოუშვა, რომელსაც საქმე ივნისის კანონს ეძახიან. ამ კანონის ძალით შარშანდელი არჩევნების კანონი თავ-უკულმა შეიცვალა, დაკოჭლდა, დაბრუციანდა, ერთი სიტყვით, დამახინჯდა.

შარშანდელ კანონშიაც არ იყო სასიკეთო რამ, მაგრამ ამ ბოლონდელმა ხომ ისიც კი მოგვაგონა. მუშებს, გლეხებს, წვრილ მემამულეებს და წვრილ ვაჭრებსაც-კი უფლება გაუნახევრეს და სამაგიეროთ დიდ ბურჟუებსა და დიდ მემამულეებს გაუფართოვეს. გარდა ამისა, ჩვენში მცხოვრებ რუსებს ცალკე არჩევნებისა და დუმაში საკუთარი დეპუტატის გაგზავნის უფლება მისცეს.

ჩვენებური რუსი ხულიგანები დატრიალდენ და გარს შემოიკრიბეს თავისი ძალები. იმათი წარმოდგენით ჩვენში ყველა რუსი ხულიგანი უნდა ყოფილიყო, მაგრამ იმედ გაუცრუვდათ. ახლა ამ თვის ორს ქ. თფილისიდან მაინ „ვიბორშჩიკების“ არ ჩევნები მოხთა, მაგ ამ ხულიგნებმა ლელო ვერ გაიტანეს. საქმე ისე დატრიალდა, რომ საჭირო ხმები ხულიგნებს არ ამოუვიდათ, რადგან ყველა აქაური რუსი, როგორც აღმოჩნდა, ხულიგანი როდი ყოფილა. ხულიგნები არა და, კადეტებიც ბევრი ყოფილა, პროგრესისტებიც და, წარმოიდგინეთ, ამათზე კიდევ მეტი სოციალდემოკრატები.

ამბობენ, პოლიცია დახმარებია ხულიგნებს სხვათაშორის იმითაც კი, რომ სოციალდემოკრატების მომხრე ამრჩევლებისათვის უწყებები, ბიულეტენებს რომ ეძახიან, არ ჩაუბარებია განგებ, რა არის, არ მოვიდენ და კენჭი არ ჩაუყარონ მათთ. ბარე თორმეტი კაციც ქე დაიჭირეს თვითონ კრებაზე, მაგრამ ეს კიდევ არაფერია იმდენი. ხელ-ახალი არჩევნები ადრე მოხდება და რაც გადაწყდება იქ, იმასაც გიამბობ თავის დროზე. სოციალდემოკრატებს თურმე დიდი ძალა ქონებიათ და, თუ ყველა დაესწრო არჩევნებს, ვინ იცის, რა იქნება...

ბეშტია. კაცო, რავა ლაპარაკობ?! ღმერთი რომ გოუწყრეს ხულიგანებს და სოციალ-დემოკრატებმა აჯობონ რამე სასწაულის ძალით, მაშინ ხომ თავი მოგვეჭრება საქვეყნოო და იგია!.. რავა, მაშინ ხულიგნების წარმომადგენელი ხომ სოციალ-დემოკრატი იქნება?

ბენია. რაც იქნება, იქნება, ჩემო ბეშტია, ხომ გაგიგონია რუსთველის ლექსი: „არ საქნელი არ იქნებისო“ და შენ ახლა, თუ ძმობა გწამს, ის მითხარი, თუ ქუთაისის ციხე როგორ დაიცალა ისე, რომ ერთი ტუსაღიც აღარ დარჩენილა შიგ?

ბეშტია. არა, დარჩენით რავა არ დარჩენილა, ქუთაისის ციხეს ასე ადვილათ რა დაცლის, მარა ისე ბევრი გეიპარა კი. ციხის მეკარეებს და სალდათებს, გოუწყრათ ჩემი წმინდა გიორგის მადლი, რომ არ დაენახათ ფანცხავას სახლიდან, ზედიზედ გამსვლელები და აფიცერიზა არ შეეტყობინებიათ,— ყველა უშველებდა თავს.

ბენია. შენთან მუსაიფი თაფლზე უტკბესია და ვის მოსწყინდება, ჩემო მეგობარო, მაგრამ ახლა დროა შევწყვიტოთ და საიმკვირო ამბების მოკრებას შევუდგეთ.

ბეშტია. მართალი ბრძანებაა და მშვიდობით დღეისწორამდის, ჩემო ბენია! შენ ზევითკენ შეჰყევი და მე კი ქვევითკენ ჩავიგულავებ.

ანასინი.

სიღნაღელების სიმღერა *)

შვიდშაბათობით ეშენდა
ჩვენი სიღნაღი მთაზედ,
გარს გალავანი ერტყია,
ამაყად დაგვცქერს თავზედ.
დღე და ღამ ისმის შხუილი
მდინარე ალაზანზედ,
რომ ნახოთ იტუვიო—სამოთხე
ვიზოვეთ ქვეყანაზედ;
მაგრამ ჩვენ მაინც გვაწვება
ტიალი ჯავრი ჯაურზედ,
ბუნებით დაჯილდოვებულთ
სხვა ჭირი გვადგა კარზედ:
რუს, ქართველ, თათრის შენახვა
ვერავინ იდვა თავზედ,—
ნოქრები იფიცებიან,
კლესნი შეგვასხდენ მხარზედ.
ვქექეთ და ვქექეთ რუსეთში
ბარტია ბარტიაზედ
და ვნახეთ, ყველა მათგანი
ტუდს ფიქრობს ჩვენსა თავზედ.
ბოდოს, რის ეოფიი, ვიზოვეთ
ბარტია ქვეყანაზედ,—
ეს გახლავთ „დაშნაკციუტუნი“,
უფრო ეოჩადი სხვაზედ.
არ გავს სხვა ჯურის ბარტიებს,
მდერის სულ სხვა გვარ ჭანკზედ,—
ნოქრების მოთხოვნილებას
ბირ-ადმა აგდებს ბანზედ;
ხმას არვის არ აღებინებს
ბურჟუა საზეინზედ
და, თუ კი ვინმემ რამე სთქვა?
ხელს უშვერს მაუზერზედ!..
დღე და ღამ ფიქრობს და ფიქრობს
მარტო ჭაიასტანზედ,
ცალ ხელში მაუზერი აქვს,
მეორე უდევს ხმალზედ.

---

*) ეს ლექსი ეხება ძველ დაშნაკცაკანებს—მიჰრანაკანებად წოდებულს.

ჩუნტ ეველამ ამას მიგმართეთ,
როგორცა რჩეულს სხვაზედა:
და ნოქრებს ბეტიციები
გადაუხრიეს თავზედა.
ადებს გვიბრძანა: ნუ ვდარდობთ,
ტრემლი ნუ მოგვდის თვალზედა,
ჩვენ ბატრონობას, ჩვენ დატვას
მიიღებს თავის თავზედა.
უმალ მიეცვიედით ადები
ეველას ეკოტნიდით თვალზედა,
გავმართეთ დიდი სადილი
„თავგატეხილას“ წყალზედა;
თამადათ დავსვით დიდ-ეურა,
გადადის თასი თასზედა,
ბულბულიც სმენათ გადიქცა
ჩვენი ეროეინის ხმაზედა:
„დაშნაკისტთ დროშა გაშალეს,
„შეკრბა სიდნადსა ლაშქარი,
„ქართველთ წყლის ეოკა ჭკიდიათ,
„სომხებს ნისაის დაეთარი,
„რუსი გამორბის ბარბაცით
„ჭაჭის არაყით დამთვრალი;
„ჩოდ სადოდ, ეარდაშ“—გაჭკეთის
ჩვენი მეჩუსტე თათარი!..
ბოლოს წამოდგა თამადა,
ეორო ფხიზელი სხვაზედა,
ცალ ხელში ეანწი ეჭირა,
მეორე ეველო თასზედა;
ადგა ფეხზე თვისი ბაგენი,
დაიწეო ამო სმაზედა:
„წადით, იჩარჩეთ, ოვაჭრეთ
თამამათ მთა და ბარზედა!..
— „თითო ჩარექი მობარეთ
მეიდვეელებს თითო ადგზედა!
ვინც გაგიბედოთ გალანძღვა,—
ჩამოაკეეთ სარზედა;
— „დაწეეველეთ სოციალიზმი,
არ დადგეთ იმის კბასზედა,
სოროში მიიმალენით
რევოლიუციის ხმაზედა...
— „გავრცელეეთ ჭორები
რუს, ქართველ, თათარ ფრანგზედა,
ეთქარით: „სოციალისტების
ეველა გაუდგა განზედა.“
— „იწამეთ „დაშნაკცეუტუნი“,
განთქმული ქვეეანაზედა,
რადგანც ის უკეოესია
ეველა სხვა ბარტიაზედა!
— ვინც რომ ამისთეის დაკრძახოს,—
ხელი შეახმეს მკლავზედა,
ძირს დელამიწა ჩაენგრეს,
მზე დაუბნელდეს ცაზედა!“

—

ასე, ამ გვარათ, დასრულდა
„დაშნაკცეუტუნის“ გმირობა.
რუს, ქართველ, სომეხ, თათარმა
ერთმანეთს მისცეს ბირობა:
არ უღალატონ მათ დროშას,
მისცეს ურთიერთს ხელია,
რადგან ნოქარი და გლეხიც
ხაზეინების მტერია.
და თუ კვლავ რამე კაბედეს?
მზ ო ქონდეთ მაუზერია!..
და ჩვენ რას ვიზამთ, როდესაც
ქვეეანა ასე ჭრელია!..

ონიმიმ.

ᲙᲘᲗᲮᲕᲐ-ᲞᲐᲡᲣᲮᲘ.

—

ერთმა გლეხმა კითხა სოფლის მასწავლებელს:

— ბატონო, თქვენ ნასწავლი კაცი ბრძანდებით და ერთი ამიხსენით შემდეგი: 60 წლის კაცი ვარ და, რაც მახსოვს, ყოველ წლობით ერთი ორათ გვახდევინებენ ფოშტის ფულს. ვფიქრობ და ვერ გამაგია, რა შენობა უნდა იყოს ისეთი დიდი და უზარმაზარი, რომ ამდენ ხანს ვერ ააშენეს და ამდენი ზღვა ფული მიაკრეს ზედ.

— ამ ფულით, ჩემო კარგო, ფოსტის შენობას როდი აშენებენ, ის მინისტრის უძირო ჯიბეში მიდის,—უპასუხა მასწავლებელმა.

— ჰო, ახლა კი მივხვდი, თუ რათ არ ეღება ბოლო ამ გადასახადებს, ჩაილაპარაკა გლეხმა.

მელიტონ.



კადეტები დამარცხდენ,
რაღა გასაკვირია!
დაღვრემოდი გარბიან,
დაუშვიათ ცხვირია...

რედაქტორ-გამომცემელი პლატონ გაჩეჩილა

Электро-печатня Т-ва „НАДЕЖДА“, Семеновская ул. д. № 4.

№ 2 ყოველკვირეული ჟურნალი 1907 წ.

ფასი 10 კაპეიკი

„ტერტერას ოინები“

ტერტერას ოინები.

(ნამდვილი ამბავი ახლო წასულიდან)

I.

განთიადია. სოფლის ერთ ქოხში
ქონის სანთელი ოდნავათ ბჟუტავს
და მის პირდაპირ სნეული გლეხი
მომაკვდავ თვალებს ახელს და ხუჭავს...
გვერდს მოჯდომია ავათმყოფს ცოლი,
თვალთაგან ცრემლი სდის ნაკადულათ:
დღეს ეთხოვება ქმარს სამუდამოთ,—
მისი იმედი დღეს ქრება სრულათ...
პაწა ბავშები, ფეხშიშველები,
სულთმობრძავ მამას გარს შემორტყმიან
და დედის ცრემლის დანახვაზედა
ეს უსუსურნიც მწარეთ ტირიან!..
უკანასკნელათ გაინძრა მამა
და ბავშვებისკენ გადმოიხედა;
უნდოდა ეთქვა ბეჩავს რაღაცა,
მაგრამ სიტყვის თქმას ვერ ახერხებდა.
ბოლოს აღმოხდა გულიდან ქშინვა,
სუსტათ უცემდა მომაკვდავს გული;
მიაპყრო თვალი მტირალე ცოლსა
და განუტევა ტანჯული სული...
უცებ შეიქნა წივილ-კივილი,
ატყდა ჩოჩქოლი და ღრიანცელი,
შეინძრა ხალხი, გამოეშურა,
ფეხზე წამოდგა მთელი სოფელი...

II.

ივრის ხეობის ერთ დიდ სოფელში
აღმართულია სომხის საყდარი
და იმის გვერდით გამოჰმოულა
მდიდარ ტერტერას დიდი სახლ-კარი.
თვით ტერ-სტეფანა სახლის დერეფნის
მოაჯირზედა გადაზნექილა,
გვერდით მოუსხავს თავის ცოლშვილი
მათ გულს უამებს საამო დილა.
ისმის კისკისი, სიცილ-ხარხარი,
ბჭობენ იმაზე, როს მარხვენ გლეხსა,
რომ ტერ-სტეფანამ ფული აიღოს,
უხვათ შეექცეს მსუქან ქელეხსა.
ამ დროს ტერტერას ამ სოფლის გლეხნი
დეპუტაციათ კრძალვით იახლენ,
თხოვენ მობრძანდეს დღეს პანაშვიდზე
და მიცვალებულს შაბათს დამარხვენ.
— ძრიელ მეწყინა, სუფ-გეურქის მზემ,
ტერტერამ წყნარათ ჩაიტუტუტუნა,
საწყალ მიხუას ეგრე სიკვდილი,—
მამავ, ოჯახმა სულ დაღუპულა!..
მაგრამ ხომ იცით, მეც ჭამა მინდა,
ჩემო შვილებო, სულიერო ძმავ,
მიხას ცოლს ეტყვით: „ტერტერამ ბძანა—
ოთხ თუმან ნაკლებ მკვდარს არ დავმარხავ.“
— საწყალ მიხუას პირველი ცოლის
სამარხი ჯერაც არ მოუცია,
ოც მანეთს ძველში გამოვუჩოთქავ
და დღეს მერგება კიდევ ოცია.
— ტერ ჰაირ! მიხას ვინ მიაქვავა
ოთხი თუმანი, რომ შენ მოგაკთოთ?
ბეჩავს სულ ყველა, რაც რამ გააჩნდა,
და თვით ჩოხაც კი მას აქვს გირაოთ!
— მერე მე რა ვქნა? ჭამა არ მინდა?
ჩემი ხელობა იცით, რაც არი.
მიხას ოჯახში აღარც სანათლი,
არც ჯვარ-საწერი აღარვინ არი!..
ერთი კომლობა სულმთლათ დამაკლდა,
მითხარით მერე ვისგან ავიღო?
სახლმა, ოჯახმა პური თხოულობს,
თუ მკვდრისგან არა, ვისგან წავიღო?..
წადით, მეც მოვალ და მიხას ქვრივსა
თვითონ პირადათ გავურიგდები.
მაინც უთხარით ჩემ მაგიერათ,—
ოთხ თუმან ნაკლებ არ დავთანხმდები!..

III

დანგრეულ ქოხში, დედამიწაზე,
გდია საბრალო მიხუას გვამი,
ყველა იქ მყოფის სულს და გულსა სწყლავს
მოულოდნელი ესე ამბავი.
გულის ფანცქალით ყველა მოელის
ტერტერ-სტეფანას მობძანებასა
და გულში ყველა იმის ფიქრშია,
რომ აქ ვერ ნახვენ შებრალებასა..
აი მობძანდა თვით ტერ-სტეფანაც,
წამსვე მოართვეს ხის სავარძელი,
ტერტერამ წვერი ჩამოიბერტყა
და ულვაშებზე გადისო ხელი,
—დიასახლისო! ძრიელ მეწყინა
შენი მიხუას ეგრე სიკვდილი,
მაგრამ ოთხ თუმან ნაკლებ არ ვმარხავ,
არ მომიკვდება ჩემი ცოლ-შვილი.
— ვინ მამაქვავა ოთხი თუმანი?
სახლში აღარა გამაჩნია რა...
რაც რამ გვებადა,—ვალში წაიღეს,
გუშინაც გზირმა ჩამოიარა.
— ვა! მაშ მე რა ვქნა, ჭამა არ მინდა?
აი ხალიჩა, ეგეც ფულია...
ხომ იცით, მკვდარს რომ მუქთად დამარხვენ,
არ უცხონდება იმას სულია.
არა უშავს რა, ქვაბიც მომეცით
და ძველ ფარდაგსაც ფულათ ავიღებ;

ეს არის, დედავ, მე ოთხ თუმანზე,
ცოლ-შვილსა ვფიცავ, ნაკლებს არ ვიღებ!
აქ კი შეიქნა ხალხში ჩოჩქოლი,
ტერტერას ყველა თხოვს შებრალებას,
მაგრამ ტერტერა მაინც არ იშლის
ოთხ თუმანზედა გროშის დაკლებას,
ვერ შეძლეს გლეხთა ამის მოთმენა,
უშვერი სიტყვით მიმართეს მღვდელსა;
ზოგი ქვას ესვრის ჩვენ ტერ-სტეფანას,
ზოგიც უღერებს ბეჭებზე კეტსა...
თურმე, ნუ იტყვით, სულიერ მამას
კვერთხში ქონია ხიშტი ჩარჭმული;
მყისვე გაიძრო და ბევრს მათგანსა
სისხლით უღება მთელი სხეული.
აქვე აევსო ხალხსა ფიალა
და ყველამ ერთათ შემოუტია,
ტერტერა გაბრის თავ-სისხლიანი,
ზედ ანაფორა შემოფლეთია...

IV

ხალხი არ ცხრება, ტერტერას სახლ-კარს
ბუზივით გარსა ავლებს ალყასა,
ჩვენს ტერ-სტეფანას ლანძღვა გინებას
მთელი მიდამო აძლევდა ბანსა.
ბოლოს ქართველი მღვდლები მივიდენ
უქადდენ ტერტერს თმის გაკრეჭასა,
თუ არ წავა და წესს არ აუგებს
და ღვთის ანაბრათ დასტოვებს მკვდარსა.
აქ კი ეცვალა ტერტერას ფერი,
რა ყოფით იყო, დათანხმდა მღვდლებსა
და იმ სალამოს თავშეხვეული
ბოდიშსა თხოვდა იქ თავის მრევლსა.
უნდა გენახათ ჩვენი ტერტერა,
თავ გაჩეხილი მკვდარს რომ უძღოდა.
ნაცემ-ნატყეპი თავ-სისხლიანი
რას ბუტბუტებდა, თვით არ უწყოდა.

მიმინო.

ახალი ამბავი

მამა გოროდცევს სიზმარში უნახავს, რომ მესამე არჩევნებზე სულ თეთრი კენჭები ამოსვლია. გაღვიძებისთანავე პოვოლაკი კრუშევანისათვის დეპეშა გაუგზავნია: „ნუ გეშინიათ, ხვალ გამარჯვება მე დამრჩება და დუმის კარებში „კავშირის“ სამფეროვანი დროშა მოვაგებეთო“.

—

თფილისში ხმა გავრცელდა, რომ ამ დღეებში პეტერბურგიდან მოელიან დიმიტრი აბაშიძეს (ეპისკოპოზს) და ცნობილ ვოსტორგოვს. პირველი ინიშნება საქართველოს კათოლიკოსათ, ხოლო მეორე ალავერდის ქორ-ეპისკოპოსათ. მ. გოროდცევი ბალაჯარის სადგურზე მიეგებება მათ და მიულოცავს.

—

ამ დღეებში „ანარქისტ კომუნისტების“ ადგილობრივმა ჯგუფმა ფურცელი გამოუშვა, რომლითაც საქვეყნოთ აცხადებს ხსენებული ჯგუფი, რომ **ამიერიდან შანტაჟისტობას თავს ვანებებთო**.

—

ქუთაისიდან გვატყობინებენ, რომ მთელი ქუთაისის ციხის ადმინისტრაცია თფილისში ჩამოსულა გაქცეული ტუსაღების საძებნელათ და ქუთაისის ციხეში სრული თავისუფლებაა.

—

იქიდანვე გვწერენ, რომ საშინელი ქარიშხალის დროს ქალიშვილებს თავიდან „შლიაპები“ აგლეჯიათ და მთელი ქუთაისი ხელოვნური ყვავილებით მოუფენია. ქალიშვილები ქარიშხალს გენერალ-გუბერნატორთან უჩივიან და მოითხოვენ ზარალის აღდგენას.

—

როგორც დანამდვილებით გავიგეთ „მასხარის“ ყოფილ რედაქტორს, როგორც „ჩოთქის“ კაცს, ამ სამი თვის წინეთ „მასხარის“ დარჩენილი მასალა წნილათ ჩაუდვია და ეხლა „ცეცხლზე“ აშრობს, რომ საზოგადოებას ახლათ მოაჩვენოს და გაას ღოს. ამ მიზნით გამოვა კარიკატურებიანი ჟურნალი „ცეცხლი“, რომელსაც მკითხველი საზოგადოება უთუოთ წყლით ჩააქრობს.

—

დაიბეჭდა ვიღაცა ახალ გამოცხობილი ვითომ პოეტის—ევგენი დვალის ლექსები.

ამ „პოეტის“ საუკეთესო ლექსათ უნდა ჩაითვალოს შემდეგი კუპლეტი:

„ვაი ბატონს, ვუი ბატონს,
ჩეეეხუტე მის ქალბატონს!“

—

„ისარის“ განცხადების ცნობილმა ავტორმა **ისაია კასპაროვმა**, გაამართლა თავისი მუქარა და 10-ს ამა ოკტომბერს ოთხი მუშა ერთათ დაატუსაღებინა პოლიციელებს. ამის შესახებ ვრცელი შენიშვნა მოთავსებულია „კვირიდან-კვირამდეში“.

ᲑᲔᲜᲘᲐ ᲓᲐ ᲑᲔᲨᲢᲘᲐ.

—

ᲑᲔᲜᲘᲐ. აბა, ჩემო ბეშტია, რას იტყვი ახალს, რით გამახარებ?

ᲑᲔᲨᲢᲘᲐ. იიმე, რას ამბობ, გამახარებო?! ბეჩა, გასახარელი რა არის ჩვენში? გასახარელი არა და, სატირალ-საყვირალი კი ბევრია... თითო ალიხანოვი და ტოლმაჩევი ჩვენს ეხარეს არ გამოელევა და... და ამასობაში ქე დეიქცა ჩვენი არჩევი ქვეყანა.

ზოგ რისხვას მიწიერი მთავრობა გვიგზავნის და ზოგსაც კი ზეციერი. ჯერ იყო და ტოლმაჩევმა აქცია, ანგრია, აქცია, ანგრია, შენ ხარ ჩემი ბატონი, აი პატარა გურია, მარა სულ მთლათ დაქცევა კიდევ ვერ მოასწრო, ისე გადაეთრია ის ოჯახდაქცეული. იგი კი მოშორდა, როგორც იყო, განაწამებ ხალხს, მარა ახლა მის მაგიერ ზეცა და მისი ბნელი ძალები ამოძრავდენ ხალხის წინააღმდეგ.

ᲑᲔᲜᲘᲐ. ეს ზეცის რისხვა რაღაში გამოიხატება? ალიხანოვი ხომ იქიდან ვეღარაფერს დააკლებს?

ᲑᲔᲨᲢᲘᲐ. ალიხანოვმა, ბატონო, დამუშავებული და მოწეული სარჩო-საბადებელი გადაწვა და გადაბუგა, სადაც კი ფეხი დადგა, მარა ალაგ-ალაგ მაინც ქე გადარჩა რაცხა ნიორთა ნაქურჩელაი. ახლა კი აღარც ძველია ერთი მარცვალი და ახალიც ხომ წასულია ხელიდან... მოიხსნა ზეცამ პირი და დაუშინა ნამუშევარს კოხი და წვიმა, წვიმა და კოხი, ელვა და ქექა, ბუქი და ქარი... და ასე დღეს, ხვალ, ზეგ, ამ კვირაში, იმ კვირაში მუდამ, შეუსვენრათ, შეუწყვეტლათ და ამოალპო ყველაფერი. სიმინდს რაღა გაახმობს, რაღა დაამწიფებს ამისთანა ამინდში? დამწიფება კი არა, სულ პეპლათ გაფრინდება მთელი ყანები, ხალხი უსაქმლ-

უსასმლოთ დარჩება და დაიხოცება, აბა რა დაემართება!..

ბენია. არა, ბეშტია, საქმეს მაქამდის არ მიიყვანს ჩვენი საზოგადოება: მოაგროვებენ სიმინდს, ხორბალს, ერთი სიტყვით, რაც საჭირო იქნება და გაუგზავნიან ჩვენი ქვეყნის ყველა კუთხიდან.

ბეშტია. რავა, ხამი ხომ არ ვარ, ჩემო ბენია, ასე რომ მელაპარაკები? ვინ შეეწევა? ჩვენი საზოგადოება? მერე და ხალხს რა ერგება აქედან? ან თუ ერგება, როდის? მეორეთ მოსვლის ხანს? ვერ ხედავ, გადამწვარ გურულების შესაწევარ ფულების თაობაზე რა ალიაქოთი არის ატეხილი? მახარაძე, კირვალიძე, გუნია და სხვები აგერ დაკლავენ ერთმანეთს!..

ბენია. ხო, სამედიატორო სამართალიც არის დანიშნული ამ საქმის თაობაზე და ვნახოთ, ვის დაესხმება თავზე ლაფი.

ბეშტია. მაგი ჩემთვის დღესავით ნათელია. გუნია ჩემი კაი მეგობარი კაცია, მარა რაც მართალია, მართალია, ამ საქმეში ტყუის და სირცხვილ!აც ჭამს.

ბენია. მეც ასე მგონია. ისე კი ვფიქრობ, რომ გურულებს თავის დროზე არ უნდა მისვლოდეს შეწირულება.

ბეშტია. რა ბრძანებაა!.. დროზე კი არა, აგერ ორი წელიწადი გადის და ახლაც არ აქვთ მიღებული. დღეს ერთმა ნაცნობმა, რომელიც დამწვართა დამხმარე კომისიის წევრია, გადმომცა, რომ შარშან მიღებული ფული აგერ გასულ სექტემბერში ჩამოურიგებია დამწვრებისათვის აკეთელ მწყემს, მამა დიომიდეს, კომსიისავე წევრს, და ისიც თითქმის იძულებით და არა თავის ნებით. ამას წინეთ ერთი მეც ქე მომიხთა შემთხვევით აკეთზე გავლა და მაშინაც ქე მივაქციე ყურადღება ერთი ბიჭის სიმღერას, მარა მაშინ არ მესმოდა სიტყვების აზრი. ბიჭს ერთი ურემი ქოთნები და კოჭბები მიქონდა ოზურგეთში გასაყიდათ, მიყობოდა ურემს და თანაც მიიმღეროდა:

„აბა დელი-დელია,
დიომიდე მღვდელია,
მონათხოვნი ფულების
მეკლავაყი და მეკმეღიაო!“..

ბენია. ეჰ, ძმაო, მე თუ მკითხავ, ჩვენს დროში ყველა სვავი და ყვავია, ყველა მჭამელი და მყლაპავია.

ბეშტია. მართალი ბრძანებაა და არც კი ღირს ამაზე ლაპარაკი. ახლა ერთი ხულიგნების არჩევნების შესახებ მითხარი, თუ როგორ გათავდა, ვინ გაიმარჯვა და ვინ ჩაინარცხა.

ბენია. შენ ცოტა ფრთხილათ ილაპარაკე. სიტყვა „ხულიგანს“ ერიდე, ბეშტია ჩემო, თვარა შენც ევდოშვილის დღე დაგადგება, იცოდე.

ბეშტია. რა ევდოშვილის დღეაო? აი ჩვენი ეროდიონი დღისითაც კი წერს ლექსებს და ღამითაც. აბა, რა ქნას ან კი? „ნიშადურს“ მის მეტი სახეირო პოეტი არ გააჩნია და! მართალია, ის შარშან თუ შარშან-წინ ეს-დე იყო, მარა ახლა ფედერალთა ბანაკში აქირავებს თავის მუზას, რომელსაც ამ ჭკუით ადრე გაუკეთებს ზურგზე კუზას.

ბენია. კაცო, მე მისი მუზის კუზაზე როდი გელაპარაკები, მე გელაპარაკები ნამდვილ მისი ზურგის კუზაზე, რომელიც ხულიგნებმა გაუკეთეს...

ბეშტია. რაო?! ხულიგნებმა გაუკეთეს ზურგზე კუზაო?! ეს-ღა გვაკლდა!.. ააა, ეს ახალ-მოდის პაგრომია თუ?

ბენია. ახალ-მოდის არის თუ ძველის, —ასე კია და. ზოგიერთ ახირებულ პირებს სასაცილოთაც არ ყოფნიდათ ეს სამწუხარო შემთხვევა, მარა უგნურებს ავიწყდებათ ანდაზა: „ნუ დასცინი სხვასაო, გადაგხვდება თავსაო“

ბეშტია. კაცო, რა ძალიან მაფრთხილებ? მე მათი არ მეშინია და პირშიაც კი ვეტყვი მათ, რომ ისინი ხულიგნები და კიდევ უარესებიც არიან, მარა შენ ნუ გადამაყოლებ, თუ კაცი ხარ, მათი არჩევნების ამბავს, ისე მოკლეთ მითხარი!..

ბენია. რა უნდა გითხრა, რაც არ გათავებულა საბოლოოთ. იყარეს კენჭი, მარა გამარჯვებული ჯერ არავინაა: ხმები თითქმის ისე გაიყო პარტიებს შორის, როგორც პირველ არჩევნებზე: ობსოლიუტური, უმეტესობა, თუ რაღაც ჯანდაბაა, არავის ამოსვლია.

კიდევ უნდა იყარონ კენჭი მესამე ჯერ და ვანახოთ, რა იქნება.

ბეშტია. რა იქნება და იგი! ხულიგნები გაიტანენ ლელოს.

ბენია. ეს კმარა ესე ამბავი,
ჩემო ძმობილო ბეშტია,
ამდენი კლოვა-კოდებით
თავს დაგვესვევა რეტია...

ბეშტია. მაშ კარგი, კიდევ წავიდეთ,
ჩემო ძვირფასო ბენია,
არ მიწერს კორტოს გადასვლა,
იქ სმირათ გადმირბენია.

ხლაფორთი

კვირიდან-კვირამდე

„ნიშადური"-ს იუმორი. მხსნელი ყუმბარა. არჩევნები რუსთა კურიაში. უცნაური განცხადება. ახირებული დირეკტორი.

—

„ნიშადური"-ს იუმორი, თქვენც ქე მოგეხსენებათ, ისევ გალა [1]) ნიშადურია. გამლესავიც ქე ყავს კაი გვარიანი ყმაწვილი—აი ჩვენი ვალერიან გუნია. გალა ხომ მწვავე არაა, რომ ძლიერ პირებს აუწვას კანი და, აი, ბ-ნი გუნიაც უსვამს და უსვამს ამ გალა სითხეს საბრალო ქალებს. ხან ძროხებს ადარებს ამ საწყლებს და სულელებს უწოდებს, [2]) ხან გძელ-თმიანებათ ხატავს და ჭკუა მოკლეებათ იხსენებს! [3]) რას ერჩის ნეტა ამ საცოდავებს, ასე რომ დეიბრიყვა? მერე დაბრიყვება დაბრიყვებას ქვია!... ყველა ქალებს ერთათ მოუსვა ხელი, შენ ხარ ჩემი ბატონი, და ერთ ტაფაში გაკაუძახა გაურჩევ-გაუსამართლებლათ. არც გათხოვილი მანდილოსნები დაინდო, არც ბარიშნების ხათრი დაიდვა, არც ლამაზებს შეხედა მოწყალების თვალით და არც მახინჯებს, ასე ერთი ჯოხით გადენა ყველა!.. ძალიან მიკვირს ამისთანა დარბაისელი კაცისაგან ასეთი საქციელი, მარა, ვფიქრობ, აქ რაღაცა სხვანაირი ლაციცობა, სხვანაირი ტრფიალება უნდა იფარებოდეს. ასე რომ არ იყოს, ბა ისე. რავა მოიჭრიდა, ბატონო, თავს ვალერიანი მთელ „ევროპიაში"? მე რომ კაცმა მკითხოს, ქალები არა, ამისთანა რამეს ჩიტის გულიც კი არ მოითმენს... და თუ არ მოითმენენ, მაშინ ვითომ რა იქნება? რა და ებ-ღლვნებიან „მოკლე ჭკვიანები" „ნიშადურს", წაავლებენ ხელს გძელ ჭკუაში და, ერიჰაა, შეიქნება ერთი მიქიჩ-მოქიჩვა... რედაკტორს, სათქმელათ არ მიმიცია და, ქეც გაუხარდება ეს. ან კი რათ უნდა ეწყინოს? ამ ლამაზ-ლამაზ ქალებს ჩხუბის დროს ერთს ხომ შეაავლებ-შემოავლებს ხელს და მერე გინდა ცემონ და გინდა ტყეპონ, რა უშავს, მოსაკლავათ ხომ არ გაიმეტებენ მართლა!..

—

არა, გუნიას ქალები, რა თქმა უნდა, არ გაიმეტებენ, მარა ნეტა აი რა კაცები იყვენ, ტუსაღი რომ გაიმეტეს სასიკვდილოთ და ფაიტონს ქვეშ ყუმბარა გაუგრიალეს? მტრები იყვენ ნეტა მისი თუ მოყვრები? ეს ხომ ისე, ტყუილათ, მომივიდა თავში, თვარა აბდალაის მეტი იკითხავს ამას? გაგონილა განა იმისთანა მოყვრები, რომ ყუმბარას უგდებდენ ამ-ხანაგს? ძველ დროში არ იქნებოდენ ამისთანა ღვთის პირიდან გადავარდნილები, მარა ახლა აღარც ესაა გასაკვირალი. არა, რომ დაუფიქრდეს კაცი,—ერთნაირათ ქე არის ჭკუაში მოსასვლელი. რავა, ექიმი ხომ კი აძლევს ავათმყოფს მოსარჩენათ საწამლავს და რაღა გასაკვირალია, რომ ტუსაღს ყუმბარა გადაუგდონ გასაქცევათ. იმისთანა ყუმბარა ხომ კი იქნება, რომ დიდი ხმაი ქონდეს და იმავე დროს უკარტეფო იყოს? და თუ შეიძლება, აქანაც, უთუოთ, ასე იქნებოდა. ყუმბარა რომ გასქდება და დაიგრგვინებს, მაშინ სალდათიც კი შეშინდება და სხვაიც. რავა, სალდათი ვითომ რა არის? იგიც ხომ ჩვენისთანა კაცია და იგიც ქე გეიქცევა შიშით. ასე, შვაში ყუმბარა გრგვინავს, იქით ტუსაღი გარბის და აქეთ მისი დარაჯები. მერე? მერე დარაჯები მობრუნდენ უკან, ტუსაღი კი დღესაც მირბის... მერე რა? რა და ის, რომ მომაკვდინებელმა ყუმბარამ ტუსაღი კატორგიდან დაიხსნა, მეტი არაფერი, მორჩა და გათავდა.

—

[1]) „ეძალო. [2]) იხილე „ნიშადური № 7. გ. 13.
[3]) „ნიშადური" № 8. გვ. 1.

აგი კი გათავდა, მარა აი რუსთა კურიის არჩევნების გათავებას და დაბოლავებას რომ არაფერი ეშველა!.. ხელ-მეორე არჩევნებზედაც ხულიგნები ჭარბობდენ დანარჩენებს, მარა ესდეკებმა მაინც ჩაჩოქეს ისინი და მაინც. ჯერ გამარჯვება არავის რგებია, რადგან ხმები გაიყო სხვა და-სხვა პარტიათა და ჯგუფთა შორის, მარა საბოლოოთ, მესამე არჩევნებზე, ცხადია, ხულიგნებს დარჩებათ ბურთი და მოედანი. საქმე ისაა, რომ მესამე არჩევნებზე გამარჯვებისათვის, ობსოლიუტური (ნახევარზე მეტი) ხმის უმრავლესობა აღარაა მიუცილებელი პირობა და შედარებითი უმრავლესობა ახლაც ქე აქვთ ხულიგნებს, რომელთაც კანონიც, დროც, გარემოებაც და ზოგიერთი გაზეთებიც კი ხელს უწყობს...

—

და რომ უწყობს, ამას გაზეთი „ისარიც“ აღარ ფარავს. ამ გაზეთის პირველ გვერდზე გამოდის ერთი უცნაური განცხადება. გამოსულა, ბატონო ვინცხა ღიპიანი ბურჟუა სომეხი—ისაკ კასპაროვი და ჩარჩ სირაჯებს ემუქრება თავის „მევენახეთა“ მიმართ განცხადებაში, რომ, თუ ღვინის ყიდვაში შემეცილეთ და ფასებს აუწიეთ, მაშინვე გენერალ-გუბერნატორთან დაგაბეზღებთო. ა, ბატონო, აგერ ყოფილა „ისრის“ ფურცლებზე გამოჭიმული აშკარა მაბეზღარა და ამაზე მეტი თავის აგდება იქნება!.. რავა, თუ კასპაროვმა ეიგდო თავი, „ისარს“ რაღა ღმერთი გაუწყრა, რომ დაუბეჭდა ამისთანა საჯაყი განცხადებ? წინეთაც ქე გამიგონია, ვგონებ კიკიდეც წამიკითხავს გაზეთში, რომ „ისარი“ ბურჟუების მომხრე და მოსარჩლეაო, მარა კი არ მჯეროდა და ახლა რომ არ დევიჯერო, სასაცილოთ ამიღებენ და რა ვქნა?

—

სასაცილოთ ასაღები მე კი არა და ქუთაისის გუბერნიის სახალხო სკოლების დირეკტორი ბ. სემიონოვი კი ყოფილა სწორეთ. ეს ახირებული დირეკტორი ქუთაისის ქალაქის გამგეობას ეკითხება: ქალაქის სკოლებში რათ ასწავლიან ქართულათ ქართულ ენას, სამშობლოს აღწერას, საღმთო სჯულს და ბუნების მეცნიერებასო; რას ნიშნავს, რომ რუსულ ენას მეორე წლიდან აწყებიებენ მოსწავლეებს და არა სკოლაში შესვლის დღიდანო და სხვა. ყველაფერი ყველაფერია, მარა მე როგორღა უნდა გავაკეთო რევიზია ასეთ სკოლებშიო, ჩივა დირეკტორი, როცა ქართული არც ვიცი და რომც ვიცოდე, ისე თავსაც არ დავიმცირებ, რომ ამ ენაზე ვილაპარაკოვო?

საქმე ისაა, რომ ახლა მთავრობისაგან, განმათავისუფლებელი მოძრაობის გავლენის ძალით, ნება დართულია—სკოლებში ასწავლონ 1881 წ. ყოფილი ნამესტნიკის მიერ დამტკიცებული პროგრამით. ეს ბ. სემიონოვს ან არ ცოდნია და ან არ უნდა იცოდეს, მარა ეს სულ ერთია: მისი ცოდნა-უცოდინარობა აღმა ქარს, დაღმა წყალს!.. და ანდაზაც მოვიყოლოთ:

„როგორც მოსვალ სვინაო,
ისე წახვალ შინაო“...

უკულმართი.

პროვინცია

სამეგრელო. ვინ მოჩმახა, რომ ჩვენში შიმშილობაია? ეს ცოცხალი ტყუილია! წარშან ისეთი მოსავალი იყო მთელ სამეგრელოში, რომ იმისთანა თავის დღეში არ ყოფილა. წელსაც დიდი მოსავალი იქნება, თუ ღმერთმა მოგვხედა და წვიმებმა არ გადიღო. აქედანვე ვაფთხილებ ჩვენს საზოგადოებას, რომ შემწეობისათვის თავი არ შეიწუხოს..

—

დ. სამტრედია. ამ დღეებში სამტრედიის ბოქაული გაბუნია თავის სტრაჟნიკებით თავს დაესხა გლეხთა კურიიდან არჩეულ „ვიბორშჩიკს“ ილია კოპალეიშვილს და დაიჭირა. ამასთანავე გაჩხრიკა სხვა რამდენიმე ოჯახიც და დაატყვევა „ვიბორშჩიკის“ ერთი მეზობელი —ბესარიონ კოპალეიშვილი, სხვები კი სახლში არ დაუხვდა, თვარა იმათაც არ დააყენებდა კარგ დღეს.

როგორც ჩანს, ბ. გაბუნია დიდი პოლიტიკის კაცია: მან გლეხების „ვიბორშჩიკთან“ ერთათ მისი ამოშრჩევლებიც დაატუსაღა, რომ

ხალხისათვის ეპვები გაუფანტა, ვითომ „ვიბორ-შჩიკებისათვის“ არავის ვიჭერო, მაგრამ ნა-ქურდალს მამალს რომ კუდი უჩანდა, სწორეთ გაბუნიას საქმეც ისეა.

ამ რამდენიმე დღის წინეთ სამტრედიის ციხიდან ერთი ტუსაღის გაქცევამ ჩვენი ბო-ქაული—ბ. გაბუნია ძალიან გააწიწმატა. ტუ-საღის დაჭერა მის მეტმა არავინ იკისრა, ამი-ტომაც მაზრის უფროსი დიდ მადლობას უთ-ვლიდა მას, მარა, რადგან ნაკისრები ვერ მო-იყვანა სისრულეში, დაესხა ცეცხლზე წყალი და მაზრის უფროსი მადლობის მაგიერ წყრო-მას უგზავნის და ბრძანებას აძლევს, რომ, თუ

ᲫᲕᲐᲡᲫᲕᲔᲨᲘᲡᲢᲘᲡ ᲗᲐᲕᲒᲐᲓᲐᲡᲐᲕᲐᲚᲘ

—

სწორეთ ათი წელი იქნებოდა, რაც ჩემი ამხანაგი ჩანჩურა აღარ მენახა. სრულიადაც არ ეფიქრობდი მის ნახვას და ისიც აქ, ჩვენს ქვეყანაში, ერთ დღეს ვხედავ, მოულოდნე-ლათ გამომეჭიმა წინ!..

ჩემ განცვიფრებას საზღვარი არ ქონდა. ის კაცი, რომელსაც ოცი წლის განმავლო-ბაში ვიცნობდი, როგორც უბედურს, ობოლ-ოერს და უპატრონოს და რომელსაც არასო-ორი კვირის განმავლობაში ტუსაღი არ ამო-გიჩენია, პაგონებზე ხელი აიღეო.

შევარდენი.

—

სოფ. ხაშმი. ცნობილი მამასახლისთ—მამასახლისი იოსებ იმედაშვილი, სასიხარუ-ლოთ, ბოქაულათ ინიშნება. იმედია, რომ, აქამდე თუ ხიზნებს გადაგვამტერა, ახლა ცო-ლებს გადაგვამტერებს და მაშინ კი... მაშინ გუბერნატორთა-გუბერნატორათ დანიშნავენ. და რაღა უნდათ ხაშმელებს!.. სწორეთ ბედი კარზე მოადგებათ!..

აქაური.

დეს სკამარისათ არაფერი ჰქონია, ნახევარჯერ შიშველ-ტიტველი, მშიერ-მწყურვალი იყო, ახლა სულ მესხვაფერა. არ იფიქრო, მკითხვე-ლო, თითქო ჩემი ამხანაგი ჩანჩურა ზარმაცი, ან უვიცი ყოფილიყოს; არა, ის ძრიელ შრო-მის მოყვარე, კარგათ განვითარებული და გა-ბედული კაცი იყო, ათ სხვა-და-სხვა ევრო-პიულ და აზიურ ენაზე ლაპარაკობდა. მიუხე-დავათ ამისა, ის არასოდეს არ ღირსებია ადა-მიანურ ცხოვრებას. ევროპა, ამერიკა და აზიის მეტი ნაწილი მოვლილი ქონდა მას, ობოკის (აფრიკაშია) გამოჩენილი გმირის ᲨᲘᲜᲬᲘᲡ ამხანაგიც იყო მაშინ, როცა უკა-ნასკნელს ზურგზე ბოლი აადინეს და ობოკიდან პორტსაიდამდე ბოძზე მიკრული გამოგზავ-ნეს კონტანტინოპოლით ოდესაში. საბრალო ჩანჩურა, ჯერ კიდევ სულ ახალგაზდა ყმაწვილი დაბრუნდა აფრიკიდან და მთელი წლის განმავ-ლობაში დაეხეტებოდა უსაქმოთ ოსმალეთში. ერთი შეხედვით შეატყობდით, რომ ის ნამდ-ვილი ბოგანო იყო.

მე იმას აბა როგორ წარმოვიდგენდი, თუ ბედისაგან ასე დევნილს, ღარიბ-ღატაკ ძველ ამხანაგს, შორს ოსმალეთში მოხეტიალეს, აქ გოლოვინის პროსპეკტზე, შევხვდებოდი და ისიც უკანასკნელ მოდაზე, ევროპიულათ ჩაც-მულს, ოქროს საათით, ლაიკის ხელთათმნე-ბით, ოქროს თავიანი ტროსტით და „ლაკი-როვანი“ ჩექმებით! მისი ხმელი და მაღალი აგებულება, არწივისებური ცხვირი, მოგრძო პირის-სახე, ბტყელი ბეჭები, გონიერი შუბლი, გორაშესკვნილი წარბები, ოდნავ შეჭაღარე-

ბული წვერ-ულვაში, კოხტა მიხვრა-მოხვრა და გაბედული, მედგარი სიარული ნათლათ ამტკიცებდა, რომ ის ახლა ძრიელ კმაყოფილი იყო, თუ თავის ბედის არა, თავის კუჭის მაინც.

— კაცო, ეს შენა ხარ? — ვკითხე მე.

— ასე მგონია, — მომიგო.

— როდის, საიდან, სად?..

— აქ, ოსმალეთიდან, მეორე წელია...

— მერე?..

— რა, მერე?...

— რას აკეთებ, რას შვრები, როგორა ხარ?..

— რას უნდა ვაკეთებდე, არაფერს, ვცხოვრობ...

— საქმეზე ხარ, ჯამაგირი გაქვს?

— არც ერთი, არც მეორე, ვცხოვრობ ისე რაღა?..

— რა ჯგუფში?!.

— განა არ იცი? აბა აგიხსნი. ჩვენ ვართ სულ 50 კაცი პარტიაში, ჯგუფში. ვწერთ დღეში 50 წერილს სხვა-და-სხვა შეძლებულ პირთ და მათგან ფულებს ვღებულობთ, ასე რომ დღეში ერთი მეორეზე 5 მანეთი მაინც შეგვხვდება თითოს.

— რას ამბობ, კაცო?! გავაწყვეტიე მე, — ნუ თუ ექსპროპრიატორების ჯგუფში ხარ?..

— დიახ, მერე რა გაგიკვირდა, ცუდი ხელობაა თუ?..

— მერე, ეგ ხომ საშინელებაა!.. კაცს კლავთ, ასახიჩრებთ, ცარცვავთ, აშინებთ!..

— სრულებითაც არა, ჩვენ არც ერთი ისეთი არ გვირევია, რომელსაც კაცის მოკვლის ან გაცარცვის შნო ქონდეს. განა მე არ მიცნობ? როგორც მე არ შემიძლია ასეთი საშინელი საქმე ჩავიდინო, ისე არც იმათ... ჩვენ



— რით ცხოვრობ, კაცო? მემკვიდრეობა ხომ არ დაგრჩენია?..

— რის მემკვიდრეობა, რა მემკვიდრეობა!..

— აბა როგორ, რით ცხოვრობ, კაცო? საიდუმლოა რამე?

— დიახ, საიდუმლოა, აქ ვერ გეტყვი...

გამომდვა მკლავში ხელი და ლუდხანაში შემიყვანა; მილმა კუთხეში ერთ მაგიდას მივუჯექით. მოითხოვა ლუდი და დაიწყო:

— მადლობა ღმერთს! ეს ერთი წელიწად ნახევარი იქნება ყოველ დღე ვძღები, კარგათ მაცვია და კარგი ოთახიც მაქვს...

— კაცო, არ მეტყვი, რა საქმეა ასეთი?

— ჯგუფში ვარ ჩაწერილი.

მხოლოთ წერილებს ვწერთ და ვუთვლით, რომ ამა და ამ ადგილას ამდენი და ამდენი ფული შემოდევით ქვას ქვეშ, თორემ სიკვდილი არ აგცდებაო. ორმოცდაათიდან დღეში, სულ ცოტა რომ ვთქვათ, ხუთი მაინც მოიტანს და შემოდებს ქვას ქვეშ დაბარებულის ნახევარს მაინც და ხან სრულადაც. თუმცა ამ ბოლო დროს, როცა ხუთას მანეთს ვწერთ, 50-ის მეტს ალარ გვიდებენ, მაგრამ რა ვუყოთ, — ვჯერდებით.

— ყოველთვის ფული დაგიხვეებათ?— ვკითხე.

— ოჰ, არა, ამხანაგო! ხან ისეთი გინება და წყეველა-კრულვის წერილებია შემოდებული, რომ ღმერთი რომ ისმენდეს, ერთიც აღარ ვიქნებოდით ამ ქვეყნათ.

— მერე როგორ მიგაქვთ იმ ქვას ქვეშეთიდან ფული, თუ წერილი? არ გეშინიათ?

— გვეშინია კი არა, სასიკვდილო ცივ ოფლში ვიწურებით, მაგრამ რას იქ!.. როცა ფულებს დავიყოფთ,— ყველა გვავიწყდება.

— მაინც, როგორ გამოგაქვთ ქვას ქვეშიდან ფული?

— ოჰ, ამხანაგო, რომ იცოდე, რა წვალებაა!.. ორმოცდაათ დღეში ის ერთი დღე, რომელიც მე შემხვდება, სწორეთ სატანჯველია... მივდივარ იმ ადგილას, საცა დაბარებულია ფულის შემოდება, ნელ-ნელა ტროსტით ხელში, ვიხედები აქეთ-იქით არავინ მიყურებდეს-მეთქი და როცა მივაწევ დანიშნულ ქვასთან, განგებ ფეხს წამოვკრავ რამეს, წავიქცევი და აი ამ დროს გამოვუსვამ ქვას ქვეშ ხელს და თუ რამე შემხვდა, ის არის; მერე ავიღებ ჯოხს, შლიაპას და გავუდგები გზას.

— მერე, კაცო, რას ფიქრობ, ადრე თუ გვიან ხომ გაგიგებენ და კარგ დღეს არ დაგაყენებენ?

— რას მიზამენ? ამისთვის გადამასახლებენ, კატორგაში გამგზავნიან, მეტი ხომ არაფერი? განა მე ჩემ სიცოცხლეში სულ კატორგაში არ ვიყავი?. არა, ჩემო ძმაო, თუ ბურჟუები ბევრი იქნა ქვეყანაზე,—ამას არაფერი ჯობია, მაგრამ სამწუხაროთ, ყოველ დღე კლებულობს შემოსავალი... რეაქციამ თავზარი დაგვცა, ბურჟუებიც როგორღაც გამამაცდენ, იმდენს აღარ იძლევიან.

ჩვენ ხომ ფულისთვის კაცს არ მოვკლავთ. ამ გზით რომ შეგვეძლოს ერთი ორი მაგალითის მიცემა, მოგეცა ღვთის წყალობა, იმატოს შემოსავალმა.

— მაშ წინეთ რაღა იყო, რომ ფულისთვის აუარებელ ხალხს ხოკდენ?

— იყო წინეთ, ჩვენს გარდა, კიდევ სხვა ჯგუფები, რომლებიც კლავდენ ყველას, ვინც ფულს არ გაუგზავნიდა. იმათი ტაქტიკა ჩვენც გვშველიდა მაშინ.

ბევრი ველაპარაკე ჩემ მეგობარს, რომ ხელი აეღო ამ საზიზღარ საქმეზე, მაგრამ არაო, მითხრა, სანამ ჩემი შემოსავალი ხუთ შაურზე არ ჩამოვა დღეში,—თავს არ დავანებებ, რადგან ასეთ ცხოვრებას სხვა საქმე არ მომანიჭებსო.

ბაია.

ᲓᲔᲖᲔᲠᲢᲘᲠᲘ *)

(ᲐᲛᲑᲐᲕᲘ)

190... ქრისტეშობისთვის უკანასკნელი დღე საშინელი ცივი და სუსხიანი იყო. თოვდა, მაგრამ თოვლს ნიადაგი ვერ ეშოვა და ქუჩებზე ისევ წყალი და ტალახი იდგა. უპალტოვო, მარტო პინდჟაკში მოკუნტული, ქუჩა-ქუჩა დავეხეტებოდი და მეორე დღეზე ვფიქრობდი; მეორე დღე—ახალი წელი იყო. მაგონდებოდა ბავშობიდან, თუ როგორ ეგებებოდენ ახალ წელს ჩემი მშობლები. მათი აზრით, ვინც ახალ წელს მხიარულათ არ გაატარებდა საღამომდე, ის იმ წელში სულ მუდამ მოწყენილი და დარდით მოცული იქნებოდა; ვინც ამ ბედნიერ დღეს ფულს ვერ შეავლებდა ხელს, ის მთელი წლის განმავლობაში ერთ გროშსაც ვერ იშოვნიდა. მაგონდებოდა ყველა ეს და ჩემ უკანასკნელ აბაზიანს თავსავით ვუფრთხილდებოდი. ის, ცხვირსახოცის ყურში გამოკრული, სადღაც უბის ჯიბის კუნჭულში მქონდა მიმალული. მაშინ მეც მწამდა საზოგადო ჩვეულება და მეც მინდოდა ახალ წელს დილას ფულისთვის შემევლო ხელი.

დიდხანს ვიარე ფიქრებში გართულმა ერთ ყრუ და უსიცოცხლო ქუჩაში, სადაც ეტლებიცა და ხალხიც იშვიათათ მიდი-მოდიოდენ. ასეთი სიწყნარე ნებას მაძლევდა დალაგებით მეფიქრა თავის თავზე. ცოტა ხნის შემდეგ გადავწყვიტე წასულვიყავი ბაზრისაკენ, საიდანაც მოისმოდა ჩარჩების ხმა-მა-

*) გაქცეული სალდათი.

ღალი ყვირილი მუშტრების მიხაწვევათ. იქ შემეძლო მენახა საახალწლო ათასნაირი საქონელი, თუმცა მე არაფრის ყიდვა არ შემეძლო, რადგან საახალწლო აბაზის მეტი არაფერი გამაჩნდა. მე წავედი ისე, ბაზრის დასათვალიერებლათ: მინდოდა გამეგო, ვინ რას ყიდდა და ვინ რას ყიდულობდა. ამ აზრით მე გავსწიე ჩქარი ნაბიჯით ბაზრისკენ. მივდიოდი და თანაც თვალს ვავლებდი ქუჩის პირათ დაწყობილ გასაყიდ ნივთებს და იმათ ახლოს მოსიარულე ხალხს. ჩემს გარშემო ყველაფერი მხიარულებით იყო მოცული, სახეზე ყველას სიამოვნების ღიმილი უკრთოდა. მე თვალს ვავლებდი თფილ ქურქებში გახვეულებს, რომლებსაც შეხედულობა უმტკიცებდათ, რომ კმაყოფილი იყვენ გასული წლით და გახარებული მომავალით. ამოდენა ხალხში მე მარტო თავის თავი მეგონა უბედური და ვიწყევლიდი ბაჩენის ღღეს.

უცებ ქუჩებზე მოსიარულე ხალხი შეინძრა, აჩოჩქოლდა და ჩემს ახლოს მოისმა ყვირილი: „ყაჩაღი!.. ქურდი!.. არ გაუშვათ!.. მოკალით!“.. ფიცხლავ უკან შემოვტრიალდი და დავინახე, რომ გოროდოვები და ხელკეტიანი მეეზოები მოსდევდენ ძონძებში გახვეულ კაცს, რომელიც ცთილობდა გაქცევას, მაგრამ მუხლები ეკვეცებოდა საწყალს. დამიახლოვდა თუ არა საბრალო, მიწაზე გაიშხლართა და სიბრალულით თვალები მიაპყრო მეეზოვეს, რომელიც მას დაეწია, თითქოს შებრალებას ითხოვსო, მაგრამ უკანასკნელმა აღარ დააცალა და ტალახიანმა კეტმა სისხლით შეუღება ძონძებში გახვეულს გაბურჯგნული თავი. მისმა საშინელმა დაბღავლებამ სიბრალული აღმიძრა, და სისწრაფით გადავდგი ნაბიჯი მისკენ. მოცვივდენ კიდევ სხვა გოროდოვები და მეეზოვები და დაუწყეს ბღვერა მიწაზე გაშხლართულს. მე მინდოდა გამოვსარჩლებოდი ამ სასიკვდილოთ გამზადებულ ადამიანს. მეეზოვეს სისხლიან კეტში ხელი ვტაცე და თანაც შევუყვირე: „რას ერჩით, რა დააშავა ამ საწყალმა კაცმა?!“ მინდოდა კიდევ რაღაცა მეთქვა, მაგრამ ერთმა პოლიციელმა ხელი წამავლო და დაუყვირა ამხანაგებს: „въ участокъ его!“ მე დამიჭირეს და წამიყვანეს მესამე საპოლიციო ნაწილში. წამოიყვანეს ჩემთან ერთათ სისხლში ამოსვრილი ძონძებში გახვეულიც. ის თავ ჩაღუნული მოდიოდა; გაჩეხილი თავიდან შეუმჩნეველათ ამოდიოდა სისხლი, რომელიც სიცივისაგან ისევ თმაზე რჩებოდა გაყინული. მის თვალებში, რომლებიც წინ ტალახს ჩასცქეროდენ, მე ვერ შევამჩნიე ვერც ერთი ცრემლი, ვერც ნაღველი და მწუხარება; ისინი საიდუმლო მრისხანებით გამოიყურებოდენ.

ის იყო საშვალო ტანის, ქერა. თუმცა წვერი და თმა საკმაოთ მოზდილი ქონდა, მაგრამ მაინც ეტყობოდა, რომ ახალგაზდა აყო. ტანზე დაფლეთილი პალტო ქონდა პერანგზე გადაცმული; პალტოს გაცვეთილი სახელოდან მოჩანდა ტიტველი იდაყვი; ერთ ფეხზე წუღა ეცვა, მეორეზე კი გაცვეთილი ჩექმა.

საპოლიციო ნიწილში ჩვენ მოგვათავსეს ერთ ნესტიან ოთახში. ის იყო, მე უნდა დამეწყო მასთან ლაპარაკი, მაგრამ მან დამასწრო და მკითხა:

— თქვენ რაზე დაგიჭირეს? თქვენც ხომ ყაჩაღი არ ხართ?

—არა, მივუგე მე, შე უბრალოთ დამიჭირეს და თანაც ღავუმატე: ვინ იცის, შეიძლება შენც ჩემსავით უბრალოთ ხარ ხარ დაჭერილი?

— მე ყაჩაღი ვარ, მწარე ღიმილით მითხრა მან.

ამ სიტყვებმა მი გამაკვირვა და უფრო დამაინტერესა მისი ვინაობის გაგებაშ. მისი ასეთი პასუხი მით უფრო გამიკვირდა, რომ მას, ჩემი შეხედულობით, არ შეწევდა იმდენი ძალა, რომ ყაჩაღობა გაეწია.

— ამიხსენით, გეთაყვა, თქვენი ვინაობა, ან რაზე დაგიჭირეს,—ვოხოვე მე

— ეჰ, ძმაო, ჩემი ვინაობა, - ეს გძელი ისტორიაა, ამოოხვრით მითხრა მან. ერთ დროს მეც ვ-ყავი ბედნიერი, მეც ვეტრფოდი ახალგაზდობას... ჩემ მშობლებს ჩემს მეტი შვილი არ გააჩნდათ; მე ვიყავი იმათი სული და გული, მე შევადგენდი იმათ სატრფიალო საგანს, ჩემგან მოელოდენ ისინი მოხუცებლობის დროს შველას... მაგრამ შევიქენი თუ

არა ოცი წლის, მომაშორეს მშობლებს, ნათესავებს, მეზობლებს, მომისპეს თავისუფლება, წამიყვანეს და სამხედრო სამსახურში მიკრეს თავი. თუმცა კანონით სამსახური მე არ მიწევდა, რადგან დედის ერთა ვიყავი და მამაც მოხუცი მყავდა, მაგრამ მაინც წამიყვანეს დროებით; რადგან ჩვენი სოფლიდან ერთი სასალდათო ახალგაზდა გადაიმალა, იმის მონახვამდი მე უნდა მემსახურა მის მაგიერ. მიდიოდა დღეები და თვეები, მაგრამ მე არ მათავისუფლებდენ. ჩემი მშობლები სწუხდენ, ცრემლებს აფრქვევდენ, ეხვეწებოდენ მთავ-

რობას ჩემ გათავისუფლებას, მაგრამ ამაოთ. მე მესმოდა მათი ტირილი: „შვილო, მწერდა ერთხელ მამა, მე გავყიდე ყველაფერი, რის გაყიდვაც შემეძლო; თუ ახლაც ვერ დაიხსნი თავს, მე მეტი აღარ შემიძლია და უნდა მოვკვდე ასე უნუგეშოთ“. მე ვწუხდი, გული მიკვდებოდა, მაგრამ რა უნდა მექნა. ბევრი თხოვნები და საჩუქრები მიიღეს ჩემგან ჩემმა უფროსებმა, მაგრამ მე მაინც ვერფერმა მიშველა. ბოლოს, რადგან საშველი არ დაადგა ჩემ საქმეს, გადავწყვიტე ყაზარმიდან გაპარვა. გადავწყვიტე წასვლა და კიდეც მოვიყვანე სისრულეში ეს ჩემი აზრი. ერთ დღეს, ამხანაგების შემწეობით, მე გავშორდი ყაზარმის კედლებს და გავწიე ფარულათ სამშობლოსაკენ.

მშობლები აღტაცებით მომეგებენ. ბედნიერათ ვგრძნობდი თავს, სანამ მათთან ვიყავი, მაგრამ ეს ჩემი ბედნიერი ცხოვრება ხანგრძლივი აღარ გამოდგა. ჩვენი სოფლის მამასახლის მალე მოუვიდა მოწერილობა ბოქაულისაგან, რომელიც მე მიბარებდა. მეტი გზა არ იყო, უნდა მოვშორებოდი ჩემ მშობლებს, ჩემ სახლ-კარს, უნდა გადაკარგულ-ყავი სადმე, რომ ჩემი კვალისათვის არ მიეგნო პოლიციას.

მახსოვს, როდესაც ვშორდებოდი მშობლებს, როგორ თვალცრემლიანი გადამეხვიენ ისინი: „მშვიდობით, შვილო, აწი ვეღარ ვნახავთ ჩვენ ერთმანეთს!“—გულდაწყვეტილათ მითხრა მამამ. ეტიროდი მეც, არ მინდოდა შორს წასვლა, ხეტიალი, მაგრამ აქ თვალწინ მეხატებოდა ისევ ყაზარმის კედლები, საპყრობილე, დ-სციპლინარული სასჯელი, გაროზგვა და დეზერტირებისათვის მოგონილი სხვა ასეთი სასჯელი. მახსოვდა, როგორ გაროზგეს ერთი გაქცეული სალდათი, როდესაც ის პოლკში მოიყვანეს; ყურს ახლაც ესმოდა მისი შემაძრწუნებელი ღრიალი...

(დასასრული იქნება).

ᲒᲚᲔᲮᲘᲡ ᲞᲐᲡᲣᲮᲘ.

(„ᲒᲚᲔᲮᲘᲡ ᲐᲦᲡᲐᲠᲔᲑᲘᲡ“ ᲒᲐᲛᲝ)

—

ᲒᲛᲐᲓᲚᲝᲑ, ᲩᲔᲛᲝ „ᲜᲘᲨᲐᲓᲣᲠᲝ“,
ᲠᲝᲛ ᲙᲘᲡᲠᲣᲚᲝᲑ ᲨᲔᲜ ᲩᲔᲛ ᲓᲐᲪᲕᲐᲡ
ᲓᲐ ᲡᲝᲪᲘᲐᲚ-ᲓᲔᲛᲝᲙᲠᲐᲢᲔᲑᲡ
ᲗᲐᲕᲖᲔ ᲐᲜᲒᲠᲔᲕ ᲛᲘᲬᲐᲡ ᲓᲐ ᲪᲐᲡ!..
ᲛᲐᲒᲠᲐᲛ ᲔᲠᲗᲘ ᲔᲡ ᲛᲝᲑᲫᲐᲜᲔ,
ᲩᲔᲛᲝ ᲓᲘᲓᲝ ᲡᲫᲔᲙᲣᲜᲝ,
ᲠᲐ ᲡᲐᲑᲣᲗᲘ ᲣᲜᲓᲐ ᲛᲭᲝᲜᲓᲔᲡ,
ᲠᲝᲛ ᲘᲡᲘᲜᲘ ᲓᲐᲕᲘᲬᲣᲜᲝ?!..
ᲨᲔᲜ ᲕᲘᲗᲝᲛᲓᲐ ᲡᲛᲘᲡᲮᲣᲠᲡ ᲡᲬᲔᲕ,
ᲒᲡᲣᲠᲡ ᲛᲝᲘᲒᲝ ᲩᲔᲛᲘ ᲒᲣᲚᲘ,
ᲛᲐᲒᲠᲐᲛ ᲨᲔᲜᲘ ᲕᲔᲥᲘᲚᲝᲑᲐ
ᲒᲐᲮᲚᲐᲕᲡ ᲓᲐᲗᲕᲘᲡ ᲡᲛᲘᲡᲮᲣᲠᲘ!..
ᲨᲔᲜ, ᲠᲝᲛ ᲙᲕᲘᲠᲐᲡ ᲒᲐᲛᲥᲚᲐᲕᲜᲔ
ᲕᲘᲗᲝᲛ ᲩᲔᲛᲘ ᲐᲦᲡᲐᲠᲔᲑᲐ,
ᲠᲐᲗ ᲐᲠ ᲛᲙᲘᲗᲮᲔ,—ᲨᲔᲜᲘ ᲠᲝᲢᲕᲐ
ᲩᲔᲛ ᲣᲣᲠᲔᲑᲡ ᲗᲣ ᲔᲐᲛᲔᲑᲐ?!..
ᲕᲘᲜ ᲛᲘᲛᲘᲫᲕᲘᲡ—ᲯᲘᲠᲨᲘ, ᲚᲮᲘᲜᲨᲘ,
ᲕᲘᲜᲐ ᲢᲝᲘᲚᲝᲑᲡ ᲩᲔᲛᲝᲗᲕᲘᲡ ᲓᲓᲔ-ᲓᲐᲛ?
ᲐᲜ ᲕᲘᲜ ᲘᲗᲛᲔᲜᲡ ᲢᲘᲮᲔ, ᲪᲘᲛᲑᲘᲠᲡ,
ᲕᲘᲜ ᲓᲐᲛᲐᲠᲮᲐ ᲪᲝᲪᲮᲚᲐᲗ ᲓᲔᲓᲐᲛ?
ᲕᲘᲜ ᲯᲚᲔᲥᲔᲑᲐ ᲑᲜᲔᲚ ᲡᲐᲠᲓᲐᲤᲨᲘ
ᲐᲜ ᲕᲘᲡ ᲨᲔᲐᲥᲕᲡ ᲠᲬᲛᲔᲜᲐ ᲔᲠᲨᲘ?
ᲓᲐ ᲐᲛ ᲓᲠᲝᲡ ᲙᲘ ᲕᲘᲜ ᲝᲢᲜᲔᲑᲝᲑᲡ
ᲛᲓᲘᲓᲠᲐᲗ ᲛᲝᲠᲗᲣᲚ ᲙᲐᲑᲘᲜᲔᲗᲨᲘ?
ᲓᲦᲔᲡ ᲕᲘᲜ ᲓᲐᲫᲠᲬᲘᲡ ᲡᲝᲤᲔᲚ-ᲡᲝᲤᲔᲚ
ᲨᲣᲑᲚᲖᲔ ᲝᲤᲚᲘᲡ ᲓᲐᲠ-ᲓᲐᲡᲛᲣᲚᲘ,
ᲤᲔᲮᲨᲘᲨᲕᲔᲚᲘ, ᲓᲐᲫᲠᲜᲫᲘᲚᲘ,
ᲒᲐᲜᲐᲢᲐᲜᲯᲘ, ᲬᲐᲛᲔᲑᲣᲚᲘ?..
ᲜᲣ ᲗᲣ, ᲓᲘᲓᲝ ᲓᲘᲓᲚᲝᲛᲐᲢᲝ,
ᲔᲡ ᲕᲘᲜ ᲐᲠᲘᲡ, ᲗᲕᲘᲗ ᲐᲠ ᲘᲪᲘ?
ᲘᲪᲘ, ᲛᲐᲒᲠᲐᲛ, ᲛᲐᲘᲜᲪ ᲮᲢᲣᲜᲐᲕ,
ᲠᲝᲒᲝᲠᲪ ᲛᲔᲢᲘᲩᲐᲠᲐ ᲙᲕᲘᲪᲘ!..
ᲛᲐᲠᲗᲐᲚᲡ ᲙᲔᲢᲘᲧᲕᲘ, ᲜᲘᲨᲐᲓᲣᲠᲝ,
ᲐᲠ ᲛᲬᲐᲛᲡ ᲨᲔᲜᲘ „ᲤᲔᲓᲔᲠᲐᲚᲘ“:
ᲛᲦᲕᲔᲚᲘ, ᲑᲔᲠᲘ, ᲐᲖᲜᲐᲣᲠᲘ,
ᲝᲠᲒᲐᲜᲘ ᲓᲐ ᲓᲔᲜᲔᲠᲐᲚᲘ.
ᲛᲔ ᲛᲬᲐᲛᲡ ᲛᲮᲝᲚᲝᲗ ᲛᲣᲨᲘᲡ ᲑᲔᲓᲘ,
ᲩᲔᲛᲡᲐᲒᲘᲗ ᲠᲝᲛ ᲘᲢᲐᲜᲯᲔᲑᲐ,
ᲗᲐᲕᲡ ᲔᲕᲚᲔᲑᲐ ᲮᲐᲚᲮᲡ, ᲛᲡᲮᲣᲠᲔᲑᲡ
ᲓᲐ ᲘᲛᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲑᲠᲫᲝᲚᲘᲗ ᲙᲣᲓᲔᲑᲐ.
ᲛᲐᲨ, ᲨᲝᲠᲡ ᲩᲔᲛᲒᲐᲜ „ᲜᲘᲨᲐᲓᲣᲠᲝ“!
ᲐᲠ ᲛᲬᲐᲛᲡ ᲨᲔᲜᲘ ᲕᲔᲥᲘᲚᲝᲑᲐ,
ᲐᲠ ᲛᲬᲐᲛᲡ ᲨᲔᲜᲘ ᲐᲦᲛᲐᲤᲠᲔᲜᲐ,
ᲙᲐᲑᲘᲜᲔᲗᲨᲘ ᲓᲔᲕᲔᲒᲛᲘᲠᲝᲑᲐ!..

ᲒᲣᲠᲣᲚᲘ ᲒᲚᲔᲮᲘ.

ᲛᲣᲨᲐᲗᲐ ᲨᲝᲠᲘᲡ

ᲑᲐᲗᲝᲛᲘ. ᲓᲦᲔᲡ ᲑᲐᲗᲝᲛᲨᲘ ᲡᲐᲨᲘᲜᲔᲚᲘ ᲐᲚᲘᲐᲥᲝᲗᲘᲐ ᲐᲛᲢᲧᲓᲐᲠᲘ ᲓᲐ ᲧᲕᲔᲚᲐ—ᲙᲐᲪᲘ ᲗᲣ ᲥᲐᲚᲘ—ᲑᲐᲗᲝᲛᲔᲚ ᲜᲝᲥᲐᲠᲗᲐ ᲣᲞᲐᲠᲢᲘᲝ ᲞᲠᲝᲤᲔᲡᲘᲝᲜᲐᲚᲣᲠ ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘᲡ ᲫᲕᲔᲚ ᲑᲘᲣᲠᲝᲡ ᲓᲐᲔᲫᲔᲑᲡ. ᲡᲐᲝᲪᲐᲠᲘ ᲣᲤᲠᲝ ᲘᲡ ᲐᲠᲘᲡ, ᲠᲝᲛ ᲐᲛ ᲓᲐᲙᲐᲠᲒᲣᲚᲛᲐ ᲫᲕᲔᲚᲛᲐ ᲑᲘᲣᲠᲝᲨᲗᲐᲜ ᲠᲐᲛᲓᲔᲜᲘᲛᲔ ᲓᲔᲚᲔᲒᲐᲢᲔᲑᲘᲪ ᲒᲐᲘᲧᲝᲚᲐ, ᲠᲝᲛᲚᲔᲑᲘᲪ ᲣᲒᲖᲝ ᲣᲙᲕᲚᲝᲗ ᲒᲐᲓᲘᲙᲐᲠᲒᲔᲜ ᲡᲐᲓᲚᲐᲪ. ᲔᲡ ᲐᲛᲑᲐᲕᲘ, ᲪᲝᲢᲐ ᲐᲠ ᲘᲧᲝᲡ, ᲓᲘᲓ ᲐᲣᲠᲖᲐᲣᲠᲡᲐ ᲓᲐ ᲛᲘᲗᲥᲛᲐ-ᲛᲝᲗᲥᲛᲐᲡ ᲘᲬᲕᲔᲕᲡ ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲨᲘ. ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘᲡ ᲐᲮᲐᲚᲘ ᲬᲔᲕᲠᲔᲑᲘ ᲗᲮᲝᲕᲔᲜ ᲧᲕᲔᲚᲐᲡ, ᲠᲝᲛᲮᲔᲚᲘ ᲨᲔᲣᲬᲧᲝᲜ ᲓᲐᲙᲐᲠᲒᲣᲚᲔᲑᲘᲡ ᲛᲝᲜᲐᲮᲕᲐᲨᲘ ᲓᲐ ᲐᲚᲛᲝᲩᲔᲜᲐᲨᲘ. ᲐᲚᲛᲝᲛᲩᲔᲜᲔᲚᲗ ᲞᲠᲔᲛᲘᲐᲗ ᲛᲘᲔᲪᲔᲛᲐᲗ ᲧᲕᲔᲚᲐ ᲘᲡ ᲑᲠᲝᲨᲘᲣᲠᲔᲑᲘ, ᲠᲝᲛᲚᲔᲑᲘᲪ ᲑᲘᲣᲠᲝᲡ ᲬᲔᲕᲠᲔᲑᲡ ᲖᲣᲠᲒᲖᲔ ᲙᲘᲓᲘᲐᲗ.

ᲐᲮᲐᲚᲘ ᲑᲘᲣᲠᲝᲡ ᲛᲝᲜᲓᲝᲑᲘᲚᲝᲑᲘᲗ

ᲓᲐᲙᲣᲜᲘᲐ

ᲑᲐᲗᲝᲛᲘ. ᲠᲐᲡᲐᲪ ᲓᲦᲔᲡ ᲑᲐᲗᲝᲛᲔᲚᲘ ᲮᲐᲖᲔᲘᲜᲔᲑᲘ ᲩᲐᲓᲘᲐᲜ, ᲐᲛᲐᲡ ᲩᲕᲔᲜ ᲡᲐᲗᲘᲗᲐᲝᲗ ᲐᲠ ᲛᲝᲕᲘᲮᲡᲔᲜᲔᲑᲗ, ᲛᲮᲝᲚᲝᲗ ᲛᲙᲘᲗᲮᲕᲔᲚᲘᲡ ᲧᲣᲠᲐᲓᲦᲔᲑᲐᲡ ᲛᲘᲕᲐᲥᲪᲔᲕᲗ ᲮᲔ-ᲢᲧᲘᲗ ᲛᲝᲕᲐᲠᲔ ᲖᲝᲒᲘᲔᲠᲗ ᲮᲐᲖᲔᲘᲜᲔᲑᲖᲔ. ᲐᲛ ᲕᲐᲯᲑᲐᲢᲝᲜᲔᲑᲛᲐ ᲣᲙᲐᲜᲐᲡᲙᲜᲔᲚ ᲮᲐᲜᲔᲑᲨᲘ ᲒᲐᲜᲘᲫᲠᲐᲮᲔᲡ ᲨᲔᲐᲓᲒᲘᲜᲝᲜ ᲐᲮᲐᲚᲘ ᲯᲒᲣᲤᲘ, ᲠᲝᲛᲔᲚᲘᲪ ᲛᲘᲖᲜᲐᲗ ᲓᲐᲘᲡᲐᲮᲐᲕᲡ ᲞᲠᲝᲒᲠᲔᲡᲗᲐᲜ ᲛᲔᲓᲒᲐᲠ ᲑᲠᲫᲝᲚᲐᲡ. ᲐᲛ ᲛᲘᲖᲜᲘᲗ ᲠᲐᲛᲓᲔᲜᲘᲛᲔ ᲮᲐᲖᲔᲘᲜᲛᲐ, ᲛᲐᲗ ᲨᲝᲠᲘᲡ ᲣᲤᲠᲝ Ბ. ᲛᲐᲛᲐᲚᲐᲫᲔᲛ ᲓᲐ ᲥᲝᲠᲥᲘᲐᲛ, ᲛᲝᲘᲜᲓᲝᲛᲔᲡ ᲜᲝᲥᲠᲔᲑᲘᲡ ᲓᲐᲠᲩᲐᲒᲕᲠᲐ ᲓᲐ ᲑᲠᲫᲝᲚᲘᲗ ᲛᲝᲠᲩᲔᲣᲚᲘ ᲣᲤᲚᲔᲑᲘᲡ ᲬᲐᲠᲗᲛᲔᲕᲐ. ᲒᲐᲛᲐᲠᲗᲔᲡ ᲠᲐᲛᲓᲔᲜᲯᲔᲠᲛᲔ ᲙᲠᲔᲑᲐ ᲓᲐ ᲨᲔᲛᲓᲔᲒᲘ ᲓᲐᲓᲒᲔᲜᲘᲚᲔᲑᲐ ᲒᲐᲛᲝᲘᲢᲐᲜᲔᲡ:

1) ᲓᲐᲐᲠᲡᲓᲔᲡ ᲮᲔ-ᲢᲧᲘᲗ ᲛᲝᲕᲐᲭᲠᲔ ᲮᲐᲖᲔᲘᲜᲔᲑᲘᲡ ᲐᲮᲐᲚᲘ ᲯᲒᲣᲤᲘ, ᲠᲝᲛᲔᲚᲡᲐᲪ ᲔᲠᲥᲛᲔᲕᲐ „ᲙᲕᲘᲠᲐ-ᲣᲥᲛᲔᲔᲑᲘᲡ ᲛᲝᲛᲡᲞᲝᲠᲢᲘ ᲯᲒᲣᲤᲘ“.

2) ᲛᲣᲨᲔᲑᲡ ᲐᲠᲐᲕᲘᲗᲐᲠᲘ ᲣᲤᲚᲔᲑᲐ ᲐᲠ ᲥᲝᲜᲓᲔᲗ ᲘᲣᲥᲛᲝᲜ ᲠᲝᲛᲔᲚᲘᲛᲔ ᲓᲦᲔᲡᲐᲡᲬᲐᲣᲚᲘ ᲐᲜ ᲙᲕᲘᲠᲐ.

3) ᲕᲐᲠᲝᲑᲐ ᲒᲫᲔᲚᲓᲔᲑᲝᲓᲔᲡ ᲗᲕᲠᲐᲛᲔᲢ ᲡᲐ-

ათს დღეში და 4) ამ მიზნით გაიწიოს აგიტაცია დანარჩენ ხაზეინების შესაკავშირებლათ და ჯგუფში შესასვლელათ.

ᲧᲣᲜᲩᲘ.

თფილისის რესტორანებში და სასტუმროებში მოსამსახურეთა კავშირი ამით აუწყებს ყველა იმ პირთ, ვისაც უნდათ „ბირიუზის“ სასტუმროში შესვლა, რომ თვითოეული მოსამსახურე დღე და ღამეში 24 საათის ნაკლებ არ მუშაობდეს, დღეში 1/2 გირვანქა პურის მეტს არასა ჭამდეს, საღილი 5 საათზე აღრე არ მოითხთვოს და თუ სომეხი არ არის, არ გაბედოს ადგილის თხოვნა, რადგანაც სასტუმროს პატრონი ბ. ხეჩატურა ძველი რეჟიმის დაშნაკცაკანი ბძანდება და საშინლათ სძულს ვიგინდარა მუშების გამოგონილი. ახალი პირობები გარდა ამისა, თუ თავისი და ანმის კეთილ მორწმუნე ცოლის ნათესავი არ არის, ტყვილა ადგილსაც ნუ ითხოვს.

კავშირის მონდობილობით **ᲞᲔᲢᲠᲣᲨᲐᲚᲐ.**

ᲡᲐᲮᲐᲚᲮᲝ ᲞᲝᲚᲘᲢᲘᲙᲣᲠᲘ ᲔᲙᲝᲜᲝᲛᲘᲐ

წინასიტყვაობა

თავისუფლება, განმათავისუფლებელი მოძრაობა—აი ეს სიტყვები—ვის არ აუტოკებს სიხარულით გულს!.. ეს მარგალიტები ყველას ენაზე აკერია ახლა ჩვენში. ვინ იქნება იმაზე უბედური არსება, ვისაც ერთხელ მაინც მოკრძალებით არ წამოუთქვამს სიტყვა „თავისუფლება“!..

თავისუფლება და უთავისუფლობა აი, ორი, ერთი მეორის მოწინააღმდეგე, ერთი მეორის უარის მყოფელი ცნება. ამ ორ ცნებას თვალ-უწვდენელი უფსკრული ყოფს ერთი მეორისაგან; მათ შორის საერთო და საზიარო არა არის რა. ერთი სიცოცხლე და ნეტარებაა, მეორე კი სიკვდილი და ტანჯვა-წვალება; ერთი სინათლეა, მეორე კი სიბნელე; ერთი სამოთხეს შეედრება, მეორე კი ჯოჯოხეთს; ერთი არსებობაა, ყოფნაა, მეორე კი სრულ არარაობას წარმოადგენს, მოკლეთ რომ ვთქვათ, ერთი ყველაფერია, მეორე კი არაფერი.

და აი, ასეთ არარაობას, ასეთ ჯოჯოხეთს წარმოადგენს დღემდის თვალუწვდენელი რუსეთი და მასთან ერთათ ჩვენი ქვეყანაც.

მარა არც ერთ სულიერ არსებას არ შეუძლია იცხოვროს, თუ ის მოკლებულია ჰაერს, წყალსა და მზის სითფო-სინათლეს. არც ერთ ადამიანს არ შეუძლია იცხოვროს ადამიანურათ, თუ ის მოკლებულია თავისუფლებას. ხალხს არ შეუძლია უთავისუფლოთ, მონობაში დიდ ხანს ყოფნა. ის ან უნდა გადაშენდეს, მოისპოს, ან და ადრე თუ გვიან მან უნდა მოიპოვოს თავისუფლება.

მთელი ჩვენი ცხოვრება სულ თავიდანვე საშინელი ბნელით იყო მოცული. მარა ამ წყვდიადშიაც კი ცხოვრების სიღრმეში ნელთიერი ურთიერთობის ნიადაგზე იზრდებოდა და ვითარდებოდა ნელ-ნელა ისეთი ძალა, რომელსაც საბოლოოთ უნდა დაემხო ბნელეთის მთელი სამეფო და ტანჯული ხალხი სინათლეზე ამოეყვანა.

და აი, ეს ძალა უკვე იმდენათ გაიზარდა და განვითარდა ჩვენი ცხოვრების საშოში, რომ ის ძველ კალაპოტში ვეღარ ეტევა და ახალს ეძებს. მან უკვე გაარღვია ძველი, ვიწრო კალაპოტი და ძლიერ ნაკადულათ გამოხეთქა მისი ნაპირებიდან. მისმა დევ-გმირულმა განძრევამ შეანძრია ჩვენი დახავსებული ცხოვრებაც, ზღვასავით ააგორა და ააბობოქრა ის.

აი, ამ ძალას, ამ მოძრაობას ქვია **განმათავისუფლებელი მოძრაობა**. აი, ამ ძალას, ამ მოძრაობას მოყავს თან **თავისუფლება**.

თავისუფლება თავისთავათ კი არ მოდის, იმას **მოყვანა, ძალით მოთრევა** უნდა. ის ზეციდან კი არ ჩამოეშვება ოქროს კალათით, არა, ის უნდა იშვას, დაიბადოს აქვე, დედამიწაზე. ამ მშობიარობას, რასაკვირველია, **ტკივილებიც თან ახლავს**, რადგან ის სასწავლებრივათ არ ხდება.

და აი, დღეს ჩვენს ქვეყანაში **იბადება თავისუფლება**. ამ მშობიარობას ხალხისაგან, მასისაგან ხელის შეწყობა ეჭიერება, რომ მისი ჩვეულებრივი, ნოლმარული მიმდინარეობა არ შეფერხთეს, არ დაირღვეს და **მახინჯი თავისუფლება** არ დაიბადოს.

ამნაირათ, ხალხს, მასას, რომელსაც ისტორიამ, აუცილებლობამ დააკისრა, ასე ვთქვათ, განმათავისუფლებელი მოძრაობის აკუშორობა, ბებიობა, საამისო ძალ-ღონეც უნდა შეწევდეს, შესაფერი ცოდნა და მომზადებაც უნდა ქონდეს.

მარა აქვს კი ყველაფერი ეს ჩვენს ხალხს, ჩვენს მასას? სამწუხაროთ არა, არ აქვს.

განმათავისუფლებელმა მოძრაობამ ისე უეცრათ მოუსწრო მთელი რუსეთის ხალხს, რომ მისი მნიშვნელობა და სიდიადე შეგნებული და გათვალისწინებული არ ქონდა ხალხის დიდ უმრავლებობას. ამ მოძრაობის ნაადრევათ აფეთქება გამოიწვია რუს-იაპონიის ომში ჩვენი მთავრობის საშინელმა დამარცხებამ. მარა დამარცხებულმა მთავრობამ ადრე ზავი შეკრა იაპონიასთან და უკან, შინისკენ იბრუნა პირი, რომ შეუბრალებლათ დაესაჯა „შინაური მტრები“. აი აქ, ამ შინაურ შეტაკებაში გამოაშკარავდა განმათავისუფლებელი მოძრაობის სისუსტე, მისი მოუმზადებლობა.

და ეს ასეც უნდა მომხთარიყო. ასეთი დიდი საქმის გაძღოლას დიდი ცოდნა და გამოცდილებაც უნდა, მარა მუხრუჭებში მყოფ რუსეთის ხალხს ვინ მისცემდა ან ერთსა და ან მეორეს?

გადის აგერ სამი წელიწადი განმათავისუფლებელი მოძრაობის აქტიურათ დაწყებიდან და ბრძოლას, გამარჯვებას ბოლო არ უჩანს. და ეს მიტომ, რომ ხალხი ჯერ კიდევ უვიცია. და უვიცობა კი თავისუფლების მოსისხლე მტერია. უვიცი და განუვითარებელი ხალხი ვერ არის კარგი მებრძოლი: მის ბრძოლას არ მოაქვს შესაფერი ნაყოფი. თავისუფლება მარტო ფიზიკური ბრძოლით, მარტო იარაღით ჯერ არავის მოუპოვებია ა-სად; მის მოპოვებას უპირველესათ ყოვლისა **განვითარება, ცოდნა, მომზადება** და **შეგნება** უნდა. მარა ყველა ეს უცფათ და მოკლე დროში არ შეიძინება. დალაგებულ და საფუძველიან ცოდნას ვერ შეიძენს უბრალო კაცი ვერც კრებების ორატორების სიტყვებიდან და ვერც სქელ-სქელი სამეცნიერო წიგნებიდან გამოიტანს.

ვინც ხალხის, მასის განვითარების და გათვითცნობიერების საქმეს ემსახურება, იმან მას უნდა მიაწოდოს, სიტყვით თუ წერით, სისტემატიურათ დაწყობილი, ხალხური ენით მკაფიოთ და მოკლეთ გამოთქმული ცოდნა ამა თუ იმ მეცნიერებიდან.

მეცნიერება სხვა-და-სხვაა და ყველას თავისი შემოფარგული საგანი აქვს. რა თქმა უნდა, ყოველგვარი ცოდნის შეძენა და შეთვისება საჭირო და სასარგებლოა, მარა ეს ხალხისათვის, მასისათვის მიუწდომელი და შეუძლებელია. ამისთვის ყოვლის უწინარეს ხალხმა უნდა შეიგნოს ის მეცნიერება, რომელიც წინ გადაუშლის მას თავის საკუთარ ცხოვრებას, ასწავლის მის წასულს, აწმყოს და მომუთითებს უკეთეს მომავალზე. ხალხისათვის ყოვლის უწინარეს საჭიროა იმისი გაგება და ახსნა, თუ რა ძალა ამოძრავებს მთელ ცხოვრებას, თუ რა არის მისი განვითარების საფუძველი, ქვა-კუთხედი, თუ რა ძალამ შექნა და წარმოშობა ის უსწორ-მასწორობა კერძო ადამიანთა და მთელ ჯგუფთა შორის, რასაც ვხედავთ ჩვენ სიმდიდრისა და ძალა-უფლების განაწილებაში. ერთი სიტყვით, საჭიროა ხალხმა შეიგნოს უპირველეს ყოვლისა **თავისი დამოკიდებულება გარეშე ბუნებასთან და ადამიანთა სხვა-და-სხვა ჯგუფებთან, სხვა-და-სხვა კლასებთან სხვა-და სხვა დროსა და ეპოქების განმავლობაში.**

და ასეთი მეცნიერება, რომელიც იკვლევს და ხსნის ყოველივე ამას არის **პოლიტიკური ეკონომია.** ამისთვის ჩვენ განვიძრახეთ სწორეთ ამ მეცნიერებიდან მივაწოდოთ ჩვენს მკითხველებს სისტემატიურათ დალაგებული და გასაგებათ დაწერილი მოკლე-მოკლე წერილები. ჩვენ წინდაწინვე ვგრძნობთ, რომ ჩვენი სურვილის ღირსეულათ ასრულება ძნელი საქმეა, მარა „ცდა ბედის მონახევრეაო“ ნათქვამია.

თუ ცოტათი მაინც ხელი შევუწყვეთ ამ წერილებით ხალხის შეგნება-განვითარებას, მის წინ სვლას,—ჩვენი შრომა დაკარგულათ აღარ ჩაითვლება და ჩვენც სხვა არა გვინდა რა.

ჭალარა.

(შემდეგი იქნება.)

ნაუფროსალის გოდება.

მამაქროლებს, მომაქროლებს
ალეთ-იქით ხალიჩაო...
დიდხანს ეძალე, მარა ბოლოს
საქმე ტუდათ დამირჩაო!..

ნაქურდალი საქონელი
თავისთავათ ტუდიაო:
პოლიციის მოხელეებს
არ შეარჩენს სუდიაო...

ჩინოვნიკი

ოკტ. 6-დან თფილისში გამოდის ყოველ-კვირეული იუმორისტიული-კარიკატურებიანი ჟურნალი

„ეკალი“

ჟურნალში დაიბეჭდება გამოჩენილ მწერალთა და მოღვაწეთა სურათები მოკლე ბიოგრაფიებით, ლექსები პოემები, მოთხრობები, დრამები, კომედიები და სცენები; მოკლეთ და გასაგებათ შედგენილი წერილები პოლიტიკური ეკონომიიდან ისტორიული, სურათები და წერილები ახლო წასულიდან და სხვ.

დასაბეჭდი წერილები სუფთათ უნდა იყოს დაწერილი ცალ გვერდზე. დაუბეჭდავი დიდი წერილები ინახება რედაქციაში ერთი თვის განმავლობაში, მოკლე წერილები კი არა. პასუხისათვის უნდა გამოიგზავნოს ფოსტის მარკები.

თანამშრომლებს შესაფერი ჰონორარი მიეცემათ.

ჟურნალი წლიურათ ღირს 5 მან. ცალკე ნომერი 10 კაპ.

რედაქცია დროებით იმყოფება თავართქილაძის სტამბაში: Тифлисъ. Семеновская ул. д. № 4. типогр. „Надежда“.

რედაქტორ-გამომცემელი **პლატონ გაჩეჩილაძე.**

Электро-печатня Т-ва „НАДЕЖДА“, Семеновская ул. д. № 4.


ეროვნული
ეროვნული
ეროვნული

ᲐᲠᲩᲔᲕᲜᲔᲑᲘ

I

ᲙᲐᲕᲙᲐᲡᲘᲐ ᲛᲮᲘᲐᲠᲣᲚᲝᲑᲡ,
ᲛᲔᲯᲚᲘᲡᲘ ᲐᲥᲕᲡ ᲒᲐᲛᲐᲠᲗᲣᲚᲘ,
ᲛᲐᲒᲠᲐᲛ, ᲕᲐᲘ, ᲡᲢᲣᲛᲠᲔᲑᲡ ᲨᲝᲠᲘᲡ
ᲡᲐᲥᲛᲔ ᲐᲠᲘᲡ ᲓᲐᲮᲚᲐᲠᲗᲣᲚᲘ.
ᲕᲘᲜ ᲘᲫᲐᲮᲘᲡ: ᲔᲡ-ᲓᲔᲙᲘ ᲕᲐᲠ,
ᲕᲘᲜ ᲘᲫᲐᲮᲘᲡ — ᲞᲐᲢᲠᲘᲝᲢᲘ,
ᲕᲘᲜ ᲞᲠᲝᲒᲠᲔᲡᲘᲡᲢᲡ ᲗᲐᲕᲡ ᲣᲬᲝᲓᲔᲑᲡ,
ᲖᲝᲒᲘᲪ ᲘᲠᲥᲛᲔᲕᲡ „дикой роты“.
ᲧᲕᲔᲚᲐᲡᲐ ᲡᲣᲠᲡ ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲝᲑᲐ,
ᲧᲕᲔᲚᲐ ᲗᲕᲘᲡᲙᲔᲜ ᲘᲗᲚᲘᲡ ᲓᲣᲛᲐᲡ,
ᲛᲐᲒᲠᲐᲛ ᲕᲔᲮᲐᲮᲝᲗ ᲕᲘᲡ ᲓᲐᲐᲠᲥᲛᲔᲕᲡ
ᲮᲐᲚᲮᲘ ᲗᲐᲕᲘᲡ ᲫᲕᲘᲠᲤᲐᲡ „ᲙᲣᲛᲐᲡ“.
ᲕᲘᲡ ᲛᲘᲐᲜᲓᲝᲑᲡ ᲗᲐᲛᲐᲓᲝᲑᲐᲡ
ᲓᲐ ᲕᲘᲡ ᲓᲐᲡᲕᲐᲛᲡ ᲡᲣᲤᲠᲘᲡ ᲗᲐᲕᲨᲘ,
ᲕᲘᲜ ᲒᲐᲮᲓᲔᲑᲐ ᲦᲘᲠᲡᲘ ᲘᲛᲘᲡ,
ᲠᲝᲛ ᲣᲛᲖᲔᲠᲓᲔᲡ ᲛᲔᲤᲔᲡ ᲗᲕᲐᲚᲨᲘ.
ᲛᲮᲝᲚᲝᲗ ᲔᲠᲗᲘ ᲪᲣᲓᲘ ᲠᲐᲛ ᲡᲭᲘᲠᲗ:
ᲖᲝᲒᲘᲔᲠᲗᲐ ᲛᲝᲬᲕᲔᲣᲚᲔᲑᲡ
ᲨᲐᲠᲡ ᲣᲓᲔᲑᲔᲜ ᲞᲝᲚᲘᲪᲘᲣᲠᲡ,
ᲛᲘᲙᲘᲑ-ᲛᲝᲙᲘᲑ-ᲛᲝᲮᲕᲔᲣᲚᲔᲑᲡ.
ᲛᲐᲒᲐᲚᲘᲗᲐᲗ ᲔᲡ-ᲓᲔᲙᲡ ᲣᲗᲮᲠᲔᲡ:
„ᲨᲔᲜ ᲮᲐᲠ ᲛᲔᲤᲘᲡ ᲛᲝᲚᲐᲚᲐᲢᲔ
ᲓᲐ ᲐᲛᲘᲢᲝᲛ ᲐᲠᲐ ᲦᲘᲠᲡ ᲮᲐᲠ,
ᲓᲔᲞᲣᲢᲐᲢᲐᲗ ᲨᲔᲜ ᲠᲝᲛ ᲒᲐᲮᲓᲔ“.
ᲞᲠᲝᲒᲠᲔᲡᲘᲡᲢᲔᲑᲡ ᲛᲘᲐᲫᲐᲮᲔᲡ:
„ᲗᲥᲕᲔᲜ ᲑᲫᲐᲜᲓᲔᲑᲘᲗ ᲓᲔᲛᲝᲙᲠᲐᲢᲘ,
ᲗᲣᲛᲪ ᲒᲐᲨᲕᲔᲜᲔᲑᲗ ᲩᲘᲜ-ᲝᲠᲓᲜᲔᲑᲘ,
ᲖᲝᲒᲘᲪᲐ ᲮᲐᲠᲗ ᲐᲓᲕᲝᲙᲐᲢᲘ.
ᲛᲮᲝᲚᲝᲗ ᲩᲕᲔᲜ ᲕᲪᲜᲝᲑᲗ ᲛᲔᲤᲘᲡ
ᲔᲠᲗᲒᲣᲚᲗ,
ᲭᲔᲨᲛᲐᲠᲘᲢ ᲠᲣᲡᲗ, ᲮᲣᲚᲘᲒᲐᲜᲔᲑᲡ,
ᲓᲐ ᲘᲛᲐᲗᲡᲐ ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲝᲑᲐᲡ
ᲗᲕᲘᲗ ᲙᲐᲜᲝᲜᲘᲪ ᲙᲘ ᲒᲕᲘᲑᲠᲫᲐᲜᲔᲑᲡ“.

II

ᲕᲔᲠᲘᲡ ᲓᲐᲦᲛᲐᲠᲗᲘᲡ ᲠᲝᲛ ᲩᲐᲡᲪᲓᲔᲑᲘ
ᲓᲐ ᲒᲐᲘᲕᲚᲘ ᲮᲘᲓᲘᲡ ᲧᲣᲠᲔᲡ,
ᲘᲥ ᲡᲐᲮᲚᲘᲐ ᲐᲦᲛᲐᲠᲗᲣᲚᲘ,
ᲛᲐᲠᲪᲮᲜᲘᲕ ᲛᲢᲙᲕᲐᲠᲡᲐ ᲒᲐᲓᲐᲧᲣᲠᲔᲑᲡ.
ᲘᲡ ᲐᲐᲒᲝ ᲖᲣᲑᲐᲚᲝᲕᲛᲐ,
ᲣᲬᲝᲓᲔᲑᲔᲜ ᲡᲐᲮᲐᲚᲮᲝ ᲡᲐᲮᲚᲡ;
ᲓᲐ ᲐᲛ ᲡᲐᲮᲚᲡᲐ ᲨᲔᲛᲝᲠᲢᲧᲛᲘᲐᲜ
ᲮᲣᲚᲘᲒᲜᲔᲑᲘ ᲑᲣᲖᲘᲕᲘᲗ ᲒᲐᲠᲡ.
ᲑᲚᲝᲛᲐᲗ ᲐᲠᲘᲡ ᲞᲝᲚᲘᲪᲘᲐ,
ᲛᲪᲕᲔᲚᲘ ᲬᲔᲡᲘᲔᲠᲔᲑᲘᲡᲐ,
ᲒᲝᲠᲝᲓᲝᲕᲜᲘ, ᲓᲕᲝᲠᲜᲘᲙᲔᲑᲘ —
ᲫᲔᲜᲘ ᲑᲘᲬᲘᲔᲠᲔᲑᲘᲡᲐ.
ᲖᲝᲒᲡ ᲣᲭᲘᲠᲐᲕᲡ ᲓᲘᲓᲘ ᲙᲔᲢᲘ
ᲓᲐ ᲖᲝᲒᲡ ᲗᲝᲗᲘ ᲮᲘᲨᲢᲘᲐᲜᲘ,
ᲖᲝᲒᲘ ᲐᲠᲧᲘᲗ ᲒᲐᲚᲔᲨᲘᲚᲐ
ᲓᲐ ᲒᲐᲭᲙᲘᲕᲘᲡ ᲮᲠᲘᲜᲬᲘᲐᲜᲘ:
„ᲑᲐᲢᲝᲜᲔᲑᲝ, ᲮᲛᲐ ᲛᲘᲔᲪᲘᲗ
ᲭᲔᲨᲛᲐᲠᲘᲢ ᲠᲣᲡᲗ, ᲮᲣᲚᲘᲒᲐᲜᲔᲑᲡ,
ᲘᲛᲐᲗ ᲓᲐᲪᲕᲐ-ᲛᲤᲐᲠᲕᲔᲚᲝᲑᲐᲡ
ᲗᲕᲘᲗ ᲙᲐᲜᲝᲜᲘᲪ ᲙᲘ ᲒᲕᲐᲕᲐᲚᲔᲑᲡ!“
ᲘᲡᲛᲘᲡ ᲙᲘᲟᲘᲜ-ᲟᲠᲘᲐᲛᲣᲚᲘ,
ᲡᲣᲚ ᲡᲮᲕᲐ-ᲓᲐ-ᲡᲮᲕᲐ ᲡᲘᲛᲦᲔᲠᲔᲑᲘ,
ᲔᲢᲧᲝᲑᲐᲗ, ᲠᲝᲛ ᲛᲐᲗᲙᲔᲜ ᲐᲠᲘᲡ
ᲒᲐᲛᲐᲠᲯᲕᲔᲑᲘᲡ ᲘᲛᲔᲓᲔᲑᲘ.

III

ᲨᲣᲐᲓᲦᲔᲐ. ᲛᲐᲦᲚᲐ ᲡᲔᲠᲖᲔ
ᲖᲐᲠᲑᲐᲖᲐᲜᲛᲐᲪ ᲘᲒᲠᲘᲐᲚᲐ,
ᲗᲐᲕᲛᲯᲓᲝᲛᲐᲠᲔ ᲙᲠᲔᲑᲐᲡᲐ ᲮᲡᲜᲘᲡ
ᲓᲐ ᲘᲕᲡᲔᲑᲐ ᲓᲘᲓᲘ ᲖᲐᲚᲐ.
ᲙᲐᲠᲔᲑᲨᲘ ᲓᲒᲐᲡ ᲓᲕᲝᲠᲜᲘᲙᲗ ᲠᲐᲖᲛᲘ,
ᲞᲝᲚᲘᲪᲘᲐ ᲮᲔᲚᲛᲫᲦᲕᲐᲜᲔᲚᲝᲑᲡ,
ᲠᲝᲛ ᲐᲠᲐᲕᲘᲜ ᲐᲠ ᲒᲐᲑᲔᲓᲝᲡ,
ᲐᲥ ᲮᲛᲐ ᲛᲐᲦᲚᲐ ᲩᲐᲐᲮᲕᲔᲚᲝᲡ.
ᲛᲐᲒᲠᲐᲛ ᲐᲛᲐᲡ ᲕᲘᲜ ᲓᲐᲒᲘᲓᲔᲕᲡ,
ᲛᲔᲯᲚᲘᲡᲘ ᲐᲥᲕᲡ ᲮᲣᲚᲘᲒᲐᲜᲔᲑᲡ
ᲓᲐ ᲛᲐᲗ ᲮᲔᲚ-ᲨᲔᲣᲮᲔᲑᲚᲝᲑᲐᲡ
ᲙᲐᲜᲝᲜᲘᲪ ᲙᲘ ᲛᲢᲙᲘᲪᲔᲗ ᲑᲠᲫᲐᲜᲔᲑᲡ.
ᲐᲥ ᲠᲝᲛ ᲔᲠᲗᲘ ᲐᲠᲐᲧᲡᲐ ᲮᲡᲜᲘᲡ,
ᲘᲥ ᲛᲔᲝᲠᲔ ᲔᲪᲘᲚᲔᲑᲐ
ᲓᲐ ᲛᲔᲡᲐᲛᲔᲡ ᲡᲘᲛᲗᲕᲠᲐᲚᲘᲡᲒᲐᲜ
ᲨᲘᲒ ᲖᲐᲚᲐᲨᲘ ᲔᲫᲘᲜᲔᲑᲐ.
ᲒᲐᲠᲔᲗ ᲘᲡᲛᲘᲡ ᲮᲛᲐᲣᲠᲝᲑᲐ,
ᲙᲝᲜᲓᲐᲮᲔᲑᲘᲡ ᲗᲮᲚᲐᲨᲐ-ᲗᲮᲚᲣᲨᲘ,
ᲠᲝᲚᲔᲢᲐᲠᲘᲡ ᲙᲕᲜᲔᲡᲐ-ᲝᲮᲕᲠᲐ,
ᲕᲐᲘ, ᲕᲣᲘ, ᲕᲘᲨᲘ, ᲣᲨᲘ...
ᲖᲣᲠᲒᲨᲘ ᲣᲠᲩᲧᲛᲔᲜ ᲗᲝᲤᲘᲡ ᲙᲝᲜᲓᲐᲮᲡ:
„Вонъ, мерзавецъ, крамольник“Ო
ᲓᲐ ᲐᲛᲮᲐᲜᲐᲒᲡ ᲒᲐᲓᲐᲡᲫᲐᲮᲔᲑᲡ:
„А ты его коли штик“Ო.
ᲘᲥᲐᲪ ᲔᲠᲗᲘ ᲛᲗᲕᲠᲐᲚ ᲮᲣᲚᲘᲒᲐᲜᲡ
ᲮᲔᲚᲘᲗ ᲫᲐᲚᲐᲗ ᲛᲘᲐᲗᲠᲔᲕᲡᲐ,
ᲠᲝᲛ ᲔᲠᲗᲘ ᲮᲛᲐ ᲛᲘᲔᲛᲐᲢᲝᲗ,

გამარჯვება დარჩეთ დღესა.
მაგრამ ესეც ველარ შველის,
ხმები შეხვდათ თითქმის სწორი
და მესამე არჩევნებსა
დაუნიშნეს დღეის სწორი.

IV

აჰა, დადგა დღეისწორიც
კვლავ მოაწყდა ხალხი ყუთსა
და აქაც, ვით წასულ კვირას,
ვხედავთ საქმეს კვალად ცუდსა.
კვლავ გაიყო მათი ხმები
და ვერც ერთი ვერ გავიდა,
თუმც თარეში ხულიგანთა
ყველა საზღვარს გადავიდა.
და მესამეთ მოიწვიეს
ხულიგანთა დიდი ხროვა,
რა თქმა უნდა, ხულიგანი
თავის დროზე ყველა მოვა.

V

მოვიდენ და გაიმარჯვეს,
აირჩიეს ყველა თვისი...
საქმე მიდგა დეპუტატზე, –
ვინ გაუთება ამის ღირსი?

VI

კვირა დღეა. ხულიგნები
გარს ერტყმიან საბჭოს დარბაზს,
სიმთვრალისგან ბარბაცობენ,
მით მოგგვრიან ცოფსა და ბრაზს.
დულს, გადმოდის აქ რეჩები,
წყევლა-კრულვით ლანძღვით სავსე,
და ასეთი არჩევნები,
მკითხველო, შენ დააფასე.
რაღა ბევრი გავაგრძელო,
მეც მომწყინდა ამის წერა,
ხულიგნებმა არჩევნებში
თავის გული მოიჯერა.
ისმის ურა და კიჟინა,
გიმნი „მრავალ ჟამიერი“;
დღეს ეძლევა შვება-ლხენას
კავკასიის რუსის ერი-
„ვიბორშჩიკი“ მეტის-მეტი
სიხარულით ველარ დგება,
ტიმოშკინი დეპუტატიც
ხან დაჯდება, ხან ადგება.

შავროვი კი დემენტიევს
სიხარულით პირს ულოკავს,
გოროდცევი რეჩსა ამბობს
და ტიმოშკინს ჯვარით ლოცავს.
იქით ჩვენი ხულიგნები
თამაშობენ ტრეპაკასა,
რაღა უნდა კავკასიას?
რაღა უნდა რუსის ხალხსა?

მიმინო.

დეპეშები

(საკუთარი სააგენტოსაგან.)

ოზურგეთი. ნიკოკი და მამა დავითი მშვიდობით დაბრუნდენ თფილისიდან. მთელი ოზურგეთის ვაჭრები ნატანების ხიდთან მიეგებენ და პურ-მარილი მიართვეს. მამა დავითმა სამადლობელი პარაკლისი გადაიხადა სობოროში.

ქუთაისი. ქალ. ოზურგეთის „ვიბორშჩიკი“ ვ. ხუნდაძე ქუთაისის საგუბერნიო „ვიბორშჩიკთა“ კრებაზე არ იქნა არჩეული დუმის დეპუტატათ.

ქუთაისი. ნ. ნიკოლაძე და ი. მეუნარგია დამარცხდენ „ვიბორშჩიკთა“ საგუბერნიო კრებაზე. ფოთში დიდი მწუხარებაა.

ბათომი. დუმის დეპუტატათ ერთხმათ არჩეულ იქნა უგანათლებულესი გენერალი ჰრ. შერვაშიძე—უკიდურესი მემარცხენე.

ოზურგეთი. ოზურგეთის ვაჭრები დეპუტაციას აგზანვნიან ნამესტნიკთან და თხოვენ ბ. ერმოლოვის თავის ადგილზე აღდგენას. ვ. ხუნდაძემ პროტესტი გამოუცხადა ვაჭრებს მათი ასეთი ხულიგანური განძრახვის წინააღმდეგ.

ახალი ამბავი

12 ოკტომბერს რუსთა კურიის ამომრჩევლებმა გამართეს სადღესასწაულო სადილი. ტოლუმბაშათ ერთხმათ აირჩიეს მ. გოროდცევი. ხულიგანთა ორკესტრი „გარმოშკას“ უკ-

რავდა. ამომრჩევლებმა სათითაოთ „ტრეპაკა“ ჩამოუარეს. ღვინის მაგივრათ მოსკოვიდან გამოწერილ „მონოპოლკასა“ და სიტოვის არაყსა სვამდენ. თვითეული სადღეგრძელო დედის გონებით თავდებოდა. თავისი ბრწყინვალე გამარჯვება კრუშევანსა და პურიშკევიჩს დეპეშით აცნობეს. როცა ერთმანეთს ველარ ცნობდენ, გრინგმუტის ხსოვნას სიმთვრალისაგან პირქვე წაქცევით პატივი სცეს. სადილი „ვეჩნაია პამიატით“ დასრულდა.

—

14 ოკტომბერს. რუსის ნაციონალისტებმა და პატრიოტებმა, რომელთა საზოგადო სახელი ხულიგნებია, შეკრეს ბლოკი და საერთო ძალით გაიყვანეს დუმის დეპუტატათ პრიკაშჩიკი „ტიმოშკა“—კაცი ფრიად უვიცი და გაუნათლებელი. გოროდცევი და შავროვი გააშავეს.

—

15 ოკტომბერს „ისარის“ რედაქციაში შავი ბაირაღი გამოკიდეს და თანაშრომლებმა მკლავზე შავი ლენტები დაიკერეს ნიშნათ იმ მწუხარებისა, რომ მესამე სათათბიროშიაც ჩვენი ქვეყნიდან სოციალდემოკრატები გავიდენ და საქართველოს ერი გადაგვარების გზას დაადგა.

—

ხულიგნების გაზეთ „გოლოს კავკაზას“ პეტერბურგიდან დეპეშით ატყობიებენ, რომ ჩვენს დეპუტატს გზაზე არაყი არ გამოატანოთ, ვაგონებში სკანდალი რომ არ მოახთინოს და თავისი პიროვნება ხელშესახებლათ არ გახადოსო.

—

ქუთაისიდან გვწერენ, რომ ქუთაისის თავად-აზნაურობამ და ბურჟუაზიამ სამი დღით მარხვა და გლოვა გამოაცხადა ნიშნათ იმ მწუხარებისა, რომელიც მათ ს. დ. გეგეჭკორის დეპუტატათ არჩევით მიადგათ.

—

კუკიის სასაფლაოს მიდამოებში ერთი ალიაქოთი ატეხილა: განსვენებულ გუგუშვილსა და ლოლაძეს ბევრი „კრამოლნიკი“ ამოუჩენიათ საფლავებში. როგორც „გოლოს კავკაზა“ გადმოგვცემს, ამათ შავი რაზმის შედგენა მოუწადინებიათ „კრამოლნიკების“ საფლავიდან ამოსაყრელათ.

—

ალექსანდროპოლიდან გვწერენ, რომ რადგანაც მესამე სათათბიროს „ვიბორშჩიკების“ არჩევნებში არც მუშას და არც მოქალაქეს მონაწილეობა არ მიუღიათ და სულაც არ გამოცხადებულან არჩევნებზე. არჩევნების თავმჯდომარეს ქალაქის თავს ბ. ტიგრანოვს თავის თავი ამოურჩევია „ვიბორშჩიკათ“.

—

გამოჩენილი „პოეტი“ ევგენი დვალი, პასუხის გებაშია მიცემული საგიუეთის უსტავის მეხუთე მუხლის ძალით; ბრალს სდებენ „ეკალის“ სამი ნომრის დახევისათვის. ბრალდებულს დაიცავს რაჯა ლეჩხუმ-სვანეთის ცრუ ვექილი პროკლამაცაძე.

ᲥᲜᲘᲐᲣᲜᲘᲡ ᲤᲘᲥᲠᲔᲑᲘ

—

Мама! Мама! გინცვლე,
ჩემი ვსკა თუ მოვიდეს,
„Устала“-ოქვა, აგრე უთხარ,
ეცადე, რომ არ მოწყინდეს.
მე კი ახლა დავიძინებ,
ოორემ ისე დავიღალე,
ტოტა თუ არ მოვისვენე,
ვერც კი „ეიკატვენ“ სვალე.
სწორეთ მშვენიერებაა
Реакція სულ დანდალან
თორეს ამა სად ვიგლიდი,
ასეთ დამაზ „კვალერებიან“.
ავიტრეა, რომელი შიშით,
ვერ ჩნდებიან რაზმელები,
მოწიწებით ქედს მიხრიან,
ყარდ-კოკობის მნახველები.
ერთმა ტურფა „კვალერმა“,
ალბომშიც კი ჩამიწერა:
„მე მრისხანეს მტერთან ომში,
თქვენ დამმართეთ გულის ძკერა“...
ერთსაც აგერ ტხენი მოყავს,
„Погуляемъ часикъ два“-ო,
Отказаться не прилично,
„მერსი დუშკა“—უნდა ვოქვაო.

„Красавица, княжна, душка“—
სხვაფერ მე არ მასენებენ,
ერომანეთის ეცოლებიან,
ერთ წუთს ადარ მასვენებენ!
Боже мой! რა კარგია,
სულ რომ აგრე იქნებოდეს!..
კოლკა, ვასკა, სერიოჟა,
ოზურგეთში დარჩებოდეს...
Мама, щипцы гахурэ,
რა ვქნა, ადარ მეძინება!..
სცა არის, ვასკაც მოვა
და უჩემოთ მოწყინდება.

ჯინჭარი.

რუსთა კურიის ამრჩევლებს პოლიცია იფარავს გარეშე გავლენისაგან.

პროვინცია

სოფ. წევა (შორაპნის მაზრა). თქვენს მტერს ის დღე, რაც ჩვენებურმა ვექილ მა ალფეზამ ჩვენ დღე დაგვაყენა!.. დილიდან საღამომდის სოფელში ცოფიან ძაღლივით დარბის და, თუ კი სადმე ყური მოკრა, რომ ესა და ეს კაცი განმათავისუფლებელ მოძრაობაში მონაწილეობას იღებდაო, მაშინვე „ნაჩალნიკს“ დააბეზღეს და საბრალო უდანაშაულო პირს ან ციხეში და ან არხანგელსკში უკრავს თავს. ერთი სიტყვით, წევის გენერალ-გუბერნატორათ დღეს ალფეზა ბძანდება და ვაი იმისი ბრალი, ვისაც ის დააბეზღებს. საკვირველი ის არის, რომ პირველ მოძრაობის დროს, იმასაც დაუწვეს სახლი. ახლა, როგორც ეტყობა, ახალი სახლის აშენებას ხალხის ზურგზე ფიქრობს, მაგრამ დასცალდება თუ არა, ეს ალლახმა იცის.

—

არა ნაკლებს ნიკს იჩენს ჩვენი სოფლის ფრიად განვითარებული დ ფილოსოფოსი „უჩიტელი“ ბესო. თავის შეგირდებს ისე შეაყვარა თავი, რომ ბავშები დილიდან საღამომდე ხლბარ სცილდებიან სკოლის ეზოს, რა არის, სახლში არ

წავიდენ და საქმე არა გააკეთონ რა. თვითონ „უჩ-ტელი“ ბესო კი დილის 8 საათიდან ნაშვადღევის ორ საათამდე „ოტპუსკით“ სარგებლობს და უპატრონოთ დარჩენილი ბავშებს თამაშობას აჩვევს

მანდ—ვარ.

ქ. ალექსანდროპოლი. აქ დაარსდა ახალი პარტია, რომელიც წერილებით ფულებს აგროვებს. ამას წინეთ ვინმე მდიდარ ბაღდასაროს წერილი მიწერეს, რომლითაც 50 ათას მანეთსა თხოვდენ და ხუთი დღის ვადას აძლევდენ, მაგრამ იმედი გაუცრუვდათ და ფული ვერ მიიღეს. ამით გაბრაზებულმა პარტიამ მეექვსე დღეს სხვა ზომას მიმართა. როცა ბაღდასაროვმა დუქანი დაკეტა და სახლში მიდიოდა, წამოეწია მასთ თხი შეიარაღებული კაცი, რომლებმაც უბრძანეს ხმა არ ამოეღო, ჩასვეს ფაეტონში და სადაც გააქანეს. აქეთ ეცენ, იქით ეცენ პატრონები, მაგრამ ჩვენი აკოფას კვალიც კი ველარსად ნახეს. მერვე დღეს, როგორც იყო, აღმოჩნდა ბაღდასაროვი. მის გათავისუფლებაში იმ 50 ათას მანეთს ითხოვდენ, რომელიც წინათ ქონდათ მოთხოვილი. მეტი გზა არ იყო, გადიხადეს ეს ფული და ბაღდასაროვი მეთორმეტე დღეს გაათავისუფლეს, მაგრამ ვაი ამ გათავისუფლებას! საწყალი აკოფა ველარც კი იცნეს, ისე გამხთარიყო. შეიქნა გამოძიება და დაატყვევეს წვრილი კრედიტის ბანკის დირექტორი **ვაგან ჯალალოვი,** რომელსაც 20,000 მანეთი აღმოაჩნდა; ამასთანავე დაატყვევეს კიდევ სხვა 3 კაცი, რომელთაც აღმოაჩნდათ სია, სადაც მდიდრების გვარები ეწერა და შესაგროვებელი ფულების ჯამი 3 მილიონ მანეთს უდრიდა, მაგრამ ვერ იგემეს, რადგან საიდუმლო ადრე გამოუმჟღავნდათ და ადრევე მახეში გაებენ.

რაჭველი მირონა

სოფ ფხვენისი (გორ ს მაზრა). რა არის ისეთი უბედურება, რომ ჩვენს სოფელს არ ენახოს და არ გამოეცადოს!.. ეგზეკუცია, უზომო და უსამართლო ხარჯების გადახდა, ადგილობრივი მამასახლისის ბატონობა და რეპრესიები,—ყველაფერი ეს ჩვენთვის ჩვეულებრივი მოვლენაა, მაგრამ რაც დღე ქრისტეს მიერ სულიერმა მამა ო. ქ—ძემ ჩვენ დაგვაყენა, ეს კი ყველაზე მეტი და საგრძნობელია. ამ ღიპიან სულის წამწყმედს ჯვრის მაგივრათ აუღია ხელში დაგლეჯილი ურული მათრახი და მისი შემწეობით გაბედულათ ღაღადებს: „შვილნო ჩემნო! მეყო მე თქვენი ამდენი პატივის ცემა, შეხეთ ჩემს ფარჩის ანაფორას, როგორ ხუნი შეეპარა... აი, ვხედავ გარშემო, რომ თავად-აზნაურობამაც, პოლიციამაც თავიანთი საქმე კარგათ მოაწყეს, ძველებურათ შეუდგენ თავიანთ ბატონურ ცხოვრებას და ჩემი (ხელს დაიკრამს მუცელზე) გაბერილი, გაუმაძღარი მუცელი კი თანდათან ვიწროვდება; მე მეგონა, თქვენი ერთობის ძახილით ჩემს თქვენდამი სამსახურს ისრე რიგათ დააჯილდოვებდით, რომ დეპუტატათ მაინც ამოგირჩევდით სახემწიფო დუმაში, სადაც ჩემზე ნაკლენი იყვენ გაგზავნილნი და მე კი (წვერზე ხელის ჩამოსმით), რომელიც ღვთის სახეს ვატარებ, არავითარ პატივცემას არ ვპოვებ თქვენს შორის“.

ამ სიტყვების შემდეგ შეჯდა თავის სამფეხა ცხენზე და ინახულა ადგილობრივი მამასახლისი. მამასახლისი, რა თქმა უნდა, მაშინვე შეუდგა მღვდლის თხოვნის სისრულეში მოყვანას. ის ფიცხლავ გაემგზავრა სტრაჟნიკებისა და მღვდლის თანხლებით ფხვენისაკენ. იქ მისვლისთანავე შეუდგენ თავის საქმეს. თუ დღემდის კომლი აძლევდა კოდს, ახლა განურჩევლათ ათი ჩანახიდან ორ კოდამდე აკრიფეს. შეიქნა კიჟინა და ცემა-ტყეპა მათრახებით; ხალხმა აქეთ-იქით იწყო გაქცევა. მამასახლისი და მისი სტრაჟნიკები ტეხდენ კარებს და გამოქონდათ ხორბალი, რამდენიც კი სურდათ.

განსაკუთრებით გულ-საკლავი იყო ის სურათი, როდესაც კერძო ინტერესით მამა ო. ქ—ძემ მიიყვანა პოლიცია ერთ დანგრეულ სახლთან, სადაც ერთი მოხუცი, მხნე მამა თავის მშიერ წვრილ შვილებთან ერთათ გოდორას ჩხლართავდა; ხმის კანკალით დაქუდის მოხდით მიესალმა მიმხდურთ საბრალო, მაგრამ გაისმა მამასახლისის მრისხანე ხმა: „ჩქა-

რა, შე ქოფაკო, დრამა მღვდელს!“ შევარდენ სახლში, არწყეს ცხრა ჩანახი და მეათე, რომ არ ათავდა, კისერში წაკვრით მოატანიეს საწყალს ერთი ლობიოს ქოთანი, რომელშიაც ალაო (ცომი) ქონდა და ისიც წაიღეს.

როდესაც გული იჯერეს და აკრიფეს რაც უნდოდათ, ღვდელმა მამასახლისის პატივსაცემათ გამართა კარგი სადილი. აი, რა დღე დაგვაყენა ქრისტეს მაგიერმა, სულიერმა მამამ!.. მაგრამ, წყეველა და კრულვა, ზიზღი და ფურთხი არ გამოელევა ამ სულის მტერს მის მიერ აწიოკებული „სულიერი შვილებისგან“.

ᲩᲕᲠᲘᲢᲘ

ᲙᲕᲘᲠᲘᲓᲐᲜ-ᲙᲕᲘᲠᲐᲛᲓᲔ

რუსთა კურიის „ვიბორშჩიკების“ არჩევნები, სახელმწ. სათათბიროს დეპუტატების არჩევნები: თფილისში, ქუთაისში და ბათომში. „ეშმაკის“ ეშმაკობა

—

ეს კვირა სულ არჩევნების კვირაა და ჩვენც ამაზე ლაპარაკით უნდა შევაწყინოთ თავი ჩვენს მკითხველებს.

ამ თვის თერთმეტს მესამე ჯერ და უკანასკნელათ იყო დანიშნული რუსთა კურიის „ვიბორშჩიკების“ არჩევნები არჩევნების საბოლოო შედეგი წინდაწინვე ცხადი იყო ყველასათვის. წინა არჩევნებზე „ჭეშმარიტი რუსები“ ორათ იყვენ გაყოფილი და ცალ-ცალკე მოქმედებდენ, მარა ეს ისე მხოლოთ დროებითი ცულლუტობა და თვალთ-მაქცობა იყო. როცა დადგა განკითხვის უკანასკნელი დღე,— თვალთ-მაქცობამ ადგილი დაუთმო „ჭეშმარიტ პატრიოტობას“. „ძმა ძმისთვისო, ამ დღისთვისო“—დასძახეს და ყველა ჯურის ხულიგნები შეეწებენ, შეესისხლხორცენ ერთმანეთს, ვითარცა ღვიძლი ძმები. გაიხსნა კრება, დაიდგა ყუთები როგორც ხულიგნების კანდიდატების, ისე მათი მოწინააღმდეგებისაც და გაიმართა კენჭობა. მიაწვა ყუთებს ხალხი და რიჩხინ-რაჩხინი მიაცემია შავ კენჭებს „კრამოლნიკების“ ყუთებში. გათავდა კენჭობია, დათვალეს კენჭები, მარა, ვაი, ამისთანა დათვლას!.. სულ ყორანსავით გაეყურყუმალებიათ იმ ოჯახ-დაქცეულებს აი პატიოსანი კანდიდატები და თოვლივით გაეპინტილებიათ თავისი ძმა ბიჭები ხულიგნები. გამოცხადდა თუ არა ხულიგნების გამარჯვება,—შეიქნა ერთი ვარახელაი და ვაი-უშველებელი, ტრიალ-ბზიალი, „ურას“ ყვირილი, მილოც-მოცვა, ტლაშა-ტლუშ-... ხულიგანთა ბელადი შავროვი ტაბურეტზე ადის და „რეჩს“ ამბობს, მამა მღვდელი, ქვეყნის მტერი, გოროდცევი ჯვარით ხელში ლოცვა-კურთხევას უძღვნის ახალ არჩეულებს... აგერ ბუქნას უვლიან, ეგერ „ტრეპაკას“ ცეკვავენ; აგერ სიტოვის არაყს ეწაფებიან, ეგერ სარაჯოვისას ქლუშავენ; აგერ კუთხეში გორავენ, ეგერ საბრალოთ ფორთხავენ და... და დედას იგინებიან. მერე რა? ცუდია ამაში რამე თუ? სულაც არა. სიმთვრალეს სიფხიზლე მოსდევს და ერთ გამარჯვებას მეორე.

—

და აკი გაიმარჯვეს ხულიგნებმა მეორე ჯერაც. და ეს გამარჯვება ხომ სახუმრო საქმე არ არის!.. 14 ამ თვეს რუსთა კურიის ამიერ-კავკასიის „ვიბორშჩიკებმა“ აირჩიეს სახელმწ. სათათბიროს დეპუტატათ ვინცხა ბრიყვი ხულიგანი - პრიკაშჩიკი **ტიმოშკინი.** აღნიშნულ რიცხვს 12 საათიდან გაიმართა კენჭებით ბრძოლა. ხულიგნებმა მიიტანეს მოწინააღმდეგეებზე მედგარი იერიში, მარა სასწორი არც ერთ მხარეს არ გადიხარა. შემდეგ საღამოს 6 საათზე მიუხდენ ხულიგნები მოწინააღმჯეგეებს, მარა ამაოთ; უკანასკნელათ კიდევ მიიტანეს თავგანწირული იერიში და ახლა კი გარეკეს მოწინააღმდეგეები მათი ციხე-სიმაგრეებიდან. ასე ცოდვილობით მოიგეს ხულიგნებმა ბრძოლა რაცხა ერთი-ორი ხმის უმრავლესობით და ცოტა დაუკლდათ, ტყავიც კინალამ შეატიეს ზედ!.. ამისთანა გამარჯვება კი დამარცხების სწორია, რადგან, როგორც ნათქვამია: „რა არის იგი სინათლე, რომელსაც ახლავს ბნელია“-ო. და ეს იმ დროს, როცა მთავრობა და კანონი ხელს უწყობს ბნელი ძალების ბატონობასა და გამარჯვებას! ამ გამარჯვების დამარცხება ისაა, რომ ამიერიდან ქვეყანამ გაიგო, თუ რამდენათ სუსტი ყოფილა თავის თავათ ჩვენ ქვეყანაში რუს ხულიგანთა ბნელი სამეფო. ამნაირათ, ხულიგნებს

ერგოთ დამარცხებული გამარჯვება.

—

და ამავე დროს აღგილობრივ მკვიდრთ კი—ბრწყინვალე გამარჯვება. იმავე ღღეს, ამ თვის 14, თფილისის გუბერნიიდან და ქ. თფილისიდან აირჩიეს სათაობიროს დეპუტატათ სოც.-დემოკრატი **ნიკოლოზ (კარლო) ჩხეიძე.** სოც.-დემოკრატების წინააღმდეგ სამი ივნისის კანონმაც კი ვეღარ გაჭრა და სხვა მტრები აბა რაღას დააკლებდენ მათ!.. ხალხს რომ ეჭულება ძველი ზაკონ-კანონიც, მისი კადეტების პროგრამის, მათი ტაკტიკის, მათი მელა-კუდობის, მათი ფარისეველობის და მათი ცბიერების ქება-დიდება. აქო, აქო, აქო ისე, რომ სულ'ცაში ააფრინა!.. წამოდგა მის წინააღმდეგ აი ჩვენი კარლო ჩხეიძე, მარა რა წამოდგა!.. მიდგა აი წყნარი და ყუნჩი ალამიანი, იმ დაქებულ ადვოკატს და გაუსწორა და გაუსწორა, ჩააჩოქა და ჩაჩოქა, [სულ გააპუსტიაკა მისი ნათქვამი და ალაიაში გაარონია ის საბრალო! ახლა იმას არ იტყვი, მეორე ადვოკატმა, **ი. ჯაბადარმა,** რა სირცხვილი აჭამა



„ეშმაკს“ აკაკი თავზე ლაფს ასხამს.

წარმომადგენლებიც, იმათი შორეული მოკეთეებიც კი, ბურჟუაც, ფედერალიც, ავტონომისტიც, უბრალო დემოკრატიც და სხვა მათი ამყოლ-დამყოლნი, იქინეი ვითომ რაფერ გავიდოდა აი ჩვენი ადვოკატი **ანდრონიკაშვილი.** კაი მოგცეს ღმერთმა კაი ლამაზი მოლაპარაკე იგი ყოფილა, მარა ლაპარაკის მარტო სილამაზე რა გამოსადეგი!.. რავა, ქალი ხომ არაა, ტრფიალება რომ დავუწყო!.. ისე კი იმ ანდრონიკაშვილმა საშინლათ მოიჯაყა თავი. წამოდგა, შენ ხარ ჩემი ბატონი, და დაიწყო ამ პეტერბურგიდან ჩამოყვანილ სადეპუტატო კაცს! ფუი შენს კაცობასაც და შენს ადვოკატობასაც,— მიაძახა. მე რევოლიუციონერი მეგონე და შენ თურმე გლახა კადეტი ყოფილხარო!.. ამის გამგონე ამრჩევლებმა „შავი მაგასო!“— ერთხმათ შესძახეს და ხელათ გააყვავ-ყორნეს ეს ახალ ჩამოსული სტუმარი. მეწყინა, ღმერთმა იცის, მათი ამისთანა უზდელობა, მარა რა გაეწყობა, ყველაფერი მოსავალია.

—

და, რა თქმა უნდა, ისიც მოსავალია, ქუთაისშიაც რომ სათათბიროს დეპუტატათ სოციალდემოკრატი **გეგეჭკორი** აურჩევიათ, მარა ეს სამაგიეროთ საწყენი კი არაა. იქინაც ქე იყვენ, ბატონო, ისე ქვეშ-ქვეშ დაფაცურებული აი ჩვენი ფედერალისტები, რომ არამც-და-არამც სოც.-დემოკრატი არ გასულიყო და „უბრალო პროგრესისტი“ აერჩიათ ვინმე, მარა თფილისში თუ კი მოკაკვეს თითი ამ „სოციალისტებზა“, ქუთაისი ვითომ

მარა ბათომისა და სოხუმის ოლქების ამრჩევლების იმედი კი არ გაცრუებულა და კიდეც ასრულდა. იმისთანა დიდი კაცი ამ ჩვენს კავკასიაში სხვაგან არსად აურჩევიათ. აირჩიეს უბრწყინვალესი ღენერალი **პროკოფი შერვაშიძე**. მერე და ამას ბედნიერება ჯობია? მეფის ჩამომავლობის ღენერალი წავა პეტერბურგში მეფესთან, დაბძანდება დუმაში და ურჩევს: ეს ასე ჯობია, ის ასეო; ეს ასე ვქნათ, ის ისეო... ამისთანა დიდი კაცის სიტყვას,

„ᲔᲨᲛᲐᲙᲘ“ ᲐᲛᲐᲗᲠᲐᲮᲔᲑᲡ ᲑᲔᲨᲢᲘᲐ.

გარისხული „ეშმაკი“
გვიეეფს, როგორც ვინია;
ჩვენ დაგვტინის, მარა თვით
უფრო დასტინია.

მისი გულის ტკივილი
მსოლოთ ორი გროშია,
მისი კურსი დაეცა
და მიტომ ეეფს გოშია.

რაღა ეგონათ? მე თუ მკითხავ, თფილისის იმედი არ მქონდა, თვარა ქუთაისის ღუბერნიაში სოც.-დემოკრატებს ვინ დაუდგება წინ!.. ტყუილათ შეაწუხეს აი ჩვენი ნიკოლაძე, „ვიბორშჩიკათ“ რომ აირჩიეს, რა არის, დეპუტატობა შეხვდებაო. ასე გცრუვდა მათი იმედი...

—

თქვენც მიხვდებით, მთავრობა არ გააპუსტაკებს და ასე, ღვთისა და მისი წყალობით, ქე აშენდება აი ჩვენი გადაბუკული ქვეყანა. მოთხოვნით, ვეკო, კი მოითხოვს, რაც საჭიროა, მარა ცოტა იმის შიში კი მაქვს, ვაი თუ ნამეტანი გადააჭარბოს და ზედმეტი მოითხოვოს-მეთქი. მართალია, მე არ ვიცნობ თ-დ შერვაშიძეს, მარა

თურმე დიდი მოწინავე კაცი ყოფილა!.. თითქმის მთავრობას „პოდნაზორს“ ქვეშ ყოლია. ამდენ ხანს, მარა ახლა, რა უშავს, ქე მოხსნიან.

—

და „ეშმაკმაც ქე მოხსნა თავი მის საზანდრულ გუდას და ააპრიჭინა მცხოვანი მგოსნის აკაკის სალანძღავათ!.. ნეტა რას ემართლება ეს ნაცარ-ქექია ამ ბუმბერაზს? მარა ეს რა საკითხავია? ეშმაკი და მავნე სული იმის ეშმაკია, რომ ყველას წყეინებას ცთილობს, ყველას ეშმაკურ მახეს უგებს. ეშმაკი, მოგეხსენებათ, გარისხული და შეჩვენებული არსებაა და როგორც ასეთს, მას საღი ჭკუა-გონებაც აღარ აქვს... თავდაპირველათ ცასა და ქვეყანაზე მონავარდეს ალბა მარტო ცოდვილი ღედამიწა აქვს საცხოვრებლათ მიჩენილი და ისიც იქით-აქეთ დაბორგავს ამ ვიწრო ფარგალში ხან ადამიანის სახით, ხან დიდ-ყურა ცხოველისა და ხანდახან ფინიათაც კი იქცევა. და აი, ჯადოსნურათ გაფინიავებული „ეშმაკი“ გამომხტარა და უყეფს და უყეფს ბ. აკაკის, მარა რა უნდა დააკლოს სახელოვან მგოსანს სასაცილო რიფმაჩმა? „ეშმაკს“ უსათუოთ სადმე ყური მოუკრავს, რომ ძველ წესწყობილებას და ძველი თაობის კაცებს ბრძოლა და გმობა უნდაო და ხელათ აუთვალწუნებია ბ. აკაკი. ცოტა მაიმუნურათ კი გაუგია განაგონი, თუ საწყენათ არ მიიღებს ამ შენიშვნას, მარა, რა გაეწყობა, „ეშმაკის“ მაიმუნობა რა გასაკვირალია. იმას რომ ესმოდეს, რომ ყველაფერი ძველი მოსასპობი და გადასაფურთხი არაა, რომ ძველი თაობის პირები ყველა მავნებელი და გასაკიცხი არ არიან, მაშინ ხომ ასეც არ გეიბახებდა თავს ბ. „ეშმაკი“!.. მერე გაბახება გაბახებას ქვია! გამომდგარა და რაღაც ძველი წიგნიდან უთავბოლოთ ამოუკრეფია, შენ ხარ ჩემი ბატონი, რაღაც-რაღაცეები, ვითომ, რა არის, აკაკის დავამცირებ საზოგადოების თვალში და მე მოღვაწის სახელს მოვიხვეჭო!.. ჩვენ მზათა ვართ გასაკიცხი გავკიცხოთ, ვინც უნდა იყოს ის—აკაკი თუ სხვა, ძველი თუ ახალი, მარა ახლა ერთი ვკითხოთ ბ. „ეშმაკს“, თუ რა ჩაიდინა აკაკიმ საიმისო? თუ არაფერი, მაშ რას ერჩის ამ მცხოვან მგოსანს, რომ ულირსათ ხატავს და იხსენიებს თავის სავარჯიშო ჟურნალში!.. მასალა თუ შემოაკლდა ამ ოჯახქორს, რაღა მაინცა და მაინც დახავსებულ წიგნს მიმართა, რომ იქიდან შეეკოწიწებია რაღაცა დასაბეჭდი! მართალია, კუჭის საკითხი ძნელი გადასაჭრელია; მარა რისთვის არ იცოდა, რომ აკაკი უადგილოთ შეწუხებისთვის ლაფს გადაასხამდა მას ეშმაკურ „პოეტურ“ გოგრაზე და თანაც შეეკითხებოდა:

„რას წკმუტუნებ, შე საბრალო მურია?
ხომ არ გშია და ან ხომ არ გწყურია?
შენი ყეფა მხოლოდ ერთი შურია,
ქუტი, ქუტი, სასაცილო მურია!“..

ლიუციფერ

ნიკოლოზ (კარლო) სიმონისძე ჩხეიძე

—

14 ოკტომბერს თფილისის გუბერნიიდან მესამე სახელმწიფო სათათბიროში დეპუტატათ აირჩიეს ნიკოლოზ სიმონის-ძე ჩხეიძე. ის ჩამომავლობით აზნაურია. დაიბადა შორაპნის მაზრის სოფ. ფუთში 1863 წ., სწავლა მიიღო ქუთაისის გიმნაზიაში, სადაც შინაურ გარემოებათა გამო სწავლას თავი დაანება და გამოვიდა მე-8 კლასიდან. შემდეგ ნ. ს. ჩხეიძე თავისუფალ მსმენელათ შევიდა ოდესის უნივერსიტეტში, სადაც მხოლოთ ერთ წელიწადს დარჩა; აქედან 1889 წ. გადავიდა ხარკოვის საბეითლო ინსტიტუტში, საიდანაც სტუდენტების არეულობის გამო იმავე წელს დაითხოვეს. ამას შემდეგ ნ. ჩ—ძე დაბრუნდა სამშობლოში და ხელი მიყო თვითგანათლებას. ის განსაკუთრებული გულმოდგინებით შეუდგა მარქსისტული მოძღვრების შესწავლას, რომელიც საფუძვლიანათ შეითვისა. შემდეგ ის გახთა ერთ-ერთ თვალ-საჩინო წევრათ ახალგაზდათა იმ ჯგუფისა, რომელსაც ჩვენში თავდაპირველათ „მესამე დასი“ დაერქვა, ხოლო შემდეგ-კი სოც.-დემოკრატიათ გარდაიქმნა. ნ. ჩხეიძე „მესამე დასის“ გამოცხადების დღიდანვე საკმაოთ ცხოველ მონაწილეობას იღებდა ქართულ მწერლობაში; უმთავრესათ ის წერდა გაზ. „კვალში“ სხვა-და-სხვა ფსევდონიმით, უფრო ხშირათ-კი „ქართველი მკითხვე-

ლის“ სახელით. ამ უკანასკნელი ფსევდონიმით მან დაწერა, სხვათა შორის, ცნობილი ბროშიურა „საუცხოვო ნიმუში ნ. ნიკოლაძის ლიტერატურულ მოღვაწეობისა“.

თავდაპირველათ ნ. ს. ჩხეიძე მსახურობდა 1890 წლებში ჩვენში მომუშავე ფილოქსერის პარტიაში ჯერ შორაპნის მაზრაში და ბოლოს ქალ. ბათომში. როცა ფილოქსერის პარტია გაუქმდა და უადგილოთ დარჩა, ნ. ს ჩხეიძე იძულებული იყო კერძო გაკვეთილებით ეცხოვრა. ბოლო დროს 1906 წლამდის ის იყო ბათომის სავათმყოფოს სამეურნეო ნაწილის გამგეთ და იმავ დროს ქალაქის საბჭოს ხმოსნათაც. ხმოსნათ აირჩიეს ის 1902 წელს; ამ თანამდებობაში დარჩა ოთხ წელიწადს და დაიმსახურა როგორც კარგი ორატორის, ისე საქმის კაცის ხახელი. 1906 წ. ნ—ს. ჩხეიძე იძულებული გახთა ადმინისტრაციის მიერ დევნის გამო ბათომს მოშორებოდა. ამას შემდეგ იმან მთელი თავისი მოქმეღება გადაიტანა სოც.-დემ. პარტიაში, სადაც ღღევანდლამდე განაგრძობს მოღვაწეობას და, სხვათა შორის, ხელმძღვანელობს სოც.-დემ. გაზეთს. ნ. ჩხეიძე ცნობილია, როგორც ენერგიული და მეტათ მუყაითი მუშაკი, რაშიაც მას ხელს უწყობს მისი საკმაოთ მდიდარი ცოდნა და გამოცთილება. ამასთან პარტია მას ცნობს თავის საუკეთესო ორატორათ, რის გამო არა ერთხელ წამოუყენებია ის პასუხ-საგებ სიტყვის წარმოსათქმელათ. ყოველივე ამას გარდა, ნ. ჩხეიძეს საკმაოთ აქვს ბევრი სხვა საპარლამენტო ღირსებაც: სიდინჯე, გამჭრიახობა და სხვა.

ᲑᲔᲜᲘᲐ ᲓᲐ ᲑᲔᲨᲢᲘᲐ

—

ᲑᲔᲜᲘᲐ. გაიმარჯვეს, ჩემო ბეშტია, გაიმარჯვეს...

ᲑᲔᲨᲢᲘᲐ. ხულიგნებმა? ამას მე წინდაწინ ვამბობდი.

ᲑᲔᲜᲘᲐ. შენ, ბეშტია ჩემო, „ვიბორშჩიკების“ არჩევნებზე წინასწარმეტყველობდი და ახლა დუმის დეპუტატიც კი აირჩიეს უკვე—ვილაცა მამალი ხულიგანი „პრიკაშჩიკი“ **ტიმოშკინი.**

ᲑᲔᲨᲢᲘᲐ. რა გვარიაო? **ტვინმოშლილიო?** კაი იმათ მოუვათ, კაი ვინმე აურჩევიათ!

ᲑᲔᲜᲘᲐ. ხა, ხა, ხა, ხა... ტვინმოშლილიო, თუ როგორ თქვი? კაცო, ტიმოშკინი როგორ ხელათ გადააკეთე ტვინმოშლილათ?!

ᲑᲔᲨᲢᲘᲐ. რა გვარიც უნდა იყოს, სულ ერთია, ცხადია, რომ ტვინმოშლილია, თვარა ვინცხა უსწავლელი „პრიკაშჩიკი“ რაფერ ბედავს სახელმწიფო დუმაში დეპუტატათ წასვლას! რავა გოროდცევი ვერ გაგზავნეს მაინც?

ᲑᲔᲜᲘᲐ. ტიმოშკინი გოროდცევზედაც უბნელესი ვინმეა და ბნელი ძალების წარმომადგენელიც ყველაზე უბნელესი რომ იყოს,—ამას სამართლიანობაც მოითხოვს.

ᲑᲔᲨᲢᲘᲐ. მერე რა? ერთი ბნელი ყველას ხომ ვერ დააბნელებს ჩვენი ქვეყნიდან არჩეულებს? მას მისთვის ეყოფა თავისი სიბნელე და თავს ლაფის დასხმა, თვარა აქედან სოციალ-დემოკრატებიც ქე არიან არჩეული, კადეტებიც და დაშნაკციუტუნებიც. მე შენ გეტყვი, „რეჩი“ არ თქვას დუმაში ვინცხა ტვინმოშლილია!.. დეეგდება სკამზე ბაიყუშივით, დაბლეცს პირს და იქნება ისე სათვალავში ჩასარიცხათ, თვარა უსწავლელი, უვიცი და ბრიყვი თუა, რა უნდა თქვას იმდენ ნასწავლ და განათლებულ ხალხში? და თუ გინდა თქვას რამე, ხელათ ბურთს ჩასჩრიან პირში ჩვენი სოციალ-დემოკრატები; მე შენ გეტყვი მიერიდებიან მისი და არ ჩააჩუმებენ თუ? უბრალო ხულიგანს კი არა, მათ უფროსებსაც კი არ ერიდებიან. რავა, შარშან მეორე დუმაში მინისტრ სტოლიპინს არ შეაფრინდა პირში აი ჩვენი წერეთელი და უთხრა—შენ ასეთი და ისეთი ხარო.

ᲑᲔᲜᲘᲐ. ფრთხილათ, ბეშტია, ფრთხილათ, თვარა, მამა მიცხონდება, მაგისთანა ლაპარაკისათვის ციხეში გიკრავენ თავს, იქიდან ციმბირში და იქიდან კიდევ, ვინ იცის სად.

ᲑᲔᲨᲢᲘᲐ. არა, ციხის შიშით მართალს არ დავმალავ, მარა ისე კი მომწყინდა ლაპარაკი სულ პოლუტიკაზე და სულ პოლუტიკაზე.

ᲑᲔᲜᲘᲐ. თუ მოგწყინდა და ახლა შინაურ საქმეზე ვილაპარაკოთ. ჩვენ დუმის საქმეებს

ვაწყობთ და აგერ ვიღაცა ბრიყვმა ჩვენი რედაქცია კინაღამ დაგვანგრია თავზე!..

ბეშტია. როგორ თუ დაგვანგრიაო! მაგას ვინ გაბედავდა?

ბენია. ვინა და ვიღაც მელექსე **ევგ. დვალი** შემოიჭრა რედაქციაში, როგორც ჯინჭველა ნაჭამი დათვი, ეცა გაზეთებს და მიფრიწ-მოფრიწა,—როგორ გაბედეთ, რომ არ მაქეთ, გენიოს მგოსნათ არ მომიხსენიეთ თქვენს გაზეთში და სასაცილოთაც კი ამიღეთო!..

ბეშტია. იიმე, რას მეუბნები?! ვაი დედასა, რომ იქინეი არ შევხთი, თვარა, შენ

ნუ მოუკვდები ჩემ თავს, ვიშპუნებდი ამ ჩემ ხანჯალს და კიტრივით გავაგდებიებდი, ვინცხაა იმ უბედურს, მის უტვინო თავს!

ბენია. ეეხ, ბეშტია, მაგისთანა გიჟი საგიჟეში უნდა იყოს, მაგრამ ჩანს, უპატრონო ყოფილა და მიტომ არის, რომ კახეთში გასაგზავნი **სამიოდე გაზეთი** დაგვიფრიწა.

ბეშტია. **სამიოდე გაზეთის** მეტი გაგზავნილი იყო კახეთში და ამ ნაბოლარზე გამოიჩინა თავისი რაინდობა ვინცხა დვალია თუ საზანდარი?

ბენია. არა, ბეშტია, კახეთში სულ არ მიდის გაზეთები არც ჩვენი და არც სხვა. ეს სამი ცალი გადადებული გვქონდა, რომ მუქთათ გაგვეგზავნა თელავის ინტელიგენციისათვის—შეიძლება კითხვას შეეჩვიოს და დაინტერესდესო...

ბეშტია. იიმე, იიმე, იიმე!.. ნუ მატყუილებ, თუ ძმობა გწამს!.. რავა, კახეთი ორი დიდი უეზდაა და სამი გაზეთიც არ მიდის!? არა, ამას მე ვერ დავიჯერებ... ან კი რა დასაჯერებელია!!..

ბენია. კახეთში არა და ქართლშიაც არ მიდის, ჩემო ბეშტია, ჟურნალ-გაზეთობა სულ ცოტას მეტი.

ბეშტია. რა ღმერთი გოუწყრათ, რა დაემართათ?! ჩვენში ნასწავლები კი არა, სოფლის ხალხიც ველარ ძლებს ახლა უგაზეთოთ. გურული და ქვეშ იმერელი, ბატონო, მჭადსა და ღომს კი შეელევა და უგაზეთობას კი ველარ მოითმენს, თქვენ ნუ მოუკვდები ჩემ თავს. ჩვენში გაზეთის კითხვის სურვილი ვერც ეგზეკუციამ შეაფერხა, ვერც გადასახადებმა, ვერც ცემა-ტყეპამ, ვერც დაჭერამ, ვერც ციხემ, ვერც ციმბირმა და ვერც კატორღამ. რაც დღე მიდის, სულ მეტსა და მეტს თხოულობენ გაზეთსაც და ჟურნალსაც.

უნდა ნახო, როგორ სიხარულის კიჟინას დასცემენ ახალგაზდები, როცა გაზეთები მიდის ქალაქებში და სოფლებში, როგორ იერიშით მიდიან მეგაზეთის დუქანში, როგორ ხელში აკლეჯენ ერთი მეორეს, როგორ ერთმანეთს ეცილებიან, ხელათ კითხულობენ... საყურებლათ მადლია სწორეთ, კაცს გულს გაუხარებს.

ბენია. ხო, მეც მინახავს იმერეთში ასეთი სურათი. საუცხოვო სანახავია სწორეთ! ჩვენში კი ხალხს ძინავს, ის მოდუნებულია, მას არაფერი აინტერესებს...

ბეშტია. რავა, აი რევოლიუციის ამბები მაინც არ ეინტერესებათ იმ ოჯახ-ქორებს! რამ მოუღო ასე ბოლო იმ საცოდავებს!..

ბენია. კახეთი, ჩემო ბეშტია, შახ-აბაზმა რომ ააოხრა, მას შემდეგ აღარ წამომდგარა ფეხზე!.. ხალხი დაბეჩავებული და ბნელით მოკულია... კახელი გლეხი ისე არ გავს გურულ გლეხს, როგორც მე ჩინეთის ბოღდიხანს.

ბეშტია. ცრემლი მდის მაგის კვმგონეს,
ჩემო ძმობილო ბენია!..
ვის ვუთხრა ჩვენი სიგლახე?
სასარცხოა და მტკივნია...

ბენია. ვაი და ვუი ამ ეოფნას,
ჩემო ძვირფასო ბეშტია!..
სპარსეთის კახელები გვჯობს,
თელავს სჯობია რეშტია... [1])

კუდაბზიკა.

წერილი ქუთაისის ციხიდან.

ორი წელიწადია მას შემდეგ, რაც ქუთაისის საგუბერნიო საპყრობილეს დუქანი ტუსაღების ხელში და მათ სრულ უფლებაში გადავიდა. ტუსაღები, განურჩევლათ ყველა კატეგორიისა და მიმართულებისა, ირჩევდენ თითო თვეობით სამ ნდობით აღჭურვილ პირს, რომლებიც თვის განმავლობაში აწარმოებენ დუქანს. საქონელი იყიდებოდა იმ ფასებში, როგორც გარეთ ბაზარში. თუ დუქანი რამეს მოიგებდა, და იგებდა კი-ეც, მონაგები ფულით შემწეობა ეძლეოდა ციხის საავათმყოფოში მყოფ მომაკვდავ და აგრეთვე უსახსროების გამო მშიერ-მწყურვალე და უპატრონო ტუსაღებს. ამნაირათ ეს დუქანი დიდ დახმარებას და სამსახურს უწევდა გაჭირვებულ და უსახსრო ხალხს. ამ საშვალებით რამდენიმე სიკვდილის კარამდე მისული ტუსაღი მობრუნებულა მარა ციხის ახალი ზედამხედველის წყალობით საქმე სხვაფრივ დატრიალდა და ეს მცირე წყაროც გამოეცალა ხელიდან ქუთაისის ტუსაღებს. ორი თვეა მას შემდეგ, რაც ახალი უფროსი აფშილავა მოევლინა ამ ციხეს. მან მოსვლის თანავე სასტიკი და შეუწყნარებელი დიკტატურა და რეპრესიები გაამეფა ციხეში. სხვა სიკეთეს გარდა, როზგიც კი შეამოიღო ტუსაღების დასასჯელათ. ერთ დღეს თავ-ს ხელით მიასიკვდილა ჯალათმა უფროსმა თავისივე კანტორაში ტუსაღი ცუცქირიძე. ამავე დროს მას მედგარი იერიში მიქონდა ტუსაღების დუქანზე და ცთილობდა ისეთი მიზეზის შეთხზვას, რომ ხელიდან გამოეგლიჯა დუქნის მართვა გამგეობა ტუსაღებისათვის. ის მუდამ მოურიდებლათ გაიძახოდა: დედას გიტირებთ, დუქანს დაგიკეტავთ და თქვენც თქვენივე საკნებში გამოგახრჩობთო. აბა ვინ იქნება ისეთი ორ-თავიანი ტუსაღი, მე რომ გამექცეს და გამეპაროსო ისე, როგორც ამას ქონებია ადგილი ჩემ მოადგილესთანო, ამაყათ იკვეხიდა აფშილავა. თქვენ რომ ფიქრობთ, ის მე ღამე სიზმრათ მადგიაო და სხვა. ახალგაზდა აფშილავა, მოულოდნელათ გაბედნიერებული, დაჩინტემლაკებული და თავიდან ფეხამდე შეიარაღებული ჩინოვნიკი ასეც უნდა მოქცეულიყო, ვინაიდან ის ოთხი თვის წინეთ უბრალო, ათ-მანეთიან მწერლათ იყო ამავე ციხეში. ამიტომაც ის ძლიერ მწვავეთ და მხეცურათ შეუდგა თავის სამსახურის ასრულებას. ცხრაასი ტუსაღის შევიწროება, მათი კვნესა-ტირილი მას კრიმანჭულათ ესმოდა. მიუხედავათ ასეთი სასტიკი რეპრესიებისა და სიფხიზლისა, ტუსაღებმა გააკეთეს მიწაში ხვრელი და 26 სეკტემბერს შეუმჩნეველათ გაძვრა ამ ხვრელით 37 მძიმე დამნაშავე ტუსაღი, უმეტესათ პოლიტიკურები. ხუთი კატორჟნიკები იმავე დღეს შეიპყრეს ციხის გარშემო, ხოლო 32 ტუსაღი კი უგზო-უკვლოთ მიი-

---

1) ქალაქია სპარსეთში.

მალა. ბრაზ-მორეული ზედამხედველი დაიბნა და წაღმა-უკუღმა დაიწყო ღრენა და კბენა და გაქცეულების ჯინი ჩვენზე ამოიყარა. ისეთი სასჯელი, რასაც ქუთაისის ციხეში მყოფი ტუსაღები განიცდიან 26 სეკტემბრის შემდეგ, წარმოუდგენელი და აუწერელია. ყველა ჩვენი გასაჭირის აწერა შორს წაგვიყვანს და ამიტომ მოკლეთ ჩამოვთვლით ზოგიერთებს.

რაც აფშილავა დაინიშნა ციხის უფროსათ, მას შემდეგ არ ვიცით, რა არის აბანო, დაბანა-დასუფთავება და სხვა. 26 სეკტემბრის შემდეგ სრულიად მოგვისპო ჩაი, შაქარი, ცხელი წყალი, თუთუნი, სეირნობა, ნათესავების და ნაცნობების ნახვა და სხვა, ჩამოგვართვა ტუსაღების დუქანი და არ ვიცით, თუ საით გააქროლა ჩვენი კუთვნილება დუქნის საქონელი, 300 მანეთამდე ღირებული. ასე, დუქანი ჩამოგვართვა ზედამხედველმა აფშილავამ და თვითონ გახნა ვილაც ხალხის ნაძირალა ხონელი გორდაძის ამხანაგობით. ამასთანავე გამოაცხადა ზედამხედველმა, რომ თუ რომელიმე ტუსაღი გაბედავს და დუქნის ძველებურათ დაბრუნებას მოითხოვს, ნაშინ ხელათ ავამუშავებ როზგებსო. მიუხედავათ იმისა, რომ ტუსაღების სიმრავლის გამო ერთის ალაგს დღეს ციხეში ოთხი კაცია ჩამწყვდეული და ჰაერი მოწამლულია, ამას ისიც ზედ ერთვის, რომ მთელი კვირაობით დგას საკნებში სიბინძურით სავსე „პარაშკები". ერთობ ჯოჯოხეთია დღეს ეს ციხე და აივსო მოთმინების ფიალაც!.. ასეთ ყოფნას ბევრათ ჯობია ცხელი ტყვიით დახოცვა...

ხუცუბნელი

ᲓᲔᲖᲔᲠᲢᲘᲠᲘ *)

(დასასრული)

ერთი წელიწადი უკვე გავიდა, რაც მე ჩემი მშობლები არ მინახავს და არც რამე გამიგია მათ შესახებ. არ ვიცი, ცოცხლები არიან თუ დაიხოცენ. ვინ მოთვლის, ამ ერთი წლის განმავლობაში თუ რამდენი ტანჯვა-ვაება გამოვცადე!.. ვიმალებოდი ამხანაგების შემწეობით ხან ტყეში, ხან მინდორში და ხან ქალაქებში. ბოლოს, ეს იყო, ამ ქალაქშიაც მოვედი, იმ იმედით რომ აქ უფრო თავისუფლათ ვიცხოვრებ-მეთქი, მაგრამ როგორც ხედავ, ყველა იმედები გამიცრუვდა. აქ ერთ ხანს ვიმალებოდი ერთ ღვინის სარდაფში ჩემი ამხანაგის ნაცნობთან, მაგრამ ბოლოს იმასაც შეეშინდა: ვაი თუ პოლიციამ გნახოს, შენი ვინაობა გაიგოს და შენ პირობაში მეც დამიჭირონ და გადამასახლონო. იძულებული ვიყავი, რომ მოვშორებოდი მას. იმ საათიდან ჩემი მდგომარეობა აუტანელი შეიქნა. სად უნდა წავსულიყავი? თითქმის ყველა ამხანაგებს თავი მოვაბეზრე. მოწყალების თხოვნა მე არ შემეძლო, რადგან ვიცოდი რომ ჩემისთანა ჯან-მთელსა და შეძლებულს არავინ მიაქცევდა ყურადღებას; მეც რიგორღაც მეთაკილებოდა სხვის ფეხქვეშ ჩავარდნა და მოწყალების თხოვნა. მიუხედავათ ყველა ამაებისა მე იმედს მაინც არ ვკარგავდი, სულით არ ვეცემოდი, რადგან ჩემ თავს ცოტათ თუ ბევრათ თავისუფლათ ვგრძნობდი. დღეს ეს უკანასკნელიც მომისპეს. დღეს ყაჩაღის სახელით მომნათლეს, თუმცა ყაჩაღობის არც ძალი და არც ღონე შემწევს. ამ სიტყვებზე მას გამხთარი, გაყვითლებული პირის სახე ცეცხლივით აენთო, თავი ჩაღუნა ღა თვალებიდან ცრემლები გადმოყარა. მე დამშვიდებით ვუგდებდი მას ყურს და თვითოეულ მის სიტყვას გულში ვიმარხავდი. მისმა ცრემლებმა ააშფოთა და ააღელვა მთელი ჩემი არსება.

— მითხარი, გეთაყვა, როგორ იყო საქმე! მოუთმენლათ შევეკითხე.

— დღეს შვადღის ხანს ბაზარში მივედი, დაიწყო მან, იმ მიზნით რომ ვინმე ნაცნობს შევხდები და პურის ფულს გამოვართმევ-მეთქი, ამიტომ დიდხანს ვიდექი თვალებ გაშტერებული ერთი ქუჩის კუთხეში და გამვლელ-გამოვლელებს ვათვალიერებდი, მაგრამ ჩემი ნაცნობი კი არავინ ჩანდა და გული მიღონდებოდა დიდი ხნის ლოდინით. ამ დროს იქვე ჩემს ახლოს მაღაზიაში შეცვივდენ რამოდენიმე შეიარაღებული კაცები. შეიქნა ყვირილი, ხალხი დაფრთხა და დაიფანტა. მეც გავიქეცი, მაგრამ დაშალეა ველარ მოვასწარი. თითქმის ყველა გოროდოვები და მეეზოვეები მე დამედევნენ, რადგან თავდაპირველათ მე დამინა-

*) იხილე „ეკალი" № 2.

ფასი ყველგან 10 კაპ.



№ 4 ეროვნულ-კვირეული ჟურნალი [illegible] წ.

ᲐᲒᲔᲜᲢᲔᲑᲘᲡ ᲡᲐᲧᲣᲠᲐᲓᲦᲔᲑᲝᲗ

ბ-ნ ᲐᲒᲔᲜᲢᲔᲑᲡ „ᲣᲙᲐᲚᲘᲡ“ რედაქცია თხოვს, რომ სვედრი ფულის გამოგზავნა ᲥᲐᲡᲘᲥᲐᲠᲝᲡ.

ფულები უნდა გამოიგზავნოს ᲨᲔᲛᲓᲔᲒᲘ ᲐᲓᲠᲔᲡᲘᲗ: Тифлисъ, типографія «Сорапань» Платону Гедевановичу Гачечиладзе

ᲛᲔᲡᲐᲛᲔ ᲓᲣᲛᲘᲡ ᲓᲔᲯᲣᲢᲐᲢᲘ.

ᲙᲐᲠᲚᲝ ᲩᲮᲔᲘᲫᲔ.

ᲛᲔᲡᲐᲛᲔ ᲓᲣᲛᲐ

(ხუმრობა ერთ მოქმედებათ)

მოქმედება წარმოებს თავრიდის სასახლეში.

პურიშკევიჩი

ᲣᲛᲔᲚᲓᲐᲡᲘ ᲐᲥ ᲕᲐᲠᲗ ᲡᲠᲣᲚᲓᲐ, ᲨᲒᲝᲜᲘᲐ,

დროა შევუდგეთ ახლა საქმესა
და ავირჩიოთ ჩვენ თავმჯდომარე,
წეს-რიგი რომ არ დაირღვესა.

უმრავლესობა

ᲣᲛᲔᲚᲓᲐᲡᲘ ᲗᲥᲕᲔᲜᲐ ᲒᲝᲮᲝᲕᲗ, ᲫᲕᲘᲠᲤᲐᲡ ᲐᲫᲚᲘᲔᲡᲘᲡ, ᲯᲐᲜᲐ ᲕᲘᲜᲐ ᲒᲐᲛᲔᲠᲩᲔᲡ ᲗᲥᲕᲔᲜᲡ. ᲣᲙᲔᲗᲔᲡᲘ!..

რა კი ამდენხანს ოქვენ გიშრომიათ,
ისდა მოიმკეთ თავის ნათესი.

პურიშკევიჩი

მე თანხმა ვარ, რომ სიმშობლოს
თავი შეეწირო და ვემსახურო
და მას, დატანჯულს და დამცირებულს,
გაშკაცის ქუდი თავს დავხურო.

უმრავლესობა

და გაუმარჯოს მებრძოლ ამსანაგს—
ამ ჩვენი დუშის ჩვენს თავმჯდომარეს,
თავდადებულსა მონარჩისთვის,
ეროვნის ტრემლებს ფრის მუდამ მდუღარეს!..

პურიშკევიჩი

მაშ, ჯერ ვამდერეთ მრავალ-ჟამიერ,
ვაქოთ, ვადიდოთ მისი სახელი,
რუსთა კვეშარი ვინც ააკანკალა,
სული ჩუდგა, მოუწყო ხელი.

უმრავლესობა (მღერის)

მრავალ-ჟამიერ სიცოცხლე მისი,
ვინც მოიგონა სამი ოვნისი,
მით დაგვიბრუნა ჩვენ ლუკმა ხირში,
თანაც გაგვხადა აქ მოსვლის ღირსი!..

კრუპენსკი

(სიმღერის შემდეგ. არეულათ)

ეს, თავმჯდომარეო, რა მოგახსენოთ,
მე დუბროვინი მაკლია თავალში!..
უმისოთ ეთაანეს ჩვენა ის გვიჯობს,
რომ გაძაცვინდეთ სულ უველა წყალში!..

პურიშკევიჩი (გაკვირვებით).

ამას რას ეურობს ჩემი ეურები!..
ნუ თუ დიდერი ჩვენი გაშავდა!!..
ღღეს დუბროვინი ბევრდა არ ბეიშვენებს,
მით სიარულიც ჩვენ ბაგვიმწარდა!..
ეგზომ სირცხვილი სატანტო ქალაქი!..
ვინ გაიშავეს? სამშობლოს მსხვილი?!
და მის მაგიერათ უნდა მოვიდეს
„ინოროდცების“ ვინმე დამცველი!!..

ეპისკ. ევლოღი (ბოდავს).

წმინდა რუსებო, ნუთუ არ ხედავთ,
რომ ეს სასაცილო სულ მოდათ ქანაობს?!.,
ქვეშ კი ტბა არის, სიისტის მორევი
და დუბროვინი შიგა ბანაობს:..

მემარცხენე

დიახ, ქანაობს, მაშ რა გეგონათ?
რომ იდგებოდა მაგრათ ის მუდამ?
ასდოა ის დრო, რომ ასრულდება,
რაც წაშორეშა ახლა იუდამ!..
თუ კი ზეიდან ცვიოდა ჭერი;
რომ გაესრისა, ვინც სიმართლე თქვა,
სამაგიერათ ახლა ქვეყვიდან
თავზარ-დაცემი ამოხეთქს რასაყა!..

პურიშკევიჩი (გაკვირვებული).

ეს მოდა-ლტე სიდან გახნდა!..
გაათრევეთ მალე, ამ წამში!..
გინა არ გახსოვთ, მე და კრუშევანი
როგორ კინწის კვრით გვაგდებდენ კარშა?!..

(მიუბრუნდება ტიმოშკინს)

ოხ, ტიმოშკინო, რა არის ეგა?!
ნუ თუ ამისი არც კი გრცხვენია?!
შენ არ ამბობდი: მოვსპეთ „კრამოლა“?
ეს ავაზაკი ხომ დაგრჩენია!

ტამოშკინი

(ძველი დავთარი უჭირავს ხელში,
მხარზე კეტი აქვს გადადებული,
შეშინებულსა შანიშვნის გამო
ენა კარში აქვს გამოგდებული)
მე... მე... ბატონო... ან კი რა მეოქმას!..
ნება მომეცეთ, რომ ახლა მაინც
გემო გავაცნო ამ ჩემი კეტის...

(თავმჯდომარე ნებას აძლევს, ტიმოშკინი მიგარდება შემარცხენეს, რომელიც სწრაფათ ფეხს გაშოკრავს ტიმოშკინს და იატაკზე გაშლა-ლრიავს).

მილიუკოვი

ეს უველაფერი იმის ბრალია,
რომ თქვენ არ გესმოთ რეალისტობა;
რეაქციონერია სულ გაქრებოდა,
თქვენ რომ იცოდეთ კადეტობა.

(სცენის უკანიდან ისმის ხალხის ხმა):
ნუ თუ არ გვეყო ტანჯვა აქამდი,
მო, გაყიდაშქროთ ერთათ მტრისაკენა...

(ისმის გრგვინვა და კიეინა. ფარდა ნელ-ნელ-ად ეშვება).

ჯინჭარი.

დეპეშები

პეტერბურგი. სულიერ შვილს დეპუტატ ტიმოშკინს. გიგზავნი ლოცვა-კურთხევასა ჩემსა და აღვავლენ ვედრებასა ჩემსა ცათამდი დღეგრძელობისათვის შენისა, რამეთუ იხსნა უფალმან გარდახვეწილნი მუნით ჰეშმარიტნი ქრისტეს მიერ ძმანი ჩვენნი განსაცდელთაგან კრამოლნიკთათა და აღგიყვანა შენ, უწარჩინებულესი მონა თვისი, დასაჯდომელსა მას დეპუტატისასა ბჭობად საქმეთა კეთილთა და ბოროტთა. **ეპისკ. ევლოღი.**

პეტერბურგი. დეპუტატ ტიმოშკინს. სალამი შენდა, ამხანაგო! ნუ დაიყოვნებ, გამოეშურე აქეთ. ჰეშმარიტ დეპუტატთა კერძო თათბირზე ერთხმათ წამოაყენეს შენი კანდიდატურა დუმის თავმჯდომარის ადგილზე. მესამე დუმა ჩვენია **პურიშკევიჩი.**

(საკუთარი კორესპონდენტისაგან).

პარიზი. ყველა გაზეთებმა გამოუშვეს დეპუტატათ არჩეული ტიმოშკინის ბიოგრაფია. იმედოვნებენ, რომ მესამე დუმა ასეთი განათლებული და გამოცთილი პირის ხელმძღვანელობით შეძლებს რუსეთის გასაჭირიდან გამოყვანასო.

პარიზი. აქაური კაპიტალისტები დარწმუნდენ, რომ რუსეთის მესამე დუმა წმინდა ხულიგანური იქნება. ამ იმედით ისინი ერთ მილიარდს კრედიტს უხსნიან რუ'ეთის ხაზინას რევოლიუციის ლიკვიდაციის მოსახდენათ.

ახალი ამბავი.

✦

როგორც ამბობენ, ჯოჯოხეთში ეშმაკებს განუძრახავთ იუმორისტული ჟურნალის „ტარტაროზის მათრახის“ გამოცემა და ხელმძღვანელათ აქედან მიუწვევიათ, რა თქმა უნდა დიდი ჯამაგირით, „ეშმაკის მათრახის“ ხელმძღვანელი ბ. „ეშმაკი“. ეს ამბავი დიდათ სამწუხაროა მთელი სამყაროს მკვიდრთათვის, რადგან გენიოსი „იუმორისტის“ მოშორება ერთობ დაეტყობა მსოფლიო იუმორისტულ ლიტერატურას.

✦ თფილისში ხმა გავრცელდა, რომ ის ზომიერები, უცნობნი, უკიდურესი მემარჯვენენი, მონარქისტები და მათი მიმდევარნი, რომელთაც პეტერბურგის დეპეშათა სააგენტო „ვიბორჩიკებათ“ აცხადებდა, ყველა უკიდურესი მემარცხენენი ყოფილან და მესამე სათათბიროს დღეებიც უკვე დათვლილი ყოფილა.

✦ როგორც „გოლოს კავკაზა“ გადმოგვცემს ხულიგნების დეპუტატს **ტიმოშკინს,** პეტერბურგში წასვლაზე უარი განუცხადებია, ვაი თუ იქ რაიმე „პრიკაშჩიკური“ წამომცთეს და სოციალ-დემოკრატ დეპუტატებივით მეც ციხეში მიკრან თავიო.

✦ ქუთაისიდან გვატყობიებენ, რომ იქაურ ბებია ქალს **მარია კობახიძეს** გაუხსნია ახალი კურსები, სადაც თურმე შეყვარებულთა თავიდან ასაცილებელ საშვალებას ასწავლის.

✦ იქიდანვე გვწერენ, რომ **მარია კობახიძემ** ქუთაისში მშვენიერი ლაბორატორია გახსნა, სადაც ხინის სახით სხვა-და-სხვა საწამლავებს ამზადებსო. პირველათ მან ასეთი წამლის ზეგავლენა ფოთში სცადა და თავის სატრფო 15 წამში წუთისოფელს გამოასალმა.

✦ როგორც დანამდვილებით გავიგეთ, სპარსეთის შაჰს სტოლიპინისათვის კონსტიტუციის უკან წაღების პროექტის გაგზავნა უთხოვნია.

✦ როგორც ხმა დადის **ტიმოშკინს** სტოლიპინის მომავალი დეკლარაციის საპასუხოთ დიდი პეტიცია დაუმზადებია, რომლითაც პოლიტიკურ დამნაშავეთათვის სრულ ამნისტიას მოითხოვს.

✦ როგორც გავიგეთ, ახლო მომავალში ტრამვაის ელეკტრონის ტოკი დიდ გაფიცვას აპირობს. ადმინისტრაცია დიდ ფაცი-ფუცშია, რომ გაფიცვას ხელი შეუშალოს. ტრამვაის დირექტორს ეს ამბავი ბრიუსელში შეუტყობინებია

✦ ჩვენს რედაქციაში შემოიტანეს ერთი საყურადღებო წერილი, რომლის შინაარსიც აქვე მოგვყავს: „ბ. ყიფიანო შენ შენის ეფხანაკით გირჩევთ თავი დაანებოთ მაგ ახლათ აღებულს დვორს, თორემ როგორც წინანდელი მოიჯარადრე არტემა გავისტუმრეთ, თქვენც ისე გაგამგზავრებთ. ოს ალექსას გადაეცით, რომ მაგას ერთი საქმეც ეყოფა და მეორეს ნულარ ეჩრება და შენც მოშორდი, შენც ერთი იკმარე. დღეიდან ერთი კვირის ვადას გაძლევთ. 1907 წ. 10 ოკტომბერს“ ამ წერილის დამწერი უთუოთ შანტაჟისტი იქნება, ან მისი ამხანაგი, თვარა ასე წერას ისე სად შეეჩვევოდა.

ბურჟუა და პროლეტარი.

ბურჟუა. რა საქმე გაქვს ჩემთან? ვინ მოგაგზავნა?

პროლეტარი. ამხანაგებმა მომანდვეს გამოგიცხადო, რომ სანამ ჩვენი მოთხოვნები არ იქნება დაკმაყოფილებული სავსებით,—მუშაობას არ განვაახლებთო.

ბურჟუა. ხა, ხა, ხა, ხა... მერე ვისი იმედი გაქვთ? განა შიმშილი არ შეგაწუხებთ? ვნახოთ, აბა რამდენ დღეს გაძლებთ, რამდენ ხანს იჯიუტებთ!..

პროლეტარი. მაშ ეს არის თქვენი პასუხი?

ბურჟუა. დიახ, დიახ, ეს არის! ხომ ხედავ, რომ თქვენ უჩვენოთ, უხაზაინოთ, ერთ დღესაც არ ვარგიხართ! განა რა გაქვთ თქვენ, ან რის შემძლე ხართ, ასე დიდ გულზე რომ ხართ და უთავბოლოთ ბუნტობთ?! განა ვერ მიხვდით, ვერ შეიგენით, რომ ჩემი აღალით ირჩენთ თავს, ჩემი შრომითა და გამჭრიახობით თქვენც სამუშაოს შოულობთ და ლუკმა პური გაქვთ?! რა იქნებოდით თქვენ უხაზაინოთ? სულ შიმშილით დაიხოცებოდით! და თქვენ კი მადლობის მაგიერ აი რაებს მიედმოედებით, აი რაებს ჩადიხართ!.. აი დედასა, სადარის ძველი დრო, რომ თქვენ ერთი მაგრათ..

პროლეტარი. ძველი დრო გაგიფრინდათ და აღარც მობრუნდება. ის შავ-ბნელი ძველი დრო, როცა ჩვენ, მუშები, შეუგნებელი და შეუკავშირებელი ვიყავით, უკვე გაქრა, მოისპო სამუდამოთ. ჩვენი გონება ახლა საკმაოთ გაშუქებულია შეგნებით, განვითარებით, ჩვენ, მუშებმა, ზედმიწევნით შევისწავლეთ თქვენი, ბურჟუა ხაზაინების, ოინები, თქვენი მისწრაფება, თქვენი სულის კვეთება; ჩვენ უკვე შევიგენით ის ჭეშმარიტება, რომ თქვენ, ბურჟუა ხაზაინები, ხართ ჩვენი სისხლის-მწოველი წურბლები, რომ თქვენ გასუქებული და გამდიდრებული ხართ მხოლოთ ჩვენი ოფლითა და შრომით, რომ ჩვენსა და თქვენს შორის გაუვალი უფსკრულია, რომ ჩვენ შეურიგებელი მტრები ვართ... ამისთვის ახლა ჩვენ შორის სამკვდრო-სასიცოცხლო ომი წარმოებს. ჩვენი ერთობა, ჩვენი სოლიდარობა იმისი თავდებია, რომ გამარჯვება ჩვენ დაგვრჩება, რადგან ჩვენი გატეხა ძნელია, შეუძლებელია.

ბურჟუა. განა ჩვენი, ხაზეინების, გატეხა კი ადვილია? ჩვენ განა ვერ ვისწავლეთ თქვენგანვე შეკავშირებისა და სოლიდარობის ძალა? მერე ვისი ერთობა, ვისი სოლიდარობა დაძლევს ფულიანებისა თუ უფულოებისა? განა

თქვენს გაფიცვებს ჩვენი ლოკაუტები კისერს არ მოუგრეხს?

პროლეტარი. ვერა და ათასჯერ ვერა! ჩვენი ბრძოლა სხვაა, თქვენი კი სულ სხვა: თქვენი კავშირი და სოლიდარობა ერთი მეორის კონკურენციის ნიადაგზე ადრე მოიშლება, ადრე დაისაქსება, ჩვენი კი არა. ჩვენ ბევრი ვართ და მასთან ყველა მებრძოლი, თქვენ კი შედარებით ცოტა და ყველა ლაჩარი; ჩვენს რაზმებს მუდამ დღე ემატება ახალი მებრძოლნი, თქვენსას კი აკლდება.

ბურჟუა. თქვენ ის ვერ შეგიგნიათ, რომ ძალა ფულია და ეს კი ჩვენ გვაქვს. ფულს ვერ დაძლევს თვით ჯოჯოხეთის ძალაც კი, თორემ თქვენ ვინა ყრიხართ?

პროლეტარი. დიახ, ფულის ძალა ჩვენც ვიცით, მარა ის უძლეველი როდია. შეგნებული, მეცნიერებით გაშუქებული დიადი იდეა ფულის ძალას მიწაზე დაანარცხებს; ეს მოხდება დღეს თუ არა, ხვალ მაინც.

ბურჟუა. როშავთ, სულელობთ!.. რა იდეა ვარო, რის იდეა ვარო!.. ეს ყველაფერი მოგონილია მაწანწალა ხალხისაგან, რომელმაც თქვენ გადაგრიათ და დაღუპვის გზაზე დაგაყენათ.

პროლეტარი. ხმ... გადარეული მაშინ ვიყავით, როცა ამ დიდებულ იდეას არ ვიცნობდით და უვიცობის მორევში ვცურავდით. ახლა კი ეს იდეა გვასულდგმულებს, ის გვინათებს ეკლით დაფარულ გზას, მისი იმედით ვითმენთ ამდენ გაჭირვებას, ტანჯვა-წვალებას და დამცირებას. და ეს ასეც უნდა იყოს, რადგან მხოლოთ მას, მხოლოთ ამ დიდ იდეას მივყავართ იმ აღთქმული ქვეყნისაკენ, იმ სანეტარო მდგომარეობისაკენ, სადაც არ იქნებიან არც მჩაგვრელები და არც დაჩაგრულები, არც ბატონები და არც მონები, არც ბურჟუა-კაპიტალისტები და არც პროლეტარები, არამედ იქნებიან შეგნებული, განვითარებული, თავისუფალი ადამიანები, ნამდვილი მოქალაქენი. ეს არის სოციალიზმის სამეფო, სადაც აღარ იქნება კერძო საკუთრება და შენ-ჩემობა, სადაც ყველა ბედნიერი და კმაყოფილი იქნება.

ბურჟუა. ფუჭი ოცნება!.. ეს შეუძლებელია...

პროლეტარი. თქვენთვის და არა ჩვენთვის.. თქვენი, ბურჟუების, თავი ისეა ისტორიულათ მოწყობილი, რომ სხვაფრივ ფიქრი და წარმოდგენა არც კი შეუძლია. ჩვენთვის კი ყველაფერი ეს უტყუარია და მისი შესაძლებლობა ცხადი და აშკარაა. თვით ცხოვრებას, თვით რეალურ სინამდვილეს მივყავართ ამ გზით, რადგან სხვა გზა არ არსებობს. და ეს გზა ჩვენი ოცნების ნაყოფი, ჩვენი გამოგონილი როდია. ეს ისტორიული აუცილებლობაა და ჩვენი სურვილით მისი წალმა-უკუღმა შეტრიალებ-შემოტრიალება არ შეიძლება.

ბურჟუა. აი, ქვეყანა მაშინ აირია, თქვენ რომ გაგაფილოსოფოსეს ვილაცა ბაჭ-ბუჭებმა!.. აბა სადა გაქვთ ჭკუა? შიმშილით კუჭი გეწვით და თქვე ხომ ეს თქვენი იდეია დღეს ვერ გაგაძღებთ? აბა მიირთვით რაღაც იდეა-მიდეა არის? არა, მაგაების ლაპარაკს ჯობია თავი დაანებოთ და საქმეს მოკიდოთ ხელი, თორემ ბოლოს ინანებთ!..

პროლეტარი. დაკმაყოფილეთ ყველა ჩვენი მოთხოვნები და მაშინ ისევ გავაცოცხლებთ, ავამოძრავებთ თქვენს ფაბრიკას.

ბურჟუა. არ შეიძლება! ჩემი წარმოება ვერ აიტანს ზედმეტ ხარჯებს.

პროლეტარი. მაშ გაფიცვა გაგძელდება.

ბურჟუა. ჩვენც ლოკაუტს გამოგიცხადებთ.

პროლეტარი. მაგისაც გავუძლებთ, მაგითაც არ გაეტყდებით.

ბურჟუა. ნუ ჯიუტობთ, თორემ პოლიციას მიგცემთ, ჯარს მოგისევთ, გაგსრესავთ, გაგანადგურებთ!..

პროლეტარი. აი, მხოლოთ ახლა დგას ჩემ წინ წამდვილი ბურჟუა!.. დიახ, ვიცი, ეს არის თქვენი უებარი საშვალება, სხვა ყველაფერი კი მხოლოთ საფრთხობელაა.

ბურჟუა. პოლიცია, ჟანდარმი, ჯარი და თქვენი ჯანი!..

პროლეტარი. იმათაც დაძლევს შეგნებული ერთობა! ჩვენ შიში არ ვიცით, რადგან „შიში ვერ იხსნის სიკვდილსა, ცუდია დაღრეჯილობა“.

დელიყანდი

ᲞᲠᲝᲕᲘᲜᲪᲘᲐ.

ოზურგეთი. ჩვენს ქალაქში ყოფნას არაფერი ჯობია ახლა!.. ვაჭრების სურვილი, რომ სიწყნარე და მშვიდობიანობა ჩამოვარდნილიყო, სავსებით ასრულდა. ბაზარში ახალგაზდების ჰაჰანებაც კი აღარაა, რადგან, თუ ვინმემ გაბედა ჩამოსვლა, ხელათ ციხეში აკრეკვიებენ თავს. ჯერ-ჯერობით სამი ციხეა ავსებული „კრამოლნიკებით“ და, თუ მარჯვეთ იმოქმედეს ადგილობრივმა მწევრებმა, ამ ერთ კვირაში მეოთხე ციხის გახსნაც იქნება საჭირო.

მოწინავე, „პროგრესიულ“ ვაჭრებს: სილ. ორაგველიძეს, მამა-შვილ იესე და გიორგი ჯინჭარაძეებს და გრ. თენიეიშვილს ვიღაცა „ყაზილარებმა“ ბოიკოტი გამოუცხადეს. ბოიკოტს ქვეშე მყოფნი „კომიტეტს“ დაეძებენ, მარა მე მგონია, რომ ამით არაფერი გაკეთდება. აბა რა დასაჯერებელია, რომ ახლა ოზურგეთში და მის ახლო-მახლო „კომიტეტი“ არსებობდეს!.. ამ ვაჭრების ასეთი განძრახვა, სხვა არა იყოს რა, ადგილობრივი მთავრობის შეურაცყოფაა. როგორც მოგეხსენებათ, ადგილობრივმა ადმინისტრაციამ შინაურ დამხმარეთა შემწეობით დიდი ხანია მოსპო „კომიტეტი“ და გულმოსული ვაჭრები კი ამას ივიწყებენ. საჭიროა ამ „საზიზღარი“ სიტყვის: „კომიტეტის“ უადგილოთ ხსენების გამო მამა დავითმა ზემოთ მოხსენებული დასჯილი ვაჭრების სახლები აიაზმის წყლით მოასხუროს.

უხილავი.

სოფ. გოგიეთი (გურია). ჩვენი სოფელი, ვგონებ, თავის დღეში არ ღირსებია გაზეთში ჩაგდებას. ახლა კი ამას ის უნდა უმადლოდეს ჩვენს ხალხისთვის თავდადებულ მემამულე ნაოსი იორაიშვილს. ეს ის ნაოსია, რომელმაც იკისრა გოგიეთისა და მაკვანეთის დამშვიდება ბ „ბუნტოვჩიკებიდან“ გაწმენდა. მისი მეცადინეობით ბარე ოცი კაცი გადაასახლეს ცივ ქვეყნებში და სოფელსაც წარმატება დაეტყო. ნაოსის ხალხისადმი სიყვარული იმ ზომამდე მივიდა, რომ ის, უკვე მოხუცებული და წელკავით ავათმყოფი, სტრაჟნიკათაც შევიდა, რა არის მთავრობასთან დაახლოებით მეტი ზაფთი მივცე თავ-აგდებულ „ყაძახებსო“, ესე აგი გლეხებსო. ააშენა ღმერთმა მისი ოჯახი და მის გვარსაც ნუ მოუშალა მისი გასტრაჟნიკებული თავი.

ᲭᲧᲐᲤᲨᲐᲜᲔᲚᲘ.

სოფ. საჭილავო. (სენაკის მაზრა) რედაკტორის რომ არ მეშინოდეს, ბევრ საყურადღებო ამბებს გავაგებინებდი მკითხველებს ჩვენი სოფლის ცხოვრებიდან, მარა რედაკტორები თხოულობენ მოკლესა და მასთან საზოგადო ხასიათის წერილებს და რა ვქნა, ვრცლად რომ დავწერო, ნაგვის გოდორში აკრეკვინებენ თავს. მე რა ვიცი, რომელი ამბავი მიაჩნია რედაკტორს ყურადღების ღირსათ? მაგ. საღმრთო სჯულის მასწავლელებელმა (რასაკვირველია მღვდელმა), რომ თავის მოწაფეს ხშირათ ყურმანში წაუთაქოს—რატომ გაგეცინა, როცა მე რიგიანათ ვერ აგიხსენი გაკვეთილიო,—ეს განა საზოგადო ხასიათის ამბავი არ იქნება? მე ისიც კი მგონია, რომ სულიერი პედაგოგის ამგვარი მოქმედება უფრო მეცნიერულია, რადგან შეიძლება ზოგიერთ მოწაფეს ტვინი ყურთან აქვს მიკრული და მასწავლებლის ღონიერ მუშტს შეუძლია ის თავის ადგილზე დაუყენოს. ამ გვარი მეცნიერული შრომისთვის, რა თქმა უნდა, მამა პედაგოგი ჯამაგირსაც კი თხოვს ხალხს და მისცემენ კიდეც.

რადგან შკოლიდან დავიწყე, მინდოდა ბარემ ჩემი „ᲭᲝᲢᲣᲠᲘ“ ხმა აქაურ ოთხ-კლასიან შკოლის მასწავლებლებისთვისაც მიმეწვდინა, მარა ერთობ ღრმა, ე. ი. ჩინოვნიკურ ძილში არიან და არ მინდა ჯერ-ჯერობით შევაღვიძო. დაე იძინონ, ვიდრე ᲭᲝᲢᲘ მეორედ უფრო ძლიერათ არ ჩაძახებს მათ ყურში. ესეც არ იყოს, გამიგონია—მღვდელი და ანგელოზი რომ ერთათ შეგხვდეს, ჯერ მღვდელს უნდა სცე თაყვანი და მერე ანგელოზსო. მეც მწამს ეს და ამიტომ თავს ვანებებ მასწავლებლებს და მეორე, უფრო მსუქანი მღვდლის ამბავს მოგახსენებთ. თურმე ეს სულიერი მამა საცა კი მივა, ქელეხში, თუ აღაპში,—ყოველგან აგიტაციას ეწევა, რომ ორმოცის წირვა დიდი სასარგებლოა მიცვალებულისთვის და თან დასძენს: მე ვალდებული ვარ, ვინც ორმოცს არ მაწირვინებს მიცვალებულისათვის, ეს მთავრობას ვაცნობოვო. „შეგიძლია აცნო-

ბო მთავრობას, რომ მე წირვა-ლოცვის წინამღვდეგი კი არ ვარ, არამედ ფულის გადახთისო,—უპასუხა ერთი მიცვალებულის შვილმა თავის მამის აღაპზე გამაძღარ მოძღვარს. კიდევ რაღაც მითხრეს, მარა ახლა არ მცალია, რკინის გზის პლატფორმისკენ მივდივარ. გზაზე პატივცემულ ცოლ-ქმარს უნდა გავუარო და ვკითხო, თუ რა უყვეს ის საზოგადოების მიერ დადგენილი „პრიგოვორი“, რომლის შემწეობითაც ჩვენში რკინის გზის სადგურის დაარსებას ცთილობდენ? ამბობენ, რომ ნიკოლაი პეტროვიჩმა ანდერძით ამ ცოლ-ქმარს დაუტია ეს ქაღალდიო; იმასაც ამბობენ, რომ თუ იმ ყუთში, სადაც ეს ქაღალდი ინახება, მაგიერი ქაღალდი არ ჩადვეს, ისე ძალა ეკარგებაო, მარა ეს „მაგიერი“ ქაღალდი ძალიან ძნელი საშოვარია თურმე ამ დროში, რადგან ზედ ციფრი 100 უნდა ეწეროსო.

ასიანმა გამახსენა ერთი ამბავი. ვიღაცამ მითხრა, რომ ჩვენი ახალი მამასახლისი ორას მანეთს დახარჯავს, მთავრობა რომ არ დაამტკიცებდეს, რადგან არ უნდა მამასახლისობაო. ამ ამბავმა საღერღელი ამიშალა—იქნება მოვახერხო და ეს ორასი მანეთი მე ვიგდო ხელში-მეთქი, მარა ტყუილათ შევიწუხე თავი. თურმე ორას მანეთს მისთვის ხარაჯავს, რომ, რაც შეიძლება ჩქარა დაამტკიცოს მთავროობამ და დროზე ჯაჭვი ჩამოიკიდოს გულზე. ნაკლებს არც ძველი დახარჯავს, თავის ადგილზე რომ დარჩებოდეს. სადაც მამასახლისია იქ ხომ სტრაჟნიკებიც არიან ახლა და ეს ცუდიც არაა. მთელი ქვეყანა რომ აიკლოს „შინაურმა“ და გარეულმა მტრებმა, ჩვენ მაინც არაფერი გვიჭირს, რადგან ჩვენი სოფლის ახალგაზდობა თითქმის ყველა სტრაჟნიკებათ მიდის და იმედია დაგვიფარავს.

კიდევ ვიცი რაღაცაები, მარა რედაკტორის შიშით ველარ ვბედავ თქმას და პლატფორმის დუქნებისკენ მივეჩქარები. ვიცი, იქ ახლა გახურებული სმაა; იაშკაც იქ იქნება და კიდევ სხვები. მე გეტვი, არ დამიძახებენ თუ? მეც გადავცხებ და გადავკრავ რჯულზე და შემდეგ ბანცალით გავყობი სახლისკენ.

ᲭᲝᲢᲘ.

ᲙᲕᲘᲠᲘᲓᲐᲜ-ᲙᲕᲘᲠᲐᲛᲓᲔ

ღიპიანების კრება. ახალი „მამები“. ბაბილონის გოდოლი. მატყუარა მასწავლებლები.

ფუ, ნეტაი არ მენახა აი კრება!.. არა, შიგ ოთახში კი არ ვყოფილვარ, ისე კარის ჭუჭრუტანიდან შევიხედე ცალი თვალით. ჯერ, შენ ხარ ჩემი ბატონი, ორსული ქალების კრება მეგონა, რაცხა ისე დაგორავდენ იქით-აქეთ გაბერილი ორფეხა ცხოველები, რომელთაც ზოგს კაბაც ქე ეცვა. სამშობიარო სახლი მეგონა და, რაცხა ისე ტყუილათ, ქე გავუჭიტინე კიდევ მეორჯერ უფრო დაკვირვებით. დევინახე, მარა რა დევინახე!.. აი ორსული ქალები კი არა, კაი შენი მოწონებული მაკე-მაკე ბურჟუა-ხაზაინები ყოფილან!.. გამიკვირდა ამდენი ღიპიან-გვიზიანების ერთაი ნახვა, მარა ყური რომ დავუგდე მათ ლაპარმკს,—ყველაფერი გავიგე. აქანაი, თურმე, კრება ქონებით გამართული თფილისის სასტუმროების, რესტორანების, ტრაკტირების, სამიკიტნოების და სხვათა და სხვათა ხაზაინებს. და რაღა გასაკვირალია, რომ ყველა ღიპიან-გვიზიანები იყვენ. რავა, სასმელ-საჭმელი მათ ხელშია და ისინიც სვამენ და ჭამენ უთავბოლოთ თავისას და ქე გასუქდენ კაი გვარის მაშკასავით. წონით რომ ვასდებოდეს კაცი,—ისინი პირველი კაცები იქნებიან მთელ თფილის ქალაქში. ახლა იმას არ იკითხავთ, თუ რაზე შეიწუხეს თავი ამ ღიპიანებმა? რავა, გაგონილა ამისთანა უცნაური ამბავი, აი მათი ლაქიები რომ ბუნტობენ!.. გოუგრძელებიათ, შენ ხარ ჩემი ბატონი, ავგაროზივით აი უშველებელი ქაღალდი და ჩამოუწერიათ თავიდან ბოლომდის სულ სხვადა-სხვა მოთხოვნები და ქე მიუბჯენიათ აღებისათვის გულზე!.. აგი მოგვეცით, იგი მოგვეცით, აგი მოგვიმატეთ, იგი მოგვიმატეთ, რადგან ჩვენ თქვენზე უკეთესი ბიჭები ვართ და კარგი სმა-ჭამა არც ჩვენ გვაწყენსო, თვარა გავიფიცებით და სულ აგაღებინებთ ხელს ყველაფერზეო. მოდი და ნუ გასცემ, თუ კაი ბიჭი ხარ, იმათ პასუხს!... და აი, ღიპიანებიც ბჭობენ და თათბირობენ იმაზე, თუ როგორ დატუქსონ „კრამოლნიკი“ მოსამსახურეები. სკამზე

დგება ქართულ კაბაში გამოწყობილი ლიპიანი სომეხი და ხრინწიანი ხმით და მუშტების ქნევით ამბობს: „ვა, ხალხნო და ჯამაათნო, ეს რა ამბავია ჩვენს თავზე!.. ჩვენივე ლაქიები, ეს ვილაცა ბიჭ-ბუჭა ლომი-ჭამია იმერლები, ეს ყურუმსაღები, ეს გიჟ-ვრაცები, ერთი უყურეთ, რაებს ჩადიან!.. ვა, დღემდის თუ კი ცხოვრობდენ ნესტიან ოთახებში, კმაყოფილი იყვენ ნაყარ-ნუყარა პურის ნამტვრევებით, ნაბოლარა ბორშჩ-ყაურმითა, თანაც ჯამაგირებს არ გვთხოვდენ და პირ-აქეთ „ზალოგიც“ შემოქონდათ, ახლა რაღა დიდ-კაცობა დაიმტკიცეს, რომ ბატონურ ცხოვრებას მოითხოვენ?! ვა, ტუტუც, ჩვენმა ოჯახმა არ უნდა დიდ-კაცურათ ცხოვრება!.. უნდა, მაგრამა დრომ წახდა და ყაირათობითაც ძლივს გავდივართ ოლათ!.. არა, ძმავ, არ შაიძლება მომატება!.. ვა, ერთი ბისტის მომატებაც კი არ შაგვიძლიან!.. ვა, მომატება რასა მიქვიან, უნდა მოვაკლოთ კიდეცა, რაც შიშიანობის დროს ძალათ გამოგვტაცეს ხელიდან. არა, გებნებით, ძმებო და ამხანაგებო, მომატება არ შაგვიძლიან და რაც უნდათ, ისა ქნან!.. არ დაყაბულდებიან? იბუნტებენ? არა უშავს, გავაჩუმებთ!.. პოლიცია და მათი ჯანი!.. ვა, რაზბოინიკებს ხელს ხომ არ დავაფარებთ, ხელმწიფის ღალატს ხომ არ ვიზამთ!.. ძირს ლაქიები, გაუმარჯოს ხაზაინებს“!.. ორატორი ხანგრძლივი ტაშის დაკვრით დააჯილდოვეს. კრებამ, რა თქმა უნდა, ერთხმათ მიიღო ორატორის წინადადება და დაადგინა: „მივიღეთ რა მხედველობაში ვაჭრობის კრიზისი, გავითვალისწინეთ რა, მოსამსახურეთა მოთხოვნების უსაფუძვლობა, დავადგინეთ გამოეცხადოს მათ რუსული ატკაზი. თუ გაიფიცონ, დაუყონებლივ პოლიციას გადავცეთ გასასწორებლათ და



ხაზეინების კრება.

ჰკუის სასწავლათ“. ცხადია, სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლა გაიმართება და საშინლათაც მოიჯაყებიან ღიპიანი ხაზაინები.

—

მარა ღიპიანებზე უფრო მოჯაყვის ქალაქის ახალ „მამებს“ უნდა ეშინოდეთ. ძველები მიტომ გადააყენეს, რომ არ ვარგოდენ და ახლები მიტომ დააყენეს, რომ ამათგან უკეთესობას მოელიან. მოელიან რას? რა თქმა უნდა, ქალაქის გაუმჯობესობას და დაწინაურებას. აი თფილისი ქეა გვარიანი კაი ქალაქი, მარა არც იმდენი, ზოგიერთებს რომ გონიათ. ავიღოთ მაგ. ქუჩები, რასა გავს? ასე გეგონება მტკვარს გადმოუვლია, წაულეკავს და ჭერეხი დაუყრიაო. ეს კიდევ არაფერი, ღამე რომ კისერს არ მოიტეხდე ამ ამოჩრილ წვეტიან ქვებზე... ელექტრონს ვინღა ჩივა, ნავთით რომ ხეირიანათ იყოს მაინც განათებული ყველა ქუჩები. ეგერ აშმორებულ ფოთს ელექტრონი აფრქვევს თავის ციმ-ციმა სხივებს და აი ჩვენი სატახტო ქალაქი კი ჩაყურყუმებულ-ჩაბნელებულია!... სისუფთავეს თუ იკითხავთ, ამ მხრით ჩვენს ქალაქს „აზიურს“ ეძახიან და მართალიცაა. მართალია, აქ ქალაქის შკოლების რიცხვი მცირეა, უმაღლესი სასწავლებელი სულაც არაა, სახალხო სახლები, იაფ-ფასიანი

ქართულ გიმნაზიაში.

სასადილოები, უფასო სამკითხველო-ბიბლიოთეკები ან სულ არაა და ან ძლიერ ცოტა, მარა ოდესმე ხომ კი იქნება მაინც. და ეს „ოდესმე“ ჩვენმა ახალმა „მამებმა“ უნდა მოაახლოვონ, თუ მართლა ისინი ახლები არიან და არა ძველები ახალ ქურქებში. დიახ, ოდესმე ყველაფერს ეშველება რამე, მარა ამ ბინების საოცარ და უსინდისო სიძვირეს როდის უნდა ეშველოს,—ეს კი აღარ ვიცი. მე მგონია, აქ რაღაცა სხვა პოლიტიკას უნდა აწარმოებდენ

ბურჟუა სახლის პატრონები, თვარა ასეთი სიძვირე სხვანაირათ არ აიხსნება. შეიძლება მთავრობასთან აქვთ შეკრული ბლოკი, რომ სახლის ქირის უზომოთ აწევით ღარიბი და მასთან ერთათ „კრამოლნიკი“ ხალხი სულ გაძეონ ქალაქიდან. ეს ჭკუაზე ახლოს არის და ახალმა „მამებმა“ თუ ყურადღება არ მიაქციეს ამ საკითხს,—ძალიან გაითათხებიან...

—

მარა ამაზე სასირცხო და გასათითხავი საქმე რაღა იქნება, თფილისის ქართულ გიმნაზიაში რომ ხდება ყოველ დღე?! აი გარეგნოზით შვენიერი და თვალ-წარმტაცი შენობა შიგნით რაცხა ჩხუბითა და აყალ-მაყალით არის სავსე!.. ბაბილონის გოდოლის ამშენებლებს, როგორც საღმრთო წერილი ამბობს, ღმერთი გაუწყრა თურმე და ენა აურია ისე, რომ ერთმანეთის აღარაფერი ესმოდათ. ეს ამბავი მე დღემდის ზღაპარი მეგონა და არც მჯეროდა, მარა ახლა აგერ თვალწინ მიდგას ბაბილონის გოდოლი და ქეუნდა დავიჯერო, სხვა რა გზაა!.. რავა, რომელ ბაბილონის გოდოლს ჩამორჩება აი ჩვენი ქართული გიმნაზია? აქანაც ხომ ღმერთმა თუ ეშმაკმა აურია ენა მასწავლებლებსა და მოწაფეებს ისე, რომ ერთმანეთის აღარაფერი გაეგებათ!.. აბა აი რაღა არის, რომ მოსწავლეები მასწავლებლებს კლასში არ უშვებენ!.. შევა თუ არა მასწავლებელი კლასში,—შეიქნება ერთი ყვირილი, შტვენა, მუშტების ქნევა, ბრახუნი, წიგნებისა და სამელნეების სროლა და... და დაფეთებული მასწავლებელი კარში გარბის!.. ეს რა უნდა იყოს, მასწავლებლების ცემა-ტყეპაც რომ არ იცოდენ თავადურათ ამ ახალგაზდა თავადებმა. ვინ არის მტყუანი და ვინ მართალი,—ეს რა ჩვენი საქმეა, მარა, გიმნაზიას რომ გულშემატკივარი პატრონი ყავდეს, ის კი მოიკითხავს ამას.

—

ვინაა კაცი, თვარა ისიც კია მოსაკითხავი, თფილისში ამ ბოლო დროს მატყუარა მასწავლებლები რომ გამრავლდენ. ააშენა ღმერთმა მათი ოჯახი, ღარიბ მოსწავლეებს დიდ შეღავათს აძლევენ, რადგან თვეში 50 კაპ. 3 მანეთის მეტს არ ახთევინებენ და გიმნაზიის უკანასკნელი კლასისათვის ქე ამზადებენ. მარა სამწუხარო ისაა, რომ ამ სიკეთეს ის მასწავლებლები შვრებიან, რომელთაც მასწავლებლობის არაფერი გაეგებათ და ისე, აბა თუ იმა გარემოების მეოხებით, იძულებული არიან ძალათ იმასწავლებლონ. სხვა მასწავლებლებიდან ისინი კიდევ იმითაც განსხვავდებიან, რომ ხელწერილს აძლევენ მოსწავლეებს—აბა და ამ კლასში უსათუოთ და უეჭველათ დაგაჭერიებ ეგზამენსო. ეს მასწავლებლობა არა, ნამდვილი გულთმისნობაა და, რაღა თქმა უნდა, მოწაფეების საქმეც წაღმა წავა იმათი შემწეობით...

ბელასინი.

ᲔᲥᲘᲛᲗᲐᲜ.

(ნამდვილი ამბავი)

კიურდამირის სადგურზე (ბაქ. რკინ. გზაზე) ერთ მგზავრს სისუსტის გამო გული შეუწუხთა და ხელათ ადგილობრივ ექიმს მიმართა. ექიმმა დასუსტებული ავათმყოფი რომ დაინახა, იფიქრა—უთუოთ ხოლერიანი იქნებაო. შიშით ფერი ეცვალა და კანკალიც აუტყდა. ასეთ მდგომარეობაში მყოფი ექიმი ეხვეწებოდა ავათმყოფს, რომელსაც ფეხზე დგომა უჭირდა: სახლში არ შემოხვიდე, მანდვე, კარში, ჩამოჯექი და არაფერია, თავის თავათ გაივლის სისუსტეო. ავათმყოფი კი თავის მხრივ ევედრებოდა ექიმს: მიშველეთ რაჰე, კაპლი მომეცით, ეგებ გული მოვიბრუნოვო. ექიმი ცოტა გონზე მოვიდა, შევარდა სახლში და გამოიტანა „ცხოვრების კაპლები“ ანუ კარბოლოს სიმჟავე და დასალევათ მიაწოდა. ავათმყოფმა სუნით იცნო, თუ რა კაპლებიც იყო. ეს, მოიკრიბა უკანასკნელი ძალ-ღონე, მოკურცხლა თავის გადასარჩენათ და თანაც ექიმს მიაძახა: მაგისთანა კაპლები თვითონ თქვენ მიირთვითო.

ჯინჭარი.



ᲙᲐᲠᲚ ᲛᲐᲠᲥᲡᲘ

დღეს ჩვენში თითქმის ყველას აქვს გაგონილი კარლ მარქსის სახელი. მისი პიროვნებისა და მოღვაწეობის შესახებ ჟურნალ-გაზეთებში მუდამ-დღე წერენ და მსჯელობენ. არ დარჩენილა ჩვენში ისეთი კუთხე, სადაც სახალხო კრებაზე ორატორებს არ ელაპარაკონ კარლ მარქსზე და მის მოღვაწეობაზე. ამნაირათ, მარქსის დიდებულმა სახელმა გაიკაფა გზა მიყრუებულ და ჩამორჩენილ სოფლებშიაც კი და გააშუქა სიბნელით მოცული არე-მარე. რაღა გასაკვირალია, რომ მარქსის სახელის ხსენებაზე შეგნებულ მუშას სიხარულით გული აუტოკდეს და სახე გაუბრწყინდეს.

რით გაითქვა მარქსმა სახელი? რა გააკეთა მან საიმისო, რომ ყველა ქვეყნის მუშები თაყვანს სცემენ მის სახელს? ამის სავსებით დაფასება ძნელიცაა და ამ მოკლე წერილში არც შეიძლება, მარა ისიც კარგია, რომ მდაბიო მკითხველი მოკლეთ მაინც გაეცნოს ამ საკითხს.

კარლ მარქსი იყო გასული მეცხრამეტე საუკუნის უდიდებულესი მეცნიერი. მან მთელი თავისი სიცოცხლე, მთელი თავისი განსაცვიფრებული გონებრივი ძალ-ღონე გაყვლეფილი და დაჩაგრული მუშა ხალხის ყოფა-ცხოვრების მეცნიერულათ შესწავლას და გამოკვლევას მოანდომა. მარქსმა გამოაშკარავა და შეურყევლათ დაამტკიცა, რომ ქვეყნის აუარებელ სიმდიდრეს ქმნის თავისი ძარღვებით და ოფლით მხოლოთ და მარტო მუშა, რომლის ნაოფლარს ისაკუთრებს ბურჟუა-კაპიტალისტი. მანვე მუშათა ცხოვრების და მათი მოძრაობის ღრმა შესწავლისაგან გამოიყვანა ის უტყუარი დასკვნა, რომ მუშათა კლასი უნდა ეათავისუფლდეს ასეთი მონობისაგან, მარა მუშებს სხვისი იმედი არ ქონდეთ და თვითონ დამოუკიდებლათ უნდა აწარმოვონ თავისი გათავისუფლების საქმე. მარქსმა ცხადათ დაანახვა მუშებს, თუ რა იყო საჭირო მათი გათავისუფლების დასაჩქარებლათ და მოსაახლოვებლათ. მან მიუთითა ყველა ქვეყნის მუშებს იმაზე, თუ რა ზარალი მოქონდა მათს დაქსაქსულ და ცალ-ცალკე ბრძოლას მათ მჩაგვრელთა წინააღმდეგ და წინ გადაუშალა მათი შეერთება-შეკავშირების აუცილებელი საჭიროება. **„პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!“** — მედგრათ შესძახა მან მუშებს და მუშებმაც შეიგნეს ამ სიტყვების დიდი მნიშვნელობა. მარქსმა მეცნიერულათ დაამტკიცა, რომ ქვეყანაზე ჩაგვრა-ყვლეფის მოსპობა, თავისუფლების, ძმობა-ერთობის და სამართლიანობის დამყარება შეუძლია თავისი ბრძოლით მხოლოთ და მარტო საერთაშორისო მებრძოლ პროლეტარიატს; მხოლოთ და მარტო პროლეტარიატი არის იმ წითელი დროშის მატარებელი, რომელიც უნდა აფრიალდეს ძველი, დახავსებული წეს-წყობილების ნანგრევებზე „სოციალიზმის“ ზედ წარწერით. **ამნაირათ, მარქსის მოძღვრება მუშათა კლასის ფილოსოფიაა, თითოეული მისი სიტყვა დაჩაგრულთა მალამოა, უფლება-ახდილთა გამოსარჩლებაა.**

კარლ მარქსი ჩამომავლობით ებრაელი (ურია) იყო. ის დაიბადა გერმანიის ქალ. ტრირში 1818 წ. მაისის 5 და გარდაიცვალა ინგლისში ქალ. ლონდონში 1883 წლის 14 მარტს.

მშობლებმა ახალგაზდა მარქსი მისცეს საშვალო სასწავლებელში, რომლის გათავების შემდეგ ის სწავლობდა ბონისა და ბერლინის

უნივერსტეტში. მამას უნდოდა ის გამოსულიყო ადვოკატათ, რადგან ეს ხელობა შემოსავლიანი იყო, და მარქსიც მამის სურვილის თანახმათ უნივერსტეტში სწავლობდა უფლებათა მეცნიერებას, მარა რადგან მისი საყვარელი საგანი ფილოსოფია იყო, ამ უკანასკნელსაც გულმოდგინეთ სწავლობდა თავისი სურვილით. უნივერსტეტის დასრულების შემდეგ, დოკტორის ხარისხით, მარქსი ფიქრობს საპროფესოროთ მოემზადოს, პრივატ-დოცენტის ადგილი მიიღოს, მარა ჩქარა თავს ანებებს ამ განძრახვას. ამ ხანებში ბონის უნივერსტეტიდან თავისუფალი აზროვნების გულისათვის გააძევეს მარქსის მეგობარი ბრუნო ბაუერი და მარქსაც, რა თქმა უნდა, აღარ შეეძლო ასეთ რეაქციონურ უნივერსტეტში დარჩენა.

1842 წ. ის ხდება ოპოზიციონური „რეინის გაზეთის“ რედაკტორათ კიოლნში, მარა გაზეთი იხურება ცენზურასთან სასტიკი ბრძოლის შემდეგ 1843 წ. ამ ხანებში ის ცოლათ ირთავს თავის ყმაწვილობის მეგობარ ქალს— ევგენიას და გადასახლდება პარიზში, სადაც თავის მეგობარ რუგესთან ერთათ იწყებს „ყოველ წლიურის“ გამოცემას, რომელიც ისევ მალე იკეტება. ამ ხანებში ის ეცნობა პოეტ ჰეინესა და ფრ. ენგელსს. მარქსი ამ უკანასკნელს ისე უახლოვდება, რომ ისინი საუკეთესო მეგობრებათ ხდებიან შრომისა და პოლიტიკურ მეცნიერულ მოღვაწეობის ასპარეზზე. მარქსი ენგელსთან ერთათ ილაშქრებს თავისი ყოფილი მეგობარი ბაუერის თხზულების წინააღმდეგ და საშინელ კრიტიკის ქარცეცხლში ატარებს მას. პარიზის პერიოდული გამოცემა „Vorwärts“-ში მედგრათ მეუბრალებლათ ებრძვის პრუსიის მთავრობას. ეს უკანასკნელი თავისი გაიძვერაობით ახერხებს პარიზიდან მათ განდევნას. მარქსი ენგელსთან ერთათ 1845 წ. მიემგზავრება ბრიუსელს. აქ ის შევიდა მუშათა კავშირებში და „კომუნისტთა საერთაშორისო საიდუმლო კავშირში“. 1847 წ. წარმოთქვა **„სიტყვა ვაჭრობის თავისუფლებაზე;“** ამავე წელს გამოაქვეყნა თავისი შესანიშნავი წიგნი: „ფილოსოფიის სიღატაკე.“

1847 წ. მარქსი და ენგელსი კომუნისტთა კომიტეტის მინდობილებით ადგენენ შესანიშნავ „კომუნისტურ მანიფესტს“, რომლის დედა-აზრი შემდეგია: 1) კლასთა ბრძოლა უმთავრესი საფუძველია ისტორიისა. 2) კომუნიზმი თვით წარმოების შედეგია; მისი ელემენტები დღესვე აშკარაა. 3) პროლეტარიატის ინტერესები შეურიგებელია ბურჟუაზიის ინტერესებთან; მხოლოთ პროლეტარიატს შეუძლია მოახდინოს საზოგადოებრივი ცვლილება; ის მოახდენს ამას თავის საკუთარი ძალონით; 4) პროლეტარიატი კაპიტალისტურ წეს-წყობილებას სამართლიანობისა და თანასწორობის ხათრისთვის კი არ მოსპობს, არამედ ამისკენ მივყავართ ეკონომიურ აუცილებლობასა და საწარმოო საშვალებათა განვითარებას.

ეს მანიფესტი დღესაც მუშათა მოძრაობისა და მეცნიერული სოციალიზმის ქვა-კუთხედს შეადგენს. ის გამოქვეყნდა 1848 წ.—თებერვლის პირველ რიცხვებში.

1848 წ. მთელ ევროპას მოედო რევოლიუციის ალი. მარქსი იძულებულია გაშორდეს ბელგიის საზღვრებს. ის მიდის პარიზს, მარა იქ დიდ ხანს არ რჩება, ბრუნდება ისევ გერმანიაში და ხდება განახლებული „რეინის ახალი გაზეთის“ ხელმძღვანელათ. გაზეთი შეუპოვრათ და მედგრათ ებრძვის პრუსიის დახავსებულ მთავრობას, კრიტიკის ქარცეცხლში ატარებს მის გაიძვერაობას. მარქსი ორჯერ მისცეს ამ გაზეთში მოთავსებული წერილებისთვის პასუხის გებაში, მარა ორივეჯერ გამართლა ის ნაფიც მსაჯულთა სასამართლომ. გაზეთმა იარსება მოკლე ხანს. გერმანიაში რეაქციის გაძლიერების დროს (1858 წ.) გაზეთი დახურა მთავრობამ.

ევროპაში გაბატონებულმა რეაქციამ მოუსპო მარქს გერმანიასა და საფრანგეთში ცხოვრების საშვალება. ამ დროიდან ის სამუდამოთ სახლდება ლონდონში, სადაც დიდხანს ცხოვრობს სალიტერატურო შრომით. ის ათავსებს თავის სტატიებს ლონდონის „რეინის ახალ გაზეთში“ და „ნიუ-იორკის ტრიბუნაში“, მარა „რეინის ახალი გაზეთი“ მალე წყვეტს თავის მოქმედებას. ევროპაში რევოლიუციის ტალღები ეშვება და ნელდება. მარქსი მთლათ

ეძლევა მეცნიერულ მუშაობას; ის ზის მთელი დღეობით ბრიტანიის დიდ მუზეუმში და მეცადინეობს. 1852 წელს მან გამოსცა თავისი „18 ბრიუმერი დუი ბონაპარტისა“, რომელშიაც შესანიშნავათ დააფასა 1852 წელს საფრანგეთში მომხდარი ამბები. 1859 წელს გამოდის მისი „პოლიტიკური ეკონომიის კრიტიკა“. 1867 წ. მარქსმა გამოაქვეყნა თავისი ყველაზე დიდმნიშვნელოვანი თხზულება—„კაპიტალის“ I ტომი.

1864 წ-დან ის იღებს ენერგიულ მონაწილეობას „მუშათა საერთაშორისო ასოციაციაში“ (ინტერნაციონალში), რომლის დაარსებაში მას პირველობა ეკუთვნის და რომელშიაც ის მხურვალე მონაწილეობას იღებდა მის დახურვამდე (1875 წ.). „ინტერნაციონალის“ დახურვის შემდეგ მარქსი აღარ ეწევა აკტიურ აგიტაციას, მარა აქვს მიწერ-მოწერითი დამოკიდებულება მუშათა ორგანიზაციების ყველა ხელმძღვანელებთან და უწევს მათ თეორიულ დახმარებას. მარქსმა შესანიშნავათ შეისწავლა რამდენიმე უცხო ენა; მათ რიცხვში რუსულიც, რომ დამოუკიდებლათ გაცნობოდა ამა თუ იმ ქვეყნის ეკონომიურ კითხვათა წარმოებას.

ის განაგრძობს კაპიტალის II და III ტომის წერას.

კარლ მარქსმა თავის უკვდავ კაპიტალის სამ ტომში ფართოთ და ვრცლათ ახსნა ის, რაც „კომუნისტურ მანიფესტში“ მოკლეთ და სხემატიურათ გამოთქვა.

1871 წ. მარქსი უშვებს პარიზის კომუნის სახსოვრათ წიგნს შემდეგი სათაურით: „სამოქალაქო ომი საფრანგეთში“; ამავე დროს ის დიდი აღტაცებით ეგებება ახალ დარსებულ გერმანიის სოციალდემოკრატიულ მუშათა პარტიას, უწევს მას უცხოეთიდან ხელმძღვანელობას, უმუშავებს პროგრამას და სხვა. ის ხშირათ იტყოდა ამხანაგების წრეში: „მე ვაშაყობ, თავი მომწონს გერმანიის მუშებით, რადგან იქ ეტყობა მუშათა მოძრაობას ნორმალური განვითარების გზით სვლა“-ო.

მარქსი, როგორც ემიგრანტი (გადასახლებული), ლონდონში მატერიალურათ ძლიერ შევიწროებულათ ცხოვრობდა. მას ხშირათ არ ქონდა აუცილებელი სანოვაგის საყიდელი ფული. რა დროსაც მოუკვდა მას თავისი საყვარელი ვაჟი, დასამარხი ფული ერთმა ფრანგმა ემიგრანტმა იკისრა.

1881 წ. გარდაიცვალა მარქსის საყვარელი მეუღლე ევგენია. ამ გარემოებამ მასზე საშინელი გავლენა იქონია, სასიკვდილოთ დაუსერა გული. მოხუცმა მარქსმა დაიწყო მოგზაურობა საფრანგეთს და ალჟირს, მარა ამ მოგზაურობამ მას სარგებლობა ვერ მოუტანა, ვერ შეძლო მისი გულის გამთელება. ‚მალე გარდაიცვალა მისი უფროსი ქალიც; ამან სულ ბოლო მოუღო მარქსის ჯანმრთელობას. 1883 წ. ზამთარში ის გახთა ავათ ფილტვების ავათმყოფობით და 14 მარტს გარდაიცვალა.

მარქსის სიკვდილის დღეს ენგელსი წერს: „მეცხრამეტე საუკუნის უდიდესმა გონებამ შეწყვიტა აზროვნება“...

დიახ, მარქსის გონებამ შეწყიტა აზროვნება, მარა თვით მისი აზრი, თვით მისი მოძღვრება უკვდავია. მარქსის მოძღვრება, ეს პროლეტართა პილოსოფია, უკვე მოედვა მთელ ქვეყანას და აშუქებს ყოველ მის კუთხეს. ‚ამ დიდებულმა მოძღვრებამ უკვე შეაკავშირა ყველა ქვეყნის პროლეტართა შეგნებული ნაწილი, ხოლო ვინც შეუკავშირებელი დარჩა, იმათ მედგრათ მოუწოდეს: „პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით“-ო.

მარქსის საფლავი იმყოფება ლონდონის ჩრდილოეთის ნაწილში—პროლეტართა ღარიბ სასაფლაოზე.

მუშათა შორის.

ბათუმი. 15 ოკტომბერს მოხთა ბათუმის ნოქართა უპარტიო პროფესიონალური კავშირის დელეგატების კრება. კრებაზე ერთი „იაჩეიკიდან“ შემოვიდა შემდეგი წინადადება: რადგან კავშირის წევრები ჩამორჩენილი არიან გონებრივათ და ამასთან დღე და ღამ ნარდის, კარტის და დომინოს თამაშობის მეტს არაფერს აკეთებენ, ამიტომ წინადადებას ვაძლევთ კავშირის გამგეობას დაიქირაოს პროპოგანდისტი, რომელიც იდეიურ ხელმძღვანელობას გაუწევს

კავშირის წევრებს და ხელს ააღებიებს მათ მაგნე ჩვეულებაზეო. დელეგატთა კრებამ იქონია ამაზე მსჯელობა და ხმის უმრავლესობით დაადგინა: რადგან პროპაგანდისტის დაქირავებას ფული უნდა, ხოლო კავშირს თვეში 500—600 მანეთის მეტი მემოსავალი არ აქვს, ამისთვის უარ ყოფილ იქნას „იაჩეიკის“ წინადადება. ამასთან ვლებულობთ სახეში კავშირის იმ სასურველ გონებრივ მდგომარეობას, რის მეოხებით როპაგანდისტის ყოლა საჭიროც არაა. ამასთანავე შენიშვნა მიეცეს წინადადების შემომტან „იაჩეიკას“ იმ ტყუილის შეთხზვისათვის ვითომ კავშირის წევრები ჩამორჩენილი და განუვითარებელი იყვენ. ამ მხრივ ჩვენი კავშირი სასურველ წერტილამდის არის მისული, მაგრამ ამავე დროს სიმდიდრის მხრივ კი მართლაც და ჩამოქვეითებული არის და ყურადღების მიქცევაც მხოლოთ ამას უნდაო.

ვერცხლის წყალი

სახალხო პოლიტიკური ეკონომია

I

პოლიტიკური ეკონომიის საგანი

ამ გამათავისუფლებელი მოძრაობის დროს გაზეთებში თითქმის ყოველ-დღე შეხვთებით სიტყვას. „პოლიტიკური ეკონომია“. ის ხშირათ, და ძალიან ხშირათაც, ლაპარაკშიაც გვესმის. ამ სიტყვას იმეორებს დღეს დიდი ტ პატარა, ქალი და კაცი. მარა გადაჭრით შეგვიძლია ვთქვათ, რომ მისი მნიშვნელობა ათში ცხრას არ ესმის, არ გაეგება. და რადგან ეს სიტყვა ყველას ენაზე აკერია, ჩანს, ყველას აინტერესებს ის, ცხადია, უბრალო სიტყვა არ ყოფილა და რაღაც დიდი მნიშვნელობაც ქონებია მას. აქედან ცხადია, რომ მისი შეგნება და ცოდნაც საჭირო და სასარგებლო ყოფილა.

რა არის პოლიტიკური ეკონომია, რას შეიცავს ის, რა არის მისი საგანი,—აი ახლა იბადება ეს კითხვები.

პოლიტიკური ეკონომია არის რიგზე და მწყობრათ დალაგებული სწავლა-მოძღვრება ანუ, ერთი სიტყვით რომ ვთქვათ, მეცნიერება, რომლის გამოკვლევის საგანს შეადგენს ადამიანთა საზოგადოება. ამნაირათ, პოლიტიკური ეკონომია იკვლევს და სწავლობს ადამიანთა საზოგადოებას, მარა არა სავსებით, არა ყოველ-მხრივ. ადამიანთა საზოგადოება ისე რთულია, მასში სხვა-და-სხვა მოვლენა ისეა ერთი მეორეზე გადაბმულ-გადახლართული, რომ ყოველივე ამის სავსებით შესწავლა და გამოკვლევა ძალიან ძნელია. და ეს არც შეადგენს ერთი რომელიმე მეცნიერების საგანს, რადგან თითოეულ მეცნიერებას აქვს მიჩენილი თავისი საკუთარი საზღვრები, განსაზღვრული ფარგალი, რომლებსაც ის არ უნდა გადაცდეს. ამიტომ პოლიტიკური ეკონომიაც ეხება ადამიანთა საზოგადოების მხოლოთ ერთ ნაწილს, მხოლოთ ერთ მხარეს. და ეს ნაწილი, ეს მხარე არის ადამიანთა საზოგადოების მეურნეობა.

ზოგიერთი მკითხველისათვის სიტყვა „მეურნეობაც“ გაუგებარია და ამიტომ ავხსნათ მაგალითებით. ყოველგვარი სასოფლო სამუშაო, როგორც, მაგალითათ, ხვნა-თესვა, საქონლის მოშენება, ბაღის გაშენება და აგრეთვე ვაჭრობა, აღებ-მიცემობა და სხვა ამისთანები შეადგენს მეურნეობას.

მეურნეობის წარმოების დროს ადამიანი ებრძვის გარეშე ბუნებას და იმორჩილებს მას თავის სასარგებლოთ. მიგალითათ, ადამიანი ჩეხს, კაფავს ტყეს, რომ საყანე გაიჩინოს, მას გამოყავს სარწყავი არხი, რომ გვალვის დროს ნათესი მორწყას, ის აკეთებს გემებს, რომ ზღვა დაიმორჩილოს, გაყავს რკინის გზები, ტელეგრაფი და ტელეფონები, რომ დრო და სივრცე შეამოკლოს ტ სხვა ადამიანთა საზოგადოების ასეთი მოქმედება შეადგენს მეურნეობის ერთ ნაწილს, რომელსაც ეწოდება ტეხნიკური მხარე. ამნაირათ, მეურნეობის ტეხნიკური მხარე არის ადამიანის გარეშე ბუნებასთან დამოკიდებულების მაჩვენებელი. მეურნეობის ამ ტეხნიკური მხარის სავსებით შესწავლა-გამოკვლევა არ შეადგენს პოლიტიკური ეკონომიის საგანს.

ქვეყანაზე არ მოიპოება ისეთი ადამიანი, რომ ის თავისთვის მარტოთ-მარტო და სხვებისაგან დამოუკიდებლოთ ცხოვრობდეს. ადამიანი უადამიანოთ ვერ იცხოვრებს, ადამიანს სხვა ადამიანებთან აქვს საქმე. ავხსნათ მაგა-

ლითით. გლეხი მიწას ხნავს, მარა უმეტეს ნაწილათ ეს მიწა მისი საკუთრება როდია, ის ბატონისაა, მემამულესია. გლეხი იძულებულია საქმე დაიჭიროს მემამულესთან, მიცეს მას ღალა, ანუ თავისი ნამუშევარის ნახევარი, და დანარჩენი თვითონ წაიღოს სახლში. ვთქვათ, ერთ ქცევა საბატონო მიწაზე მან მოიწია 50 ფუთი სიმინდი, საიდანაც მემამულეს უნდა მიცეს 25 ფუთი, ხოლო მეორე ნახევარი მის საკუთრებას შეადგენს. მემამულეს სხვა მიწებიდანაც ასე შემოუვიდა სიმინდი და შეუგროვდა რამდენიმე ათასი ფუთი, გლეხს კი შერჩა ხელში სულ ცოტა. ⁄ ეს იმ დროს, როცა გლეხი დღესა და ღამეს ასწორებს მუშაობაში, ხოლო მემამულე კი არხეინათ ზის, ან ქორ-მეძებრებით სანადიროთ დადის და დროს ატარებს. გლეხის სხვისგან დამოკიდებულება მარტო მამულითაც არ თავდება, რადგან მან უნდა გადაიხადოს სახელმწიფო, მიწის, კანცელარიის, შკოლისა და ათასგვარი სხვა გადასახადები. რა თქმა უნდა, გლეხის მდგომარეობა შეიცვლებოდა, ის რომ სხვა ქვეყანაში ყოფილიყო, სადაც სხვა გვარი სახელმწიფო წეს-წყობილება, სხვა რეჟიმია. აქედან ცხადია, რომ ადამიანთა საზოგადოების მეურნეობის განვითარებაზე, მისი ნაყოფის განაწილებაზე და თვით ადამიანთა შორის ასეთი თუ ისეთი ურთიერთობის დამყარებაზე გავლენა აქვს სახელმწიფო წეს-წყობილებას, სახელმწიფო რეჟიმს. საზოგადოებრივი ცხოვრება სხვა არის შედარებით უფრო თავისუფალ რესპუბლიკანურ ქვეყნებში და სხვა არის თვითმპყრობელობის კლანჭებში მყოფ სახელმწიფოებში.

ჩვენ განვიხილეთ გლეხის მემამულესთან დამოკიდებულება, რაც ნივთიერ ნიადაგზე არის აღმოცენებული, მისი დამოკიდებულება სახელმწიფოსთან და მისი ნაშრომის განაწილება მასა და მემამულეს შორის, მასა და სახელმწიფოს შორის. აი, ყოველივე ამის განხილვა და გამოკვლევა შეადგენს ადამიანთა მეურნეობის ანუ წარმოების მეორე ნაწილს, რომელსაც ეწოდება საზოგადოებრივი მხარე. და აი, წარმოების ამ საზოგადოებრივი მხარის სავსებით შესწავლა და გამოკვლევა შეადგენს პოლიტიკური ეკონომიის უმთავრეს საგანს.

აქ საჭიროა შევნიშნოთ ისიც, რომ ადამიანის ყველა მოქმედებას პოლიტიკური ეკონომია არ ეხება. ადამიანი თუ მხოლოთ თავისთვის აკეთებს რამეს, მაგალითათ პირს იბანს, ტანზე იცვამს, პურს აცხობს თავისთვის და არა გასაყიდათ—ასეთ მოქმედებას პოლიტიკური ეკონომია არ იკვლევს. პირ-იქით ადამიანი თუ ისეთ რამეს აკეთებს, რაც სხვებისთვისაც საჭიროდა სასარგებლოა, მაგალითათ, მეპურე პურს აცხობს გასაყიდათ, მეღვინე ღვინო საყენებს გასაყიდათ და სხვა,—ასეთი მოქმედების განხილვა კი შეადგენს პოლიტიკური ეკონომიის პირდაპირ საგანს.

ყოველივე ზემოთქმულიდან გამოდის, რომ **პოლიტიკური ეკონომიის საგანი არის ადამიანთა შორის ნივთიერ ნიადაგზე აღმოცენებული ერთმანეთ შორის დამოკიდებულება, ურთიერთობა და წარმოების ნაყოფის განაწილება.**

ჭალარა

„ეკალის“ ფოსტა.

სად. მიხაილოვ—ბაგმანოვს. „ეკალი“ იგზავნებოდა ბ. შარაძის სახელზე, მარა, როგორც გავიგეთ, თქვენ გიკისრიათ ჩვენი აგენტობა. გთხოვთ საჩქაროთ გაგვისწოროთ 1 და 2 №№ ის ანგარიში. გამოგზავნილია ორივე ნომერი 120 ცალი, რის ფასიც შეადგენს 8 მან. 40 კ., ამას მოაკლდება 15 კაპ. გამოსაგზავნი და გვერგება 8 მან. 25 კაპ.

ბათომი—კულაშელს. თქვენი პასუხი პსევდონიმით არ დაიბეჭდება, ნამდვილი გვარით კი—შემოკლებულათ.

განცხადება

მიიღება ხელის მოწერა იუმორისტულ ჟურნალ

„ეკალ“-ზე

ჟურნალი გამოდის კვირაში ერთხელ

წლიურ ხელის მოწერა თვისა ეღირება—5 მ.
თვიურთათვის . . . . . 40 კ.
ცალკე ნომერი ღირს ყველგან . . . 10 კ.
განცხადება პირველ გვერდზე პეტიტით ღირს—50 კ.
„ „ უკანასკნელზე—20 კ.



ახალგაზდებს ვამზადებ,
რადგან გასაჭირია;
იაფათაც რომ ვიყვან,—
ცოდნაც ალარ მჭირია...

რედაქტორ-გამომცემელი პლატონ გაჩეჩილაძე.

Электро-печатня Т-ва „СОРАПАНЬ“, Мадатовскій островъ д. кн. Мухр. № 1.



№ 5 ეროვნულ-კვირეული ჟურნალი 1907 წ.

მესამე დუმის დეპუტატი.

ევგენი გეგეჭკორი. ამხ. გეგეჭკორი, სენაკის მაზრიდან, 27 წ. ახალგაზდაა. მან მიმდინარე წელს დაამთავრა იურიდიული ფაკულტეტი მოსკოვის უნივერსიტეტში. როგორც სტუდენტობის დროს, ისე შემდეგაც მუშაობდა პარტიაში; 1904 წელს დაპატიმრებული იყო მოსკოვში სტუდენტების მოძრაობაში მონაწილეობისთვის. განვითარებული, დინჯი და კაი მოლაპარაკე ყმაწვილია. („ცისკარი").

აგენტების საყურადღებოთ

ბ. ბ. აგენტების „ეკალის" რედაქცია დაბეჯითებით თხოვს, რომ სვედრი ფულის გამოგზავნა დაიჩქარონ.

ფულები უნდა გამოიგზავნოს შემდეგი ადრესით: Тифлисъ, типографія «Сорапань» Платону Гедевановичу Гачечиладзе

ამხანაგების მიწერ-მოწერა.

(სოფლიდან ქალაქში)

სერგო. შენ რა გიწერს, ძმაო ვასო,
ცხოვრობ მაინც დიდ ქალაქში,
გოლოვინსკზე დასეირნობ,
ფეხს არ ისვრი დიდ ტალახში.
მე სიცივით მაკანკალებს,
რადგან ხშირათ ვთოვენ კარში,
შეძებრებიც სულ დამდევენ,
ვფრთხილობ, არ დაუსვეთ სახლში.

ვასო. ქალაქი, ძმავ, რას მარგია?
განა ის მე წამადგება?..
შენ მწადს მაინც ხომ შოულობ,
მე ისიც კი მენატრება...
გოლოვინსკზე რომ დუქნები
ყველაფერით ავსილია,
ჩემ ჩექმებში წყალი შედის
და მე მით ვარ დასველია...
ეს ქვეყანა, ხომ კი იცი,
რჩეულ გვამთა სადგურია,
ჩვენისთანა „ზედმეტების“ კი
აქაც შია და სწყურია...

სერგო. კატო, სანუმელს ვინდა ჩივა,
სახლში თუ კი მაყენებდენ,
ჩვენებური მეძებრები
დღე და ღამე რომ არ მდევდენ.
დიდ ქალაქში, ხომ კი იცი,
გაძვრები და გაშოძვრები,
მართალია მოგშივდება,
მარა კარგათ არც შე ვძღები...

ვასო. რადა გიოხრა, ჩემო სერგო?
შენც მართალი, მეც მართალი!..
ჩვენ კარგ დროზე შეგიგენით,
რომ არ იყო სამართალი.
და ამისთვის ჩვენ წილათ ეგზავა
შიმშილი და ტყეში ბინა.
მარა იმედს ნუ დაკარგავო,
მოგვმზადოთ ბრძოლისათვის.

ჯინჭარი

ღამის რაინდები

(სურათი)

(შუაღამეა. წვიმს. ქუჩაში არავინ ჩანს. ერთი მაღალი სახლის ბნელ კუთხეში „გოროდოვოი“ ატუზულა, ის თოფზეა დაბჯენილი და თვლემს.)

გოროდოვოი. (ფიქრში) ამბობენ, რომ პოლიციელი მალე ღებულობს წარჩინებას... როგორ? რითი? ქრთა...მე...ბით, ქრთა...მე..ბით!.. უნდა უფროსებს აძლიო... პროტექციით... ნაცნობობით... იმასაც კი ამბობენ, რომ ახლა აღარც ქრთამებია საჭიროო, აღარც ნაცნობობა და პროტექციაო!.. ე...ნა...ტა...ნი...ო...ბი-...თა...ო... ეს ხომ ადვილია!.. (უცფათ წელში აიმართება) ჰეი, შენ! წკრრრ... წკრრ... წკრრრ... დვორნიკ! (სვისტოკს აძლევს და მეეზოვეს ათვალიერებს). არა ჩანს! წკრრრ... წკრრრ... წკრრრ... (მერე თავისთვის) სსს! ცოტა ჩუმათ უნდა მოვიქცე, რომ არავინ შემნიშნოს!.. აქ... აქ... აი, იმ სახლში კრებაა!.. წავალ მის კეთილ-შობილებას გამოვუცხადებ (მიდის. მერე ისევ ბრუნდება და მეეზოვეს ათვალიერებს). ის მელია, ის გაიძვერა არა ჩანს! ეძინება უთუოთ. ესეც კარგი! ამაზედაც ცნობას მივცემ მის კეთილ-შობილებას!.. დვორ-...ნიკ! წკრრრ... წკრრრ... წკრრრ... ახ, ახ, ის საძაგელი, ის ბაიყუში არა ჩანს... უეჭველია ეძინება!.. (რამოდენიმე მანძილს კიდევ გაივლის). ჰეი, დვორნიკ! (მეეზოვე გამოჩნდება) ოხ, შე საძაგელო, შე მელავ, (მეეზოვე მიუახლოვდება) შე არამზადავ, შე ბაიყუშო, სადახარ?!

მეეზოვე. რა ამბავია?! რას ილანძღები?!..

გორ. შე წუპაკო, შე ტყის მონავარო!..

მეეზ. რას მემართლები, არტემ ივანიჩ?!

გორ. შე ვირ ეშმაკავ, შე შარლატანო, შე რაზბონიკების ამყოლო სალახანავ!...

მეეზ. არტემ ივანიჩ!!..

გორ. გაჩვენებ სეირს, შე წუპაკო!

მეეზ. (იქით) გაგიჟებულა სწორეთ!..

გორ. მის... მის კეთილ-შობილებასთან!.. მის აღმატებულებასთან!..

მეეზ. (იქით) ფეხებსაც ვერ მომჭამ!..

გორ. იქ... იქ.... აი, იმ სახლში, (უთითებს) კრებაა... უნდა... უნდა დავფაცურდეთ!.. უნდა, მის კეთილშობილებას მოვახსენოთ...

მეეზ. თუ კია, მოვახსენოთ ..

გორ. ჰო, ივან ივანიჩ! დავეჩქაროთ... საჩუქარი... ქრთამი... წარჩინება...

მეეზ. იქნებ წითელი შნურები დამაკერონ, არტემ ივანიჩ?

გორ. ეგ უეჭველათ იქნება, ივან ივანიჩ!

მეეზ. შენც ხომ მოგცემენ წარჩინებას, არტემ ივანიჩ?

გორ. მეც, მაშა! უბნის ზედამხედველობას!..

მეეზ. პენსიასაც ხომ გაგვიჩენენ, არტემ ივანიჩ?

გორ. პენსიასაც... მხოლოთ შემდეგში... როცა დიდ ყურადღებას დაიმსახურებ უმაღლეს მთავრობის წინაშე, როცა ბევრ საიდუმლოებს გაამხელ!

მეეზ. მაშ, რაღას ვუცთით, არტემ ივანიჩ, გავამხილოთ!..

გორ. გავამხილოთ, მაგრამ...

მეეზ. მაგრამ, რაო, არტემ ივანიჩ?!

გორ. აღარსად გეგულება ვინმე?

მეეზ. (ეფიცება) არა არ მეგულება, ღმერთი, რჯული!

გორ ან ციხიდან გამოპარულები, ან ციმბირიდან გამოქცეულები?

მეეზ. არა, არტემ ივანიჩ, ღმერთი, რჯული!

გორ. შე წუპაკო!.. შე არამზადავ!..

მეეზ. არტემ ივანიჩ!

გორ. შენც იმათი ცალი ხარ! მალავ, არ გინდა, რომ გაამხილო!

მეეზ, ღმერთი, რჯული, ხატი, არ ვიცი არაფერი!

გორ. მის კეთილშობილებასთან... მის აღმატებულებასთან!...

მეეზ. არტემ ივანიჩ!

გორ. გაჩვენებ თამაშას, შე მურტალო!

მეეზ. რას მემართლები, არტემ ივანიჩ?!

გორ. მალავ, არ გინდა, რომ გაამხილო!..

მეეზ. ღმერთი, რჯული, ხატი არ ვიცი არაფერი, არტემ ივანიჩ!

გორ. მაშ... მაშ... ხომ იქნება?

მეეზ. რა იქნება, არტემ ივანიჩ?

გორ. (შეუბღვერს) ვერანავ! ტიალო! როგორ ვერ მიგიხვთი? ორი პატარა!...

მეეზ. (გაიმეორებს) ორი პატარა... (მერე იქით) ჩანს, წყვილი შაურიანი არაყი!... (მერე გოროდოვს) ვერსად ვერ შევხვთებით, არტემ ივანიჩ! შვალამეა, სამიკიტნოები დაკეტილია ყველგან.

გორ. გავაღებიოთ, ივან ივანიჩ!.. ჩვენ... ჩვენ ხომ პოლიციელები ვართ.

მეეზ. !!!

გორ. ხომ გაქვს შაურიანი, ივან ივანიჩ?

მეეზ. !!!

გორ. (დაბალი კილოთი) დანარჩენს ოცისთვის შევპირდები, ივან ივანიჩ!

მეეზ. !!!

გორ. იქნებ.. იქნებ „დავერია“ გქონდეს სადმე, ივან ივანიჩ? იქნებ შინაურებში?

მეეზ. არავინ მეგულება, რჯული, ღმერთი!.

გორ. ოოხ, შე მაიმუნო, შე წუპაკო! არ გინდა, რომ შაური დახარჯო?!

მეეზ. ?!!

გორ. მაშ, მის კეთილშობილებასთან... მის აღმატებულებასთან!.. (შეჩერდება) დღეს.. დღეს კრებაა... აგერ, იქ... აგერ, იმ წითურ სახლში!..

მეეზ. (იმეორებს) წითურ სახლში...

გორ. ჰო, იქ!.. უნდა... ღნდა გავამხილოთ!..

მეეზ. გავამხილოთ, არტემ ივანიჩ, თორემ..

გორ. თორემ დაიშლებიან, წავლენ-წამოვლენ... მერე, მათ გზა-კვალს ველარ გავიგნებთ!..

მეეზ მაშ დავეჩქაროთ, არტემ ივანიჩ!

გორ. ჰო, დავეჩქაროთ... მის კეთილშობილებასთან, მის აღმატებულებასთან...

მეეზ. (ბოლო სიტყვებს იმეორებ.) მის აღმატებულებასთან ..

გორ. ხომ წახვალ, მის კეთილშობილებასთან და გამოუცხადებ, ივან ივანიჩ?

მეეზ. რაღას დავუცდი!.. წავალ გამოვუცხადებ...

გორ. ჰო, მოახსენე მის აღმატებულებას, რომ... რომ, აი, იქ... (უთითებს) იმ სახლში... იმ წითურ სახლში (აქეთ-იქით იხედება, მერე დაბალი ხმით) კრებაა-თქვა!.. ხომ მიმიხვთი, ივან ივანიჩ?

მეეზ. ყველაფერს მოვახსენებ, არტემ ივანიჩ!

გორ. ჩუ!.. ჩუმათ, ბაიყუშო! ნუ ღრიალებ!.. შეგვიტყობენ... გაგვიგონებენ!.. (აქეთ-იქით) კედლებსაც კი ყურები აქვს!.. (მეეზოვე მიდის. გორ. (ზურგს შეაქცევს) ეს... ეს ხომ სხვის წარჩინებასა ჰგავს! ამას ხომ მისი კეთილშობილება ვერ მიხვთება, რომ ეს ჩემი „დოლოჟენიაა!“ (უძახის მეეზოვეს) ივან ივანიჩ! ივან ივანიჩ!

მეეზ. (შემობრუნდება) რა გინდა, არტემ ივანიჩ?

გორ. ვის ეკუთვნის ეგ სახლი, ივან ივანიჩ?

მეეზ. ნიკოლაი ნიკოლაიჩს.

გორ. (ყნიშკაში ინიშნავს და თან იმეორებს:) ნიკოლაი ნიკოლაიჩს!.. ხომ... ხომ ხშირათ ამართება აქ კრებები, ივან ივანიჩ?

მეეზ. დღეს მხოლოთ პირველია...

გორ. სტყუი, შე გაიძვერავ!

მეეზ. სიყმეს გეფიცები, არტემ ივანიჩ...

გორ. შე... შე ეშმაკის თავო, არ გინდა რო გაამხილო?! მაგასაც მის კეთილშობილებასთან!.. მის აღმატებულებასთან გავამხელ!..

მეეზ. არტემ ივანიჩ!!.

გორ. (მიდის)

მეეზ. (რამდენჯერმე მიაძახებს), არტემ ივანიჩ! -არტემ ივანიჩ! მეეზოვე შეჩერდება და დაფიქრდება; მერე საზოგადოებისკენ) აი, პოლიციელი! შვილიც რომ იყო, არ დაგინდობს, ოღონდ კი ქრთამებს შეჰპირდი!..

(ფარდა).

კ. გულიაშვილი.

ბენია და ბეშტია.

ბენია. სალამი შენდა, მეგობარო!

ბეშტია. რაღა გვესალამება, ჩემო ბენია, როცა წუთის სოფელს აგერ გამოგვასალმე შენ!..

ბენია. როგორ!.. ცუდი ხომ არაფერი გაგიგია?

ბეშტია. აბა, თუ ღმერთი გწამს, კარგს რას გავიგებდი ამ აპუნტულ დროში!..

ბენია. რა ამბავია? რა მოხთა ისეთი, რომ შენისთანა ვაშკაციც შეუშინებიხარ?!

ბეშტია. შიშით არა, მარა ისე შემაწუხა კი ამ ამბავმა. აი ჩვენი პატარა გურია, შენც ქე იცი, თუ რაფერ დააქციეს, დაანგრიეს და, როგორც ჩანს, ამასაც აღარ აჯერებენ და კიდევ ზედმეტს უპირობენ რაცხას... აბა რა არის აგი, რომ აი ერთი მტკაველა უეზდა აუღიათ და ცალკე საღენერალ-ღუბერნატოროო გადაუკეთებიათ და სენაკის

უეზდა, ქალ. ფოთი და ქობულეთიც ზედ მიუკოსებიათ!.. აი ჩვენი ოზურგეთი ათასჯერ გადამწვარ-გადაბუგულია და აი კი მიკვირს ღენერალ-ღუბერნატორს იქინეი ყოფნა რავა ეკადრება!.. კაი მიცეს ღმერთმა ჩვენს მთავრობას, კაი მოწყალება იყოს საკუთრათ დიდი კაცის, დიდი ღერენალის მოცემა და ამით ქალაქის დაშვენება, მარა რაცხა სასიკეთოთ არ უნდა იყოს და იგი მაფიქრებს. სხვაფერ აბა სამწუხარო რა უნდა იყოს? აი ჩვენი ვაჭრები დიდიკაცის მოყვარული და მოტრფიალე ყოველთვის იყვენ. მახსოვს, დიმიტრი გურიელი რომ მოკვდა ამ ოცდახუთი წლის წინეთ დიდი გლოვა და მწუხარება იყო ოზურგეთში და თითქმის მთელ გურიაშიაც. დევიღუპეთ, დიდი კაცი, გურიის მასახელებელი, მისთვის მთავრობასთან ენის დამლაპარაკებელი აღარ გვყავსო. ზოგიერთები იმასაც უმატებდენ, რომ შარშან ცას ერთი მარსკლავი მოწყდა, აი ჩვენი თვალით დევინახეთ, და, უთუოთ, ამ უბედურობას მოასწავებდა, უთუოთ, ბატონიშვილის მარსკლავი იქნებოდა იგიო და სხვა. წინეთ ასე იყო და ახლაც ბევრს უხარია დიდი კაცის მობძანება ჩვენში, მარა მე კი რაცხა არ მითქვამს გული და რა ვქნა...

ბენია. ვინ დანიშნეს თუ იცი? უთუოთ ვინმე ახალი კაცი იქნება და შეიძლება კარგიც გამოდგეს.

ბეშტია. იმას ქე ვიცნობ, ვინცხა დაუნიშნავენ ღენერალ-ღუბერნატორათ; იგი ახალი არ, აძველია. აი წინეთ პოლკოვნიკის ჩინში გადამწველი ატრიადის უფროსი რომ იყო გურიაში და მერე სიმარჯვისათვის ღერენლობაც ქე რომ დააკერეს მხრებზე, ხო, აი ჩვენი ტოლმაჩევი.

ბენია. ის იქიდან, როგორც მახსოვს, გადაყვანილი იყო და ხელ-ახლა დააბრუნეს?

ბეშტია. გადაყვანილი კი იყო, მარა სადაც ღერენლობა მიცეს, იქინეი ბარემ ღენერალ-ღუბერნატორობაც ქე მიულოცეს იმ კაცს. რავა, ამ მის გაშენებულ-გაშვენებულ ქვეყანაში სხვა რომ დაენიშნათ ვინმე, საწყენათ მიიღებდა ამას, რასაკვირველია, და, ხომ იცი, დიდი კაცი დიდკაცს ამისთანა პუსტიაკ საქმეზე არ აწყენინებს. სამართალზე რომ თქვას კაცმა, გურიაში ღენერალ-გუბერნატორობა სხვას სწორეთ არ უნდა რგებოდა. რავა, სხვაი ვერც დაათენებდა იმდენ საქმეს, რაც ტოლმაჩევმა ქნა!.. ნახევარი გურია, შენ ხარ ჩემი ბატონი, ცივ ქვეყნებში გადაასახლა ბუნტოვჩიკობისთვის და ქეც ემართლებოდა. რავა, აი რაცხა „კრამოლნიკებია“ თუ რაცხა ხელმწიფის წინააღმდეგი „ბუნტოჩიკები“ აღარც თოფის ეშინიათ, აღარც ზარბაზნის, აღარც რაცხა „პულემენტია“-ო, აღარც პოლკოვნიკის, აღარც ღერენლის და აბა ახლა დამაგრდენ, თუ კაი ბიჭები არიან, აი უნელი ღერენალ-გუბერნატორი რომ დაუბაკუნებს დეზიან ფეხებს!..

ბენია. შე კაცო, გურიაში წინაზე ცხონებული ალიხანოვიც ქე იყო ღერენალ-ღუბერნატორათ, მარა ქვეყანა არ დაუქცევია; იგი საწყალი ახლა განისვენებს „მართალთა თანა“ და გურია კიდევ გურია არის. ამისთანა ხელობის და ადგილის დანიშვნას სულ სხვა სარჩული აქვს, ჩემო ბეშტია! ხომ იცი, რომ დიდკაცს დიდი-ჯამაგირიანი ადგილი უნდა და რას იზამენ, რომ არ მისცენ სადმე, თვარა, როგორ ფიქრობ, ღუბერნიას ღუბერნატორი ვერ უპატრონებს თუ? ვითომ ღერენალ-ღუბერნატორი რაღა უკეთესი ვინმეა ღუბერნატორზე? გუშინ რომ პოლკოვნიკი იყო, დღეს ის ღენერალია, გუშინ რომ უბრალო ღერენალი იყო, დღეს—ღერენალ-ღუბერნატორათ იქცა. ახლა, ერთი მითხარი, ჭკუაც ისე მიემატებოდა, როგორც ჩინები მიუმატეს თუ? დამერწმუნე, ჩემო ბეშტია, რომ ეს ასეა და შენც სამწუხარო არა გაქვს რა.

ბეშტია. კაი იმედი მოგცეს ღმერთმა, ჩემო ბენია! დიახ, რაც თქვი მართალია, მარა აგიც ხომ სათქმელია, რომ დიდ-ჯამაგირიანმა დიდმა კაცმა რაცხა უნდა გააკეთოს, რაცხა ვაშკაცობა და საქმიანობა უნდა გამოიჩინოს. და ამ საქმიანობაში ღერენალ-ღუბერნატორი, ჩვენებურათ რომ ვთქვათ, ჭახრაკ-მუხრუჭათ იქცევა. ჭახრაკის საქმე ხომ დაწურვაა და ამ ჩინიანმა ჭახრაკმაც უნდა, რაც ძალი და ღონე აქვს, დაწუროს და დაწუროს, რა თქმა უნდა, არა ყურძენი, არა ჭაჭა, არამედ ხალხი, აი საწყალი ხალხი... ერთი ჭახრაკი კარგათ გადაწვდება მთელ ღუბერნიას, მარა მარტო

ერთ კუთხეს რომ დაუნიშნო საკუთრათ,— ისე დაწურავს, რომ სულ ჯანს გააგდებიებს... აი ამას ვტირი და ვჩივი.

ბენია. ხოო, ეს ჭკუაზე ახლოს არის. მარა რაღა უნდა გამოწურონ ამ ათასჯერ ჭეხრაკ-მუხრუჭში გამოვლილ ხალხს?!

ბეშტია. ხო, გამოსაწურავი რაღა დარჩა საწყალ ხალხს, იგი გაძვალტყავებულია კაი ხანია, მისი ქონი და ჭენჭი ნიკოკია-მიკოკიებს ერგო, მარა იგინმაც ქე იხმარეს კაი ნამუსი და აი ზოგიერთი, ისე ციხეში ტყუილათ შეგდებული (ამბობენ ფულის გამოსატყოვნათო, მარა მე არა მჯერა) ვინცხა-ვინცხაები ქე გამოუშვეს. და რადგან გამოუშვეს, აი რაცხა ორი გროში რაღა სახსენებელია!..

ბენია. ღერენალ-ღუბერნატორის ხელში მაგას ვეღარ გაბედვენ და ესეც კარგი საქმეა.

ბეშტია. კიდევ უფრო გაბედვენ, შენ ნუ მოუკვდები ჩემ თავს! დიდ კაცს, ხომ იცი, ბევრი კარის-კაცები ახვევია გარს; მისი ნაფინჩხით ბევრი ფინია კაცუნები ირჩენენ თავს ! ამათ ყველას მომადლიერება უნდა, თვარა ისე დიდ კაცთან ვინ შეგიშობს? მერე, რავა, ფულები ცხელი ღომი ხომ არ არის, რომ პირი დაწვას თვითონ აღას, თვითონ დიდ კაცს!.. ახლა, ჩემო ბენია, ქურდობა და ქრთამის აღება მოდაშია და თვითონ მინისტრებიც კი არ თაკილობენ. აგერ მინისტრის „პოპოშნიკ“ გურკოს დამშეული ხალხის ფულებიც ქე შეუჭამია, რისთვისაც ზაკონ-კანონით ვითომ კიდეც გაამტყუნეს, მარა დიდკაცს გამტყუნებაც ვერაფერს დააკლებს, რადგან მტყუან დიდკაცს „პომილოვანიე“ ამართლებს ხშირათ.

ბენია. ესეც ჭკუაში მოსასვლელია.

ბეშტია. ამას ახლა იგიც დაუმატე, რომ დიდი კაცის ახლო-მახლო ყოველთვის ბნელი ძალა ფუსფუსობს, უფრო თავ-აღებულია. ახლაც გურიაში უფრო გაბედულათ ამოძრავდებიან ბნელი ძალები და დღეს თუ სამი ციხეა მათი მეოხებით სავსე, ამ მოკლე დროში ათიც კი გაივსება ..

ბენია, კმარა!.. მეტი ადარ ძალ-მიქს!..

კავიბერე, კაკსკდი გულზე!..
არ აკლდება, შემატება
სულ ახალი წყლული წყლულზე!..

ბეშტია. შენ რა გიჭირს, რა გაწუხებს?
რა გინახავს შენი თვალით?
მე კი ვნახე, საწყლის ოჯახს
რომ ბუკვდენ ცეცხლის ალით...

ანასინი

---

* * *

(აკაკის მიბაძვა)

დიდხანს ვძებნე სმსანაგი,
მარა არსად მოინახა;
დავანებე ძებნას თავი
და ვიტინი ხა, ხა, ხა, ხა!..

—

ვინც შეგონა მე მებრძოლი,—
დაუდია ტყუილათ ხახა,
შეგაქცია იმას ზურგი
და ვიტინი ხა, ხა, ხა, ხა!..

—

ვინც პირველათ შეფაფხურდა,
მტერს შეკივდა, შეუძახა,—
დღეს მოშლილა ეს ლაჩარი,
მეტინება ხა, ხა, ხა, ხა!..

—

დიდხანს ვძებნე მე მწერალი,
რომ ქონდა ნიჭი და ფეხა,
ვერსად შევხვდი, ვერ ვიპოვე
და ვიტინი ხა, ხა, ხა, ხა!..

—

ზოგიერთმა ახალგაზდამ
დიდი საქმე კინიძრახა,
მარა სიტყვით, საქმით არა,
მეტინება ხა, ხა, ხა, ხა!..

—

ისიც ვნახე, ქონდრის კაცმა
სხვებზე რაცხა რომ მოჩქახა;
შეგაბრუნე მასაც პირი
და ვიტინი ხა, ხა, ხა, ხა!..

—

კაცი იყოს, გინდა ქალი
ჩვენში ყველა არის გლახა
და რათ ვძებნო სმსანაგი,
ჯობს ვიტინო ხა, ხა, ხა, ხა!..

კრიმანჭულაძე

ᲓᲔᲞᲔᲨᲔᲑᲘ

(საკუთარი კორესპონდენტისაგან)

ᲞᲔᲢᲔᲠᲑᲣᲠᲒᲘ— 1 ნოემბერს, დუმის გახსნის დღეს,—თფილისის ხულიგნების დეპუტატი ტიმოშკინი ძალზე მთვრალი იყო. პურიშკევიჩს და კრუშევანს „პოდრუჩკით“ მიყავდათ ის დუმაში.

ᲛᲝᲡᲙᲝᲕᲘ. ვოსტოროგოვი დუმის გახსნის დღეს „მოსკვა რეკაზე“ გარმოშკით ქეიფობდა და ქართველებს დედას აგინებდა სოციალ-დემოკრატების არჩევისათვის.

ᲙᲠᲝᲜᲨᲢᲐᲓᲢᲘ. იოანე კრონშტადელი, ტიმოშკინის საქციელით გაჯავრებული, ლოგინათ ჩავარდა. მისი გადარჩენა საეჭვოა.

ᲕᲚᲐᲓᲘᲕᲝᲡᲢᲝᲙᲘ. ტყუილია ის ხმები, ვითომ ვლადივოსტოკში ჯარი აჯანყებულიყოს. ეს სულ „კრამოლნიკების“ მოგონილია.

ᲧᲐᲖᲐᲜᲘ. ის ხმა, რომ ვითომ უნივერსტეტში არეულობა იყოს—მოჭორილია. სტუდენტები ყველა ჭეშმარიტი რუსები არიან და მშვიდობიანობის დარღვევა ფიქრათაც არ მოსვლიათ.

ᲞᲔᲢᲔᲠᲑᲣᲠᲒᲘ. ვარსკვლავთ პალატა გურკოს სამი წლის ღკან პრემიერ მინისტროობას მიცემს. ლიდვალის „კლოზეტები“ ვერ აუვიდა იშდენ ჯარიმას, რაც მას შეაწერეს, რის გამოც ლიდვალი ახალ „კლოზეტებს“ დაეძებს ჯარიმის გადასახდელათ.

ᲐᲮᲐᲚᲘ ᲐᲛᲑᲐᲕᲘ.

✦ **„ᲔᲨᲛᲐᲙᲘᲡ ᲛᲐᲗᲠᲐᲮᲘᲡ“ ᲠᲔᲓᲐᲥᲪᲘᲐ** საყოველთაოთ აცხადებს შემდეგს: ვინც ისე მდაბიოთ დაწერს წერილებს პოლიტიკური ეკონომიიდან, რომ ბ. „ეშმაკმა“ გაიგოს და ისწავლოს, მას მიეცემა პრემიათ „ეშმაკის“ „იუმორისტული“ ნიჭი, მისი პოეტური აღმაფრენა და საზოგადო განვითარება.

✦ ქალაქ თფილისის გამგეობის ძველმა წევრებმა, რიცხვით ცხრა კაცმა, თავადი არღუთინსკის მეთაურობით ბოიკოტი გმოუაცხადეს ქალაქის თავს ჩერქეზიშვილს და თავისი მოღვაწეობა ოქროყანის, ტაბახმელის, კოჯორის და ფუნიკულიორის ქალაქებში გადააქვთ, სადაც ახალ საბჭოებს გახსნიან.

✦ მეტრაკტირე-მესარდაფეები და რესტორანჩიკ-ბუფეტჩიკები გვთხოვენ გამოვაცხადოთ, რომ, რადგანაც „რენესანსის“ სათეატრო დარბაზში, სადაც მათ კრება ქონდათ 28 ოკტომბერს, სადილის დროს ცოტა ზედმეტათ შეზარხოშებულან, შეცთომა მოსვლიათ და მოსამსახურეთათვის 12 საათის მაგიერ ათი საათის სამუშაო დღე დაუწესებიათ.

✦ 29 ოკტომბერი თფილისელ სალახებს წითელი პარასკევი ეგონათ და ამ დღეს ქალაქის მცხოვრებნი უხორცოთ დატოვეს, მარა შეცთომა მალე იგრძნეს და 31 ოკტომბერს ისევ გაახსნილეს.

✦ დანამდვილებით გავიგეთ, რომ ბეითალ ვართანიანცს, რომელსაც „კუპისტობის“ გულისთვის ქალაქის გამგეობამ „ჟესტი“ მოაბა, შინაურ ცხოველებთან საჩივარი შეუტანია და დაკარგულ სამოთხის უკან დაბრუნებას თხოულობს. ამ მიზნით დღეს, 3 ნოემბერს, საღამოს 5 საათზე, ნავთლუღის საყასბოში დანიშნულია შინაური ცხოველების კრება. „დოკლადჩიკათ“ თვითონ ვართანიანცი იქნება, ბრალმდებლათ ორთაჭალის დიდყურა, თავმჯდომარეთ ურქო კამეჩი, წევრებათ ნავთლუღელი ძროხები დამდივნათ „მარტიშკას“ ყოჩი.

✦ პრიკაშჩიკ-დეპუტატმა **ტიმოშკინმა** ოკტომბრის 20-ში ხაზეინისაგან ჯამაგირი მიიღო და 21-ში პეტერბურგს გაემგზავრა, სადაც დუმის თავმჯდომარეობაზე თავის კანდიდატურას წამოაყენებს.

✦ ბაქოდან გვატყობიებენ, რომ ქალაქის გამგეობა სულ სიძე-სიმამრ, ნათლია ნათლიმამ,-ბიძაშვილ-ძმისწულ-დისწულ, მამიდაშვილ-დეიდაშვილებისაგან შედგებაო.

✦ თელავიდან გვწერენ, რომ ის სამი აფიცერი, რომელთაც სამმა ყაჩაღმა ნადირობის დროს იარაღი აყარა, დღე და ღამე ტყეში დაიარებიან თავისი გამცარცველების საძებნელათ. როგორც გავიგეთ, კვალისთვის კიდეც მიუგნიათ, მაგრამ შიშით ახლო მისვლას ვერა ბედავენ.

✦ საჭილაოს პლათმორიდან გვატყობიებენ, რომ იქაური მიდამო სულ „კარტოჟნიკებით“ ავსილა. შუა ქუჩაში გახურებული

ნარდის თამაშია და დუქნებში ხომ, ნულარ იტყვით, „სტო“, „ვერტუშკა“ და „ჩერეზა“ გადად-გადმოდის.

✦ მიხაილოვიდან გვწერენ, რომ იქაურ სადგურის უფროს ბ. ჭ—ძეს დეპუტატ ტიმოშკინისათვის დეპეშა გაუგზავნია, რომლითაც თხოვს პურიშკევიჩს მიმართოს და შეახვეწოს, რომ მას, ბ. ჭ—ძეს, დაბალ მოსამსახურეებათ „პაგრომშჩიკები“ და „შპიკები“ გამოუგზავნონ.

ციხის ადმინისტრაცია.



სოგანგებოთ დამინიშნეს
თანაშემწეთ ჩემებრ გველი...
ესი მაშინ ტუსაღებსა,
თუ შეგნიშნეთ სადმე ყრელი!..

ᲙᲕᲘᲠᲘᲓᲐᲜ ᲙᲕᲘᲠᲐᲛᲓᲔ.

მესამე დუმა. „გაფრიადებულ“ ამომრჩეველთა გაპანღურება. „ილიას საღამო“. გურიის დაწინაურება.

გაიხსნება დუმა, მარა თქვენ მაშინ წაიკითხავთ ამ სტრიქონებს, როცა ის გახსნილი იქნება. და გაგიხარდებათ კიდეც მისი მშვიდობით და უფათერაკოთ გახსნა. ახლა გაიხსნება წინანდელი დუმის მზგავსი კი არა, არამედ არა მზგავსი, ესე იგი უმზგავსო დუმა. პირველი დუმა იყო რევოლიუციონური, მეორე ოპოზიციონური, ხოლო მესამე იქნება ხულიგანულ-რევოლიუციონური. მერე და ეს ცუდი რამეა თუ? ახლა, ამბობენ, ხულიგნებიც გარევოლიუციონერდებიან და ქვეყანას ჯვარს აცმენ თავისუფლებისათვისო!.. არა, შემეშალა, ქვეყანას კი არა, თვითონ თავისუფლებას აცმენ ჯვარს ქვეყნისთვისო. მე რომ კაცმა მკითხოს, ეს სულ ერთია, რადგან წალმა იტყვი თუ უკუღმა—მაინც ბრძოლაა თავისუფლებისათვის და ამის მეტს, ერთი მითხარი, რევოლიუციონერები რაღას აკეთებენ? აქედან დღესავით ნათელია, რომ მესამე დუმაც რევოლიუციონური იქნება. რავა, აი ჩვენი ოკტომბრისტები ვითომ რაღა სხვებზე ნაკლები რევოლიუციონერები არიან?! და თუ არ არიან, დუმაც ხომ მათ ხელშია ახლა. მე ძალიან მიკვირს, რომ ოკტომბრისტებსაც ხულიგნებს ეძახიან!.. რა დააშავეს ამ კაცებმა!.. და ან მათზე მეტი რა გააკეთეს, მაგალითათ, სოციალდემოკრატებმა? თავიფლებისათვის ისინიც იბრძვიან და ესენიც და, მე მგონია, მათ შორის განსხვავებაც სულ ცოტა უნდა იყოს. სოციალდემოკრატებს თავისუფლების მოსაპოებელ საშვალებათ არ სწამთ საველე სასამართლო, საალყო და სამხედრო წესები და სხვა ასეთი ზომები; ოკტომბრისტებს კი ყველა ეს საჭიროთ მიაჩნიათ, მარა ისინი უფრო ჭკუიანი კაცები არიან და ქეც უნდა დავუჯეროთ. მართალი თუ გინდათ, სოციალდემოკრატები ღუნწი რევოლიუციონერები არიან, რადგან ისინი არც ქვეყანას იმეტებენ თავისუფლებისათვის და არც თავისუფლებას ქვეყნისათვის. ოკტომბრისტები კი, როგორც გამოცთილი კაცები, ერთ-ერთის მოპოებას ალეევენ თავის ძალღონეს. მათი ტაკტიკით საჭიროა, რომ თავისუფლებისათვის ბრძოლაში გაწყტეს ანუ, უკეთ რომ ვთქვათ, გაწყვიტონ მთელი ქვეყანა (რა თქმა უნდა, გარდა ხულიგნებისა) და მერე გამოცხადდეს სრული თავისუფლება; ან და ქვეყანა უკლებლათ და უენებლათ დარჩეს, მარა მის უენებლობას თავისუფლება შეეწიროსო. მოკლეთ რომ ვთქვათ,—თავისუფლება უხალხოთ, ან და ხალხი უთავისუფლოთ, აი ოკტომბრისტების რეალური პოლიტიკა, რის განხორციელებაშიაც მათ შეუდგებიან მხარში, რა თქმა უნდა, პურიშკევიჩები, ბობრინბკები, ევლოღები და ძმანი მათნი. და რადგან ყოველივე ეს საშინაო საქმეა და გარეთ გამოსატანათაც არ ღირს, აღარც ის არის საჭირო, რომ ნავრიდის სასახლეში გამართონ ერთი ვაი-უშველებელი. ეს სასახლე მაინც ისე დანავსულია პირველი და მეორე დუმის დროიდან, რომ სხვაგან თუ არ გადიტანეს, იმ ად-



მესამე დუმას ხულიგნები მიაგორებენ დალმართ-დალმართ.

გილას ერთ გროშათაც არ ღირს. ვინ არ იცის, რომ რაც რამ კარგია ხალხისთვის,— ყველაფერი სტოლიპინის კანცელარიაში კეთდება და იქიდან გამოდის. ამიტომ ოკტომბრისტებიც არ ისურვებენ განმარტოებულათ მუშაობას და სტოლიპინსაც დაიხმარებენ. ამას ადვილათაც მოახერხებენ ისინი: წამოუსვამენ, შენ ხარ ჩემი ბატონი, ამ თავრიდის სასახლეს ხელს იქიდან-აქედან, ეტყვიან „ელესას“ და ერთ წუთში ჩააგორებენ სტოლიპინის კანცელარიაში. მე შენ გეტყვი გაუჭირდებათ ეს თუ? სტოლიპინის კანცელარია ეგერ არის ქვევით ჯურღმულში და დუმის დალმართ-დალმართ ჩაგორებასაც დიდი ჯაფა არ დაჭირდება. მაშ, მესამე დუმა მიდის დალმართ-დალმართ...

და მასთან ერთათ ჩვენი ბრწყინვალე წოდებაც დალმართ-დალმართ მიბძანდება. როგორც ბრწყინვალეს, რა თქმა უნდა, ბრწინვალე ადგილსაც უნდოდა დაბძანება მას, მარა ველარ მიართვეს!.. აი სახელმწიფო საბჭო რომ არის, შარშან ქე ყავდა იმაში არჩეული თავისი წარმოდგენილი ჩვენს თავად-აზნაურობას— განსვენებული ილია ჭავჭავაძე, მარა ილია ქე მოკლეს ფედერალისტებმა, არა, უკაცრავათ, ვინცხა სხვებმა, და ახლა მის მაგიერის არჩევა კი ველარ მოახერხა თავად-აზნაურობამ და ქე დარჩა ასე პირში ჩალა-გამოვლებული!.. რავა, აქედან ხელი და საცთელი კი არ დაუკლია ჩვენს ბრწყინვალე წოდებას, მარა არაფერი გაუვიდა, რადგან რუსების ბრწყინვალე წოდებამ პანღური კრა ქართველების ბრწინვალე წოდებას და უკან გამოაბუნძულა მისი წარმომადგენლები. მერე, იმას არ იტყვი, რა კაცები გაგვიპანღურეს იმ ოჯახ-დასაქცევლებმა!.. ოთხი კაი დაქებული ბრწყინვალე თავადი იყო პეტერბურგს გაგზავნილი იმ იმედით, რომ ერთი მათგანი ყოვლის უეჭველათ ერთხმათ იქნება არჩეული საბჭოს წევრათ მთელი რუსეთის ბრწყინვალე წოდების წარმომადგენელთა მიერო. ეს ოთხი თავადი,

მე კი რა მენაღვლება და, რუსის თავადებს ბარე ოთხმოცსაც ქე ჯობია. მე იმათ დაფასებას და აწონას როგორ შევძლებ ღირსეულათ, მარა პეტერბურგს გამგზავრების დროს ისინი „ნიშადურმა“ აწონა თავის უტყუარ სასწორზე და მათი ყოველგვარი სიმძიმე და ღირსება გამოხატა სიტყვა: „ფრიად“ ით, *) მაგალითათ: „ვ. მიქაძე ფრიად განვითარებული და დიდი ცოდნის პატრონია“. „თ. დავით ზაქარიას ძე მელიქიშვილი ფრიად განვითარებული და გონიერი კაცია“. „თ. გ. ა. ბაგრატიონ დავითიშვილი ფრიად **) პატიოსანი, მიუდგომელი და თავდაბალი კაცია“. აი ეს გაფრიადებული თავადები და ერთიც კიდევ „ნიშადურის“ მიერ გაუფრიადებელი თავადი, ანდრია ერისთავი, იყვენ გაგზავნილი პეტერბურგს, მარა იმათ ვერ უშველა მათმა ფრიადობამ და ისევ უკან ჩამოფრიადდენ სირცხვილ-ჭმული. ან კი რათ აირჩევდენ იმათ, როცა ერთმანეთი კინაღამ დაჭამეს—არა მე მინდა საბჭოს წევრობა და არა მეო. ამათი ჩხუბისა და დავიდარების მნახველი რუსის ბრწყინვალე წოდება შეშინდა—საბჭოშიაც შეღლი არ შემოიტანოს განაპირა თავადმაო და სულ რუსული ატკაზი უთხრა ყველას საბჭოს წევრობაზე. ცოტა მუჟიკური შედარება კია, მარა რა ვქნა, მე გაფრიადებული კაცი არ ვარ და ძაღლებისა და ძვალის ამბავს უნდა შევადარო აღნიშნული წარმომადგენლების საქციელი.

—

მარა ის რაღას შევადაროთ. რომ „ილიას საღამო“ ჩაფლავეს ჩვენმა ფედერალისტებმა? აი დალოცვილები ქვეყანა'ს აყრუებენ ილიას ფარისეველური ტირილით და ის კი ვერ შეუგნიათ, რომ მარტო ტირილი და თავზე ნაცრის დაყრა არ კმარა განსვენებულის პატივსაცემათ. ამა რასა გავს ეს, რომ ილიას სახელით ქვეყანას თავი მოუყარეს საარტისტო საზოგადოების დარბაზში, სადაც განსვენებულ მგოსნის ნაწერების ხელოვნურათ წარმოდგენით, ხელოვნურათ წაკითხვით უნდა დაეტკბოო მსმენელები, კიდევ უფრო განედიდებიათ მგოსნის სახელი, გამოეჩინათ თავისი თავი, ერთი სიტყვით, ექნათ „საქმე საჭოჭმანები“. და კიდეც ქნეს, რადგან საცოდავათ წაიკითხეს, საბრალოთ წარმოადგინეს და მით განსვენებული მგოსნის ხსოვნას შეურაცხყოფაც მიაყენეს. მარა ფული, ფული კი მობოქეს და „ილიას ფონდს“ მიუმატეს, რომელსაც უთუოთ, საბოლოოთ ისეთი ბედი ეწევა, როგორც მრავალ სხვა ამისთანა ფონდებს ეწია ჩვენში. ვინ არ იცის ჩვენი ავტონომიურ-ფედერატიულათ მომქმედ ინტელიგენციის აფაცურებ-ჩაფაცურების ფასი, რასაც დღეს გაზეთი „ისარიც“ კი უკიჟინებს მათ და არცხვენს. ასე ეგონება კაცს, რომ სოციალდემოკრატების თაოსნობით ყოფილა ეს საღამო გამართული და „ისარიც“ მათ წინააღმდეგ ამხედრებულაო, მარა ნამდვილათ კი ფედერალისტები თავის თავს ამათრახებენ და ერთი მეორეს აღარ ზოგავენ...

—

და აღარც მთავრობა ზოგავს ძალ-ღონეს, რომ საბრალო, გადამწვარ-გადაბუგული გურია როგორმე დააწინაუროს. რავა, თვითონ გურულები არ იყვენ, რომ რესპუბლიკას ოხოულობდენ შარშან? და, ეს არის, ქეც განახორციელეს ახლა. ოზურგეთისა და სენაკის მაზრები, ქობლეთი, სამტრედიის საბოქაულო და ქალ. ფოთი,—აი ახალი რესპუბლიკის ფარგალი, აი მისი ტერიტორია. ქალაქი ოზურგეთი,—აი რესპუბლიკის პრეზიდენტის, რეზიდენცია, აი რესპუბლიკანური ჯარის მთავარი შტაბის სადგომი. თქმა არ უნდა, კაი წარმატებაა გურულებისათვის და ღირსიც ქე არიან. რავა, მთელ რუსეთის იმპერიაში გურულებმა გაითქვეს სახელი თავისი რევოლიუციონერობით და აბა ვის უნდა მოეპოებია ყველაზე ადრე სანატრელი „თავისუფლება“, თუ არა იმათ!.. მართალია, ჯერ-ჯერობით პრეზიდენტი საყოველთაო, თანასწორი, პირდაპირი და ფარული კენჭის ყრით არ არის არჩეული, მარა სულ ერთია, იმისთანა ღვთისა და კაცის საყვარელ კაცს, როგორიც არის ახალ დანიშნული პრეზიდენტ-გენერალ-გუბერნატორი, არჩევა რათ უნდა?! არ უნდა და ისიც აურჩევლათაც შედგომია სამინისტ-

*) იხ. „ნიშადური“ № 9.

**) ორიგინალში „მეტად“ არის, მარა კორეტურული შეცთომა უნდა იყოს.

როს მოწვევას. კაბინეტის შედგენა ბ. ნიკოკისთვის უთხოვნია და უკანასკნელიც დათანხმებულა. თვითონ ნიკოკის მინისტრ-პრეზიდენტობა და ფინანსების მინისტრის პორტფელი აუღია. პოლიციის მინისტრათ ბ. დიმიტრი მოუწვევია, ხოლო იუსტიციის მინისტრობა ივან იაგორიჩისათვის დაუვალებია. საგარეო საქმეთა მინისტრათ, როგორც ხმა დადის, გრიგოლ ხლიჩინა მჯაყვული უნდა მოიწვიოსო, დანარჩენი პორტფელები ჯერ-ჯერობით თავისუფალია.

უკულმართი

„ᲓᲐᲕᲐᲘ ᲞᲐᲢᲔᲜᲘ, ᲖᲐᲙᲝᲜ!“

(ნამდვილი ამბავი)

ერთი მეგრელი დაიჭირეს და „უჩასტკაში„ დაამწყვდიეს. რა თქმა უნდა, იქ კარგათ არ მოეპყრობოდენ მას და ეს ითაკილა მეგრელმა. დაუძახა გოროდოვის და დაუყვირა: „აქ, პატენი, რა მინდა მე, ბაღლინჯოები მჭამენ, დავაი ზაკონ!“ო. გოროდოვოს გული მოუვიდა, როგორ თუ მიყვირისო და უთავაზა. და უთავაზა ცხვირ-პირში დადიანის კაცს და თანაც უყვიროდა: „ვოტ, ტებე, კრამოლნიკ, ზაკონ!“ო.

წავიდა გოროდოვოი, მეგრელი მოსულიერდა და მოინდომა იმ უზდელი გოროდოვოის დასჯა; დაუძახა ახალ გოროდოვოის და თხოვა, რომ პრისთავთან საიდუმლო სიტყვა მაქვს და როგორმე მინახულოსო. გოროდოვოი საჩქაროთ გაიქცა პრისთავთან და მოახსენა. პრისთავს გაუხარდა,—მეგრელი ამხანაგებსაც გაცემსო და დაუყონებლივ წავიდა უჩასტკაში.

— აბა, რას იტყვი, მეგრელო? რას გამაგებიებ ისეთს, რომ შენთვისაც კარგი დარჩეს და ჩემთვისაცო,—შეეკითხა პრისთავი.

— მე, პატენი, მოგახსენეფ, რომ სწორეფ ძალუან უზდელი გოროდოი გყოლიათ აქანეის და დავაი პატენი ზაკონ! ეს უკანასკნელი სიტყვები ისე შეყვირა მეგრელმა პრისთავს, რომ ის შიშით ერთ არშინზე შეხტა. შემდეგ გონს მოსულმა პრისთავმა წამოაქცევია გოროდოვებს საწყალი მეგრელი და იმდენი უწყვიტინა მეგრული მათრახი, რომ სიკვდილზე მიყარა საცოდავი; ურტყამდა და თანაც უყვიროდა პრისთავი: „ვოტ ტებე, მერზავეც, ზაკონ!“ო.

წავიდა პრისთავი, მეგრელი მოსულიერდა და ბუტბუტებდა: „რუსის ზაკონის ოჯახს კი დააქცევს ღორენთი, იგი ცემა-ტყეპის მეტი არაფერი ყოფილა“ო.

ლიპიანი

ᲞᲠᲝᲕᲘᲜᲪᲘᲐ.

ს. ᲓᲘᲓᲘ-ᲯᲘᲮᲐᲘᲨᲘ მოხთა „კონფერენცია“ ჯიხაიშის ბატონ-პატრონებისა ან. მხეიძის თავმჯდომარებით. მიუხედავათ იმისა, რომ კრებას ერთი წევრი აკლდა, კრება კანონიერათ ჩაითვალა. თავსამტვრევი საკითხი იყო დღევანდელი პოლიტიკური მომენტი. ამ საკითხის შესახებ კრებამ გამოიტანა შემდეგი რეზოლიუცია: „გამოცხადებულ იქნას სოფელი საალყო წესებზე და ყველა ახალგაზდა, ვისაც ჯერ არ შესრულებია 21 წელიწადი, განურჩევლათ სქესისა, მიცემულ იქნას „პოლევოი სუდში“. რეზოლიუციის სისრულეში მოსაყვანათ აირჩიეს აღმასრულებელი კომისია, რომელშიაც შედის ადგილობრივი მამასახლისი თავის მწერალით.

ჯ—თუ.

სოფ. ᲫᲐᲜᲫᲣᲚᲘ. (ბათომის მხარე). ამ ერთი კვირის წინათ, აქ მოხთა ქართველ მახმადიანთა კრება. კრებაში მონაწილეობას 3,000 კაცამდე იღებდა ჩვეულებრივათ. თავმჯდომარის არჩევის შემდეგ შეადგინეს დღის წეს-რიგი, რომელშიაც შედიოდა შემდეგი კითხვები: 1) ჩადრის შესახებ. 2) იარაღის ტარების შესახებ. 3) ბუნტის შეძენის შესახებ და 4) არჩევნების შესახებ. პირველ კითხვაზე ილაპარაკა ერთმა მოხუცმა შემდეგი: „რადგანაც ამ დროებთ აქ გახშირდა სოფლათ ხეტიალი კაზაკებისა, რომლებიც უთვალთვალებენ ჩვენს ცოლ-შვილს დასანახათ, ამისთვის საჭიროა, ჩვენს ცოლებს და ქალიშვილებს ერთის მაგიერ ჩამოვახუროთ ორი ჩადრი და მით უზრუნველ ვყოთ მათი პირისახე კაზაკების დანახვისაგან“!ო. მოხუცის წინადადება მოიწონეს ᲩᲔ ერთ-ხმათაც

მიიღეს. მეორე კითხვაზე ილაპარაკა ორმა ახალგაზდა ორატორმა, რომლებმაც ასე დააბოლოვეს თავისი სიტყვები: „ყველამ კარგათ იცით, კაზაკები დღისით ხეტიალის დროს გვართმევენ სილაღს და თანაც გვიჭერენ, ამისათვის ჩვენი აზრით სასურველია დღის. მაგიერ შემოვიღებდეთ სილაღის ღამ-ღამობით ტარებას. ეს ორნაირათ სასარგებლო იქნება: ერთი მხრით დამალვას ადვილათ მოვახერხებთ და მეორე მხრით, კერძო მტერის მოკვლა უფრო გადვილდება“ო. ორატორები ტაშით დააჯილდოვეს და მათი წინადადება უკლებლათ მიიღეს. მესამე კითხვამ ცოტა აყალ-მაყალი გამოიწვია. ზოგი ამბობდა: „ბუნტი წითელი მინტკალია ჯოხზე წამოკიდებული“, ზოგი ამტკიცებდა: „ბუნტი სკივრშია დამწყვდეული და როცა თავს მოხსნიან, აბუნტდება“ო. კრებამ ვერ გაარკვია ეს საკითხი, მარა მაინც დაადგინა: „რათაც დაგვიჯდეს, შევიყიდოთ ბუნტი გურჯებიდან და ფასათ გადავდვათ 150 მანეთი“ო. ამ მიზნით აირჩიეს კომისია, ოცი კაცისაგან შემდგარი (ეგებ ნაკლებმა ვერ ზიდონო). მეოთხე კითხვის შესახებ დიდი ხნის კამათის შემდეგ გამოიტანეს შემდეგი რეზოლიუცია: „როცა არჩევნები მოახლოვდეს, მონაწილეობა არ მივიღოთ და მიზეზათ ავათმყოფობა დავასახელოთ“ო. ის იყო, კრება უნდა დახურულიყო, რომ მოვიდა ერთი ხოჯა, რომელმაც მოითხოვა რეზოლიუციების გაცნობა. თავმჯდომარემ გააცნო მას რეზოლიუციები. ხოჯა ყველაფერზე დათახმთა, მხოლოთ ბუნტის ყიდვაზე ვარი განაცხადა: რადგანაც ბუნტს ხოჯები და ბეგები სძულს, მისი შეძენაც მავნებელი არისო. კრება დაეთანხმა ხოჯას და ამნაირათ ბუნტს პანღური ამოუსვა.

მუშა ლილიპუტი.

ᲞᲔᲢᲘᲪᲘᲐ ᲓᲐ ᲚᲝᲙᲐᲣᲢᲘ.

I

როს დასჭექა ხმამ თავისუფლების,
ყველა მას ხარბათ ეწაფებოდა,—
კაპიტალისტი, ბურჟუა, მღვდელი
სოციალისტის ქურქში ძვრებოდა!..
კაპიტალისტი, ეს ტბის წურბელა,
რომლის მიზანიც სისხლის სმა იყო,
დემოკრატობდა და ხალხისათვის
ჯვარს რომ გაეკრათ, თითქმის მზათ იყო;
ბურჟუა—მუშის გამყვლეფ-წამგლეჯი,
ვითომდა მუშას მხარსა უჭერდა,
მაგრამ საქმით კი სხვაფერა ბჭობდა,
თავისუფლებას ზიზღით უმზერდა!..
მკვდრისა და ცოცხლის გამყვლეფი მღვდელი
ანაფორასა ცაში ისროდა,
და აქამდის რომ მხოლოდ კუჭს ცნობდა,
დღეს ხალხისათვის ვითომ იბრძოდა!..
მაგრამ ცხოვრებამ ფერი იცვალა,—
თავისუფლება ფეხით გათელეს
და ის ბურჟუა-კაპიტალისტი,
ხალხის წინაშე რომ შლიდა ხელებს,
მტრათ გადაექცა თავისუფლებას,
აღარა სწამდა მუშისა ბედი
და მას, მსუქანსა, ზევიდან ქონდა
გამარჯვებისა დიდი იმედი!..

II

ბნელ და ნესტიან ვიწრო სარდაფში,
რამოდენიმე კაცი შეყრილა;
აღარ მოძრაობს არსით ჰაერი,—
თუთუნის სუნით მთლათ გაჟღენთილა.
ყველა აქ მყოფი ფერ მიხდილია,
ყველას ატყვია ტანჯვის ნიშანი
და, ჩანს, დღიური ლუკმა გამხდარა
მათი დღეინდელ კრების მიზანი.
კარებთანა დგას ერთი მათგანი,—
გამვლელ-გამომვლელთ ადევნებს თვალსა,
რომ არსით გაჩნდეს ახლოს ჯაშუში,
ყური არ მოკრას მათ საუბარსა—
ურთ-ერთს ჭირ-ვარამს უზიარებენ
და შესჩივიან ერთმანეთს თვის ბედს;
ბჭობენ, თუ რა გზით უშველონ თავსა,—
პეტიციაში ხედავენ იმედს!..
ბჭობენ იმაზე, რომ მათი ბედი
ერთობ წყეული, ულმობელია,
დღე მუდამ ტანჯვა, შრომა უზომო
და ჯიბე მაინც ცარიელია!...
და ამა მიზნით დაადგენ ერთ აზრს:
აღებს დაუდონ მოთხოვნილება,
რომ შეუმოკლონ სამუშაო დრო,
და თანაც მოსპონ ლანძღვა-გინება.
რომ იმის ნაცვლათ, რაც დღე და ღამე
ოფლს იწურავენ მეტის ჯაფითა,

მუშებს მიეცეს რამ შეღავათი:
დრო განისაზღვროს რვა საათითა;
რომ მთელი კვირის ჭუჭყი და ოფლი,
რაც დატანჯულთა ზედ შეხმობიათ,
აღების ფულით ჩამოირეცხონ;
და აქამდისინ რაც დღე სდგომიათ,
სრულათ მიეცეს დავიწყებასა;
გაუმჯობესდეს მათი ცხოვრება:
მოსამსახურეს მოსასვენებლათ
ორი თვით წასვლის მიეცეს ნება.
და თუ აღებმა ამ გვარ მოთხოვნით
ჩვეულებრივათ დაუწყეს კიცხვა,
მაშინ მუშებმა მათს უარყოფას
წინ მიაგებონ დიდი გაფიცვა.—

III

მიხაილოვის ფართე ქუჩაზე
ყვავილობს ბაღი „რენესანსისა“
და აქ შეყრილან ხაზაინები
ტრაქტირ-სარდაფ და რესტორანისა.
სკამზე შემდგარა ჩარჩი სომეხი,
გადმოუგდია ღორივით ლეში
და მის გვერდით ზის ვინმე ბერძენი,—
სახელ განთქმული ყველა მდიდრებში.
აქვე ჩამსხდარან ჩვენებურებიც:
ქართველ-კახელნი და იმერელნი,
რუსნი „სიტოვით“ გაჟღენთილები
და „ჩხუს მახინჯი“ ვინმე მეგრელი,—
ას სამოც კაცსა (ეს ხუმრობაა?)
აქ გაღმართავს კამათი და სჯა
და ყველა მათგანს ერთი აზრი აქვს:
მოსამსახურებს ეკუთვნის დასჯა.
— ესკი, თქვენმა მზემ, მეტის მეტია!..
ჩემი პოლოსა ემესა შვრება
და ჩემ მუშტარსა, როგორც რიგია,
ყურს აღარ უგდებს, აღარ უძღვება!..
— თქვენმა მზემაც, ვა! ციხე ცოტაა!..
იმ ყურუმსაღებს ციმბირი ხვდება
და ერთი ორი რომ გავამგზავროთ,
დანარჩენები დაჭკვიანდება!..
— იმე, ბატონო, ყაზილარებმა
ლამის ბუფეტი დამიკეტიონ,
ის დღე არ გავა, რომ ჩემ მუშტარსა
რიგზე დაუხვდენ, არ აწყეინონ!..
— წავიდა ის დრო, როს ლაქიები
ჩვენს ბუფეტებში ხაზეინობდენ,
და ვისაც დღეში ათ შაურს ვაძლევთ
ორ სამ მანეთსაც კი ცოტაობდენ.
— ტიელ მუდრეგნი, ნუ თუ ვერ ხედვენ,
რომ დაიძინა თავისუფლებამ
და გაიმარჯვა კვლავ პოლიციამ,
ფრთები გაშალა თვითმპყრობელობამ?!.
— დედავ! ვეი პლეჩ! რავა, ყმაწვილო,
ლაქიას რავა გავაბატონებ!..
მე მაგ პირობით მას არ შევკვრივარ,
ერთ წუთს ნომერში არ ვაბოგინებ!..
— მა, თქვანი ჭირი, შარგალი კოჩი
რავა ვიქ მას, რომ ლაქია მჯობდეს
და ჩემი შრომით ნაშოვნ-მონაგებ
რესტორანებში ის ბატონობდეს!..
— Это нахальство и дурачество,
свинство! გაკივის ბურჟუა რუსი.
— არა, მამავჯან! მე „პადვალს“ ვკეტავ
მე თვითონ მესმის სირცხვილ-ნამუსი.
სიკვდილი არ ჯობს, რომ ჩემი სარჩო
ვიღაცა ოხერ ტეტიას მივცე,
თვითონ ვიარო ულუკმა პუროთ
და დარდისაგან თავში ქვა ვიცე?!.
კამათის ბოლოს გამოიტანეს
სირაჯხანული რეზოლიუცია:
„ჩვენდა პატრონათ პოლიციას ვცნობთ,
არ გვწამს მუშების რევოლიუცია!
თუ უნდათ მუშებს, ჩვენ დაგვიჯერონ,
ვირივით მთელ დღეს ჩვენ გვმსახურებდენ
და თუ არ ნებავთ? ჩვენ ხელს არ ვუჭერთ,
საითაც ნებავთ—იქით მიბძანდენ!!.
ჩვენ ვერას გვიზამს მათი გაფიცვა,
ვერც პეტიცია და ვერცა „ბუნტი!“
და, რომ მუშებმა ჭკუა ისწავლონ,
აღებმა სტკუცეს მათ ლოკაუტი!..
მაგრამ როდემდის, ხაზაინებო,
როდემდის უნდა გამაგრდეთ მაგ გზით?
ნუ თუ არ იცით, რომ მუშამ იცის
დიადი ბრძოლა ახლა სულ სხვა გზით?!...

IV

თუმც დღეს მუშების განკითხვის დღეა,
ქალაქ, სოფლებში სისხლი ინთხევა,
რაც ნეტარ დროში გაკეთებულა,—
დღეს ძველებურათ ინგრევ-იქცევა;

თუმც დღეს აღები კვლავ სწოვს მუშის სისხლს;
ხარბი მოძღვარი კვალად ყვლეფს გლეხსა,
გაუმაძღარი ჩარჩი—ბურჟუა
მუშებში ხედავს მოსისხლე მტერსა;
მაგრამ დადგება ის ნეტარი დღე,
როს მოეღება ბოლო ტანჯვასა
და დღეს, ვინც სცხოვრობს ფუფუნებაში,
ხვალ გაეკვრება გოლგოთის ჯვარსა!..

მიმინო.

ᲙᲠᲔᲑᲐ

წმიდათა დიდთა სასწაულ-მოქმედთა და ღირსთა მოსილთა მამათა ჩვენთა—სოლომონ ჩუღურეთელისა, პოლიეუქტ იარმუკელისა, ნესტორ მთაწმიდელისა, იოსებ ნავთლუღელისა და ძმათა მათთა, მათითა ლოცვითა და ვედრებითა გვაკურთხე, მაღალ-ღირსნო მამანო!

და იყო დღე იგი 31 მაისისა, რაჟამს შეიკრიბენ ქურუმნი და დიაკვანნი მათნი დიდსა მას სახლსა შინა რომელი იწოდების სემინარიათ. და აღახვნეს ბაგენი თვისნი და ხმითა საყვირისათა ღაღად ჰყვეს: „რამეთუ მოვალს ჟამი და აწვე არს, ოდეს მონათა და მორჩილთა ჩვენთა, რომელთა ეწოდების დიაკონნი და მედავითნენი აღტყინდენ ჩვენზედა და დიდითა მით იერიშითა წაგვართვან ჩვენ წილადობისა ჩვენისა მესამედი, ვინაიდან, ვითარ განუწესებიეს წმიდათა მათ წინაპართა ჩვენთა მიცემად მათდა ჩვენდამი მეოთხედისა ნაწილისა, ყოველისავე მისგან, რაიცა მოგვეცეს ჩვენ სასყიდლათ გონებით ბრმათა და ჩლუნგთა მრევლთა ჩვენთაგან. ვინაიდან დიაკონთა მათ არ ძალუძსთ ცხოვრება შემოსავლითა მით, რომელსა მივსცემთ ჩვენ და რამეთუ დაკნინდეს და დაგლახაკდეს ფრიად, ცოლნი და შვილნი მათნი ვლიან შიშველ და კუჭი მათი ცარიელ არს, ვითარცა გოგრა ჩვენი, ამისთვისცა ვიდრეცა მთავარ-დიაკონნი იგი და მედავითნენი შეიკრიბებიან საყოფელთა ჩვენთა, გვიჯობს ჩვენ, ღირსნო მამანო ძ ძმანო, მიცემათ მათდა მესამედისა ნაწილისა მეოთხედისა წილ, ხოლო უარის ყოფა ამისა მოგვიტანს ჩვენ ზიანსა ფრიად და დიაკონნი წარმოვლიან ჩვენზედა წინწილითა და ებნითა და ვითარცა ლაშქარი იგი ნაბუქოდონოსორისა, დასჭექს ჩვენზედა და აღვგავის ჩვენ პირისაგან ქვეყნისა ვითარცა სულითა მის დიდისა ნიავქარისათა. და იტყოდენ რა სიტყვასა ამას მხედართ-მთავარნი იგი შიიჭრეს მათდა მიმართ ხმლითა და თოფითა მით და ურტყმიდეს თხემსა მათსა ზედა ყვრიმლსა და მათრახსა, ვითარცა წმიდამან მან ღვაწლით შემოსილმან გიორგიმან უგმირა ვეშაპსა მას შუბი, ეგრეცა მათცა უგმერდეთ ხიშტსა და სცემდენ მადრახსა რეზინისასა და იყო ხმა დიდი ყვირილისა და ტირილისა და ღრჭენანი კბილთა და წმიდანი კუნკულნი მათნი ჰგვიდენ ქუჩასა და ანაფორანი მათნი ვითარცა კრეტსამბელი ტაძარსა შინა იფხრიწებოდა და სცვიოდა მისგან ნაჭერნი დანაკუწნი, ვითარცა ღრუბელნი მათთა შინა, ჟამსა მოახლოვებისა წვიმისასა, და იყო დღე ესე ფრიად ღირს შესანიშნავი ცხოვრებასა შინა ქურუმთა და მთავართა მათ.

ხოლო მეორისა წელისა დეკემბერსა რიცხვით მეათორმეტესა დღესა კვალათ შეიკრიბენ ქურუმნი იგი და დაადგინეს მიცემათ დიაკონთა და მედავითნეთა წილ მესამედისა ნაწილისა, ყოვლისაგან შემოსავლისა; მაშინ წმიდამან სოლომონ ჩუღურეთელმან, ლიქნითა და ცრუობითა გამოუცხადნა ქურუმთა მათ სიტყვა იგი წმიდისა სახარებისა, რომელი იტყვის: „ღირს არს მუშაკი სასყიდლისა“! ხოლო წმიდა იგი იოსებ ნავთლუღელი აღახვნიდა ბაგეთა თვისთა და იტყოდა, ვითარმედ უმჯობეს არს განშორებათ წრისაგან მათ მედავითნეთათა ოთხისა კაცისა, რომელნიცა აღამხედრებენ ქურუმთა ზედა ყოველთა მედავითნეთა. ხოლო წმიდა იგი ნესტორ მთაწმიდელი სწვდა წმიდასა წვერსა დიდუბის ქურუმისასა და ზრახვიდა ვითარ მან, ბოროტმან და არა წმიდამან სულმან, განქიქნა საქმე იგი იარმუკელისა მედავითნისა გოგიაშვილისა და უგულებელჰყო იგი, და დასტოვა მშიერ, გვებულ და წყურვილეულ ცოლითა და პირმშოითა მისითა.

აწ დადგა დრო იგი განცდისა და ქურუმთა მათ დაივიწყნეს მცნებანი თვისნი და მთავარ დიაკონთა და მედავითნეთა თვისთა წაართმიდენ მცირედსაცა მას, რომელიცა მისცნეს მას შარშანდელსა წელსა და კვალათ სტიროდენ მეფსალმუნენი და მთავარ დიაკონნი იგი-

ნი და არა ესმოდენ ვედრება მათი ქურუმთა მათ. ცოლნი და შვილნი მეფსალმუნეთა მათ ვლიან შიშველ, ხოლო შვილნი ქურუმთა მათ სტაცებენ ლუკმასა პირით ჩჩვილთა მეფსალმუნეთა და გაუმაძღარნი კუჭნი ქურუმთანი, კვალათ ივსებიან ყოველივე შემოსავლითა, რაიცა აქეს მათ მისჯილი ბრმათა მრევლთაგან, და მეფსალმუნენი იგი კვალათ ითმენენ შიმშილსა. ხოლო დიდი იგი, ღირსმან მამამან სოლომონ ჩუღურეთელმან, განიქიქა მუცელი წილითა მეფსალმუნისა თვისისა და ღირსი მამა პოლიევტ იარმუკელი ყოველსა კვირესა ყიდის ნამუსსა და სინიდისსა თვისსა იარმუკასა მას, რომელსა ეწოდების: „სალდათთა ბაზარ“—და არა ჰგიეს ჰეშმარიტება და სიყვარული მცირეთდამი, რამეთუ კუჭნი ქურუმთა მათ, ვითარცა ზღვა, უძირო არს, ხოლო გულნი მათნი ქვა და სინიდისი მათი გაყიდულ ოცდაათსა ვერცხლსა ზედა.

რომელთა ასხნენ ყურნი სმენად, ისმინეთ... ამინ.

ბლაღოჩინი

ᲛᲣᲨᲔᲑᲘᲡ ᲡᲘᲛᲦᲔᲠᲐ.

—

შრომაო და ჯაფაო დასუსტებულნი
საქმეს ვადგებით დიდიო რიგრაგზე;
ჩვენ გვედვიძება შუადმ დღე ქარხნის
სიყვარის ხმაზე, სიყვარის ხმაზე!..

—

რა გინდ ზამთარი შეაცრა ყინვადეს
და უმატებდეს ცივ სუსხსა ძალზე,
მაინც გავრბივართ ქარხნებისაკენ
სიყვარის ხმაზე, სიყვარის ხმაზე!..

—

სხვებს ამ დროს ძინავთ ტკბილად და შეიდათ,
არ ეფიქრებათ მათ ცხოვრებაზე;
მაშინ ალ სალს მსოლოთ გვეფერთხობა ძალი:
სიყვარის ხმაზე, სიყვარის ხმაზე!..

—

გინცხრომის შეიდნო, არა უშავს რა,
იძინეთ ტკბილად, ნუ ფიქრობთ სხვაზე,
ყიდრე სხვაგვარად გამოვიდვიძებთ
სიყვარის ხმაზე, სიყვარის ხმაზე!..

—

მაშინ შეკრთებით და იოტნებებთ,
ნებიერებთ, მხოლოთ წარსულზე,
სიმშვიდე სულ მთლად დაგეკარგებათ
სიყვარის ხმაზე, სიყვარის ხმაზე!..

ი. გვან—ძე.

ᲮᲛᲐ ᲪᲘᲮᲘᲓᲐᲜ.

(წერილი თფილ. საგუბერნ. ციხიდან).

ვინც ციხის ცხოვრებას გაცნობია და ტუსაღობა გამოუცდია. მხოლოთ, ასეთმა პირმა იცის, თუ რა რიგათ საჭიროებს ხაზოგადოთ ტუსაღი მატერიალურ დახმარებას. ვისაც გარედან ყავს დამხმარე, მას შეუძლია შედარებით ადვილათ აიტანოს ციხის სასტიკი რეჟიმი, მარა სამწუხაროთ უმრავლესობა მოკლებულია ასეთ დახმარებას. ციხის ადმინისტრაციის მიერ ტუსაღთათვის დანიშნული საქმელი და ტანისამოსი კი ოდნავაც ვერ აკმაყოფილებს მათ მოთხოვნილებას. საკოდავ მდგომარეობაში იმყოფებიან დღეს განსაკუთრებით ადმინისტრატიულათ წოდებული ტუსაღები. მათ შორის ბევრი ისეთიცაა, რომ ფეხებზე არაფერი აცვია და ტანზე საზაფხულო ბლუზის ამარაა. ქვეშაგები ხომ მესამედსაც არ აქვს. ესენი იგზავნებიან ცივ ქვეყნებისაკენ. თუ რა გაჭირვება მოელით მათ გზაში, ეს ადვილი წარმოსადგენია.

დღეს-დღეობით ლეგალურათ*) აღარ არსებობს თფილისში ისეთი საზოგადოება, რომელსაც მიზნათ ქონდეს გაჭირვებულ ტუსაღთა დახმარება; ამიტომ საჭიროა ამ მეტათ საჭირო საქმეს ყურადღება მიაქციოს საზოგადოებამ.

ვინ არ იცის, რომ ტუსაღები მოკლებულია სულყველაფერს, რაც კი ადამიანისათვის უძვირფასესია. ჭ.ი ისედაც დაჩაგრულ და აუტანელ მდგომარეობაში მყოფ ტუსაღებს უსირცხვილოთ ყვლეფს თფილისის საგუბერნიო ციხეში ერთი ტუსაღთაგანი—ბ-ნი არტემ დონიევი. საქმე ისაა, რომ ტუსაღებს აქვს თავის უფლებაში ციხეში დუქანი, რომელიც

*) წითელი ჯვრის საზოგადოება, რომელიც დღემდის არსებობს, თითქმის არავითარ დახმარებას არ იძლევა, რადგან დღეს საშვალება არ აქვს შეკრების შეწირულება მთავრობისაგან ნებადაურთველათ.

დიდი ხანია დონიევმა ჩაიგდო ხელში იჯარით თვეში ოც მანეთათ. წინეთ დუქნის მთელი მონაგები ხმარდებოდა ხელმოკლე ტუსაღებს, ბ დიდ შელავათსაც აძლევდა მათ, ახლა მხოლოთ ეს 20 მანეთი ღა ხმარდება ამ საჭიროებას. და ეს დუქანი ბ-ნ დონიევს გაუხდია თავის ჯიბის გასასქელებლათ და ყველაფერს ისე ყიდის ტუსაღებზე, როგორც მას მოესურვება. არა ერთხელ გააფრთხილეს ტუსაღებმა ბ-ნი დონიევი, მარა მან უარესი მუხრუჭი მოუჭირა მათ. ვინ იცის, კიდევ სანამ გასწევს ასეთი მისი თავგასულობა, თუ რამე ზომას არ მიმართეს ტუსაღებმა. ბ-ნი დონიევი, როცა თავისუფალი იყო გარეთ, ცნობილი იყო როგორც ტიპიური ჩარჩი და ანგარების მოყვარე, რის გამოც ის ციხეში ზის. მარა მან თავის ხელობა არც აქ მოიშალა და ისე ოსტატურათ ცარცავს ტუსაღებს, რომ ვერ წარმოიდგენთ. მას მხარს უშვენებს კიდევ მისივე ჯურის ტუსაღი ბ-ნი წ—ლი, რომელიც დაჯილდოვებულია განსაკუთრებული უფლებებით და თავის თავს საგუბერნიო ციხის გენერალ-გუბერნატორს უწოდებს. და მართლაც ეს სახელი ტყუილათ როდი დაარქვა თავის თავს. ვიმეორებ რომ საჭიროა ტუსაღებმა ალაგმონ ეს ორი ვაჟბატონი და დუქანი ჩააბარონ უფრო სიმედო თავიანთ ამხანაგს. ამასთანავე შევნიშნავ, რომ ხსენებულ დუქანს შეუძლია თვეში 50 მ. სარგებლობა მიცეს ტუსაღებს და საზოგადოც უფრო პირიანათ მიაწოდოს.

ვინ გან.



თავისუფლება.

„ᲔᲙᲐᲚᲘᲡ“ ᲤᲝᲡᲢᲐ.

ფოთში—ჯერ ახალ—დას. თქვენი ლექსი არ დაიბეჭდება, რადგან არც ლექსთა-წყობა ვარგა და არც შინაარსი.

ოზურგეთში—აჯი ალქაჯს. თქვენი წერილი არ იბეჭდება, რადგან სწორეთ იმავე საგანზე ჩვენ უკვე დავბეჭდეთ 4 №-ში. მოგვაწოდეთ მასალა.

„ᲔᲨᲛᲐᲙᲡ.“

„კოკასა შიგან რაცა დგას,
იგივე წარმოდინდების».

ჩემო კუდიანო პაწაწკინტელა „ეშმაკო“, წავიკითხე თქვენ მიერ წამონთხეული უძლური ლანძღვა-გინება! მე ეჭვი არ მქონია არასოდეს, რომ თქვენ მეტი არაფერი იცოდეთ და რომ თქვენი „იუმორიც“ მხოლოთ და მარტო ასეთი მასალით ბეუტავდა ჩვენ, რა თქმა უნდა ვერ შეგედრებით. თქვენ ლანძღვა-გინებაში ვერც პროზით და ვერც პოეზიით და, რომც შეგედრებოდეთ, თავს ნებას არ მივცემთ, რომ თქვენი ეშმაკური პიროვნების დაფასებით მკითხველ საზოგადოებას დრო დავაკარგვიოთ. თქვენი პიროვნება, როგორც სრული არარაობა საზოგადოებისთვის, როგორც განხორციელებული უვიცობა, დავიწყებას უნდა მიეცეს. ხანდახან შეიძლება თქვენს კაპეიკიანების ქარხანას „ეშმაკის მათრახს“ შევეხოთ, როგორც თქვენს სავარჯიშო გაზეთს, და კვლავ ლაფიც დაგასხათ თავზე თქვენ, როგორც მის სულის ჩამდგმელს, როცა ეს საჭიროა და აუცილებელი იქნება.

რაც შეეხება იმას, რომ თქვენ „ჭაღარას“ წერილები ვერ გაგიგიათ, ამას რა გაეწყობა! სამწუხაროა, მარა თქვენს გოგრას დააბრალეთ... ინუბეშეთ თავი იმით, რომ დიდებული პოეტები, როგორიც თქვენ ბძანდებით, მეცნიერებას ვერ ითვისებენ ხშირათ. თუ მართლა არ იშლით და თქვენი გოგრის ცარიელი სივრცე პოლიტიკური ეკონომიით გინდათ ამრავსოთ,—გირჩევთ ისევ „ჭაღარას“ მიმართოთ, რადგან იმას თქვენისთანა უნიჭო ბევრი გაუსწორებია.

რედაქტორ-გამომც. **პლატონ გაჩეჩილაძე.**

Электро-печатня Т-ва „СОРАПАНЬ“, Мадатовскій островъ д. кн. Мухр. № 1.



№ 6 ეროვნული ჟურნალი 1907 წ.

არაყის სამეფოში.

„ეკალის“ მკითხველებისა და აგენტების საყურადღებოთ.

მომავალ კვირის „ეკლის“ № 7-ში დაიბეჭდება წერილი ჩვენი რედაქციის მიმართ—**ქუთაისის ბებია ქალის მარია კობახიძისა,** რომელსაც ბრალდება გაზეთ „**სინათლის**“ რედაკტორათ ნამყოფის **არშაკ ვარნაზიანცის** („ცაფცას ზანგ“) მოწამლვა ქ. ფოთში: მას, ქ. კობახიძეს ჩვენი მუდმივი თანამშრომელი **მ ი ნ ო** ამავე ნომერში მისცემს შესაფერ პასუხს შეკითხვებით.—

მემარჯვენეთა ფრაქციის კრება.

ერთხელ, ჩემდა სამწუხაროთ,
ხულიგანთა ვნახე კრება,
გეფიცებით, მათი ნახვა
დღესაც ისევ მეზიზღება.

ნოემბერია. სასახლის შიგან,
სადაც დუმაა დღეს გაღებული,
სხედან ნაცნობი ხულიგანები—
გაშტერებული, პირდაღებული.
მაღლობზედა დგას პურიშკევიჩი,
მას გვერდს უშვენებს ვინმე დორეი,
მარკოვი, ევლოღ და ძმანი მათნი—
ნაშობნ-ნაზარდნი წუმპე-ყორესი.
ყველა მათგანი აღელვებულა,
ყველას ღია აქვს პირი და ხახა
და ყველა თითქმის ერთხმათა ბღოუის:
„ჩვენმა კავშირმა ეს რა მოჩვახა?!“
ბოლოს, რა ყოფით, მოვიდენ გონსა
და პურიშკევიჩს თხოვეს „დოკლადი“
პურიშკევიჩმაც, რაღა თქმა უნდა!,
არ დააყოვნა, იწყო ღაღადი:

პურიშკევიჩი—მე, ბატონებო, ბევრჯერ ვიწვნიე
კრამოლნიკთაგან პანღური, წყენა;
ბევრჯერ მინდოდა მეთქვა ბევრი რამ,
მაგრამ მომისპეს მეტყველი ენა.
საუბედუროთ, მეორე დუმა
სულ სავსე იყო კრამოლნიკებით
და ყველაფერი, რაც რამ ხთებოდა—
ჩვენდა უნებლივ, იმათი ნებით.
დღეს კი სულ სხვაა... დღეს სხვაფერ მოხთა
დიად რუსეთში ეს არჩევნები
და თითქმის დღეს მთელ დუმას შევადგენთ
მარტოთ-მარტო ჩვენ—ხულიგანები!

დორესი. (წამოხტება) შენ, ეი, დუბროვინ, ნუ თუ არ გესმის
დიდი რუსეთი რა დღეს განიცდის?
ნუ თუ ექიმი ისე დაბრმავდი,
რომ ველარ ამჩნევ, ხალხი არ იცდის?!..
ნუ თუ ვერ ხედავ, ხალხი ბობოქრობს,
ყველას მიზნათ აქვს თავისუფლება,
ყველა ჩვენ გვლანძღავს, ყველა დაგვცინის,
ისმის ყიჟინი და დამუქრება?!..
ჩვენ რაღა დაგვრჩა? ნება-უნებლივ
უნდა ვუსრულოთ გულის წადილი,
რომ სამუდამოთ არ აღმოიფხვრას
ჩვენი ხსენება, ჩვენი აჩრდილი!!.

მარკოვი. (დინჯათ) ჯერ, ბატონებო, მეც მომისმინეთ,
და მე გაგაცნობთ მას, რაც ჩვენ ვიცით,
და თუ ეს რჩევა არ მოგეწონოთ,—
მერე იჩხუბეთ, თავში ქვა იცით:
მე, დორესმა და პურიშკევიჩმა
დავაარსეთ დღეს ცალკე ფრაქცია
და ასე ოცდა-ათამდე წევრმა
დავწერეთ ცალკე დეკლარაცია.
მე მართალს გეტყვით, ჩვენს ფრაქციაში
ხუთი მღვდელია, ათიც გლეხკაცი
და, დამერწმუნეთ, ყველა მათგანი
ბრძანდება სწორეთ უენო ვაცი.
თითქმის ამათაც გვერდი აქციეს
სისხლის ღვრას, დაწვას და პაგრომებსა,
თითქმის ესენიც აშკარათ გმობენ
ჩვენს ხულიგნობას, ჩვენს კავშირებსა!..
მაშ, ჩემი აზრით, უკეთესია,
რომ მცირე რამე დავუთმოთ ხალხსა
და, დამერწმუნეთ, ამ გვარ ხრიკებით
მათ ჩავაჩუმებთ, ვით მტირალ ბალღსა.
მაგრამ, რადგანაც ხალხი სხვას ფიქრობს,
მას მიზნათა აქვს თავისუფლება,
გვმართებს მცირე რამ მაინც დავუთმოთ
და მივაქვავოთ რამე უფლება,
თორემ, მერწმუნეთ, მთელი კრამოლა
ერიშითა ჩვენზე წამოვა
და მაშინ, ჰოი, მაშინ კი, ძმებო,
სულ სხვა ამბავი, სულ სხვა დრო მოვა!..
მაშ, ჯობს დავუთმოთ, დროებით მაინც,
კუდმოგლეჯილი კონსტიტუცია
და, ჩემ მზეს ვფიცავ, ამით გაქრება
მათი შექმნილი—რევოლიუცია!!.

დუბროვინი.—შე კრამოლნიკო, რაებსა ჩმახავ?
იქნებ გადახვედ ჩვენსა ნებასა
და ფიქრობ მაგ შენ უგუნურობით
კავშირსა მისცემ რამე ენებასა?!..
(გაჯავრებული) მაშ, შორს ჩვენგანა პურიშკევიჩი!..
ისე მოვექცეთ, ვით მოღალატეს!..
განა მას თავის ამრჩეველთაგან
მაგ-გვარი სიტყვა ვალათ თავს აძევს?!..
ნუ თუ ვერ ხედავთ ამის საქციელს?—
ეს მთლად ემხრობა კრამოლნიკებსა!..
და დღესვე უნდა შევატყობიოთ
ამისი ქცევა ჩვენს კავშირებსა.
ეს კრუშევანსა რომ ჩაედინა,
დამერწმუნეთ, რომ ვაპატიებდით,—
მიტომ რომ იგი აქ გამოცხადდა
მკვდართ დეპუტატათ მათი სახელით;
მაგრამ ეს საქმე პურიშკევიჩსა
არ უნდა შერჩეს არა რა გზითა
და დუმიდანაც პანღური ვუყოთ,
ოთხმოცდა ოთხი მუხლის ძალითა!.

ეპისკოპოზი ევლოღი. (პირჯვარს იწერს)
მე როგორც ვატყობ, ჩვენი ფრაქცია
მხარში უდგია კრამოლნიკებსა
და ამიერით წმიდა რუსეთი
ველარ გამოზდის ერთგულ შპიკებსა!..—
ვისგანაც მქონდა დიდი იმედი—
ზურგსა აქცევენ ჩვენს კავშირებსა
და, დამერწმუნეთ, ამ გვარი ქცევით
ხულიგნებთანაც შევირცხვენთ პირსა!..
მაშინ?!.. მაშინ კი... წაგვიხთა მცნება:

„დიდი რუსეთი მარტო რუსებსა“!
ჩვენმა კავშირმა უნდა დაუთმოს
ადგილი ჟიდთა კომიტეტებსა!..

ტიმოშკინი. (სიმთვრალისაგან ბარბაცებს) ვაი,
სირცხვილო, რა პირით წავდგე
მამა სერგეი გოროდცევთანა?
თუ კრამოლნიკებს რამე დაუთმეთ,
ჯობს ახლავ მომკლათ, გულს დამცეთ
დანა!..

იცით ვინ არის მამა სერგეი.
ვინც ჩემი თავი აარჩევინა?
ის ასულდგმულებს მთელ კავკასიას,
ის მარტო უძღვის ხულიგნებს წინა!..
(ტირილით) მე რომ სადგურზე გამომა-
ცილა,
თორმეტი ბოთლი არაყი მომცა,
ორი კალბასი, ერთი სელიოდკა
პირზე კოცნითა ხელში გადმომცა,
თან დამაბარა შვილო, ТЫ—МОШКА,
კარგათ გახსოვდეს ჩვენი სურვილი:
„მთელი რუსეთი რუსებისათვის,
ან უამისოთ გმირებრ სიკვდილი“!!
დღეს კი რას ვხედავ?! პურიშკევიჩსა
სხვა გვარი ხრიკი მოუგონია!..
ის პირქვე ამხობს ხულიგანი კავშირს,
კრამოლნიკებთან საქმე ქონია!..
(ღრიალით) ძირს მაკაროვი, პურიშკე-
ვიჩი!
ძირს დორესი და მათი ფრაქცია!!.
ძირს კრუშევანი და მისთანანი,
ვინც ჩვენ, ხულიგნებს, ზურგი გვაქცია!!.

პურიშკევიჩი (ირონიით) მაშ როგორ გნე-
ბავთ, ვაჟბატონებო,
მალ-მალ პანღური ამომიჭირონ?
და, როგორც უწინ, ეხლაც აგრეთვე,
თავს ლაფი მასხან და შემარცხვინონ?!..
მე ვარ და არ მსურს ხულიგანობა!
დღეს კრუშევანიც მე მიჭერს მხარსა,
ორივ ვემხრობით რევოლიუციას
და თქვენ კავშირებს თავს დავცემთ ზარსა!..

დუბროვინი (პირიდან ცეცხლსა ყრის) შესდექ,
იუდავ, კრინტი არ დაძრა,
შე კრამოლნიკო, შე მეტიჩარა!
შენ არამზადავ, ძმის მოღალატევ,
გასწი, გამშორდი აქედან ჩქარა!!..

პურიშკევიჩი (პირიდან დორბლი მოდის) მე გა-
ვეთრიო, პურიშკევიჩი?
როგორ მიბედავ, შე ბრიყვო შენა?!..
გირჩევ დეეგდო შენ შენს ალაგზე
და ჩაიკმინდო ეგ მურტალი ენა!!..
თორემ არ იცი ჩემი ბნედები—
ერთი შემოკვრით ამოგხთი სულსა
და შენს მყრალ ლეშსა ძაღლებს მივუგდებ,
მით გავახარებ ხალხს დატანჯულსა!..

ᲔᲞᲘᲚᲝᲒᲘ

აქ დუბროვინი წვდა პურიშკევიჩს,
გამოუნაყა მელოტი თავი
და იქ მყოფთ ყველას გულს ელდათ მო-
ხვდათ
მოულოდნელი ესე ამბავი.
მამა ევლოლი აიაზმითა
ცთილობდა იმათ გაზავებასა
და ტიმოშკინი ბრაზ მორეული
მთლათ მისცემოდა აღელვებასა.
შეიქნა ჩხუბი აქ ხელ-ჩართული—
ვინ ვისა სცემდა აღარ იცოდა,
კრუშევან, დორეს და მაკაროვი
პურიშკევიჩის ცოდვით იწოდა!

მიმინო

ᲓᲔᲞᲔᲨᲔᲑᲘ

(საკუთარი კორესპოდენტისაგან)

პეტერბურგი. ᲧᲝᲤᲘᲚ ᲮᲐᲖᲘᲜᲡ. შეგიძ-
ლიათ ამომრიცხოთ მოსაშსახურეთა სიიდან.
რადგან მესამე დუმა, ქვეყნის საბედნიეროთ,
ხულიგანურია, ცხადია, რომ მე აქ ხუთ წე-
ლიწადს დავრჩები. ადგილს ნულარ შემინახავთ.

დეპუტატი ტიმოშკინი.

პეტერბურგი. დუმის შემდეგი სხდომა
ხვალ არის დანიშნული. კრება გაიხსნება
„გიმნის“ გალობით და დასრულდება „ურას“
ძახილით.

ᲝᲖᲣᲠᲒᲔᲗᲘ. მთავრობის განკარგულე-
ბით მოიკოტ დადებული დუქნები გაღებული
იქნება, ხოლო სხვა დუქნები ყველა უნდა
დაიკეტოს.

ოზურგეთი. რადგან „კომიტეტის“ კვალს ვერ მიაგნო მთავრობამ, ყველა ვაჭრები გაკოჭა და ციხეში შეყარა. „კომიტეტის“ დაჭერას, რასაკვირველია, ვაჭრების დაჭერა ჯობს, რადგან ფულიანი ხალხია და თავს დაიხსნის.

ახალი ამბავი

✦ ჟურნალი „ეშმაკის მათრახი“ დაეძებს, ყველა ქართველი ფედერალისტების სურათებს, რადგან, თურმე, დიდი გასავალი აქვს ჟურნალს, როცა ფედერალისტების სურათია შიგ მოთავსებული. ბ. „ეშმაკი“ წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების არხივში არის ჩამჯდარი და მათ ბიოგრაფიებს იწერს ძველი გუჯრებიდან.

✦ მაკაროვების ადგილების მყიდველებმა (ვერაზე) 4 ნოემბრის კრებაზე ბ. ი—კოქ-ძის ინიციატივით სასყიდლის მიცემაზე უარი უთხრეს თექვსმეტი კაცისაგან შემდგარ კომისიას, რომელიც ერთ წელიწადზე მეტს შრომობდა, და სოციალიზმის სახელით ხახა მშრალი დასტოვეს. თავმჯდომარეს მხარს უჭერდენ რ—ნი და ბრუციანი ა—ა.

✦ როგორც გადმოგვცეს, მამულოვის სარდაფის მოსამსახურე **ვანო ჩალათაშვილი** გამოტყდომია გაფიცულ ამხანაგებს და მუშაობა დაუწყია. ესეც არ უკმარებია და ხუთი ახალი კაციც მიუყვანია მას აღნიშნულ სარდაფში და მუშაობაზე დაუყენებია

✦ **დ. ხონიდან** გვწერენ, რომ ადგილობრივი სემინარიისა და გიმნაზიის მოსწავლეებს შეტაკება მოსვლიათ მოსწავლე ქალების „მარინკების“ გულისათვის. შეტაკების მიზეზი არშიყობაა. ორივე მოწინააღმდეგე „მარინკების“ პოზიციის აღებას ცთილობდა. ბევრია ცხვირ-პირ დამტვრეული და დაჭრილი.

✦ **დ. ონიდან** გვწერენ, რომ, რადგან ადგილობრივი ბოქაული მეტათ დაბალია და მაღალი ტანის „მოქალაქეების“ სილის გარტყმა უძნელდება, ამიტომ ჩაფარს სკამს ატარებიებს თან ყოველგან.

✦ ახალციხიდან გვატყობიებენ, რომ სოფ. მუსხის მღვდელს ალ. ზედგინიძეს ძალა დაუტანებია მედავითნეებისთვის, რომ ამ უკანასკნელებმა უარი განაცხადონ მესაზმედის აღებაზე და როგორც მეოთხედი კაცები, მეოთხედზე დათანხმდენ. ამასთანავე ოთხი სოფლის გლეხებისათვის გამოუცხადებია, რომ, თუ ისენი ძველ და ახალ დრამის ფულს ორ კვირაში არ ჩააბარებენ, ყაზახ რუსებს მიუსევს და ძალათ აკრეფს. მამა ზედგინიძეს მხარს უჭერს მამა მიხ. ცაგარელიც.

✦ ბათომიდან გვწერენ, რომ ბათომის უმუშევართა საბჭო ამ ბოლო დროს ძალიან გულკეთილობას იჩენს და, რომ უმუშევრები არ შეწუხდენ დილას ადრე ადგომით, თვითონ საბჭოს წევრები კისრულობენ ყოველ გვარ მუშაობას.

✦ **სოფ. წევიდან** (შორაპნის მაზრა) გვატყობიებენ, რომ იქაური სულის მამა მაკარი გ—ძე ისე გაუმწვავებია გაუმაძღარ კუჭს, რომ თავის მრევლისთვის სტრაფნიკები მიუსევია და დრამის ფულს აკრეფიებს.

ს ი მ ღ ე რ ა.

(„მიყვარს ფაცხას“ ხმაზე)

მიყვარს ოდა მე გურული,
ინგუშებით შემორტყმული,—
„მოიტანეთ“,—რომ ყვირიან,
ამოგხადეთ თვარა სული!
მიყვარს სახლი ჩინებული,
სულ ქრთამებით აგებული,
სადაც ხეგების წისხლით, ოფლით,
ქეიფია გამართული.
მიყვარს ქრისტეს მოტიქული,
სულით ეშმაკს მიყიდული,
ერთი რამეს სათხოვარით
ნამესტნიკთან ჩამოსული.
მიყვარს კიდევ „ნაჩალნიკი“,
სოგანგებოთ მოწვეული.
სათვალთმაქცოთ დათხოვნილი,
შემდეგ ისევ ჩამოსული.
მიყვარს და ღმერთს ვევედრები:
წაიყვანოს ბოლ სამყაროს.
ბოლ გაჩენილ ქვეყანაზე,
რაც ცადაგვნთ, ის გვაკმაროს.

ჯინჭარი.

ბენია და ბეშტია

ბენია. „ეშმაკის მათრახს“ კითხულობ, ჩემო ბეშტია?

ბეშტია. კი ვკითხულობ, მარა არ ღირს სწორეთ წასაკითხავათ, ისე წაპილწული გაზეთია!..

ბენია. მერე გიკვირს მისი წაპილწულობა?

ბეშტია. არა, არც იმდენათ. გასაკვირალი, მე თუ მკითხავ, ის იქნება, რომ რიგიანათ დაიჭიროს თავი ამ გაზეთმა.

ბენია. ეს კი ნამეტანია, ჩემო ბეშტია! ძაღლი რომ კუდით მიათრევდეს, მაინც გაზეთია და მთლათ ასე დაბრაკვაც არ შეიძლება.

ბეშტია. ნასწავლი კაცი არ ვარ, მარა ის კი ვიცი მაინც, რომ რიგიანი გაზეთი დაბეჩავებული ხალხის „გზა და ხიდი“ უნდა იყოს, და აი რაცხა „ეშმაკის“ გაზეთია თუ ტარტაროზის ლანძღვა-გინების მეტს არაფერს აკეთებს. ეტყობა, მის ხელმძღვანელს ავლაბარში უნდა ქონდეს მიღებული სწავლა ცხონებული „აბრაგუნეს“ სახელობაზე დაარსებულ უნივერსიტეტში.

ბენია. შე კაი კაცო, ახლა აღარც ავლაბარში ილანძღებიან ისე უწმაწურათ; ახალმა მოძრაობამ კინტოებიც კი გააპატიოსნა.

ბეშტია. ამბობენ, თუ ლანძღვა-გინება და პირადი კინკლაობა არ არის გაზეთში, ისე არ გასაღდება და რედაქციას ზარალი მოუვა.

ბენია. ამიტომაც არის, ეთუოთ, რომ საბრალო ხალხი ოროლ შაურათ ყიდულობს ამ ლანძღვის ფურცელს!..

ბეშტია. ხალხი რომ ყიდულობს, ამით ხომ გაზეთის ღირსება არ აიწონება, ჩემო ბენია! უვიცი და ცრუმორწმუნე ხალხი მარჩიელთანაც კი დადის, სიზმრის ახსნასაც კი ყიდულობს.

ბენია. სიზმრის ახსნაც ქე აქვთ მოთავსებული „ეშმაკის მათრახში“. ჩანს, მისი ხელმძღვანელი პრაკტიკული კაცი უნდა იყოს და ვაჭრობის ავან-ჩავანიც კარგათ უნდა ესმოდეს. ბაზარზე რაც მოთხოვნილებაა, ვაჭარიც იმ ნივთებს აკეთებს და დროზე აწოდებს,— ეს კომერციული ფილოსოფიაა. რედაქციის მეოხებით ხალხმა სასარგებლო წიგნებისა და ბროშურების კითხვაზე გული აიცრუა და სიზმრის ახსნას და უბრალო ტაკი-მასხარულ ნაწერების კითხვას დაეწაფა. და აი, „ეშმაკის

მათრახიც“ ასეთი მასალით უმასპინძლდება თავის მკითხველებს.

ბეშტია. არა, მარტო სიზმრის ახსნითაც არ აშუქებს ხსენებული გაზეთი უვიცი ხალხის ჭკუა-გონებას, პარტიულ საქმეებზედაც ხშირათ აქვს საუბარი.

ბენია. მართალს ამბობ, ჩემო ბეშტია! ჩვენს ფედერალისტებს სულ ხატავს და ხატავს თავის ფურცლებზე,

ბეშტია. მერე მარტო დახატვას რა აზრი აქვს? აი, ახლაც არის წასული კვირის ნომერში დახატული ფედერალისტი ს. ფირცხალავა, მარა ამას რა ჭკუა უნდა თხოვოს კაცმა?! ფირცხალავა ზის ცხენზე, ხელი გაშვერილი აქვს და „მირბის, მიმფრენს ჩემი მერანი“ო,— ამბობს. მერე რა გამოვიდა აქედან, ვის რა ახალი აზრი შეეძინა? ფედერალისტების პროგრამა და მათი ტაქტიკა ამით ხომ არ აუხსნია, არ განუმარტებია მკითხველებისთვის?

ბენია. არა, მარა ამას ცოდნა უნდა, ჩემო ბეშტია, და ცოდნაზე კი მწყარალათ არიან „ეშმაკის“ სამფლობელოში. სამაგიეროთ გაზეთი გასაღდა უვიც ხალხში და ფედერალისტების დახატვასაც მეტი მიზანი არაფერი აქვს. ამიტომაც იყო, რომ ჩვენმა გაზეთმა „კაპეიკიანების“ ქარხანა უწოდა „ეშმაკის მათრახს“.

ბეშტია. უწოდა, თვარა კიდეც ჩაახდინა ჭკუაში!.. გადმოუბრუნდა „ეშმაკი“, გაიქნია თავისი კუდი, დაიხვანა ეშმაკურათ და ერთი გოდორი უწმაწური ლანძღვა-გინება წამოანთხია. ამასთან ისიც უკიჟინა ჩვენს გაზეთს, რომ პოლიტიკური ეკონომიით ჩემ მიერ სიზმრის ახსნით განსწავლულ ხალხს რყვნი და გონებას უბნელებო.

ბენია. ხა, ხა, ხა, ხა!.. პოლიტიკური ეკონომიით ხალხს რყვნით და გონებას უბნელებთო?!! ხო, აბა სხვა რაღა უნდა თქვას ახლა!.. „ეშმაკის მათრახის“ მუცლის ტკივილი ხომ ფულია და ფულის წყარო კი სანახევროთ დაუშრო ჩვენმა გაზეთმა. ამას გარდა, ამ გაზეთის ხელმძღვანელს ბ. „ეშმაკს“ პოლიტიკური ეკონომიის ისე არა გაეგება რა, როგორც მე და შენ ჩინური ენის და, ხომ იცი, ასეთი ჯურის „მოღვაწეს“ ჭირივით ეჯავრება ის, რაც თვითონ არ იცის.

ბეშტია. კი მარა, თუ მეტი არაფერი იცის იმ საბრალომ, რაღას ყოყოჩობს და როგორ ბედავს, რომ სხვებს „მატრაკვეცა“ მწერლებათ იხსენიებს?! ის არ არის, რომ ამბობს: ვინც ანბანი იცის ა-დან ჰ-მდე, ყველა მწერლათ მოეცლინა ჩვენს ბედკრულ ქვეყანასო?

ბენია. კაცს რომ ჭკუა-გონება დაუბნელდება და ბრაზი მოერევა, მაშინ ყველაფერს დაწერს; სხვას თუ ვერაფერი დააკლო, თავის თავსაც კი გაიშოლტავს. აერია დავთარი და თავისი მატრაკვეცობა და უკოდინარობა თვითონვე გამოამჟღავნა და მით სამუდამოთ თავი მოიჯაყა. ხომ იცი, მთვრალი კაცი უფრო გულ-წრფელათ ლაპარაკობს, ვიდრე ფხიზელი და ბ. „ეშმაკიც“ მთვრალი იყო ბრაზით, როცა აღნიშნულ სიტყვებს წერდა, თვარა ისე თავის თავს პროვოკაციას როგორ გაუწევდა!.. ახლა, როგორც გავიგე, კიდეც წყენს თურმე—ასეთი სულელობა როგორ ჩავიდინეო, მარა რუსული ანდაზა ტყუილათ კი არ ამბობს: „კალმით დაწერილს, ცულითაც ვეღარ ამოჭრიო“.

ბეშტია. ეეჰ, ღმერთმა მშვიდობა მიცეს „ეშმაკის მათრახსაც“ და მის „ეშმაკსაც“ და შუბლის კანი გაუსქელოს ორივეს, თვარა ისე ვერ გაუძლებენ ამდენ სირცხვილს...

ბენია.
„ეშმაკის მათრახს“,
სასირცხოს, ჩათლახს,
სიზმრის ახსნითა კანსაიგებულსა,
ლანძღვის გოდორი,
ერთი თუ ორი,
ზურგზე კიდია კანრიხებულსა.

ბეშტია.
რა ჟურნალია,
სულ რომ მწყრალია
ჭკუაზე, როგორც მისი მჯდანელი,
ახრით ეტოტორი,
მურალი და შმორი,
ჭორის და გრიშის მარად მძებნელი!..

ხლაფორთი.

ᲯᲔᲠᲘᲜᲕᲐᲚᲘᲡ ᲐᲫᲑᲔᲑᲘ.

—

აქაური ვაჭრები თოკს ეძებენ თავის ჩამოსახრჩობათ, რადგან ფქვილში, ხორბალში და სიმინდში ერთობის ხალხი ერთი ორათ აღარ აგებიებს. აგრეთვე ხორცზე დაუწესა 10 კ. მაგიერ 8 კ. და მწარე პურის გამოცხობაც აუკრძალა.

✦ სცენის მოყვარე ადგილობრივ ინტელიგენციას თოკით ჩამოხრჩობა ღმერთმა აშოროს, მაგრამ „ბირჟაზე“ რომ ლაპარაკით ისინი თავებს იხრჩობენ—ეგ კი ცხადია. ცუდაობის მოსიყვარულეებმა დეპეშაც კი მოამზადეს მაზრის უფროსთან გასაგზავნათ, რომლითაც ულრმეს მადლობას უცხადებენ ბ. ბაქრაძეს, რომ ხლაფოთი თავიდან ააცილა და მესამე თვეა, რომ ნებას არ აძლევს საქველმოქმედო მიზნით წარმოდგენა გამართონ.

✦ მართალია, ბ. ბაქრაძე ამათ თამაშობის ნებას არ აძლევს, მაგრამ, მაგიერათ ათამაშებს, და კარგათაც ათამაშებს, თავის ღვიძლ ძმას: მამასახლისობიდან ცხინვალის ბოქაულობას აძლევს!.. ტყუილათ ხომ არ ბრის ნათქვამი: „ძმა ძმისთვისოა, ამ დღ'თვის“ ო. რა მოელის ცხინვალს ახლათ გამოცხობილი უფროსისაგან, ამასაც მალე გავიგებთ.

✦ ბაქრაძის ძმა კი თამაშობს, მაგრამ არ იკითხავთ, ცხინვალის ახლანდელი ბოქაული „დამთხვეული“ ციციანოვი რაღას შვრება? ისა ზის თავის ჩაბნელებულ კაბინეთში, ფაფახიან თავს კედლებს არტყამს და გაიძახის: „რა ღმერთი გამიწყრა, რათ დავითვერი ისე ძლიერ, რომ პირველი კლასის კუპეში ვერ გავარჩიე დიდ გენერალს ველაპარაკებოდი თუ მის ხელ ქვეითს! მერე „სკანდალიც“ მოვახდინე (ასე ამბობენ)!.. ვაი, უბედურო ჩემო თავო, რა უნდა ქნა ახლა, „ჯიბე ცარიელ, გოგრა ცარიელ“ ვის მიადგები კარზე?“

✦ თავიც სავსე აქვს და ჯიბეც ცნობილ „ჟორჟიკას“, მარა ისიც ვერა თარეშობს ძველებურათ ქალებზე, რითაც, რასაკვირველია, მისი პატრონები „კნიაზი სარდიონი“ და „კნეინა მაკინე“ ძლიერ შეწუხებული არიან.

✦ ბრალი ცხინვალელებისა, თორემ „ჟორჟიკასაც“ კარგათ მიჰყავს თავისი საქმე და ჯაშუშათ წოდებულ აპოლონა მაჩაბელსაც, უკანასკნელმა ორი წლის წინათ ერთობის ხალხისაგან ორი სხვა-და-სხვა ჯილდო მიიღო, რა თქმა უნდა მისი „მოღვაწეობის„ შესფერი, ამას მთავრობის წყალობაც ზედ დაერთო, სახელდობ,—უბრალო კაცს პოლიციის ბოქაულობა უბოძეს ალექსანდროპოლში. ამასაც ილბალი უნდა, თორემ განა ჯაშუშობაში ჩამოუვარდება ჯოკა, მის ძმას აპოლონას, რომ აქნობამდის ვერც **აქედან** და ვერც იქიდან ჯილდო ვერ მიიღო!..

✦ თუ ჯილდოზე ვიტყვით, ისიც ჯილდოა, რომ ბიუროკრატია-კაკარდოსანმა სოციალისტკა ქალი შეირთოს. მართალია, უკანასკნელის სოციალისტკობა ონავარა ლიახვის წყალმა დიდიხანია ქვებს ამოაფარა, მარა სახელი ხომ ისევ სახელათ დარჩა. ამას შემდეგ რაღა საკვირალია, რომ მეფე-პატარძალი პოლიციისა და კაზაკების წარმომადგენელთ შორის ნახოთ.

— ✦ სახელი „ისრის“ ცხინვალელ კორესპონდენტსაც „ჭიანჭველას“ სახელათ დაურჩა, როდესაც არსად თქმული ჭორი მოიგონა და აქაურ ბიბლიოთეკას ხულიგნების გაზეთების გამოწერა დააბრალა. „გოლოს კავკაზა“, „ვეჩე“ და სხვ.

✦ წასულ კვირას ბლაღოჩინმა ოქროპირიძემ სიზმარში ალ. ყიფშიძე ინახულა, ქრისტეს სახელით შენდობა მოთხოვა, რამეთუ ცხინვალში „მღვდლების კურიაში“ გამარჯვებულ ალექსანდრეს ქალაქში ვეღარ ჩაჰყვა ანაფორის საკურთხებლათ, ვინაიდან, დეპუტატის არჩევნების დროს არც ტაბლა შემოსვლია საწყალს საყოფი და არც განზანაკს ფული მუცელ და ჯიბე ცარიელი კი ვის უნახავს სამი დღის სიშორეზე წასული, გინდ ამას ვიცე გუბერნატორათ ნამყოფის ინტერესებიც მოიოხოვდეს!

✦ აგრეთვე თავის თფილ ოთახებიდან სავარძელში ჩათვლემილი „კნიაზი სარდიონი“ და სახელოვანი „ჟორჟიკა“ ბოდიშს იხდიან ა. ყიფშიძის წინაშე, რომ მათმა დიდმა ცდამ ფუჭათ ჩაიარა და დუმის დეპუტატათ არჩეული არ იქნა ალექსანდრე, რითაც დიდი უბედურობა დაატყდა საქართველოს!..

✦ უბედურობისა რა გითხრათ, მაგრამ ბედნიერება დიდია, როდესაც განთქმული ყორაშვილი ციხიდან დაუბრუნდება საზოგადოებას. პირველი მისი ცხინვალში ფეხის შემოდგმა და მიკიტნების ამოძრავება,—ერთი იყო. ძმა ბიქებისას ნუღარას მეტყვით.

სტუმარი.

ქართველი თავადები სახემწიფო საბჭოში.



პროვინცია.

გურია. ჩვენში, მოგეხსენებათ, სტრაჟნიკები არ აუთავდა მთავრობას, თუმცა ბლომათ კი ყავს, და ახლა თვითონ ჩვენი გასტრაჟნიკება განიძრახა. მთავრობამ ბრძანება გააგზავნა ყველა საზოგადოებაში, რომლითაც ვალდებულათ ხთის მცხოვრებლებს, რომ შეადგინონ „პრიგოვორი“, დაიქირაონ სტრაჟნიკები და აძლიონ თითოს წელიწადში 300 მან. ვინტოვკების მიცემას თვითონ მთავრობა კისრულობს, მხოლოთ პატრონების ფასათ საზოგადოებამ უნდა წარადგინოს თითო ვინტოვკაზე 12 მანეთი. ამის გამო მოხდა ყოველგან ყრილობა და ხალხმაც შემდეგი პასუხი მისცა მთავრობას; ჩვენ თანახმა ვართ მივიღოთ თოფები და პატრონების ფასიც წარმოვადგინოთ, ხოლო სტრაჟნიკების დაქირავებაზე რუსულ ატკაზს მოგახსენებთო.

გურულებს შეგნებულ ხალხს უძახიან და ასეთი დადგენილება კი იმათ სრულს შეუგნებლობას ნიშნავს. მთავრობას უნდა ხელმწიფის მოწინააღმდეგე „კრამოლნიკები“ დახოცოს, დაჟლიტოს, მოსპოს, მარა ეს ინგუშმა სტრაჟნიკებმა ვერ შეძლეს, მთლათ ვერ გაანადგურეს სოფლები და ადგილობრივი მცხოვრებლები კი დახმარებას არ უწევენ! ახირებული ხალხია სწორეთ გურულები! ინგუშებს რომ მიაქვთ ყველაფერი, ამას ის არ ჯობია ცოტა შენს მეზობელ სტრაჟნიკსაც ერგოს? ინგუშები რომ შეუბრალებლათ ურტყმენ მათრახს გზაში ტუსაღებს, ამას ის არ ჯობია, რომ მეზობელმა სტრაჟნიკმა უწყვადუნოს? რაც უნდა იყოს მეზობელი ხომ ისე არ გაიმეტებს მეზობელს, როგორც ვიღაცა მოთრეული მხეცი? მაშ, გურიის რესპუბლიკის მოქალაქენო, დაიქირავეთ სტრაჟნიკები, იყიდეთ პატრონები და მთავრობა „პლი“ უბრძანებს, ამაზე თქვენ აღარ გაგრჯის.

ამ ერთ საქმეში კი მოუვიდათ გურულებს ტაკტიკური შეცთომა, მარა სამაგიეროთ მეორეში გამოიჩინეს დიდი ცოდნა და გამჭრიახობა. მთავრობა, რომელიც ზრუნავს რჯულის და სარწმუნოების ცეცხლითა და მახვილით გაჭტკიცებას, ხალხს თხოვს ხუთი წლის დრამფულის დაუყონებლათ შემოტანას. ხალხი დიდი

სიხარულით შეხვთა ამ სამართლიან შოთხოვნილებას და ამდენხანს კიდეც შეიტანდა მოთხოვნილ ფულებს, მარა ზოგიერთი „სულიერი მამები“ ხელს უშლიან ამ საქმის სისრულეში მოყვანა და პროტესტს აცხადებენ მთავრობის წინააღმდეგ. როგორც ამბობენ, სობორის მღვდელს მამა დავითს განცხადება შეუტანია პოლიციაში: თუ საწყალი, თქვენ მიერ გაძვალ-ტყავებული ხალხი, შეაწუხეთ და ხუთი წლის დრამა ერთბაშათ გადაახდევიეთ,—მე ამ საკოდაობას ჩემი თვალით ვერ ვუყურებ და, თუ ჩემმა პროტესტმა არ გაჭრა,—ანაფორასაც გავიხთიო.

ანაფორა ერთხანს წინეთაც ქე ქონდა მამა დავითს გახთილი და ამის ჯავრს ახლაც გაუძლებს, მარა გენერალი ძმები რომ შეწყარებიან და გარისხვენ,—ეს კი ძნელი ასატანი იქნება.

უხილავი.



„ᲩᲔᲡᲢᲘ“

უკვდავი მგოსნის ილიას გვამი
ჯერ სიფლავს არც კი ჩასცილებოდა,,
რომ ოთხი კმირი,—ოთხივ თავადი,
ბეტერბურგისკენ ემგზავრებოდა,
მაგრამ დახეთ ბედს! . . . მათ ბრწყინვალეებს,
არავინ უგდო ჯეროვნათ ყური;
თურმე რუსების თავადებთანა
ფუჭი ეოფილა კავშირი ძმური!
მაშინ კი მისვდეს, „ფრიად ნასწავლნი“,
რომ ერთობა სძულთ რუს თავადებსა
და რომ ერთობის დაცვა სცოდნიათ
მარტოთ და მარტო ბროლეტარებსა.
და ოდეს კითხეს—„КНЯЗЬ Меликовъ-ს:
„კულში ხომ არ გაქვთ რუსეთის ძეირი“?
თავადმა მკვახეთ წამოიძახა:
„მაშინ შემირცხვეს მე ეს მუნდირი!!.
მაგრამ მუნდირმაც ველარ უშველა,
ალარ მიიღეს ქართველთა „ჩესტი“
და „ფრიად ნასწავლ“ კაუბატონესა—
ხელთ მოიბეს სასირცხო „უესტი“!

ᲢᲧᲘᲑᲣᲚᲘ.

მე დემონი ვარ, დიდიხანია ქვეყნათ დავეხეტები უგზო-უკვლოთ, ზეცის მიერ გამწყარალი. ყველა მე მდევნის, ყველას ვეჯავრები. ერთ ადგილას არც მაცთევიებენ და მეც ვერ ვისვენებ, თუ დიდხანს გავჩერდი სადმე. ამიტომ გადავწყვიტე რაჭაში წავსულ-

ვიყავ. მეგეხსენებათ, ჩემთვის წასვლა-წამოსვლა საძნელო არ არის, ფრთა-ფრთას შემოვკარ და ცხენი წყლის ნაპირებიდან რაჭისკენ გავეშურე. გზაზე ძალიან დავიღალე და ნაქერალას მთაზე წამოვწექი დასასვენებლათ. უცებ საშინელი ხმით "დაიყვირა საყვირმა, რასაც ნაქერალას მთებმა ხმა მისცა. ამ ხმამ ჩემი ყურადღება მიიპყრო. გადავწყვიტე მენახა ის ადგილი, საიდანაც ეს გულ-შემზარავი ხმა მომესმა. გავისწორე 'ფრთები და ერთ წუთში იქ გავჩერდი. ეს იყო ტყიბულის ნახშირის მაღაროები. აქ თურმე ექვსას-შვიდასი მუშა ყოფილა და, ჩემდა სასირცხოთ, იმათზე დღემდის არაფერი ვიცოდი. არც შენ გაგიგონია, მგონი, მკითხველო, მარა შენსა და ჩემ შორის დიდი განსხვავებაა და სწორედ მეც მიტომაც შემრცხვა. უცფათ ადამიანის სახე მივიღე. გავერიე მუშებში და ვკითხე ერთ მუშას, თუ რამდენს ღებულობს ჯამაგირს. მას გაეცინა, იქვიანი თვალით შემომხედა და მითხრა: „ძალიან ცოტას და ისიც, აგერ მეოთხე თვე არის, არ მიმიღია“ო. გაკვირვებულმა ვკითხე: მარტო შენ ხარ ისე, თუ სხვებიც ასე-არიათ მეთქი. „ყველა ასე ვართ“ო, მიპასუხა. გულმა არ მომითმინა და კიდევ ვკითხე—თუმცა პასუხი წინ და წინვე ვიგრძენ—ორგანიზაცია. პროფესიონალური კავშირები გაქვთ თუ არა, როგორც სხვაგან აქვთ მუშებს მეთქი. „არა“ო მითხრა.

ახლა სხვებს გავერიე და მათთან ერთათ შევედი სასადილოში, თუ შეიძლება მას ეს სახელი ვუწოდოთ. გავიხედ-გამოვიხედე და კედელში პატარა ფანჯარა შევამჩნიე გამოჭრილი, საიდანაც დავინახე დუქანი, სხვა და სხვა სავაჭრო ნივთებით სავსე. დუქანში ვაჭრობა იყო გაჩაღებული. როგორც გადმომცეს, ამ დუქანში ყველაფერი ძვირათა ფასობს თურმე ᲦᲐ ამასთან აქ თურმე ფულსაც არ იღებენ!.. ფულის ადგილას აქ დაუბრკოლებლათ გადის ქაღალდის პატარა ნაგლეჯები—მუშების კვიტანციები. დამაინტერესა ამ დუქანმა ᲦᲐ ვკითხე: ვის ხელშია ან ვინ არის მისი გამგე მეთქი. „კანტორის ხელშია, ხოლო გამგეთ აქ ყველასაგან ცნობილი ერთი დიდი გმირი არის, რომელსაც კანტორის მარჯვენა ხელსაც კი უძახიან“ო, გამოვკითხე მისი ვინაობაც და გავიგე, რომ, ამ რამდენიმე წლის წინათ ამ პატივცემულ გვამის გირები ისე მჩატე გამომდგარა, რომ კაკალიც კი მძიმე იქნებოდა თურმე მასთან შედარებით. მე თუ არ დამიჯერებთ, კითხეთ ბოქაულს ქართველიშვილს—უფრო კი შავგულიძეს. ბ. გამგეს ასეთი ერთგულებისათვის კანტორიდან პრემიათ ასი მანეთი მიუღია.

მინდოდა სასადილოდან გავსულიყავ, მარა შევჩერდი, რადგან რამოდენიმე ახალგაზდა მუშის ცხარე კამათმა ჩემი ყურადღება მიიპყრო. ერთ იმათგანს ვკითხე, თუ რაში იყო საქმე და ასე მითხრა: „კანტორას აქვს ჩვენთვის პატარა ბიბლიოთეკა და მისი გადმოტანა გვინდა აქა“ო. ამ, უკაცრავათ პასუხია, ბიბლიოთეკის შესახებაც გამოვიკითხე და გავიგე შემდეგი: მართლაც, კანტორას ქონებია რამოდენიმე ქართული-სომხური წიგნაკები რომელთა მოვლა ვიღაცა „კნიაზისთვის“ მიუნდვიათ; ამ უკანასკნელს პაწია შკაფში მარტო ქართული წიგნები ჩაუკეტია, რადგან სომხური შიგ არ მოთავსებულა და ბოქლომი დაუდვია, გასაღები კი დაკარგვია, გატეხის ნებას კანტორა არავის აძლევს და ასე ამ გვარათ მუშებს განვითარებას ხელს უწყობს ჩვენი კნიაზი, ხოლო სომხური წიგნები კი ბ. კასირს თავისი ოთახის დასაშვენებლათ წაუღია და მიუთვისებია. ისიც ვიკითხე თუ რა და რა გვარი გაზეთები დადის თქვენი ბიბლიოთეკის სახელზე, მეთქი,—მიპასუხა მუშამ: გაზეთების ჩვენ არც გვარი ვიცით და არც სახელი.

მინდოდა მუშების საავათმყოფო და სადგომი ბინები მენახა, მარა ამდროს დავინახე, რომ ერთი როტა ჯარის-კაცი თოფებით სასადილოსკენ მოდიოდა, შემეშინდა არ გიცნონ მეთქი, შევბრუნდი სასადილოში—გავძვერი უკანა ფანჯარაში, მივიღე ჩემი ნამდვილი სახე, ფრთა-ფრთას შემოვკარ და რაჭისკენ გავწიე.

დემონი.

ავათმყოფი მუშის ფიქრი.

ექიმმა ჩემზე აიღო ხელი,
მას განკურნების არ აქვს იმედი;
მშობელი დედაც ცრემლებს მიმალავს,—
ვატყობ არ მელის მე კარგი ბედი...
ლოგინში ვწევარ დასუსტებული,
თან ფიქრთა ხროვა მაწვება გულზე...
დედავ, ნუ ტირი, ვერას მიშველი,
უნდა დაგშორდე, უტკბესო სულზე!..
მე წინათ ვგრძნობდი, წინათ ვიცოდი
ავათმყოფობა არ ამცდებოდა,
მხოლოთ სიკვდილსა, კარზე მომდგარსა,
ეს ჩემი გული ჯერ არ ელოდა...
მთელი არსებით ვიყავ მოსურნე
ძმობა-ერთობის განმტკიცებისა,
მსურდა ლოდინი მომავალისა
და ნახვა ხალხის გამარჯვებისა...
მაგრამ დუხჭირმა ჩვენმა ცხოვრებამ
არ დამაცალა, დღე მადგას ბნელი...
ნათელი დღე ხომ სულ არ მინახავს...
წუთის სოფლისგან ნეტავ რას ველი?..
ჰოი, ექიმო, კიდეც რომ მოვრჩე,
შენი ცდა ჩემთვის ამაო არი!..
ხომ იცი კარგათ, არსებობისთვის
უნდა შევაღო კვლავ ქარხნის კარი...
იქ მოვიწამლე, იქ დავსნეულდი,
იქ მუშაობა ჯოჯოხეთია,
მაგრამ მას მაინც ვერ ავცილდები,—
გზა ცხოვრებისა ჩემთვის ეროია.
ვატყობ, რომ კვლავაც, როგორც რომ ეხლა,
მე არ ამცდება ავათმყოფობა,
მშობლის ტირილის ხმის გაგონება,
ტანჯვა-წვალება, მოუსვენრობა...
დღეს ავათყოფნას, ხვალ განკურნებას,
თუ რომ ზეგ ისევ დავსნეულდები,
ერთხელ სიკვდილი ბევრათ სჯობია,
მას სიხარულით მოველოდები...
წადი, ექიმო, მას მოუარე,
ვინც სხვაფრივ არის ავათ გამხდარი;
ჩემთვის ტყუილათ ნუ შეწუხდები,
ვიცი მომელის სამარის კარი...
დღეს ყველგან ღელავს ღარიბი ხალხი,
უსამართლობით გაშფოთებული;
და იმან იცის ჩემი წამალი
და ყოველივე იარა, წყლული...
მაშ, ვისაცა გსურს ჩემთვის კეთილი,
მებრძოლ ხალხს ყველამ მიეცით მხარი,
რომ საქაოს გაგვეღოს დროზე
ჩვენთვის დახშული სამოთხის კარი.
მაშინ იხარებს ადამიანი
მრავალ ჟამიერ, დღეს დაჩაგრული,
და ჩემსავითაც არ ამოხდება
ასე უდროოთ ტანჯული სული.

ქნარი.

რუსეთი

გასაოცარი ამბავი მომხთარა კიევში. ამას წინეთ ერთ ხულიგან ზადირაკუსთვის კიევის სამოსამართლო პალატას მიუსჯია ერთი წლის ციხეში ჯდომა ჯარში აგიტაციის გაწვევისა და ხემწიფის შერაცუყოფისათვის.

ხულიგანი ზადირაკუ რაღა გასამტყუნარია, როდესაც თვით ჟანდარმთა როტმისტრიც კი სამი თვით ჩაუბძანებიათ კიევის ციხეში!.. თურმე, ნუ იტყვით, ამ ვაჟბატონს ახლათ გაწვეულ ჯარისკაცებისათვის პასპორტები უძლევია და საზღვარ გარეთ უპარებია.

ვარშავაში დიდი უბედურება ტრიალებს,— დღეში თურმე 200 კაცზე მეტს იჭერენ. ციხეში, რომ ადგილი აღარ არის, შაქრისა და სელიოდკის ბოჩკებში ამწყვდევენ.

რომ დედაკაცებმაც გამოიღვიძეს და ჭორიკანობაზე ხელი აიღეს, ეს იქიდანაც ჩანს, რომ ამას წინეთ ქალაქ ენისეის ციხეში ორ დედაკაცს ერთი მანდილოსანი მოუკლავთ ჯაშუშობისათვის.

ქალებმა რომ გამოიღვიძეს, ეს კიდევ არაფერია იმასთან, რასაც რუსეთის გაზეთები გვატყობიებენ. თურმე კრუშევანს გული მოსვლია, რატომ იმდენი მკვდრები ვერ იშოვეს, რომ მესამე დუმაშიაც დეპუტატათ ვყოფილიყავიო და... ვარევოლიუციონერებულა.

კრუშევანი რაღა გასამტყუნარია, როცა თვით პურიშკევიჩი და ცნობილი პოგრომჩიკი ექიმი დუბროვინიც კი გაკონსტიტუციონელებულან.

ეს კიდევ არაფერია იმასთან, რაც გზათა მინისტრის შაუფუსის თანაშემწეს ვენდრიხს ჩაუდენია, თურმე ვენდრიხისათვის შაუფუსის იქ არ ყოფნის დროს მოუნდვიათ დროებით მინისტრობა, მასაც აღარ დაუყოვნებია ღა რაღაცა ქაღალდი ქონია, რომლითაც რკინის გზის მოსამსახურეებს სულის შეხუთვას უპირებდა და ეს ქაღალდი პირდაპირ ხემწიფისთვის დაუმტკიცებია. ამის შე'ახებ მინისტრები და თვით სტოლიპინიც მეტათ გაბრაზებულან და ვენდრიხს ძალიან ცუდ რამეს უპირებენ.

ეს კიდევ რა იმასთან რაც მესამე დუმის მემარჯვენე, დეპუტატებმა ჩაიდინეს საწყალი ახლანდელი დუმის თავმჯდომარე ხომიაკოვი დეპუტატებს ეფიცებოდა, რომ ღმერთი, რჯული, მე თავმჯდომარეობისა არაფერი გამეგებარა **ტიმოშკინი** ეპისკოპოსი მგონია, ევლოგი ტიმოშკინიო და არც თუ თვალტანადობა მიგავს ადამიანსაო და ერთი სიტყვით, სრულიათ უვარგისი გახლავართო, მაგრამ ვინ დაუჯერა, აქაო და მემარჯვენე ხარ უეჭველათ შენ უნდა იყო თავმჯდომარეო. ხომიაკოვს მეტი რა გზა ქონდა დათანხმებულა, მაგრამ არ ვიცით კი საქმეს როგორ წაიყვანს.

მ ი ბ ა ძ ვ ა.

(ვუძღვნი პროლეტარს).

ტყეს გასცვინდა ფოთოლი,
ყორნებიც თავს დაგვეხვეის;
იუდა გამტეშელი
სულ სიმდერებსა ბდვეის.

სისხლით მორწყულა მდელო,
ოთვლს დაუფარავს შთები,
ბულვ გვასმინე, შებრძოდო,
სულის-ჩამდგმელი ხმები!...

ჯინჭარი.

ჯარის კაცთა ცხოვრებიდან.

(ნასუდი და გაგონილი).

აფიცერი ცდის ჯარის კაცს სემიონოვს: სემიონოვო, რას იზამ, ბრძოლის ველზე მტერი როცა შეგხვდება? სემიონოვი დუმს. »ხიშტს ვკრავო“, წაჩურჩულებს ფელდფებელი სემიონოვს.

— ხიშტს ვკრავ, თქვენო მაღალ კეთილშობილებავ!

— ყოჩაღ? აბა რას იზამ, ძროხა რომ შეგხვდეს;

— დავხიშტავ, თქვენო მაღალ კეთილშობილებავ!

— მე კი ასე მოვიქცეოდი: თავს მოვჭრიდი, ტყავს გავხდიდი, ხორცს კი სახარშავ ქვაბში გავუძახებდი. აბა, გაიმეორე შენ, როგორ მოიქცევი? სემიონოვი იმეორებს.

— რას იზამ, მე, შენი აფიცერი, რომ შეგხვდე?

— თავს მოგჭრი, ტყავს გაგხდი, ხორცს კი სახარშავ-ქვაბში გავუძახებ, უპასუხებს სალდათი.

— სულელო! დაუყვირებს აფიცერი,

— სულელო! თქვეო მაღალკეთილშობილებავ. გაიმეორებს სალდათი.

ახალგაზდა პარუჩიკი სარკესთან დგას და თავს ივარცხნის, თანაც იქ ახლო „დენშჩიკს“ ეკითხება: რატომაა, ივანოვო ამდენი თმა რომ ჩამომდის თავიდან!?

— გაზაფხულზე ყველა ცხოველებს სცვივა ბალანი,—დამშვიდებით მიუგო ივანოვმა.

სამსახურ. მოხთილი ჯარის კაცი—ბულაძე დაბრუნდა სახლში. მეზობლები ეკითხებიან. რა ამბავია რუსეთში, იქაც არის არეულობა?

— როგორ არა, ერთხელ შეტაკება გვქონდა პროლეტარებთან და მარტო მე ხუთი კაცი წამოვაცვი ხიშტზე.

ყველა პირ დაღებული მიაჩერდება. ერთი კი, ვითომ არაფერიაო ეკითხება: ვინ არის პროლეტარი?

პროლეტარი იმ კაცებსა ქვიან, რომელსაც ჯერ სალდათების გაწყვეტა უნდათ და შემდეგ კი მინისტრებათ დადგომა,—გულ-წრფელად მიუგო გულაძემ,

ინცანი.

ტ ა ი გ ა ში *)

(გეიერი).

განრისხებული ქარი ხმაურობდა, ხეებს ერთფეროვნათ, საცოდავად არხევდა და აკრიალებდა. მძიმე, ლეგა ღრუბლები დაბლა ჩამოზიდულიყო. და ცა მსხვილი, გაცივებული

*) ტაიგა წარმოადგენს ტყიან და ჭაობიან ალაგს, სადაც ბურუსი, წვიმა და თოვლ-ჭყაპი ხშირი სტუმარია და რომელიც მოსაწყენ?, გულის გადამლევ სურათს წარმოადგენს. ამგვარ ადგილებს ციმბირში უხვად შეხვდებით.

ცრემლებით მწარეთ ტიროდა მთელი თვეა, რაც ასეთი ამინდი დგას,—თვალს არ უნახავს, არც მზე, არც სინათლე. ახლოვდებოდა ზამთარი, მოწყენილი, დაუსრულებლათ გრძელი და შავი, როგორც სამარე.

პაწაწინა სოფელი თ თქოს ყინვისგან შეკუმშულიყო. გადაზნექილი ქოხები ერთ გროვათ შემოკრებილიყვენ ვიწრო, ჭუჭყიან ქუჩის პირას და თავისი მობრმავო ფანჯრებით შორს, უზომო სივრცისაკენ გაიცქირებოდენ. ას-წლოვანი ტყე ჭრიალებდა და ღმუოდა. ცივი, მოსაწყენი ნაცრის-ფერი ბურუსით გარე-მოცული წვიმა, გულ-გადასალევ სურათს წარმოადგენდა.

ამგვარ დღეებში ტიმოფეევი ძალიან ცხარდებოდა ყოველთვის წყნარი და მშვიდი, აღელდებოდა და აჩქარებული ნაბიჯით დარბოდა თავის პატარა, დაბალ ოთახში და თან პაპიროზს ზედიზედ სწევდა. მისი ამხანაგი, ყოფილი სტუდენტი—ტეხნოლოგი ლიბერმანი, თავის ძველ ქურქში გახვეული, გრძელ სკამზე წამოწოლილიყო და მეგობარს გულგრილათ შეცქეროდა.

— ჩვენ აქ დავიხოცებით,—სიბრაზით წამოიძახა ტიმოფეევმა და პაპიროზის ნამწვი შორს გიდაისროლა.

— დავიხოცებით,—უდარდელათ გაიმეორა ლიბერმანმა. თავისუფლებას ვეღარ მოვესწრობით.

ტიმოფეევი მიუახლოვდა კედელს და მგონი მეათასეჯერ დაუწყო გადათვლა ზედ ამოჭრილ ხაზებს, რომლებიც თვეებს ნიშნავდენ და ბლომათ იყვენ ჩამწკრივებულნი. იმათ დანახვაზე მას, მაგრამ არ ვიცი კი რათ, თვალ-წინ ნათლათ წარმოუდგა სურათი, ისეთივე ჭუჭყიანი ოთახი, როგორშიაც თვითონ იმყოფებოდა. წვიმაც ისევე ხმაურობდა და ჭრიალობდა ხეები. ოთახის ჭერის შვა-გულიდან ჩამოშვებულ ოკზე კი ქალწულის სხეული იყო ჩამოკიდებული და ქანაობდა.

როდის იყო ეს?.. ერთი, ორი წლის წინეთ?.. არა, უკვე ორ-წელიწად ნახევარია. დაწყეველილი დრო. ახლა როეორ გძელდება და წინეთ კი რა მოკლეთ გვეჩვენებოდა.

— ყური მიგდე, ლიბერმან,—ტიმოფეევი უცბათ შეჩერდა, თვალები გაუბრწყინდა და ტანში მთლათ გასწორდა.—გეყურება, გავიქცეთ აქედან!.. ჰა?.. გავიქცეთ რუსეთში, იქ, იცი...—ვეღარ დაათავა და შეხედა ამხანაგს.

— მერე, ყარაულები?—წამოილაპარაკა ლიბერმანმა და წამოიწია.

— მე მეტი აღარ შემიძლია, გეყურება თუ არა, ვეღარ მოვითმენ. ზამთარი მოდის, საშინელი ღამეები დგება. ასეთი ცხოვრება ყოველათ შეუძლებელია. გავიქცეთ და თუ დაგვიჭირეს, მაშინ... ტიმოფეევი გაჩუმდა და მთრთოლვარე ხელი ყელზე ჩამოისვა.

— დაწყეველილი თვითნებობა, დაწყეველილი სიცრუე, ფლიდობა, ბინძურობა... აპატიმრებენ ადამიანებს იმისთვის, რომ ვერ შეძლეს მათ მონური რომ ისინი სხვებს უქადაგებენ: ადამიანი თავისუფალიაო. ჩვენ აქ, ამ ორმოებში ორმოებში გვახრჩობენ, ნელ-ნელა სულსა გვხდიან... ლიბერმან! ჩვენ პროტესტი უნდა განვაცხადოთ ასეთ მდგომარეობის წინააღმდეგ, ცხარე პროტესტი. ჩვენ გვწყურია სიცოცხლე, სიცოცხლე, სიცოცხლე!.. ასეთი ცხოვრების გაგრძობა ყოველად შეუძლებელია. მე ვგრძნობ, რომ ჩვენ ამ ზამთარს ვეღარ გაუძლებთ და ჭკუაზე შევიშლებით. ნუ თუ ესე ხმის ამოუღებლათ უნდა დავემორჩილოთ ამ გარემოებას? ლიბერმან?!

ლიბერმანს ხელები პირის სახეზე დაეფარებინა და იწვა.

სიჩუმე ჩამოვარდა. მხოლოდ წვიმა ხმაურობდა ფანჯრის გარეთ და ას-წლოვანი ხეები ჭრიალებდენ.

ტიმოფეევი ფანჯარასთან მივიდა და გაყინულ შუშებზე კაკუნი დაიწყო. მას რაღაც მრგვალ ბურთივით ყელში ამოწოლოდა და სულთქმას უძნელებდა.

— ნეტავი მზე ამოვიდეს, ნეტავი მისი სხივები დამანახვა.—ჩურჩულებდა ტიმოფეევი და რა გრძნობდა, რომ საცაა ნერვებ აშლილი წაიქცეოდა, ტუჩებს იღრღნიდა, თითქმის ისისხლიანებდა.

შორს რაღაცამ დაიწკრიალა. ხმა თან-დათან მოახლოვდა. ძაღლებმა ყრუთ დაიყეფეს; რამდენჯერმე კიდევ გაიმეორეს. აგერ ხიდის ფიცრებმაც დაიჭრიალეს და სოფელში შემოგორდა დიდი, მთლათ ტალახში გასვრილი

ტარანტასი, რომლიდანაც ნაცრის-ფერ შინელში გახვეული კაცი ნელ-ნელა ჩამოვიდა, ირგვლივ მიიხედ-მოიხედა და შემდეგ პატიმართა საპლისაკენ გასწია.

— ნეტავ რა ჯანდაბა უნდათ,—გაიფიქრა ტიმოფეევმა, წავიდა დერეფანში და კარები გააღო.

— საღა სცხოვრობენ პოლიტიკური გადმოსახლებულნი,—ტიმოფეევი და ლიბერმანი?

— აქა,— მიუგო ტიმოფეევმა.

სადგურის მსახურმა გაიღიმა და ოთახში შევიდა.

— აი ქალალდი,—ახლად მოსულმა აბგიდან კონვერტი ამოიღო,—ხელი მოაწერეთ.

სიცივისაგან გაწითლებულ მის ტლანქ სახეს სიხარული ეტყობოდა და სულ რაღაზედაც იღიმებოდა.

ტიმოფეევმა ქალალდი გამოართვა. ლიბერმანმა საწოლიდან ნელ-ნელა წამოიწია და სტუმარს მიაცქერდა.

ტიმოფეევი ნაწერს კითხულობდა, მაგრამ გაგებით ვერაფერი გაიგო. მის თვალწინ სიტყვები ხტუნაობდენ, ასოები კი ხან ფოთლების ოდენათ იზდებოდენ და ხან პატარავდებოდენ, ქრებოდენ. „თავისუფლება... გათავისუფლება... სრული ამნისტია!!. ტიმოფეევმა ქალალდი ძირს დაუშვა.—ლიბერმან,—მიმართა ამხანაგს და ეს ხმა რაღაც უცხოთ, შორეულათ ეჩვენა,—გეყურება?! თავისუფლებაა... რუსეთი თავისუფალია... ჩვენ შეგვიძლია დავბრუნდეთ... ლიბერმან!.. ტიმოფეევმა სული ამოითქვა და ქალალდი ლიბერმანს გაუწოდა. ლიბერმანმა თავისი აკანკალებული ხელი მაშინვე სტაცა გაწოდებულ ქალალდს, გაირბინა ოთახში და ჩუმად, ოდნავ შესამჩნევათ ჩაიცინა.

— თავისუფლება!!—დაიყვირა ტიმოფეევმა და ისე, როგორც ოთახში იყო, უქუდოთ გამოვარდა.

ახლა, უკვე ნაკუწ-ნაკუწათ ქცეული, გაშვენიერებული ღრუბლები სწრაფათ მიცურავდენ. ძველი ტყე კვალად ხმაურობდა, მაგრამ ეს ხმაურობა რაღაც მძლავრი, სასიხარულო იყო. მზემ უეცრათ სხივები გადმოაფრქვია და გაბრწყინვებულმა, ცეცხლივით ალაპლაპებულმა, ყველაფერი ოქროს ფრათ შეღება. წყლის წვეთებმა ალმას-ბრილიანტებსავით ბზენა დაიწყეს.

ლიბერმანი კარებში გამოჩნდა. იგი გაფითრებულიყო და სახეზე გამოურკვეველობა ეტყობოდა.

— თავისუფლება, მზე,—დაბალი ხმით ამბობდა ის და ტიმოფეევი რომ დაინახა, თითქოს მხოლოთ ახლა გაიგო ყველაფერიო, უეცრივ გაექანა მისკენ და მაგრათ გადაეხვია.

— ამხანაგო, ჩვენ გავიმარჯვეთ! ახალი ცხოვრება იწყება. დაგვიდგა ხანა მუშაობისა. უნდა ვიმუშაოთ, ამხანაგო, თავ-დავიწყებით ვიმუშაოთ!..

ტიმოფეევი ხმას არ იღებდა. ის სიცილით მზეს შეცქეროდა და სინათლის მონატრულს, მის შეუჩვეველს, ლოყებზე სიხარულის ცრემლები ჩამოსწკრიალებდენ. მაგრამ ის ამას ვერ ამჩნევდა.

დ. ელიოზიშვილი.

სახალხო პოლიტიკური ეკონომია.

II

წარმოება.

ა) სასიცოცხლო—სასარგებლო შრომის თვისება.

წინა წერილიდან*) ჩვენ ვიცით, თუ რა არის მეურნეობა. წარმოებაც იმავე მოქმედებას ნიშნავს, რასაც მეურნეობა. ავხსნათ მაგალითით: მებაღე ხეებს რგავს, ამით ის მეურნეობას ეწევა ანუ აწარმოებს და მისი მოქმედებაც მეურნეობა ანუ წარმოებაა. ამ განმარტების შემდეგ ჩვენ მეურნეობის მაგიერ, სადაც საჭირო იქნება, ვიხმართ სიტყვა წარმოება“ს.

ჩვენ ვხედავთ, რომ ადამიანი მოქმედობს, შრომობს, ოფლს ღვრის. რა აიძულებს მას შრომას, ოფლის ღვრას? რა აზრი აქვს მის მუშაობას?

ადამიანს აქვს სხვა-და-სხვა მოთხოვნილება, მაგალითათ, მას ესაჭიროება სასმელ-საჭმელი, ტანისამოსი, სადგომი და სხვა. და აი, ამ საჭიროებათა დასაკმაყოფილებლათ ის იძულებული ხდება იშრომოს, ოფლი ღვაროს. განათლებულ და განვითარებულ ადამიანს მეტი საჭიროება, მეტი მოთხოვნილება აქვს,

*) იხ. „ეკალი“ № 4.

გაუნათლებულსა და განუვითარებელს კი ნაკლები. ამის მიხედვით ყოველი ადამიანი შრომობს და იკმაყოფილებს თავის მოთხოვნილებას. ავიღოთ, მაგალითათ, პირველ-ყოფილი ადამიანი, რომელსაც სიცივე აწუხებს და აქვს ტანისამოსის საჭიროება. ის ბუნებაში პოულობს წვეტიან ქვას, ხვდება აგრეთვე ბეწვიან ნადირს; იმას აქვს ხელი გაწვრთნილი ქვის მარჯვეთ გასროლაში. ყოველივე ეს საკმარისია მისი მოქმედების დასაწყებათ. ის აიღებს წვეტიან ქვას, გამოუდგება ბეწვიან ნადირს, ესვრის, მოკლავს და მის ტყავს ტანისამოსათ იხმარს. ასეთი მოქმედებით ისაზღვრება მისი შრომის თვისება: ის ხთება მონადირეთ. ავიღოთ მეორე მაგალითი: ადამიანს შია მას ესაჭიროება პური, ამავე დროს მას აქვს ფქვილი, აქვს აგრეთვე თორნე, იცის ფქვილისგან ცომის მოზელა, დაგუნდავება, ჩაკვრა და გამოცხობა. რა თქმა უნდა, ის ხელათ შეუდგება საქმეს, გამოაცხობს პურს და მოიკლავს შიმშილს. ასეთი მისი მოქმედებით განისაზღვრება მისი შრომის თვისებაც: ის ხდება პურის გამომცხობათ. ამ მაგალითებიდან ცხადია, რომ შრომის თვისება ყოველ კერძო შემთხვევაში ისაზღვრება იმით, თუ რაზე მიდის ეს შრომა და რა მიზანი აქვს მას დახატული.

მოყვანილი მაგალითებიდან ცხდია, რომ შრომის თვისება დამოკიდებულია სამი სხვა-და-სხვა პირობისაგან: ა) ადამიანის საჭიროებისა ანუ მოთხოვნილების, ბ) შრომის გარეშე საშვალებათა და გ) თვით ადამიანის სამუშაო ძალ-ღონისაგან.

როგორც დავინახეთ, ადამიანი შრომობს თავისი რომელიმე მოთხოვნილების დასაკმაყოფილებლათ, მაგალითათ, ველური კლავს ბეწვიან ნადირს, რომ მისი ტყავით ტანი დაიფაროს სიცივისაგან, მეორე აცხობს პურს, რომ შიმშილი მოიკლას. ამათი შრომა საჭირო და სასარგებლოა, მარა მხოლოთ მათთვის და ამიტომ ასეთ შრომას ეწოდება საპირადო ანუ, უცხო სიტყვით, ინდივიდუალური სასარგებლო შრომა. ასეთი შრომა პოლიტიკური ეკონომიის საგანს არ შეადგენს. პოლიტიკური ეკონომია, როგორც წინა წმრილშიაც *) შევნიშნეთ, ეხება მხოლოთ საზოგადო-სასარგებლო შრომას, რომლის თვისებაც სულ სხვაა. ავხსნათ მაგალითით: ადამიანი თუ ბეწვიან ნადირს კლავს, რომ მისი ტყავი სხვას გაუცვალოს რაიმე ნივთში ან მიყიდოს ფულზე,—ასეთი შრომა იქნება არა საპირადო სასარგებლო, არამედ საზოგადო-სასარგებლო. და ასეთი საზოგადო-სასარგებლო შრომის თვისება დამოკიდებულია: ა) საზოგადო მოთხოვნილებათა, ბ) წარმოების საზოგადო საშვალებათა და ხ) მთელი საზოგადოების წარმოების მუშათა ძალთაგან.

განუვითარებელ, უკულტურო საზოგადოებას, როგორც ასეთსავე კერძო პირს, ცოტა მოთხოვნილება აქვს, ხოლო განვითარებულსა და დაწინაურებულს გაცილებით მეტი. რამდენადაც საზოგადოება იმორჩილებს ბუნებას, აუმჯობესებს სამუშაო იარაღებს, იმდენათვე მას ეზდება და უფართოვდება მოთხოვნილებაც.

ყოველ ადამიანს და მთელს საზოგადოებას თვით ცხოვრება აიძულებს, რომ იშრომოს და ამ შრომით შექნას, გააკეთოს რამე საზოგადო-სასარგებლო ნივთი. მარა ჩვენთ ვიცით, რომ საზოგადოებისთვის ყველა ნივთს, ყველა საგანს ერთნაირი მნიშვნელობა არ აქვს: ზოგი ნივთი ისე საჭირო და აუცილებელია, რომ უმისოთ ცხოვრება შეუძლებელია, მაგალითათ, სასმელ-საჭმელი, ტანისამოსი, სახლი და სხვა უპირველეს საჭიროებას შეადგენს, ხოლო ოქროს ძვირფასი ნივთები, ბრილიანტის საყურეები და სხვა ასეთები კი ფუფუნების, ნებივრობის საგნებია და უმათოთ ცხოვრება სულ ადვილია. აქედან პირველ შეხედვით ის დასკვნა უნდა გამოიყვანოს კაცმა, რომ ფუფუნების ნივთების გაკეთებაზე დახარჯული შრომა საზოგადო-სასარგებლო არ არისო, მარა ეს შეცთომა იქნება. ოქროსა და ბრილიანტის ნივთების მოთხოვლინება საზოგადოებაში არის, ამ ნივთებს მუშტრები ყავს, მაშასადამე, ეს ნივთები აკმაყოფილებს საზოგადოების ერთი ნაწილის მოთხოვნილებას და ამიტომ მათ გაკეთებაზე დახარჯული შრომაც საზოგადო-სასარგებლო შრომა არის.

ჭალარა.

*) იხ. „ეკალი“ № 4.

ბანდურებით გარეწენი მიაშურებს ბიტიგორსკსა,—
იქაც ბავშვნი „ფესტს“ აბამენ ბურიშკევიჩს და მის ცოდსა.

წერილები რედაქციის მიმართ.

„ეკალის“ №2-ში ბ. „ეუნჩის“ კორესპონდენციაა მოთავსებული ბათომიდან. ამ კორესპოდენციაში ის გვეუბნება მე და ჩემ ამხანაგ ქორქიას, ვითომ ჩვენ მოგვეხოინოს ხელეთეი მოვაკრეთა კრება და დაგვარსებიოს „კვირა-უქმეების მოშინაობი ჯგუფი“ მე ვაცნობებ, რომ უოგვლიეე ეს სიმართლეს მოკლებულია და ვიწყებ ბ. „ეუნჩს“ დაამტკიცოს ოავისი სიტყვების სიმართლე ან ბრესისა და ან ინდ სამედიტორო სამართლის სიშვალებით.

დ. მამალაძე.

„ეკალის“ ფოსტა.

ბ. ჩანგალს. თქვენი წერილი „ეშმაკის“ შესახებ ზედ-გამოპრილია, მარა ჩვენ არ ვბეკდავთ, რადგან „ეშმაკის“ ბკუაში ჩაგდება შეუძლებელი საქმეა. ამასთან იმისთანა „იუმორისტებზე“ წერა, როგორიც ბ. „ეშმაკია“ დროს დაკარგვაა.

ყვირილაში—ბ. ანეპოდისტე გაჩეჩილაძეს. მამა თქვენი, როგორც „წეველი ბექილი“ არ უნდა საპიროებდეს თქვენს ვექილობას. მძიმეა თქვენი მუქარა. რომ „აწ კი წევ. ვექილი ალფეზა თავს ანებებს საზოგადოების სამსახურს“ო, მარა ვიმედოვნებთ, რომ ის წეველების დეპუტაციას გულზე ხელს არ კრავს და ისევ განაგრძობს თავის „მოღვაწეობას“.

საჭილაოში—ბ. იაშკა პეტრენკოს. თქვენც იმასვე ამტკიცებთ. საზოგადოთ, რასაც ჩვენი კორესპოდენტი იწერება. კერძოთ თუ თქვენ უკმაყოფილო ხართ, თავისი სიმართლე ფაკტებით უნდა დაამტკიცოთ,

ოზურგეთში—ბ. განაპირელს. ბ. „ეშმაკს“ თავი დავანებოთ, თვარა მართლა მწერლათ წარმოიდგენს თავის თავს. გაიბერება ბაყაყივით, გასკდება და სულ ააყროლებს არემარეს.

რედაქტორ-გამომც. პლატონ გაჩეჩილაძე.

Электро-печатня Т-ва „СОРАПАНЬ“, Мадатовскій островъ д. кн. Мухр. № 1.

გ-ოგუბ. განკარგულებით „ეკალი“ დაჯარიმებულია 500 მ. ფასი ყველგან 10 კ.

№ 7 ეროვნულ-კომიკური ჟურნალი 1907 წ.

პრისთავის მოგზაურობა.

ᲭᲠᲘᲡᲗᲐᲕᲘᲡ ᲐᲛᲑᲐᲕᲘ

(ავტორი ᲨᲣᲙᲘᲡ ᲫᲚᲔᲑᲘᲗ უᲛᲓᲒᲜᲔᲡ მიქიევს).

ერთხელ ერთ ᲭᲠᲘᲡᲗᲐᲕᲘᲡ,
ᲩᲣᲥᲣᲚᲔᲑᲠᲘᲕ ᲐᲕᲒᲘ,
ᲡᲐᲓᲐᲪ ᲮᲣᲛᲢᲣᲠᲘᲐ ᲬᲐᲛᲝᲣᲠᲑᲘᲜᲐ,—
ᲡᲐᲓᲒᲣᲠ ᲜᲐᲢᲐᲜᲔᲑᲘᲡ
ᲛᲘᲐᲓᲒᲐ ᲮᲝᲣᲚᲘᲡ
და ᲑᲐᲗᲘᲛᲘᲡ ᲬᲐᲡᲣᲚᲘᲐ ᲛᲝᲘᲬᲐᲓᲘᲜᲐ.
ᲛᲐᲒᲠᲐᲛ დᲐᲮᲔᲗ ᲑᲣᲓᲘᲡ,
არ ᲘᲚᲔᲑᲘᲡ ᲑᲘᲚᲔᲗᲘᲡ,
ᲑᲜᲣ ᲒᲘᲜᲘᲐ ᲛᲔᲥᲝᲗᲐᲗ ᲩᲐᲯᲓᲔᲑᲐ;
თᲐᲣᲘᲡ ᲘᲜᲒᲣᲨᲘ,
ᲥᲣᲠᲓᲘ და ᲛᲠᲣᲨᲘ,
ᲭᲠᲘᲡᲗᲐᲕ ᲛᲘᲥᲘᲔᲕᲘᲡ თᲐᲜ ᲔᲐᲮᲚᲔᲑᲐ!
ᲛᲐᲓᲚᲐ ᲐᲕᲘᲓᲔᲡ,
ᲕᲐᲒᲝᲜᲘᲡ ᲨᲔᲕᲘᲓᲔᲡ
და ᲙᲣᲠᲔ ᲜᲐᲮᲔᲡ ᲐᲥ ᲪᲐᲠᲘᲔᲚᲘ...
ᲕᲘᲜ ᲛᲝᲗᲮᲝᲕᲡ ᲑᲘᲚᲔᲗᲘᲡ
ᲭᲠᲘᲡᲗᲐᲕ ᲛᲘᲥᲘᲔᲕᲡ,
ᲕᲘᲜ ᲐᲠᲘᲡ ᲑᲠᲘᲔᲕᲘ ᲨᲔᲐᲮᲝᲡ ᲮᲔᲚᲘ?!
და ᲛᲔᲓᲘᲓᲣᲠᲐᲗ,
თᲐᲣᲘᲡᲔᲑᲣᲠᲐᲗ
ᲮᲐᲮᲘᲠᲝᲡᲮᲐ ᲬᲔᲡᲡ გᲐᲓᲐᲬᲝᲚᲘᲚᲘ,
და „ᲮᲐᲘᲠᲘᲙᲘ“
ᲛᲘᲡᲘ ᲡᲢᲠᲐᲥᲜᲘᲙᲘ
ᲛᲘᲡ გᲕᲣᲠᲓᲘᲗᲐ დᲔᲒᲐᲡ ᲐᲑᲯᲠᲘᲗ ᲛᲝᲮᲡᲘᲚᲘ.
ᲛᲐᲒᲠᲐᲛ დᲐᲮᲔᲗ ᲑᲣᲓᲘᲡ,—
ᲘᲗᲮᲝᲕᲔᲡ ᲑᲘᲚᲔᲗᲘᲡ
და ᲙᲝᲛᲔᲡᲓᲐᲜᲢᲘ ᲕᲐᲒᲝᲜᲔᲑᲘᲡ ᲨᲘᲜᲯᲐᲕᲡ!..
დᲐᲠᲓᲝᲑᲡ ᲭᲠᲘᲡᲗᲐᲕᲘ,
ᲓᲐᲜᲬᲣᲗᲘᲡ თᲐᲕᲘ,
ᲨᲔᲬᲣᲛᲣᲚᲘᲐ, ᲛᲐᲮᲡᲐᲪ გᲐᲨᲘᲜᲯᲐᲕᲡ...
და რᲝᲛ არ ᲜᲐᲮᲝᲡ,
და არ დᲐᲜᲠᲐᲮᲝᲡ
ᲩᲕᲔᲜᲘ ᲭᲠᲘᲡᲗᲐᲕᲘ, ᲕᲘთ „ᲮᲐᲘᲠᲘᲙᲘ“,
ᲡᲙᲐᲛᲔᲑᲡ ᲥᲕᲔᲨ ᲥᲕᲠᲔᲑᲐ,
ᲛᲐᲜᲘ თᲐᲜ ᲛᲘᲣᲯᲕᲔᲑᲐ
ᲛᲘᲡᲘ ერთგული ინგუშ სტრაუნიკი!!...
ᲩᲣᲥ რᲐᲓᲐᲪ არი...
გᲐᲘᲓᲝ ᲙᲐᲠᲘ
და შᲔᲛᲝᲑᲛᲘᲜᲓᲐ ᲐᲥ ᲙᲝᲛᲔᲡᲓᲐᲜᲢᲘ...
ᲮᲣᲓᲐᲕᲡ ᲭᲠᲘᲡᲗᲐᲕᲘᲡᲐ,
ᲡᲙᲐᲛ ᲥᲕᲔᲨ ᲔᲝᲕᲡ თᲐᲕᲘᲡᲐ,
ᲡᲘᲚᲚᲘთ ᲓᲐ კᲐკᲐᲠᲓᲘთ—ᲛᲘᲘᲥᲠᲔᲑᲐ ᲤᲠᲐᲜᲢᲘ!!!
და ᲘᲥᲕᲔ ᲛᲓᲒᲝᲛ ᲝᲠᲡ:
ᲝᲑᲔᲠᲡ, ᲙᲝᲜᲓᲣᲙᲢᲝᲠᲡ,
უᲑᲘᲐᲜᲐ ᲛᲐᲗᲘ გᲐᲠᲔᲗ გᲐᲗᲠᲔᲕᲐ!!..
ᲘᲜᲒᲣᲨᲡ ᲬᲕᲓᲔᲜ ᲤᲣᲚᲘᲨᲘ,
უᲤᲠᲝᲡᲡ ᲓᲔᲡᲔᲑᲨᲘ!..
ᲭᲠᲘᲡᲗᲐᲕᲡ ᲡᲘᲠᲪᲮᲕᲘᲚᲘᲗ ᲑᲠᲐᲖᲘ ᲔᲠᲔᲕᲐ...
ᲯᲣᲠ ᲮᲝᲛ ᲚᲐᲜᲓᲚᲐᲕᲔᲜ,—
შᲔᲛᲓᲔᲒ ᲐᲠᲗᲛᲔᲕᲔᲜ
ᲝᲪᲓᲐ ᲔᲠᲗ ᲛᲐᲜᲐᲗᲡ და ᲔᲠᲗ ᲐᲑᲐᲡᲡᲐ;
ᲘᲐᲜ ᲐᲒᲘᲜᲔᲑᲔᲜ
და უᲑᲛᲐᲜᲔᲑᲔᲜ—
ᲐᲚᲐᲠᲡᲐᲓ შᲣᲮᲕᲓᲔᲡ ᲐᲛ ᲒᲕᲐᲠ ᲐᲛᲑᲐᲕᲡᲐ.

—

— ᲛᲔ ᲑᲝᲥᲐᲣᲚᲡᲐ
თᲥᲕᲔᲜᲐ ᲛᲗᲮᲝᲕᲗ ᲤᲣᲚᲡᲐ?!
ᲩᲣ თუ არ გᲘᲜᲓᲐთ ᲪᲝᲪᲚᲘᲚᲐთ დᲐᲠᲩᲔᲜᲐ?
ᲛᲡᲣᲠᲡ დᲐᲕᲘᲭᲘᲠᲝ,
ᲑᲔᲕᲠᲘᲪ ᲕᲣᲭᲘᲠᲝ—
ᲫᲕᲔᲚᲘ რᲔᲙᲘᲛᲘ ᲕᲘᲜᲪ შᲔᲐᲩᲕᲔᲜᲐ!..
— გᲐᲙᲘᲜᲓᲘ ᲔᲜᲐ,
ᲩᲣ ᲘᲪᲘ ᲒᲑᲔᲜᲐ!—
ᲛᲐᲡ ᲙᲝᲛᲔᲡᲓᲐᲜᲢᲘᲡ შᲔᲛᲝᲣᲕᲔᲘᲠᲐ,—
ᲛᲝᲘᲪᲐ ᲤᲣᲚᲘ,
ᲯᲐᲠᲘᲡᲐთ თᲥᲕᲣᲚᲘ!!!...
ᲩᲔᲢᲐ რᲐᲡ ᲣᲪᲗᲘ, რᲐᲛ გᲐᲒᲐᲙᲕᲘრᲐ?!

—

ᲐᲛ შᲔᲣᲚᲘᲐრᲘ ᲓᲦᲔᲡ,
დᲐᲐᲙᲐᲚᲘᲔᲡ

ბრისთავ მიქიუვს მთელი შტრაფია
და ამ სისხლის მსმელს,—
ეგელაფრამდი ჭრელს
თავსე დასასხეს დიდი ლაფია!!..

მიმინო.

დეპეშები

პეტერბურგი. (თფილისში) **გოროდცევს** პურიშკევიჩს ნერვები აეშალა რუსთა კავშირში მომხდარ არეულობის გამო და, რადგანაც აქაურ საგიჟეთეებში ტევა აღარ არის და სულ პურიშკევიჩის გვარებით არის გავსილი, ეგება თფილისის საგიჟეთეებში აღმოჩდეს ადგილი და მანდ მოვათავსებიოთ. ჯერჯერობით თოკებითა გვყავს დაბმული.

ეპისკოპოსი ევლოღი.

კიშინიოვი. (პეტერბურგში) **დუმის თავმჯდომარეს.** აწ განსვენებულმა დეპუტატმა შმიტოვმა დეპეშით მაცნობა საიქიოდან, რომ ჩემ მაგივრათ დუმაში შენ წადიო. აბრე ჩამოვალ.

პროკოლაკ კრუშევანი.

თფილისი. (პეტერბურგში) **ეპისკოპოზს ევლოღის.** საგიჟეთის გამგე ექიმმა ბ. გედევანიშვილმა მაცნობა, რომ, როგორც „ჭეშმარიტი ქართველი“—„ჭეშმარიტ რუს“ ძმურათ დავეხმარები და პურიშკევიჩი ჩქარა ჩამომგვარეთ მოსარჩენათაო. ხალათი, თოკი და ცალკე კამერა მზათ გახლავთ.

გოროდცევი.

პეტერბურგი. სახელმწიფო საბჭოში ეპისკ. ევლოღის აიაზმა მოასხურებიეს, ხოლო დუბროვინს დეზინფექცია გაკეთებიეს, რომ სასულიერო და საერო საშვალებით მოსპონ პირველი და მეორე დუმიდან დარჩენილი ბაცილები.

ოზურგეთი. გარდაიცვალა ცნობილ ძმაოა გენერალ დუმბაძეთა მაჰა ანტონი. განსვენებული, როგორც საეკლესიო გალობის შესანიშნავი მცოდნე ერთ დროს ახლათ გარდაცვლილის ეპისკოპოზი ალექსანდრეს მგალობელთა გუნდის გამგე-ლოტბარათ იყო და ახლაც აღარ გაუშვა ყოველად სამღვდელო საიქიოს ულოტბაროთ.

პეტერბურგი. თვრამეტთა კომისიამ დაამთავრა უქვეშევრდომილესი ადრესის შემუშავება. ადრესში ნათქვამია, რომ ხალხს კონსტიტუცია ჭირივით ეჯავრება და ამიტომ ჩვენ, როგორც ხალხის ნამდვილ წარმომადგენლებს, საჭიროთ მიგვაჩნია გამოიცეს სამი დეკემბრის კანონი, რომელმაც უნდა დაადასტუროს ხალხის უზენაესი ნება და უარყოს კონსტიტუციის განხორციელებაო.

ქუთაისი. 14 ნოემბერს ღამით ქორწილში თავს დაესხენ მეფე დედოფალს და უკანონო კრების გამართვისათვის დაიჭირეს. ორივეს, როგორც კრების ინიციატორებს, ვიატკის გუბერნიაში ასახლებენ სამხედრო წესების მოხსნამდე.

ნატანები. დაატუსაღეს ლანჩხუთის ბოქაული მიქიაშვილი უბილეთოთ მოგზაურობისათვის, მისი სტრაჟნიკი ინგუში გურიის საგენერალ გუბერნატოროდან გააძევეს.

სუფსა. მონდობილი გვაქვს გამოვაცხადოთ, რომ ადგილობრივ სტრაჟნიკ ინგუშებს არ მოუპარავთ ქალების ტანისამოსი, ქვაბები და სხვა.

ახალი ამბავი

✦ ჟურნალი „ეკალის“ რედაქტორი თფილ. გენერ.-გუბერნატორმა დააჯარიმა 500 მან. თუ ფულს ვერ შეიტანს, ორ თვეს ციხეში უნდა ჩაჯდეს. თვეში 250 მანეთ. ვინ არ ჩაჯდება ციხეში ამ ქესატობის დროს!

✦ „ნიშადურის“ რედაქციამ გასულ კვირაში დაისვენა, რადგან მეტი დაღლილობისაგან ძალ-ღონე გამოელია.

✦ „ეშმაკის მათრახის“ რედაქცია შეუდგა ბ. „ეშმაკის“ იუმორისტიული ნაწარმოების „სი-

ზმრის ახსნის“ ცალკე წიგნათ ბეჭდვას. წიგნი ღირიგდება პრემიათ აღნიშნული გაზეთის იმ ხელის მომწერლებს, რომლებიც მომავალი იანვრიდან მთელი წლით დაიკვეთენ გაზეთს და ფულს სრულათ წინდაწინვე წარადგენენ რედაქციაში. ჩვენ ეს შესანიშნავი თხუზულება პროფესორის სერგ. მდივანოვის „სიზმრის ახსნის“ თარგმანი გვეგონა. მარა თურმე ვცდებოდით. „ᲔᲨᲛᲐᲙᲘᲡ ᲛᲐᲗᲠᲐᲮᲘᲡ“ მეორე რედაქტორმა ბ. Ბ. ᲘᲠᲗᲔᲗᲔᲚᲛᲐ ᲙᲝᲢᲔᲒᲝᲠᲘᲣᲚᲐᲗ ᲒᲐᲜᲐᲪᲮᲐᲓᲐ ᲩᲕᲔᲜᲡ ᲠᲔᲓᲐᲥᲪᲘᲐᲨᲘ, ᲠᲝᲛ „ᲡᲘᲖᲛᲠᲘᲡ ᲐᲮᲡᲜᲐ“ ᲝᲠᲒᲘᲜᲐᲚᲣᲠᲘ ᲜᲐᲬᲐᲠᲛᲝᲔᲑᲘᲐ ᲓᲐ ᲘᲡ „ᲔᲨᲛᲐᲙᲘᲡ“ ᲒᲐᲡᲐᲨᲢᲔᲠᲔᲑᲔᲚᲘ ᲜᲘᲭᲘᲡ ᲒᲐᲡᲐᲧᲔᲧᲔᲠᲔᲑᲔᲚᲘ ᲜᲐᲧᲝᲤᲘᲐᲗ. ᲪᲝᲢᲐᲡ, ᲣᲗᲣᲗᲝᲗ, Ბ. ᲘᲠᲗᲔᲗᲔᲚᲘᲪ ᲛᲘᲔᲮᲛᲐᲠᲔᲑᲝᲓ, ᲛᲐᲠᲐ ᲐᲕᲢᲝᲠᲣᲚᲘ ᲡᲘᲛᲝᲠᲪᲮᲕᲘᲗ ᲐᲠ ᲐᲛᲑᲝᲑᲡ.

✦ „ᲜᲘᲨᲐᲓᲣᲠᲘᲡ“ ᲠᲔᲓᲐᲥᲢᲝᲠᲡ ᲡᲣᲠᲡ ᲨᲔᲘᲫᲘᲜᲝᲡ ᲠᲔᲓᲐᲥᲪᲘᲘᲡ ᲡᲐᲭᲘᲠᲝᲔᲑᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ ᲒᲝᲩᲔᲑᲘᲐᲜᲘ ᲛᲐᲨᲙᲐ-ᲚᲝᲠᲘ!!!

✦ ᲥᲐᲠᲗᲣᲚᲘ ᲓᲠᲐᲛᲐᲢᲘᲣᲚᲘ ᲡᲐᲖᲝᲒᲐᲓᲝᲔᲑᲘᲡ ᲒᲐᲛᲒᲔᲝᲑᲐᲡ ᲒᲐᲓᲐᲣᲬᲧᲕᲔᲢᲘᲐ, ᲠᲝᲛ ᲠᲔᲓᲐᲥᲪᲘᲔᲑᲡ ᲣᲤᲐᲡᲝ ᲑᲘᲚᲔᲗᲘ ᲐᲠ ᲛᲘᲔᲪᲔᲡ ᲐᲛ ᲡᲔᲖᲝᲜᲨᲘ, ᲠᲐᲓᲒᲐᲜ ᲬᲔᲚᲡ ᲘᲡᲔ ᲒᲕᲐᲥᲕᲡ ᲡᲐᲥᲛᲔ ᲓᲐᲧᲔᲜᲔᲑᲣᲚᲘ, ᲠᲝᲛ ᲚᲐᲜᲫᲒᲘᲡ ᲛᲔᲢᲡ ᲐᲠᲐᲤᲔᲠᲡ ᲓᲐᲒᲕᲘᲬᲔᲠᲔᲜᲝ.

✦ ᲥᲐᲚᲐᲥᲘᲡ ᲐᲮᲐᲚᲘ „ᲛᲐᲛᲔᲑᲘ“ ᲡᲐᲥᲛᲘᲡ ᲛᲐᲒᲘᲔᲠ ᲣᲙᲕᲔ ᲨᲔᲣᲓᲒᲔᲜ ᲞᲐᲠᲐᲓ ᲜᲘᲐᲓᲐᲒᲖᲔ ᲙᲘᲜᲚᲐᲑᲝᲑᲐᲡ. ᲯᲔᲠ-ᲯᲔᲠᲝᲑᲘᲗ ᲡᲢ. ᲭᲔᲚᲐᲨᲕᲘᲚᲖᲔ ᲛᲘᲢᲐᲜᲔᲡ ᲘᲔᲠᲘᲨᲘ „ᲒᲐᲬᲠᲗᲕᲜᲘᲚᲛᲐ ᲡᲞᲘᲚᲝᲗᲔᲑᲛᲐ“ ᲓᲐ ᲙᲘᲓᲔᲪ ᲐᲘᲦᲔᲡ ᲛᲘᲡᲘ ᲞᲝᲖᲘᲪᲘᲐ.

✦ ᲝᲖᲣᲠ�გᲔᲗᲘᲓᲐᲜ ᲒᲕᲬᲔᲠᲔᲜ, ᲠᲝᲛ ᲒᲔᲜᲔᲠᲐᲚ ᲒᲣᲑᲔᲠᲜᲐᲢᲝᲠᲛᲐ ᲓᲔᲙᲐᲜᲝᲖᲝᲑᲐᲖᲔ ᲬᲐᲠᲐᲓᲒᲘᲜᲐ ᲞᲘᲠᲓᲐᲞᲘᲠ ᲔᲥᲡᲐᲠᲮᲝᲡᲗᲐᲜ ᲛᲐᲛᲐ ᲓᲐᲕᲘᲗᲘᲗ.

✦ ᲡᲝᲮᲣᲛᲘᲡ ᲛᲪᲕᲚᲔᲑᲛᲐ ᲛᲐᲠᲚᲐᲜᲘᲐᲛ ᲓᲐ ᲚᲐᲓᲐᲠᲘᲐᲛ ᲘᲢᲐᲚᲘᲘᲡ ᲛᲗᲐᲕᲠᲝᲑᲐᲡ ᲒᲐᲣᲒᲖᲐᲕᲜᲔᲡ ᲣᲥᲕᲔᲨᲔᲕᲠᲓᲛᲘᲚᲔᲡᲘ ᲗᲮᲝᲕᲜᲐ, ᲠᲝᲛ ᲘᲢᲐᲚᲘᲘᲡ ᲥᲕᲔᲨᲔᲕᲠᲓᲛᲔᲑᲗ ᲛᲘᲘᲚᲝᲜ. ᲗᲮᲝᲕᲜᲐᲡ ᲮᲔᲚᲘ ᲛᲝᲐᲬᲔᲠᲔᲡ ᲛᲐᲠᲚᲐᲜᲘᲐᲛ: ᲛᲐᲠᲚᲐᲜᲘ, ᲮᲝᲚᲝ ᲚᲐᲓᲐᲠᲘᲐᲛ— ᲚᲐᲓᲐᲠᲘ. ᲐᲛᲘᲡ ᲨᲔᲛᲓᲔᲒ 3 ᲜᲝᲔᲛᲑᲔᲠᲡ ᲒᲐᲓᲐᲘᲮᲐᲓᲔᲡ ᲐᲤᲮᲐᲖᲣᲠᲐᲗ ᲬᲘᲠᲕᲐ ᲓᲐ ᲠᲣᲡᲔᲗᲘᲡ ᲥᲕᲔᲨᲔᲕᲠᲓᲛᲔᲑᲘ ᲬᲘᲠᲕᲘᲓᲐᲜ ᲒᲐᲛᲝᲠᲔᲙᲔᲡ. ᲛᲪᲕᲔᲚᲔᲚᲛᲐ ᲯᲝᲮᲢᲐᲑᲔᲠᲘᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲤᲔᲮᲘ ᲘᲚᲠᲫᲝ ᲬᲘᲠᲕᲘᲓᲐᲜ ᲒᲐᲛᲝᲒᲓᲔᲑᲘᲡ ᲓᲠᲝᲡ. ᲓᲔᲙᲐᲜᲝᲖᲝᲛᲐ ᲒᲣᲚᲣᲛᲩᲝᲕᲛᲐ ᲡᲘᲢᲧᲕᲐ ᲘᲢᲐᲚᲘᲐᲜᲣᲠ ᲔᲜᲐᲖᲔ ᲬᲐᲠᲛᲝᲗᲥᲕᲐ.

✦ ᲚᲐᲜᲩᲮᲣᲗᲘᲡ ᲑᲝᲥᲐᲣᲚᲡ ᲛᲘᲥᲘᲐᲔᲕᲡ ᲛᲝᲣᲬᲔᲠᲘᲐ ᲜᲐᲤᲘᲪ ᲕᲔᲥᲘᲚ ᲒᲕᲐᲖᲐᲕᲐᲡᲐᲗᲕᲘᲡ, ᲠᲝᲛ ᲛᲐᲜ ᲛᲘᲘᲚᲝᲡ ᲗᲐᲕᲘᲡ ᲗᲐᲕᲖᲔ ᲕᲔᲥᲘᲚᲝᲑᲐ ᲓᲐ ᲘᲡ 21 ᲛᲐᲜ. ᲓᲐ 20 ᲙᲐᲠ., ᲠᲝᲛᲔᲚᲘᲪ ᲛᲐᲡ ᲒᲐᲓᲐᲐᲮᲓᲔᲕᲘᲔᲡ ᲜᲐᲢᲐᲜᲔᲑᲘᲡ ᲡᲐᲓᲒᲣᲠᲖᲔ „ᲖᲐᲘᲩᲘᲙᲝᲑᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ“, ᲠᲙᲘᲜᲘᲡ ᲒᲖᲘᲗ ᲣᲑᲘᲚᲔᲗᲗᲐᲗ ᲛᲝᲒᲖᲐᲣᲠᲝᲑᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ, ᲞᲝᲔᲖᲓᲘᲡ ᲙᲝᲛᲔᲜᲓᲐᲜᲢᲡ ᲣᲙᲐᲜᲕᲔ ᲓᲐᲐᲑᲠᲣᲜᲔᲑᲘᲝᲡ, ᲒᲕᲐᲖᲐᲕᲐᲡ ᲗᲐᲜᲮᲛᲝᲑᲐ ᲒᲐᲛᲝᲣᲪᲮᲐᲓᲔᲑᲘᲐ ᲓᲐ ᲐᲛ ᲓᲦᲔᲔᲑᲨᲘ ᲬᲐᲠᲐᲓᲒᲔᲜᲡ „ᲘᲡᲙᲡ“ ᲡᲐᲓᲐᲪ ᲯᲔᲠ ᲐᲠᲡ.

✦ ᲠᲐᲓᲒᲐᲜᲐᲪ ᲗᲤᲘᲚᲘᲡᲨᲘ ᲜᲐᲛᲔᲢᲐᲜᲘ ᲞᲣᲠᲘᲡ ᲡᲘᲫᲕᲘᲠᲔᲐ ᲤᲥᲕᲘᲚᲘᲡ ᲣᲥᲝᲜᲚᲝᲑᲘᲡᲐ ᲒᲐᲛᲝ, ᲐᲛᲘᲢᲝᲛᲐᲪ ᲓᲐᲐᲠᲡᲓᲐ ᲪᲐᲚᲙᲔ ᲛᲔᲤᲥᲕᲘᲚᲔᲗᲐ ᲯᲒᲣᲤᲘ, ᲠᲝᲛᲔᲚᲜᲘᲪ ᲔᲥᲡᲞᲠᲝᲞᲠᲘᲐᲪᲘᲐᲡ ᲐᲮᲓᲔᲜᲔᲜ ᲡᲮᲕᲘᲡ ᲡᲐᲬᲧᲝᲑᲔᲑᲨᲘ. ᲐᲛ ᲓᲦᲔᲔᲑᲨᲘ ᲐᲛ ᲜᲐᲘᲠᲘ ᲔᲥᲡᲞᲠᲝᲞᲠᲘᲐᲪᲘᲐ ᲛᲝᲮᲗᲐ ᲛᲣᲮᲠᲐᲜᲘᲡ ᲥᲣᲩᲐᲖᲔ ᲛᲐᲛᲔᲓ ᲰᲐᲡᲐᲜᲐᲡ ᲤᲥᲕᲘᲚᲘᲡ ᲡᲐᲬᲧᲝᲑᲨᲘ. ᲜᲐᲰᲐᲠᲔᲕᲘ ᲡᲐᲥᲝᲜᲔᲚᲘ ᲐᲦᲛᲝᲩᲜᲓᲐ ᲜᲘᲙᲝᲚᲝᲖᲘᲡ ᲥᲣᲩᲐᲖᲔ ᲒᲠᲘ�გᲝᲠ ᲐᲛᲑᲐᲠᲘᲐᲜᲪᲘᲡ ᲤᲥᲕᲘᲚᲘᲡ ᲡᲐᲬᲧᲝᲑᲨᲘ.

✦ ᲩᲕᲔᲜᲘ ᲥᲐᲚᲐᲥᲘᲡ ᲗᲕᲘᲗᲛᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲑᲐ ᲫᲐᲚᲘᲐᲜ ᲒᲣᲚᲛᲝᲓᲒᲘᲜᲔᲗ ᲨᲔᲣᲓᲒᲐ ᲛᲔᲒᲐᲣᲠᲔᲔᲑᲘᲡ ᲡᲢᲐᲢᲘᲡᲢᲘᲙᲘᲡ ᲨᲔᲓᲒᲔᲜᲐᲡ. ᲯᲔᲠᲯᲔᲠᲝᲑᲘᲗ 59 ᲛᲔ-ᲞᲣᲠᲔ ᲐᲦᲛᲝᲩᲜᲓᲐ ᲥᲐᲚᲐᲥᲘᲡ ᲡᲮᲕᲐ ᲓᲐ ᲡᲮᲕᲐ ᲣᲑᲐᲜᲨᲘ.

✦ ᲗᲤᲘᲚᲘᲡᲘᲡ ᲛᲐᲚᲘᲐᲠᲔᲑᲡ ᲓᲐᲕᲗᲐᲠᲘ ᲓᲐᲙᲐᲠᲒᲕᲘᲐᲗ ᲓᲐ ᲖᲝᲒᲘ ᲐᲚᲗᲐᲡ ᲛᲘᲓᲘᲡ, ᲖᲝᲒᲘ ᲑᲐᲚᲗᲐᲡ. ᲐᲛᲓᲔᲜᲘ ᲮᲐᲜᲘ ᲕᲔᲠ ᲨᲔᲣᲒᲜᲘᲗ, ᲠᲝᲛ ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘᲡ ᲓᲐᲐᲠᲡᲔᲑᲐ ᲐᲣᲪᲘᲚᲔᲚᲘ ᲡᲐᲭᲘᲠᲝᲑᲐᲡ ᲨᲔᲐᲓᲒᲔᲜᲡ ᲓᲐ ᲘᲡᲔ ᲒᲐᲣᲠᲑᲘᲐᲜ ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘᲡ, ᲠᲝᲒᲝᲠᲪ ᲗᲐᲗᲐᲠᲘ ᲚᲝᲠᲘᲡ ᲮᲝᲠᲪᲡ.

ᲛᲐᲘᲜᲪ ᲛᲘᲧᲕᲠᲡ.

(ᲛᲘᲑᲐᲫᲕᲐ).

ᲥᲣᲚᲓᲐ ᲔᲠ ᲝᲠᲘᲡ ᲐᲫᲚᲘᲡ
ᲡᲘᲛᲮᲘᲜᲯᲔᲑᲘ ᲑᲣᲯᲠᲐ ᲛᲔᲡᲯᲡ.
ᲩᲔᲛᲐ ᲡᲘᲧᲠᲐ ᲛᲘᲗ ᲨᲔᲯᲣᲯᲣᲠᲝᲗ
ᲯᲝᲚᲥᲐ: ᲔᲠᲗᲝᲑᲐ ᲛᲔᲢ ᲙᲘ ᲛᲐᲣᲯᲠᲡ.

ᲨᲐᲢᲘᲜᲒᲘ ᲠᲝᲛ ᲒᲐᲛᲬᲐᲠᲗᲐ,
ᲡᲐᲡᲢᲝᲠᲐ ᲡᲘᲛᲨᲐᲡ ᲡᲘᲢᲧᲕᲔᲑᲡ,
ᲢᲠᲘᲑᲣᲜᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲨᲘᲜ ᲓᲒᲔᲚᲘ,
ᲮᲛᲐ ᲨᲔᲓᲚᲐ ᲯᲝᲚᲥᲐ: ᲛᲐᲣᲯᲠᲡ, ᲛᲐᲣᲯᲠᲡ!..

ᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲘ ᲒᲐᲛᲝᲛᲔᲓᲐ,
ᲯᲐᲛᲨᲣᲨᲐᲝᲘᲗ ᲙᲘ ᲝᲠᲗᲘ ᲛᲘᲒᲠᲯᲔᲑᲡ.
ᲓᲐᲠᲒᲔᲑᲘᲡ ᲛᲔᲨᲘᲜᲘᲗ,
ᲡᲣᲚᲯ ᲯᲘᲫᲚᲘ: ᲛᲘᲣᲯᲠᲡ, ᲛᲘᲣᲯᲠᲡ.

ᲓᲐᲛᲬᲧᲚᲘᲡ ᲠᲐᲖᲛᲘ ᲛᲝᲕᲘᲓᲐ,
ᲨᲔᲚᲘᲡᲢᲣᲜᲔᲑᲘ ᲡᲮᲚᲘᲡ ᲓᲐᲛᲘᲬᲧᲔᲑᲡ,

შე კი ტუე-ტუე ვიარები,
იქ ვეძახი: მიყვარს, მიყვარს;..

ჯაშუშები მომაგონებენ,
ჰოლიციაც დამიწერავს,
მაორახებიო თავს მადგიან,—
მაინც ვამბობ: მიყვარს, მიყვარს.

ბნელ ტიხეში მაგზავნიან,
იქ არაფინ გამაკითხავს,
ოთხ კედელ შუა მომწყვდეული
მაინც ვამბობ: მიყვარს, მიყვარს.

სქმეს „სუდში“ გადასტეშენ,
პროკურორი ამბავს შკითხავს,
„დამეკარგეო სიძაგლეთო,
ვინც შიყვარდა, ისევ მიყვარს“.

არხანგელსკში გამაგზავნეს,
შეკერეფეე იქაც ეინეგეს;
ეშაფოტზეც რომ გამგზავნონ,
მაინც ვიტყვი: მიყვარს, მიყვარს.

ჯინჭარი.

ბურჟუა და პროლეტარი.

ბურჟუა. ვენაცვალე სამი ივნისის კანონის დამწერს! სულ ოქროთი და ბრილიანტებით მოსაკედია მისი მარჯვენა. აი, ჭკუით სავსე გოგრა! აი, ფილოსოფოსი, რომელმაც ერთი კალმის მოსმით მოსპო მთელი რევოლიუცია!.. აი, სახელმწიფო მოღვაწე, რომელმაც ერთი სულის შებერვით გააქრო, გაქვესკნელა რევოლიუციონერები,—ეს მთავრობისა და ჩვენი მოსისხლე მტრები!..

პროლეტარი. ტყუი, ბურჟუა, ოცნებობ!.. და შენს ოცნებას მალე შეეკვეცება ფრთები. რევოლიუცია უძლეველია, რევოლიუციონერების მოსპობა შეუძლებელი საქმეა.

ბურჟუა. სამი ივნისის კანონი?!

პროლეტარი. უძლურია!.. ეს მხოლოთ დროებითი დაბრკოლებაა, სხვა არაფერი.

ბურჟუა. მესამე დუმა??!

პროლეტარი. ეს სამი ივნისის კანონის ნაყოფია; ეს მახინჯი მშობლის მახინჯი შვილია და, როგორც ასეთი, თვით ბუნების კანონით, რომელიც ყოველივე მახინჯსა და სუსტს სპობს, მოისპობა.

ბურჟუა. ვერ ხედავთ, პროლეტარო, რომ

თვითონ თქვენ გსპობს კანონიც, ხალხიც და ბუნებაც?!. ვინ არიან მესამე დუმაში? სად გაქრა შარშანდელი თქვენი ძალა? რით გინდათ შეუშალოთ ხელი ქვეყნის ნამდვილ ჭირისუფლებს, რომელთაც ხალხმა და ისტორიამ სამართლიანათ არგუნა თქვენ მიერ აფორიაქებული ქვეყნის დაწყნარება და ცხოვრების კალაპოტში ჩაგდება?

პროლეტარი. თქვენ,—ბურჟუები ყველაფერს თქვენი არშინითა ზომავთ და თავის ცხვირს იქით ვერაფერს ხედავთ, ან არ გინდათ დაინახოთ. რევოლიუცია განა სადღეისო-სახალიო საქმეა? მისი სამუდამო მოსპობა განა შესაძლებელია? თქვენ კი დღევანდელი მისი შეფერხება, რაც გამოწვეულია მისი სისუსტით, სამუდამო დამარცხებათ მიგაჩნიათ, მარა ტყუვდებით. წარმოიდგინეთ აბობოქრებული მდინარე, რომელსაც წინ ეღობება ხელოვნურათ შეზვინული მიწა. რა თქმა უნდა, მდინარე იმ ადგილას დაგუბდება, ხელათ ვერ გაარღვევს მიწის კედელს, მარა ზევიდან ზვირთები უფრო და უფრო აწვება, წყალი ზევით და ზევით იწევს და ბოლოს არღვევს კიდეც კედელს. ასეევა რევოლიუციაც. როგორც მდინარის უკან დაბრუნება არ შეიძლება, არც რევოლიუციის, რომელიც დღეს თუ ხვალ, ადრე თუ გვიან მაინც თავისას გაიტანს. სამი ივნისის კანონი, მესამე დუმა,—ეს ხელოვნურათ შექმნილი დაბრკოლებაა გამათავისუფლებელი მოძრაობის გზაზე, მარა ასეთ დაბრკოლებას დროებითი მნიშვნელობა აქვს, დროებითი ვნების მოტანა შეუძლია და არა სამუდამო.

ბურჟუა. მესამე დუმა ხუთ წელიწადს იარსებებს, ხუთ წელიწადს იბატონებს და ამ ხნის განმავლობაში მთელ ხალხსაც თავისკენ გადიბირებს.

პროლეტარი. ასეთი წინასწარმეტყველებაც ნაადრევია. მესამე დუმა თავისი უმრავლესობით ხულიგანურია, ის ხულიგნების, რომელთაც თქვენ „ხალხის ჭირისუფლებს“ ეძახით, ბუნაგია. ხულიგნები თავისი ჯიბის ჭირისუფლები არიან და არა ხალხის და ამ ნიადაგზე იმათი დღევანდელი ხულიგანური სოლიდარობა ხვალ შეიძლება მტრობათ და ქიშპობათ გადაიქცეს, მაშინ დუმაში დღევანდელი ძალთა განწყობილება დაირღვევა და ამას, შესაძლებელი იქნება, თვით დუმის დარღვევაც მოყვეს. გარდა ამისა, მესამე დუმა ხალხის ინტერესების დამცველი არაა, ის ხალხის მტერია, მას ხალხი არ ენდობა და ხალხის ნდობას მოკლებული დუმა ვერ შეძლებს დიდხანს ბატონობას. თუ გინდა ისიც წარმოვიდგინოთ, რომ მესამე დუმა მართლა ხანგრძლივი გამოდგა და კანონებიც გამოსცა. მერე რა? მებრძოლ ხალხს ის ნახევარ-კანონებით ვერ დააკმაყოფილებს, ბიუროკრატიული სტოლის ნაფინჩხებით ვერ გააძღებს, ამასთან თავისი ნახევარ-კანონებით, ნახევარ-თავისუფლებით უკმაყოფილო ხალხს მეტი მომზადებისა და მედგარი ბრძოლის დაწყების საშვალებას მიცემს.

ბურჟუა ჯიუტი ხართ, არ გატყდებით, თვარა თქვენი საქმე უკვე წასულია ხელიდან. სტოლიპინს, პურიშკევიჩს, ევლოღის, ტიმოშკინს და სხვებს ეკვი არ აქვთ იმაში, რომ დუმა ხუთ წელიწადს დაუბრკოლებლათ იმუშავებს ქვეყნის საბედნიეროთ და საკეთილდღეოთ.

პროლეტარი. კაი მოგვივათ თქვენ, კაი კაცების იმედი გქონებიათ! განა ამ ძალათ მაცაონეებმა უნდა შეიყვანონ დატანჯული ხალხი სამოთხეში?! ვის უნახავს, ვის გაუგონია, რომ ჯოჯოხეთის ბნელ ძალებს სამოთხეში მიყავდეს ვინმე! არა, იმათი შავ-ბნელი აზრები, იმათი ხულიგანური პლანები ადრე ჩაიფუშება!.. ამასთან საქმე ხუთი და ათი წელიწადი როდია, საქმე საბოლოო გამარჯვებაა, საბოლოო მიზნის, სოციალიზმის განხორციელებაა. ხალხის ცხოვრებაში ხუთი, ათი და მეტი წელიწადი უმნიშვნელო დროა.

ბურჟუა. მერე რაც იქნება, ჩვენ რა დარდი გვაქვს! ჩვენც თქვენსავით ფანტაზიორები ხომ არ ვართ, რომ რაღაც სულელური იდეიით და მიზნით მოვიტყუილოთ თავი!! ეს იდეიკ თქვენთვის დაგვილოცავს და ჩვენი იდეია კი ჯიბე და ფულია...

პროლეტარი. განა არ ვიცი? მარა საბოლოოთ, ჩემო ბურჟუა, ესეც ვერ გიხსნის, ესეც ტყუილია!..

პროლეტარი.

ᲝᲠᲘ ᲜᲘᲙᲝ.

ᲮᲔᲢᲐᲠᲐ ᲜᲘᲙᲝᲛ, ᲑᲣᲠᲯᲣᲐᲡ ᲨᲕᲘᲓᲛᲐ,
ᲝᲗᲮᲘᲚᲐᲓ ᲩᲐᲢᲛᲣᲓᲛᲐ ᲗᲝᲕᲚᲖᲔ ᲘᲪᲣᲠᲐ
ᲓᲐ, ᲠᲝᲪᲐ ᲘᲖᲠᲓᲘᲜᲐ ᲞᲝᲓᲜᲐᲒ ᲡᲘᲪᲘᲪᲕᲔ,
ᲗᲣᲒᲚᲐᲓ ᲡᲐᲮᲚᲨᲘ ᲑᲣᲜᲐᲠᲘᲡ ᲡᲬᲠᲐᲤᲘᲡ ᲛᲘᲜᲐᲨᲣᲠᲐ.

ᲠᲝᲓᲘᲡ ᲤᲔᲠᲬᲚᲔᲑᲘ ᲪᲕᲘᲝᲓᲐ ᲮᲔᲪᲘᲗ,
ᲜᲘᲙᲝ ᲤᲐᲜᲯᲠᲘᲓᲐᲜ ᲘᲣᲠᲔᲑᲝᲓᲐ,
ᲛᲐᲠᲐ ᲘᲛᲐᲜᲖᲔ ᲠᲝᲓᲘ ᲤᲘᲥᲠᲝᲑᲓᲐ,
ᲒᲐᲠᲔᲗ ᲠᲝᲛ ᲑᲣᲜᲒᲠᲘ ᲘᲣᲘᲜᲔᲑᲝᲓᲐ.

„ᲖᲐᲛᲗᲐᲠᲘ ᲧᲕᲔᲚᲐ ᲓᲠᲝᲡ ᲡᲘᲯᲝᲜᲔᲑᲘᲐ“,
ᲛᲐᲛᲐᲡ ᲐᲚᲑᲝᲛᲨᲘ ᲩᲐᲬᲧᲠᲘᲜᲐ,
ᲓᲔᲓᲐᲛ ᲙᲘ ᲒᲣᲚᲨᲘ ᲩᲐᲘᲪᲠᲐ ᲜᲘᲙᲝ,
ᲠᲝᲒᲝᲠ ᲛᲘᲜᲔᲗᲐᲜ,— ᲐᲜ ᲩᲐᲘᲪᲘᲜᲐ.

ᲧᲘᲬᲠᲝ ᲥᲣᲩᲐᲨᲘ, ᲗᲝᲕᲚᲨᲘ ᲓᲐ ᲥᲐᲠᲨᲘ
ᲓᲐᲠᲩᲘᲚᲘ ᲜᲘᲙᲝ ᲣᲩᲔᲢᲔᲑᲝᲓᲐ;
ᲡᲐᲓ ᲛᲘᲓᲘᲝᲓᲐ,— ᲛᲐᲜᲪ ᲐᲠ ᲘᲪᲝᲓᲐ,
ᲛᲘᲜᲐ ᲐᲠᲐ ᲥᲐᲜᲓᲐ, ᲐᲜᲐᲜᲪ ᲛᲘᲝᲓᲐ.

ᲛᲘᲡ ᲡᲐᲮᲔᲖᲔ ᲙᲘᲐ ᲘᲡᲔᲪ ᲒᲐᲛᲘᲗᲐᲠᲗᲔ.
ᲗᲝᲕᲚᲘᲡ ᲤᲔᲠᲬᲚᲔᲑᲘᲐ ᲩᲥᲐᲠᲐ ᲓᲠᲔᲑᲝᲓᲐ
ᲓᲐ ᲪᲘᲕᲘ ᲬᲧᲐᲚᲘ, ᲕᲘᲗ ᲝᲗᲮᲚᲘᲡ ᲓᲕᲐᲠᲘ,
ᲜᲘᲙᲝᲡ ᲙᲘᲡᲔᲠᲨᲘ ᲣᲬᲕᲣᲗᲔᲑᲝᲓᲐ.

„ᲠᲐ ᲪᲣᲓᲘ ᲐᲠᲐ, ᲓᲛᲔᲠᲗᲝ, ᲖᲐᲛᲗᲐᲠᲘ“.—
ᲮᲛᲐ ᲩᲐᲮᲚᲔᲑᲘᲚᲘ ᲫᲚᲘᲕᲘᲡ ᲑᲣᲢᲑᲣᲢᲔᲑᲓᲐ,
ᲝᲜᲘᲡᲪ ᲢᲘᲠᲝᲓᲐ, ᲑᲔᲓᲡ ᲨᲔᲡᲩᲝᲓᲐ,
ᲓᲐ ᲐᲒᲠᲔ ᲢᲐᲜᲯᲕᲘᲗ ᲒᲖᲘᲡ ᲒᲐᲜᲐᲒᲠᲫᲝᲑᲓᲐ.

ᲓᲔᲓᲘᲡ ᲐᲚᲔᲠᲘᲐ, ᲛᲐᲛᲘᲡ ᲜᲣᲒᲔᲨᲘ,
ᲛᲐᲡ ᲐᲠ ᲐᲡᲡᲝᲕᲓᲐ ᲓᲐ ᲐᲠ ᲘᲪᲝᲓᲐ;
ᲒᲐᲨᲗᲣᲗᲐᲠ—ᲒᲐᲛᲫᲚᲐᲠᲜᲘ, ᲠᲐᲗ ᲘᲣᲘᲥᲠᲔᲑᲓᲔᲜ,—
ᲗᲣ ᲘᲡ ᲛᲨᲘᲔᲠᲘ ᲡᲐᲓ ᲩᲐᲙᲕᲓᲔᲑᲝᲓᲐ!...

ᲙᲕᲘᲠᲘᲓᲐᲜ-ᲙᲕᲘᲠᲐᲛᲓᲔ.

მესამე „დუმა“. „ნიშადურის“ პოზიკიები.
ან ჯარიმა ან ციხე.

გაიხსნა მესამე დუმა, მარა ვაი ამისთანა გახსნას!.. ნეტაი სულ შეკრულ-შეკოპვილი ყოფილიყო, თუ ამაზე უკეთესი არ იქნებოდა!.. ამდენი ხულიგნები თუ სადმე მოიყრიდა თავს,— ამას ვერ წარმოვიდგენდი, მარა სამი ივნისის კანონმა წარმოუდგენელიც კი ხორცშესხმულათ გამოგვიჩინა წინ!! ასე მოხთა ხულიგნების ერთათ მოგროვება თავრიდის სასახლეში, მათი მობილიზაცია, მარა ნეტაი ის მაცოდინა, თუ ვინ იკისრებს იმათ იქიდან გამოყვანას ანუ ევაკუაციას. პირველი ორი დუმის მობილიზაცია ხალხმა იკისრა, ხოლო ევაკუაცია კი მთავრობამ და იგი იყო კიდეც გააქცია ორიკე და, თუ არ გამიწყრებიან ამ თქმისთვის, ამით ქვეყანაც ქე დააქცია. მესამე დუმის მობილიზაცია მთავრობამ მოახთინა და თავისდა სასახელოთ ჩინებულათაც ჩაატარა, მარა მის ევაკუაციას ანუ, მდაბიოთ რომ ვთქვათ, გარეკა-გაქცევას ის ახლა არ ისურვებს. და რომ ისურვოს, მე კიდეც მეწყინება, პურიშკევიჩი ნუ მოჩიკვდება!.. ეს ხუმრობათ კი არ მიიღოთ, მე გულწრფელათ ვფიცავ პურიშკევიჩს და სხვა ყველა ხულიგნებს. შარშან ისინი ძალიან დაჩაგრული იყვენ პირველ ორ დუმაში: საცხა კუთხეში იყო მიკრუნჩხული ორი-სამი ხულიგანი და ისინიც თითქმის სულ კარში ყავდათ გაგდებული „კრამოლნიკ“ დეპუტატებს!.. მიერიენ, შენ ხარ ჩემი ბატონი, ამ ორ-სამ კაცს, დაიჯაბნიეს; წააჯდენ კისერზე და გამოაცხადეს თავისი შეუზღუდველი დიკტატურა!.. ახლა კი სამაგიეროთ ხულიგნებით აივსო მთელი დუმა: ცენტრიც, მარჯვენა და მარცხენა მხარეებიც სულ მათია და მათი!! ხულიგანი აბა რის ხულიგანია, თუ სამაგიერო არ გადაგიხადა და „თვალი თვალის წილ და კბილი კბილის წილ“ არ მოგაგო?! ამ დევიზით აღფრთოვანებული ხულიგნები გადმოუბრუნდენ იმ ორ-სამ „კრამოლნიკებს“, რომლებიც ახლა დუმის კუთხეში არიან მიმალული, მოაჯდენ ზურგზე და, ერიჰაა, გამართეს აფხაზური მარულა!.. ამბობენ კარგი სანახავია ყოველივე ესო და მეც მინდა ამ მოკლე დროში გავემგზავრო პეტერბურგს იმათ პირისპირ სანახავათ. ჩემს ასეულმდის იკოცხლონ და მერე ჟამსა და ხოლერასაც გაუჟლეტია, მე ის არ ვინაღვლო. ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, რავა, სამოთხე-ჯოჯოხეთის სანახავათ საიქიოს მიდიან დაინტერესებული პირები და მე პეტერბურგს რომ ვერ წავიდე ჯოჯოხეთის სანახავათ, ეს სირცხვილიც იქნება. ჯოჯოხეთია აბა რაღაა,

თუ ღმერთი გწამს, აი მესამე დუმა? ხულიგნები ხომ ბნელი და მავნე ძალებია და ასეთი ძალების კრებულს და მათ სადგურს ჯოჯოხეთი რომ არ ვუწოდოთ, სხვა აბა რა სახელი უნდა გამოუნახოთ?! დიახ, ჯოჯოხეთია და მით უფრო მისი ამ ქვეყანას ხილვა, რადგან იმ ქვეყანას, საიქიოს, მე, როგორც უმწიკვლო და უცოდველი, ჯოჯოხეთის ნახვას ვერ ვეღირსები და უამისოთ კი სამოთხის ნეტარებასაც ვერ დავიფასებ ღირსეულათ.

—

სამოთხეს კი არა „ნიშადურსაც“ ვერ დააფასებს უბრალო კაცი ღირსეულათ!.. ხუმრობა საქმე ხომ არაა ისეთი ჟურნალის დაფასება, რომელიც იაფათ ღებულობს და პირიანათ ასრულებს ყოველ-გვარ საქმეებს, მაგალითათ: ნაციონალურ-ეროვნულს, ავტონომიურ - ფედერალურს, პროგრესიულ - რეგრესიულს, კომერციულ-იდეიურს, დრამატიულ-კომიკურსა და სხვასა და სხვასა ამდენი მეცნიერება რომ იცოდეს კაცმა და ყველას გაკრიტიკება შეეძლოს, ის უთუოთ გენიოსი თუ არა, მისი ნახევარი მაინც უნდა იყოს და მე კი ნახევარი არა, მეათედიც არ ვარ. ავიღოთ, თუ გინდა, „ნიშადურის“ უკანასკნელი ნომერი (№ 13), დავათვალიეროთ მისი ციხეკოშკები, მისი პოზიციები. ერთ ადგილას გოჭებიანი მაშკა-ღორი უდგას, მეორეზე ცოცხიანი მენაგვე!!. ეს ასეც უნდა იყოს, რადგან რედაქციაში უთუოთ ბევრი წუმპე-ტალახია დამდგარი და მაშკა-ღორიც ხომ ასეთ ადგილებს ეტანება. მენაგვე კი, როგორც ვიცი, ერთიც არ ეყოფა, რადგან ნაგავი აბა რა გასაკვირალია, რომ ბევრი იყოს დაგროვებული ხსენებულ რედაქციაში. რადგან აღნიშნული პოზიციები სტრატეგიული მოსაზრებით ჩვენთვის საჭირო არ არის, ამიტომ ხელ-უხლებლათ ვუტოვებთ პატრონს. გადავდივართ მესამე პოზიციაზე, რომელიც კუჭსა და ესდეკებს უჭერიათ. ეს პოზიცია, მე ვფიქრობ, სისხლის დაულვრელათაც აიღება, რადგან სუსტათ არის გამაგრებული. რედაქციას, ეტყობა, ნაადრევი სიხარულით— რა მოვიგონე ესაო—გონება არევია და საჯაყი საქმე მოსვლია!.. აღლია და მოუფიქრებლათ პროლეტარის კუჭის მაგიერ თავისი

ციხის ადმინისტრაცია.



უფროსი. ტუსაღების ზურგზე ჯდომის,
გაგვიფრინდა ეს კი მოდა!..
ვის შევაჯდეთ ახლა ზურგზე,
საუკვარელო ჩემო „ოდა“?

თანაშემწე. კლიუბნიკებს დავუძახოთ,
როგორც მორჩილ მონებსაო
და მოვაჯდეთ იმათ ზურგზე,
ვინ არ მოგვიწონებსაო!..

—

ავტონომიურ - ავტოკეფალურ - ფედერალური კუჭი დაუდვია სამსხვერპლოზე, ხოლო საცეცხლური კი ჟორდანიასათვის მიუცია ხელში და მას აკმევიებს. კუჭი რომ პროლეტარული არაა,—ეს ცხადია, რადგან ის ტიკივით გაბერილ-გატკიპინებულია და არა გამხმარ-დაჩუტული. მერე და ამ თქვენს კუჭს, თუ იცით, ჟორდანია უკმევს?! ეს თქვენც უნდა გცოდნოდათ, „ნიშადურის“ მკმეველნო, მარა, ხო, ცოდნა რა საჭიროა, როცა უიმისოთაც ირლათ მიდიხართ!.. „არ ცოდნა არ ცოდვაა“ო,— ამბობს ანდაზა, მარა ის როგორ არაა ცოდვა, როცა თავისი თავის და კუჭის ამბავიც აღარ იცით!! სხვისგან აღარ გაგიგონიათ მაინც, რომ ფედერალისტები ინდივიდუალისტები არიან და როგორც ასეთებს იმათ ინდივიდუალური კუჭი და ფაშვი სწამთო, ხოლო ესდეკები-კი ინტერ-ნაციონალისტებია და, როგორც ასეთებს, კუჭიც ინტერ-ნაციონალური მიაჩნიათო?!! ასეა და, თუ არ იცით, ეს რა ჩვენი ბრალია!

—

არც ისაა ჩვენი ბრალი, ჩვენს რედაქტორს 500 მანეთი ჯარიმა ან ორი თვის ციხე რომ გაუჩინეს, მარა რა გაეწყობა!.. ძველი რეჟიმის დროს, ცხადია, ეს არ დაგვემართებოდა, მარა ახლა ხომ არც ძველია და არც ახალი, ისე რაცხა არეულ-დარეული კანონე-

ბია და ხომ, მოგეხსენებათ, ერთხელ თუ აირია რამე, მერე მისი პატრონის გადარევაც აღარაა შორს. ჩვენს რედაკტორს კი არა, საუკეთესო იურისტებსაც აღარა გაეგებათ რა ახლანდელი ზაკონ-კანონების!.. ან კი რა უნდა გაიგოს კაცმა, როცა ახლანდელი ზაკონი კედლებზე და აფიშების სვეტებზეა გაკრული!.. რავ, მოცლილი ხომ არ ვარ ქუჩა-ქუჩა ვიარო ყოველ დღე და სვეტები და კედლები ვათვალიერო აქეთ-იქით—ახალი ზაკონი ხომ არ გამოუკრავენ-მეთქი!!. მერე ეს რათ წაგადგება? თვალ უწვდენელ რუსეთში ყველა ქალაქების ქუჩებს ხომ ვერ დაივლი? და თუ ვერა, მაშინ რუსეთის ზაკონიც აღარ გეცოდინება. რადგან ყოველ ქალაქში საკუთარი კანონმდებელია და თვითოეული მათგანი სულ სხვა-დასხვა ზაკონებს აცხობს!!. მართალია ასეთ ზაკონებს „დროებითი“ ქვია, მარა როგორც დროა განუსაზღვრელი, ისე ეს „დროებითი კანონები“ და ამის გამო დროებით ციხეში უნდა მიბძანდე, დროებით ჯარიმა უნდა გადაიხადო, დროებით უნდა გცემონ, დროებით ოჯახი უნდა გადაგიწვან, დროებით საქიოს უნდა გაეგზავნო მთავრობას და სხვა. რა თქმა უნდა, ეს სესხი და ვალია და მთავრობაც ამას ყველას გადაიხთის, როცა „დროებითი კანონები“ გაუქმდება, მარა, ვაი, რომ საქიოდან „ოტპუსკი“ არ მოგვცენ და ამ ვალების გასანაღდებლათ აღარ გამოგვიშვან!!. იქიდან თუ არ გამოგვიშვებენ, აქედან ხომ მაინც გზა ხსნილია ციხისკენ და ჩვენი რედაკტორიც გემშვიდობებათ ორი თვით...

ᲒᲐᲛᲝᲪᲐᲜᲐ

(ᲑᲣᲠᲣᲚᲔᲑᲘᲡᲗᲕᲘᲡ)

წერილი მაქვს დაწერილი
გასაგზავნათ ჯოჯოხეთში,
თუ ღმერთი გწამთ, იქნებ ნახოთ
მიმავალი ამ ორ დღეში.

მიკიტნების ჩივილი.

ᲙᲝᲒᲘᲔᲠᲝᲛᲐ ᲛᲘᲙᲘᲢᲜᲘᲛᲐ
ᲒᲔᲒᲕᲘᲢᲔᲡᲐ ᲘᲕᲚᲘᲡ ᲬᲘᲠᲘ...
ᲘᲡᲮᲐᲘᲗᲘᲡ ᲓᲝᲙᲣᲢᲘ
ᲐᲓᲐᲠ ᲚᲘᲗᲡ ᲐᲠᲪᲐ ᲩᲘᲠᲘ!..

ᲑᲘᲯ-ᲑᲣᲯᲔᲑᲘᲡ ᲯᲘᲣᲢᲝᲑᲐᲛ
ᲓᲔᲒᲕᲘᲢᲔᲡ ᲒᲐᲡᲐᲯᲬᲘᲠᲘ,
ᲓᲔᲒᲕᲓᲣᲑᲣᲡ ᲓᲐ ᲓᲐᲒᲕᲜᲔᲚᲔᲡ,
ᲓᲔᲒᲕᲣᲠᲔᲑᲔᲡ, ᲠᲝᲒᲝᲠᲪ ᲯᲘᲠᲘᲡ!..

პროვინცია.

ს. საჭილავო. „ეკალი“ რომ ძალიან იჩხვლიტებოდა,—კი ვიცოდი, მარა თუ ასე გაამწარებდა ზოგიერთებს,—არ მეგონა. ალბათ იქ ეჩხვლიტება კაცს, სადაც მეტ ტკივილს აგრძნობიებს. თუ ეს ასე არ იყოს, როგორ მოხდა, რომ ამას წინეთ „ეკალში„ (№4) ნახსენები „პრიგოვორი“, ყუთიდგან ამომძვრალა და პლატფორმისკენ გაქცეულა, მარა გზაზე დაბრუნებულა, თუ „ოღლურის“ სათამაშოთ,—არ ვიცი—ერთ სამიკიტნოში კი ამოუყვია თავი!.. ვნახოთ ვინ გამოჩნდება ისეთი გულ-კეთილი, რომ ამ საცოდავს თავის გზაზედ დაყენებს და ვირ-თაგვებს საქმელათ არ გახდის.

ტვინის ოსტატი, მამა პედაგოგი და მისთანებიც ძალიან ფუცხუნებენ თურმე, ცდილობენ ამოიძრონ ნატკენ ადგილიდან ეკალის წვერი და თან სასტიკათ დამეძებენ: ზოგი ხის წვერებზე მათვალიერებს, ზოგი სოროებში იქვრიტება—იქნება მოვნახოთ სადმე ის შეჩვენებული „ჭოტიო“, სხვების რა მოგახსენო და ერთმა ორ ფეხა რქიანმა თუ მომნახა,—ნამდვილათ წამომიგებს რქის წვერზე! სულ „ხიი, მოში“ რომ უძახო, მაინც ვერ დააწყნარებ! მომნახავს კიდეც,—მე გეტყვი მეძებრები არ არიან ჩვენში, თუ?!. მთავრობიდან არც ჩვენ ვართ უყურადღებოთ დატოვებული და რვა ინგუში სტრაჟნიკი გვყავს „მცველათ“ მოცემული, რომელთა უფროსათ დანიშნულია ყეენია (სპარსეთის ყეენი კი არა, გვარათ ყეენია გახლავთ, გურიაში ნამამასახლისარი)!.. დიახ, ცუდათ იყო ჩემი საქმე, შევატყე და კიდეც მოვქუსლე აქიდან: „ძმო“ „ძმოს“ ძახილით გავყევი ს. ციდორისკენ, გზათ ბანკის მამულში გავიარე. გახურებული რთველია. სასიამოვნო სანახავია ყელამდის წყალში მცურავი გლეხები თავიანთი ქალ—ბალღებით! ამ ნოემბრის სიცივეში სულ კრიმანჭულს გაჰკივიან და ისე მკიან სიმინდს! ან კი რატომ არ იმღერებენ, ვერ ჩაყრიან უხვათ ხასიმინდეში თუ? დიახ, სასიამოვნო სანახავია, მარა მე მაინც რაღაც უსიამოვნება ვიგრძენი და თან ამ დროს თოფის ხმა გავიგონე. ვიცოდი, გლეხების „ნაშრომის დასაცველათ“, სტრაჟნიკები იყვენ გამოწვეული და ვიფიქრე უთუოთ ერთ მსუქან ღორს გააგორებდენ იქ და იქნება ცოტა სამწვადე მეც მერგოს მეთქი. მივედი, მარა ღორის ნაცვლათ უშველებელი მაკე ძროხა ვნახე გაგორებული. „ჩვენში თუ ღორების ტეროროისტები გვყავს, აქ ხომ ძროხების ტეროროისტები ყოლიათ“—მეთქი,—ვიფიქრე. ერთი „ძმო“ აქაც დავიძახე და გავყევი აბაშისკენ, მივდივარ, მარა, ვაი, ამისთანა წასვლას: თუ სადმე შემხვთა ნიკოლაიშვილი სტრაჟნიკი, ჯერ გამძარცვავს და მერე კიდეც მომკლავს, როგორც ეს უყო საბრალო, ყოველად უდანაშაულო მელიას...

ჭოტი.

* * *

სოფელმა დღეს მე ადრე მიმიდო,
ჯალოს შეძახის დიდი, ბატარა...
ნეტავი დედს არ გვიჩენოდი
და ქვეყანაზე არც კი მყარა,
ან ნეტავ, მშობელს ეს ჩემი თავი
თითონ მოეკლა და დაეშარა...
ყველს ვირჩევდი, სუყველს, ოღონდ
ეს შავ-ბნელი დღე კი არ მენახა...
ახლა ადვიძებს ჩემში სინდისი,
გრძნობა, გონება მოლათ მიახლდება;
ვატყობ დირსი ვარ ხალხის რისხვისა,
ჩემი ცოდვები არ მაგიწყდება.
მახსოვს, ოხ, მახსოვს, შეტ-სხვებსან ერთათ
როცა სოფელსა ვარბევდი, ვწვავდი,
ეგზეკუციათ ჩაყენებული,
ძმებისთვის ტყვიას არა ვზოგავდი...
უმწეო ხალხის მუდარას, სვენას
ყურს არ ვუგდებდი შეუგნებელი;
მზათ ვიყავ ყველა ამეგო ხიშტზე...
ღმერთათ მიმაჩნდა მე ბრძანებელი!.
ასე ვცხოვრობდი, ვიდრე ოთხ წელსა
შევასრულებდი, გავატარებდი;
მონა-მორჩილსა უფროსებისას—
თავიც მომქონდა და ვამაყობდი.
შესრულდა ვადაც სამსახურისა,
მე სასრულითა ცხა ვეწყვოდი;
მინდოდა შალე სოფელში მისვლა,
რომ ღარიბ ოჯახს მივშველებოდი.
დღეს კი სოფელმა ადრე მიმიდო,
ჯალოს შეძახის დიდი, ბატარა...

ნეტავი დედას არ გავჩენოდი
და ქვეყანაზე არც კი მეარა...
ან ნეტავ, მშობელს ეს ჩემი თავი
ოითონ მოეკლა და დაემარხა...
ეველას ვირჩევდი, სუფეველს, ოდონდ
ეს შავ-ბნელი დღე კი არ მენახა...

ქნარი.

სხვა და სხვა ადგილებში.

„მელიას რაც აგონდებოდა, ის ეზმანებოდა“ო,—ამბობს ხალხური ანდაზა. მელიას ხომ გურიაში მყოფ სტრაჟნიკებსავით ქათამ-ბატ-ინდოურების მეტი არაფერი აგონდება, მე კი სხვა ბევრ რამეზეც ვოცნებობ. ოცნება ხომ ტელეგრაფზე უსწრაფესია და მეც ამ ოცნების წყალობით თვალის დახამხამებაში პეტერბურგში გავჩნდი. შეეედი თავრიდის სასახლეში. მინდოდა ჩემი თვალით მენახა მესამე დუმის შედგენილობა, მისი საქმიანობა. სწორეთ იმ დროს დამირჩა მისვლა, როცა ხალხის წარმომადგენლები საერო ჰიმნს და „მრავალჟამიერს“ გალობდენ. გალობა რომ გაათავეს, „ურას“ს ძახილი დაიწყეს. ჩემ განცვიფრებას საზღვარი არ ქონდა. ვფიქრობდი: ნუ თუ მრავალ-ტანჯული რუსეთის ხალხის გულის-თქმა „მრავალ-ჟამიერ“ და „ურა“ს ძახილში გამოიხატება მეთქი. მარა მომაგონდა სამი ივნისი, სხვა და სხვა განმარტებები, „არჩევნების თავისუფლება“, ზოგიერთი პარტიების ტაქტიკა და მეც გული დავიმშვიდე. ვიფიქრე „მრავალ-ჟამიერ“ და „ურას“ ყველა ყაზარმებში გავიგონებ, ამისთვის აქ რათ მოვდიოდი მეთქი. დავტოვე თავრიდის სასახლე და ნევის-პროსპეკტისკენ გავექანე. მდინარე ნევის ნაპირათ გამწკრივებული იყო ოციოდე სწორეთ ისეთი სკამები, როგორიც დუმის ზალაში ვნახე, სკამებიდან ლაპარაკიც მომესმა. წარმოიდგინეთ ჩემი განცვიფრება, როცა ამ ყინვიან ქარში, მდინარეს პირათ მოსაუბრენი დეპუტატები აღმოჩნდენ, მათ შორის—ოციოდე ნაცნობიც. ვიკითხე მიზეზი, მათი სხვა დეპუტატებიდან ასეთი დაშორების,—რაზედაც ერთმა შემდეგი მიპასუხა: წინათ, რომ მემარცხენეთ წოდებულნი ისხდენ, ახლა ის ადგილი პურიშკევიჩ-ბობრინსკებს ხვდაო, ჩვენ-კი ამილდა მიხედვით მარცხნივ, აქ შეგხვდა სხდომების გამართვაო. მეორემ ეს დაშორება სულ სხვა გვარათ ამიხსნა: ახლა თავრიდის სასახლეში,—თქვა მან, გალობის სეზონია გამართული, როცა გალობენ არაყის სუნიც დგას, (ეს მეც შევამჩნიე,) ჩვენ კი არც გალობა ვიცით, არაყის სუნიც ძლიერ ვვეჯაკრება. როცა ეს სეზონი გათავდება, ჩვენ კვლავ იქ დავბრუნდებით და ძველებურათ თავზარს დავცემთ მემარჯვენეებს და ბიუროკრატებსო.

ოცნების წყალობით მალე სოხუმში გავჩნდი. პირველათ რომ ქალაქში შეეედი მე კიდევ ნევის პროსპეკტზე მეგონა ჩემი თავი. შვენიერი ნავთ-სადგური, ქუჩა ასფალტით მოგებული, კარგათ განათებული, კარგი სასტუმრო და ყველაფერი. მარა, გავსცალდი თუ არა პირველ ქუჩას, წუმპეში ამოვისვარე. გარეგანი სიდიამაზე და შიგნით სიჩათლახე ქალაქების, ჩვენ დროში ხომ საზოგადო სენია, რაშიაც პირველობა ამ მხრივ სოხუმს ეკუთვნის,—ამიტომ აღარც გამკვირებია. ჩემი ყურადღება პოლიციელმა აქვსენტი კინწურაშვილმა მიიპყრო, მას გვერდში ედგა ორიოდე ყოფილი ჯიბგირები, რომლებიც თავისუფლების ხანაში ხალხს ემუდარებოდენ: გვაპატიეთ, შემდეგ აღარ ჩავიდენთო. ახლა კი ძველ ხელობასთან ერთათ პოლიციის „სამსახურიც“ დაიწყეს აქვსენტის ხელმძღვანელობით.

სოხუმიდან ნაცნობ გურიას ვესტუმრე. იქ მასიური კრება გაემართათ, სადაც მთელი გურიის მცხოვრებთ ქალიან კაციანა თავი მოეყარათ და უფროსის მიერ გამოცემულ ახალ განკარგულებაზე მსჯელობდენ. ჩემი ყურადღება ერთმა ახალგაზდა ორატორმა მიიპყრო. ამხანაგებო,—დაიწყო მან,—როგორც იცით, ახალი განკარგულება გვავალებს ტირილ-ქორწილზე პოლიციელების მოწვევას, რის გამო ქორწინება ერთი ორათ ძვირათ დაჯდება. ეს კიდევ არაფერი, მათი დასწრებით ათასნაირი დამცირება და შეურაცყოფა რომ არ მოგველოდეს. ყველა ამის თავიდან ასაცილებლად, ჩემი აზრით, უმჯობესი იქნება მივმართოთ ხიდისთაურ ქორწინებას, რუსები, რომ „გრაჟდანსკი ბრაკს“ ეძახიან. ამით თავიდან ავიცილებთ: პოლიციელებისგან დამცი-

რებას, ხუცებისგან გაყვლეფას და უზომო ხარჯსაც. ჩემი წინადადებაა: ვისაც ვინ მოეწონება, ხელი მკლავში და პირდაპირ სახლში. ახალგაზდას პასუხი გასცა ერთმა მოხუცმა: ხიდისთაურ ქორწინებას პრინციპიალურათ არც მე ვყოფ ვარს—ამით რომ საქმეს ვუშველიდეთ. მარა ეს პრაკტიკულათ განუხორციელებელია, ერთი იმიტომ, რომ ჩვენში უმზითვოთ ქალი არავის მიყავს, მზითვები კი არ შეგვიძლია მივცეთ, თუ ქორწილი არ გავმართეთ და საზოგადოება არ მოვიწვიეთ. ამასაც რომ თავი დავანებოთ, ჩვენებურ ჯაშუშებს არაფერი არ გამოეპარებათ და როცა ისინი გაიგებენ, რომ ხიდისთაურ წესით ქალი მოგიყვანია, მეფე დედოფალს ციხეში ატკუცვიებენ თავს. ყველა ამ მოსაზრებით, წინადადებას ვიძლევი ეთხოვოს მთავრობას: თუ პოლიციელების დასწრება აუცილებელია, იმ შემთხვევაში გამოგზავნოს დაუღლული პოლიციელები. სხვათა შორის ილაპარაკა შანტაჟისტ-ექსპროპრიატორ-ანარხისტ - რევოლიუციონერმა. ის ამბობდა: ყველა ჩვენს მოქმედებაში ვერ გავირევთ პოლიციელებსო. ხალხმა მას სიტყვა არ დაასრულებია. დიდი ხმის უმრავლესობით გავიდა მოხუცის წინადადება.

ნავი.

„ᲔᲨᲛᲐᲙᲘᲡ ᲛᲐᲗᲠᲐᲮᲘ“ *)

მიბაძვის მიბაძვა
(საკუთარ ხელში).

ჯოჯოხეთის მაშსადაგ,
რასე მოგიწყენია?
დანძდვა-ვინებაში ხომ
ბირველობა შენია!!

ეგეთ ვინშემ გაბედა,
ცუდათ მოგიხსენია?
შერე ამას რას დარდობ,
„ეშმაკი“ ხომ შენია!!

„ეშმაკის“ „იუმორი“
შენი დამაშვენია,
სუ ეგვლა რომ გადანძდა,—
ვინ გადარჩენია!!

მაშ რას დარდობ, მაშსადაგ,
ტაბილათ გინდოდ დღენია!!
ეს „ეშმაკი“ მასხარა
შენოვის ხომ ბრძენია!!

ეგვლაფ იცის, მაშსადაგ,
რომ არაფრის გრცხვენია,
შენ სხვის არიფერს დასდეგ:
ფულები თუ შენია!!

ჯოჯოხეთის მაშსადაგ,
უშნოთ კბილებ-სრჭენია,
ფულები რომ მოგაკლდა,
მით მოგედგა გენია?!

შენი სულელობითა
ცხვირში ძმარიც გდენია?
ეს „ეშმაკის“ ბრალია,
როგორც ამბობს „ბენია“.

ოლრასინი.

*) ამ ლექს რედაქცია არ ბეჭდავდა, მარა კერძო პირთა სურვილს დადვა პატივი. რედ.

ᲠᲣᲡᲔᲗᲘ

(ჟურნალ-გაზეთებიდან.)

პეტერბურგელ „პაგრომჩიკებს“ შავი დღე დადგომიათ: თურმე ეს რამოდენიმე ხანია არაყი საყოფათ ველარ გადაუყლუნწავთ, როგორც დაჩვეული იყვენ პოგრომების დროს. ამიტომ იმათ დასათრობათ „რუსთა კავშირს“ რვაასი მანათი გადაუდვია.

პეტერბურგელ „პაგრომჩიკებს“, თუ რამდენიმე თვეა არაყი გემო არ უნახავთ, სამაგიეროთ ორლოვის გუბერნიის „პოგრომშჩიკებს“ 9 თვეში მთელი „მონოპოლია“ გადუშუშხავთ. სატახტო გაზეთები გადმოგვცემენ, რომ ორლოვის გუბერნიის გლეხებმა 9 თვეში —8 მილიონი—821 ათას—108 მანეთის „ოტკა“ გადაშუშხესო; თვეობით რომ ვიანგარიშოთ, ერთ თვეში 913 ათას 456 მან. და 44 კაპ. გამოდის. მოდი და ამას იქით თქვი, რომ რუსეთის ხალხი მშიერ-მწყურვალე არისო.

პურიშკევიჩი თურმე ისე დაუჭკუიანებია დუბროვინის ცემას, რომ ახლა გულზე ხელ დადებული საჯაროთ აცხადებს გაზეთ „რეჩ-ში“: „ღმერთი, რჯული, მე ხულიგანი ვარ, კონსტიტუციისა არაფერი მწამს და არ ვეკუთვნიმ 6 მილიონ რუსეთის ებრაელებს, რომელთაც თვითმპყრობელობის გაუქმება სურთო“.

—

ეს მესამე დუმა რომ ხულიგანურია, ამას თვითონ ხულიგნებიც აღარ ფარავენ და სიხარულით ცასა წვდებიან. მოსკოვის ერობათა სიეზდის თავმჯდომარეს ისე გახარებია პურიშკევიჩ-დორეს-მაკაროვ-ევლოლის ამორჩევა, რომ ორი კადეტისთვის ირონიულათ უკიცხავს: „რა ქენით, მირაბოებო? ხომ დამარცხდით?!.. ახლა ჩვენი ხულიგნები 300 კაცზე მეტია დუმაში და მთელ რუსეთის იმპერიას— მთელი ხუთი წლის განმავლობაში გინდ აღმაგადავატრიალებთ, გინდ დალმაო“.

—

ჯოჯოხეთს ერთი მუგუზალი აკლდა და ისიც შიგ შესჩხირესო, რომ იტყვიან, სწორეთ ისეა დღეს რუსეთში საქმე. როგორც ჩანს, აწ არსებულ რუსთა კავშირებს ვერ მოუწესრიგებიათ საქმეები და ახალი პარტია მოუჩმახავთ, — სახელდობრ: „ველიკორუსსკი ნაციონალური პარტია“, რომელიც მიზნათ ისახავს— უფიწო გლეხების სიმშილით ამოჟლეტას, ხაზინის გამდიდრებას გლეხების მიწის წართმევით, 24 საათის სამუშაო დროს, ურიების პირუტყვებათ გადაქცევას, პოლონელების გარუსებას და ქართველების მოსპობას. ეს დიადი საშვილიშვილო საქმის გაძღოლა უკისრნიათ— საზონოვს, მელნიკოვს, სუვორინს - მაგას და სახელმწიფო საბჭოს წევრებს — რუსლოვსკის და სერგეევსკის.

—

ერთი ოკტომბრისტისათვის უკითხავთ პეტერბურგში: „რატომ მაკლაკოვი არ ამოარჩიეთ დუმის თავმჯდომარის ამხანაგათო“! ოკტომბრისტს თავი მოუქეცია და უპასუხნია: „ეს საქმე კადეტებმა დაგვმართეს, მათ თვითონვე გააშავეს თავიანთი კანდიდატი, რომ ჩვენს უბედურობას, ჩვენი თვალით გვაცქერიონ და მთელს ქვეყანას ამცნონ ჩვენი უმეცრება და უვიცობაო.“

—

ეს კიდევ არაფერი, რაც ბათომელ დეპუტატ თ-დ შერვაშიძეს გაუცხადებია. როცა მისთვის უკითხავთ; „რა პარტიას ეკუთვნიო?“ შერვაშიძეს წვერზე ხელი ჩამოუსვია და თამამათ უპასუხნია: „რუსეთში არც ერთი პარტია ჭკუაში არ მომდის და არ ვიცი ვის მივეკედლო ხალხსა თუ მთავრობასო“.

—

კრუშევანს შემოუთვლია პურიშკევიჩისათვის: „გამხნევდი, ამხანაგო, მეც ამ დღეებში დუმაში გვერდს დაგიშვენებ. ისევ მკვდრების სული აცხონა ღმერთმა, თორემ ცოცხლები მეწყერსაც წაუღიაო. ამ დღეებში ჩვენი ბესარაბიის დეპუტატმა შმიტოვმა შენი ჰირი წაიღო და იმის მაგიერ მე მოვალ დუმაშიო.

—

რუსეთში რომ ყველაფერი უკუღმა ტრიალობს ეს ყველამ იცის, მარა ამისი ერთი მაგალითი მოვიყვანოთ. ეკატერინის რკინის გზის არტელშჩიკებს სმირნოვსა და ლეგაჩოვს 39-ათასი მანეთი შეუჭამიათ გამგეობისა და გზის ადმინისტრაცია კი ქალებსა დევნი: ამ დღეებში გამოუცხადებიათ, რომ ეკატერინის რკინის გზაზე არც ერთი ქალი არ მიიღოთ სამსახურშიო.

ქ-ნი მარია კობახიძის ასულის წერილის გამო.

„ბ-ნო რედაქტორო!

ნება მიბოძეთ თქვენი პატივცემული გაზეთის საშუალებით ულრმესი გულისწყრომა გამოუცხადო ქუთაისის ერთ კორესპოდენტთაგანს, რომელმაც ამას წინეთ ყოველკვირეულ ჟურნალ „ეკლის“ ახალ ამბავში ჭორიკანობითა და საზიზღარი ცილის-წამებით სავსე წერილი მოათავსა ჩემს შესახებ. მე მწამს სამართლიანი, იდეიური, საპატიო მიზეზთაგან გამოწვეული იუმორი, მაგრამ რაც შეეხება ბ-ნ კორესპოდენტის „იუმორს“ (თუ შეიძლება ასე ვუწოდოთ მის უკბილო დაცინვას), არ შემიძლია არ მოვაგონო მის ავტორს ერთი მახვილ-გონიერი თქმულება: „хотѣлъ сострить, но“... დიახ, ბ-ნო კორესპოდენტო, როგორც ვატყობ **არც თქვენ მიერ გახსნილი ლაბორატორია** (ხაზი რედაქციისაა) ყოფილა ღირს შესანიშნავი, რადგანაც მხოლოდ უთავბოლო ჯღაბნა და ტაკიმასხარაობა შესძლებიათ იქაურ პროფესორებს.

დასასრულ გთხოვთ პირბადე აიხადოთ და გვაცნობოთ თქვენი ნამდვილი ვინაობა.

[illegible]

აი ეს წერილი მიიღო ჩვენმა რედაქციამ ქ-ნი მარია **ბობახიძისაგან**, იმ შენიშვნის საპასუხოთ, რაც ჩვენ „ეკალის“ მეოთხე ნომერში გვქონდა მოთავსებული ბებია ქალის ქ-ნი **მარია კობახიძის** ასულის შესახებ. ჩვენ გვეგონა, რომ ეს ყალბი წერილი იყო, რადგან **მარია ბობახიძე** აწერდა ხელს და არა **მარია კობახიძე**, და ამისთვის უკანასკნელის საყურადღებოთ „ეკალის“ მე 6 ნომერში გამოვაცხადეთ იმ მოსაზრებით, რომ ქ-ნი კობახიძის ასული, თუ მართლა მას არ ეკუთვნის წერილი, გაგვაგებიებსო.

დღემდის მისგან არაფერი ცნობა მოგვსვლია*) და ამიტომ ვბეჭდავთ უცვლელათ აღნიშნულ წერილს ხელის მომწერელის მარია ბობახიძის ფაქსიმილეთი და ზედ ურთავთ ჩვენს შეკითხვებსაც, რომელნიც განსვენებული არშაკ ვარნაზიანცის ნაცნობთა და ამხანაგთა საყურადღებოთ მიგვაჩნია.

„ეკალის“ მე 4 №-ში ბებია ქალი **მარია კობახიძის** ასულის შესახებ მოთავსებული იყო შემდეგი: „ქუთაისიდან გვწერენ, რომ მარია კობახიძემ ქუთაისში შვენიერი ლაბარატორია გახსნა, სადაც ხინის სახით სხვადა-სხვა საწამლავებს ამზადებსო, პირველად მან ასეთი წამლის ზედგავლენა ფოთში სცადა და თავის სარტფო 15 წამში წუთისოფელს გამოასალმა“

ეს შენიშვნა გამოიწვია იმ გარემოებამ, რომ ქ-ნი მარია კობახიძის ასულს ბრალდება გაზეთი „სინათლის“ რედაქტორათ ნამყოფის არშაკ ვარნაზიანცის მოწამვლა ქ. ფოთში.

მოსალოდნელი იყო, რომ ის ასეთი ბრალდების წინააღმდეგ რამე სერიოზულ პასუხს გამოგზავნიდა თავის გასამართლებლათ, მარა ამის მაგივრათ ქ-ნი **მარია კობახიძის** ასული უშნო ოხუნჯობას გაყოლია და სიტყვის ბანზე აგდება მოუნდომებია.

მისი ასეთი სურვილის მიუხედავათ, ის მაინც ვარდება ხაფანგში, როცა ამბობს თავის წერილში: **„არც თქვენ მიერ გახსნილი ლაბარატორია ყოფილა ღირს შესანიშნავი“** და სხვა. აქედან ცხადია, მარია კობახიძის ასული, არ ყოფს ვარს, რომ მას მართლა საწამლავის ლაბარატორია ქონებია გახსნილი; ის მხოლოთ გვიკიჟინებს, რომ თქვენს ლაბარატორიას ჩემი ჯობიაო. ამაზე ჩვენ აღარ შევედავებით ქა-ნ **კობახიძის** ასულს, მარა დავძენთ, რომ მისი გახნილი ლაბარატორია საწამლავს ამზადებს, ხოლო ჩვენი ანალიზს უკეთებს იქ მომზადებულ საწამლავებს და ააშკარავებს მათ მომზადებელს. ამ განზრახვების შემდეგ გადავიდეთ პირდაპირ შეკითხვებზე და ფაკტებზე.

განსვენებული არშაკ ვარნაზიანცი („ცაფფცას ზანგი“), რომლის სიკვდილსაც თქვენ გაბრალებენ, როგორც ჩემი გულითადი მეგობარი და ამხანაგი, უკანასკნელ დროს არაფერს მიმალავდა და თქვენი ქცევით განაწვალებ-განატანჯი ხშირათ მომმართავდა ამხანაგური რჩევისათვის. არ მიმალავდა თვით თქვენს წერილებს, თქვენს მოქმედებასაც კი და სასოწარკვეთილებაში ჩავარდნილი ყველგან ეძებდა თქვენი დავიწყების მიზეზს, როდესაც ხუთ წერილზე— ერთის პასუხის **ღირსსაც** იშვიათათ გახდიდით მას.

მაშ, დავყვეთ ქვით—მის ნალაპარაკევს ჩემთან და თქვენს საქციელს:

1) მართალია თუ არა ის, რომ ამ შვიდი წლის წინეთ თქვენ არშაკ ვარნაზიანცი გაიცანით ქ. ქუთაისში ძმ. გოკიელოვების ‘ძალაზიაში, სადაც თქვენ ორივე ერთათ მსახურებდით? 2) მართალია თუ არა ის, რომ, როდესაც ის იძულებული შეიქნა ქუთაისიდან წამოსულიყო და თფილისში დამდგარიყო „მირის“ თამბაქოს ქარხანაში მუშების მეთვალყურეთ, თქვენ წერილებს უგზავნიდით, რომ უმისოთ ცხოვრება არ შეგეძლოთ და ეხვეწებოდით თფილისში ჩამოეყვანეთ? 3) მართალია

*) ეს წერილი აწყობილი გვქონდა, რომ ქ. **მარია კობახიძის** ასულისაგან ამ თვის 15 მოგვივიდა დეპეშა: „Прошу не печатать мое письмо, посланное 7 ноября. Акушерка Марія Кобахидзе (გთხოვთ არ დაბეჭდოთ **ჩემი წერილი**, 7 ნოემბერს გამოგზავნილი. ბებია ქალი მარია კობახიძე. აქედან აშკარაა, რომ ჩვენი ეჭვი მისი გვარის შესახებ უსაფუძვლო გამოდგა და ზემოთ მოყვანილი წერილი ეკუთვნის ქ. კობახიძეს და არა ბობახიძეს. თუ რათ დასჭირდა ქ. კობახიძეს დეპეშის გამოგზავნა, ეს თავისთავათ ცხადია და განმარტება მეტია. ჩვენ ვერ ვასრულებთ ქ-ნი კობახიძის ასულის თხოვნას, რადგან ეს ჩვენი ზნეობრივი მოვალეობის წინააღმდეგი იქნებოდა.

მიმინო.

თუ არა ისიც, რომ განსვენებული ისე მოხიბლა თქვენმა წერილებმა და სიყვარულის გამოცხადებამ, რომ ის იძულებული შეიქნა ჩამოეყვანეთ თფილისში, მიებარებიეთ საბებიო ინსტიტუტში და თავის ხარჯით გამოეზარდეთ, და ღღესაც იმისი წყალობით გეჭიროსთ თქვენ ეგ ადგილი ქუთაისში? 4) მართალია თუ არა ის, რომ თქვენ მისი დედის და ძმის ოჯახში, ისე გრძნობდით თავს, როგორც საკუთარ დედმამასთან და თქვენი მომავალი საქმრო „არშაკა“ ისე გივლიდათ, როგორც თავის საკუთარ არსებას და ხშირათ ერთათ მარტონი ყოფილიყავით ცალკე ოთახში მთელი ღამეობით? 5) მართალია ისიც თუ არა, რომ, მიუხედავათ ერთათ ყოფნისა, იმას (არშაკას) არ მიეცეს თავის თავისთვის ნება, რაიმე შეურაცყოფა მიეყენებინოს თქვენთვის, გარდა დაძმური ხვევნა-კოცნისა, ალერსისა და თაფლივით ენის ლოკვისა? 6) გახსოვთ თუ არა იმ წერილების შინაარსი, რომლებსაც თქვენ უგზავნიდით არშაკას ქუთაისიდან კურსის დამთავრების შემდეგ, სადაც მხოლოთ და მხოლოთ სთხოვდით არ ელალატნა თქვენთვის და გულიდან არ ამოერეცხეთ? 7) მართალია თუ არა ის, რომ არშაკას, რომ წერილი დაეგვიანებია თქვენთვის, თქვენ თვითონ მოდიოდით ქუთაისიდან მის სანახავათ თფილისში? 8) მართალია თუ არა ისიც, რომ, როდესაც თქვენ გაიცანით ქუთაისში ერთი სამხედრო პირი, რომლის ვინაობასაც მე აქ არ გამოვამჟღავნებ საჭირო დრომდე, სულით და გულით თანაუგრძნობდით მას, ეალერსებოდით მას ღამ-ღამეობით თქვენსავე დერეფანში და მოიწადინეთ არშაკას უბედურებით მისთვის ბედნიერება მიგენიჭებიათ? 9) და თუ ეს ასე არ იყო, მაშ რათ დაგჭირდათ მელოობა, როდესაც თქვენ მას, არშაკას, უკანასკნელათ შეფიცეთ ერთგულება და მოთხოვეთ ყველა თქვენ მიერ მოწერილი წერილების უკან დაბრუნება, რომ წერილობითი საბუთი არა დარჩენოდარა, და, როდესაც მან გულუბრყვილოთ დაგიჯერათ და წერილები ამ რამდენისამე თვის წინეთ ჩამოგიტანათ ქუთაისში, ყველა ცეცხლს მიეცით და სამუდამოთ მოსპეთ თქვენი სიყვარულის გზაკვალი? 10) მართალია თუ არა, რომ ამ წერილების მოსპობას უძღოდა წინ ის წინადადება, რომლითაც თქვენ დაპირდით პარიეში წასვლას და იქ ერთათ ცხოვრებას, რა მიზეზითაც უკანასკნელ დროს არშაკამ ფრანგული ენის შესწავლას მიყო ხელი და მშიერივით ეწაფებოდა, რომ ამ შემოდგომაზე ერთათ წასულიყავით პარიზში? 11) მართალია თუ არა, როდესაც განსვენებულმა არშაკამ თქვენ ხუმრობით მოგწერათ, რომ ცოლს ვირთავო, თქვენ რიონში დახრჩობას ლამობდით და გულისწყრომით სავსე წერილი მოსწერეთ, სადაც თქვენ აღარა გჯეროდათ არაფერი: არც სინიდისი, არც რწმენა ხალხისადმი, არც სიყვარული, არც სხვა რამე, იმ დროს, როდესაც თქვენი „ზანგი, ოხ! ზანგი, ზანგი, ზანგი!.. (ტერმინი თქვენია) გღალატობდათ და თქვენ სიყვარულს ვიღაცის სავაჭრო დუქანზე სცვლიდა. 12) მართალია თუ არა, რომ ყოველ წერილში ერთსა და იმავეს იმეორებდით: „მარად შენი ცაფციკო, მაშიკო, სულიკო, კოპიკო, ზანგუჟი“ და სხვა? 13) თუ გნებავთ, ყველა ამაებს დავანებოთ თავი, მარა ერთი ეს მიბრძანეთ: ვინ იყო ის ორი ქალი, რომელიც ოჩეჩირიდან ფოთში გამოყვა „ცაფცას ზანგს“ — არშაკას, დაალევინა ხინის სახით რაღაცა საწამლავი, თვითონ გაქრა და არშაკა თხუთმეტი წუთის შემდეგ წუთის სოფელს გამოასალმა? 14) ის რომელი სასტუმრო იყო, როდესაც არშაკა ამოდიოდა ქუთაისში დაგიბარებდათ სალაპარაკოთ, სადაც ენის წუწვნით კვლავ ცოლობას პირდებოდით? 15) ის რა დროს იყო, როდესაც დედა თქვენმა თქვენ სახლში უარი გამოუცხადა არშაკას, რომ ჩემ ქალიშვილს თქვენ, როგორც სომეხს, ვერ მოგათხოვებო? იმ დროს თქვენ დედი თქვენის წყრომის ასაცილებლათ და-ძმობა გამოუცხადეთ, რამაც თავზარი დასცა არშაკას და შემდეგ ისევ ცოლობა აღუთქვით? 16) თუ გნებავთ ამაებსაც თავი დავანებოთ, მხოლოთ ერთი ეს მიბრძანეთ: იმ დროს როდესაც თქვენი გულის სატრფოს კუბოს აუარებელი ხალხი მისდევდა უკანასკნელათ პატივის მისაცემათ, — განურჩევლათ სარწმუნოებისა, როდესაც მის საფლავზე იღვროდა თათარ-სომეხთა-რუს ქართველთა-ურიათა ცრემლი და კუბოს ამოსგვარი წითელი ლენტებიანი გვირგვინები ამკობდა

შესაფერი წარწერებით: სად იყავით თქვენ? სად იყო თქვენი გვირგვინი? რათ არ შეუერთდა ხალხის ნაკადულს თქვენი ცრემლიც? რად არ ეცით უკანასკნელი პატივი იმ კაცს, რომელმაც მთელი თავისი სიცოცხლე შემოგწირათ თქვენ, მთელი თავისი არსება თქვენ შემოგაელოთ თავს? სად იყო მაშინ ის „ცაფციკო, მაშიკო, სულიკო, კოპიკო, ზანგუჰი“, სად?! ნუ თუ ამ ადამიანს არ უნდა ეტირნა თავისი სატრფო, რომელიც, შვიდ წელიწადს ეყმო და ემონა?!. 17) თუ თქვენ თქვენ თავს დამნაშავეთ არ რაცხდით, რატომ არ გამოცხადდით იმ დროს, როდესაც თქვენ სახელს წყევლა-კრულვით იხსენიებდა მთელი ამოდენა ხალხი, რომელიც განსვენებულს გარს შემოხვეოდა საფლავზე? როდესაც თქვენი სურათი ხელიდან ხელში ზიზღით და ფურთხით ივსებოდა?—რატომ არ წადექით და არ იმართლეთ თავი? რატომ?!. და დასასრულ ერთი ეს მიბძანეთ, რათ სთხოვთ ჩვენს კორესპონდენტს, რომ პირბადე აიხადოს, როდესაც თქვენ თითონ უნდა აიხადოთ პირბადე და პასუხი გასცეთ ჯერ იმ სასამართლოს გამომძიებელთ, რომელნიც ამ საქმის გამო გამოძიებას ახდენენ ფოთში, ქუთაისში და თფილისში—და მერე პასუხი უნდა უგოთ ა) ხალხს, რომელიც პატივს ცემდა განსვენებულს, ბ) ამხანაგთა წრეს, რომელსაც გამოაკლდა საუკეთესო ამხანაგი, გ) პარტიას, სადაც ის წევრათ ირიცხებოდა, დ) მის ორ პატარა ბავშს, რომელთაც თქვენი მეოხებით აღარ ყავთ არც დედა, აღარც მამა, ე) არშაკას შშობლებს, რომელნიც გულხელ დაკრეებილნი წყევლა კრულვას გითვლიან თქვენ, ᲖᲗ ვ) მის აჩრდილს, რომელიც მუდამ თქვენ დაგდევს და მოსვენებას არ მოგცემს.

დიახ, ქალბატონო, ჯერ თქვენ ჩამოირეცხეთ ეგ ჩირქი და მერე ჩვენს კორესპონდენტს მოთხოვეთ პასუხი.

მიმინო.

„ᲜᲘᲨᲐᲓᲣᲠᲘ“

ᲠᲝᲓᲘᲡᲣᲚᲘ „ᲜᲘᲨᲐᲓᲣᲠᲘ“—
ᲡᲐᲥᲘᲠᲐᲣᲚᲘᲡ ᲝᲤᲚᲘᲐ!
ᲛᲝᲓᲘᲡᲣᲚᲘ ᲠᲝᲛ ᲛᲝᲙᲕᲓᲔᲑᲐ,—
ᲡᲐᲮᲘᲠᲣᲚᲘᲗ ᲛᲝᲒᲠᲘᲚᲘᲐ!!

ᲔᲡᲓᲔᲙᲔᲑᲖᲔ ᲝᲮᲣᲜᲯᲝᲑᲘᲡ,
ᲕᲘᲗᲝᲛ ᲝᲣᲓᲔᲠᲬᲚᲘᲐ,
ᲛᲘᲠᲐ ᲛᲘᲡᲛᲐ ᲤᲘᲡᲙᲣᲠᲛᲐ
ᲩᲘᲓᲣᲚᲘ ᲓᲔᲓᲚᲘᲐ.

ᲐᲑᲓᲘᲣᲚᲓᲔᲡ ᲠᲝᲛ ᲩᲣᲡᲘᲡᲯᲣᲚ,
ᲔᲡ ᲠᲐ ᲛᲘᲡᲘ ᲑᲠᲐᲚᲓᲘᲐ?!
ᲯᲐᲠᲒᲘ ᲠᲐᲛᲔ ᲠᲝᲒᲝᲠ ᲗᲥᲕᲔᲜ,
ᲪᲝᲓᲘᲡᲐᲖᲔ ᲠᲝᲛ ᲛᲬᲣᲠᲐᲚᲘᲐ?!

ᲗᲐᲕᲘᲡᲘ ᲡᲘᲪᲝᲪᲮᲚᲘᲡᲬᲘᲚᲓᲔ
ᲡᲘᲣᲚ ᲩᲝᲠᲔᲑᲨᲘ ᲓᲔᲓᲚᲘᲐ,
ᲐᲛᲘᲡᲘᲐᲜᲘ ᲒᲐᲖᲔᲗᲘᲡ
ᲔᲡ ᲬᲧᲘᲚᲘ ᲓᲐ ᲧᲕᲚᲘᲐ.

ᲛᲝᲰᲘᲛᲬᲘᲜᲔᲑᲘ ᲓᲔᲙᲐᲜᲝᲡ
ᲡᲘᲓᲣᲠᲯᲝᲠᲔᲚᲝᲗ ᲓᲔᲓᲚᲘᲐ;
ᲛᲘᲡᲘᲡᲓᲐᲡ ᲡᲝᲛ ᲝᲡ ᲐᲧᲣᲓᲘᲡ,
ᲠᲐᲓᲐ ᲓᲘᲡᲛᲐᲓᲔᲑᲘᲐ!!.

ᲗᲣᲛᲪᲐ ᲠᲔᲓᲐᲥᲪᲘᲘᲡᲨᲘ
ᲬᲣᲛᲨᲔ ᲓᲘ ᲓᲒᲘᲡ ᲛᲘᲠᲐᲓᲔᲑᲘᲐ,
ᲛᲘᲠᲐ ᲔᲠᲗᲘ ᲛᲘᲗᲮᲠᲐ,—
ᲠᲝᲓᲘᲡ ᲒᲣᲜᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲑᲠᲐᲚᲓᲘᲐ!!!

კრიმანჭულაძე.

ᲢᲣᲡᲐᲚᲔᲑᲘᲡ ᲕᲐᲠᲯᲘᲨᲝᲑᲐ.



ᲒᲐᲛᲪᲮᲝᲑᲘᲚᲘ ᲛᲐᲡᲬᲐᲕᲚᲔᲑᲚᲘᲡᲗᲕᲘᲡ

ᲔᲛᲖᲐᲓᲔᲑᲘᲡ ᲛᲝᲡᲬᲐᲕᲚᲔ ᲥᲐᲚ-ᲕᲐᲟᲗ ᲧᲕᲔᲚᲐ ᲡᲐᲨᲕᲐᲚᲝ ᲓᲐ ᲓᲐᲑᲐᲚᲘ ᲡᲐᲡᲬᲐᲕᲚᲔᲑᲚᲘᲡᲗᲕᲘᲡ. ᲐᲛᲖᲐᲓᲔᲑᲘᲡ ᲐᲒᲠᲔᲗᲕᲔ ᲡᲐᲮᲐᲚᲮᲝ ᲡᲙᲝᲚᲘᲡ ᲛᲐᲡᲬᲐᲕᲚᲔᲑᲚᲘᲡ ᲮᲐᲠᲘᲡᲮᲘᲡ ᲛᲘᲡᲐᲚᲔᲑᲐᲗ.

ᲐᲦᲠᲔᲡᲘ: ᲒᲝᲚᲝᲕᲘᲜᲘᲡ ᲞᲠᲝᲡᲞᲔᲥᲢᲘ, ᲡᲐᲮᲚᲘ № 24, ᲑᲘᲜᲐ № 3, ᲔᲖᲝᲨᲘ.

Электро-печатня Т-ва „СОРАПАНЬ“, Мадатовскій островъ д. кн. Мухр. № 1.